გიორგი და ელენე პაპაშვილები

ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

თარგმანი ინგლისურიდან
ანდუყაფარ ჭეიშვილისა

„ლიტერატურა და ხელოვნება“
თბილისი

„ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, რომელიც ჩვენმა თანამემამულემ გიორგი პაპაშვილმა და მისმა მეუღლემ ჰელენ უეიტ პაპაშვილმა დაწერა, არის ავტობიოგრაფიული ნოველების კრებული. ნაწარმოები გვიხატავს 30-იანი წლების ეკონომიური კრიზისის, გაფიცვებისა და უმუშევრობის შეუფერადებელ სურათებს, ამავე დროს ავტორი არც ქებას იშურებს, თუკი რაიმე მოეწონა ამერიკაში. გიორგი პაპაშვილის მიერ დახატული „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, არის ქართველი გამრჯე და გამჭრიახი გლეხის თვალით დანახული ამერიკა.

პირველი დღე

დილის 5 საათზე გემის მანქანები გაჩერდა. 37 დღის შემდეგ გემზე პირველად დაისადგურა სიჩუმემ.

ჩვენ ამერიკაში ვიყავით.

მე წამოვდექი, იატაკზე მწოლიარე მგზავრებს გადავალაჯე და ილუმინატორს მივადექი, მაგრამ წყლისა და ნისლის გარდა ვერაფერი დავინახე. ჩვენ ღუზას ვუშვებდით რომელიღაც კუნძულის მახლობლად. ჩავიცვი და გემბანზე ავედი.

და აი, აქედან დაიწყო ჩემი ტანჯვა-წამება. გემი ბერძნული იყო, მე ტრიუმის მგზავრი გახლდით და ამიტომ ჯერ კიდევ შუა გზაზე შემომეხარჯა მთელი ფული. უფულოდ კი ნაპირზე არ გადამიშვებდნენ.

ჩემი ექვსკაციანი კაიუტის ერთ-ერთი მგზავრი, თურქი ჰასანი, ფეხდაფეხ ამომყვა გემბანზე.

— აკი გარიგებდი ჭკუას, — მომახალა მან, როგორც კი შემოიახლოვდა, — აი, უკვე ამერიკაში ვართ და ფული კი არა ფაქვს, რომ ნაპირზე გადახვიდე. შენ უკანვე დაგაბრუნებენ. უფულოდ ვინ შეგიშვებს ამერიკაში? ვაი, სირცხვილო! შენ ადგილას ნამდვილად თავს მოვიკლავდი!

ჰასანი გიბრალტარიდან მოყოლებული მხოლოდ დამარილებულ ზეთისხილსა და მლაშე ყველზე გადადიოდა. მას აცო-

ფებდა პატარა ხის შამფურზე ჩამოცმული მწვადები, რომლებსაც გემბანის სტიუარდს ვატოვებინებდი ხოლმე.

გემიდან ხიდით ჩავედით დიდ დარბაზში. მგზავრები ფოტოსურათებით ხელში აქეთ-იქით აწყდებოდნენ და დამხვდურებში თავიანთი ნათესავების ამოცნობას ცდილობდნენ. ინსპექტორები მაგიდებს უსხდნენ და ჩამოსულებს საბუთებს უსინჯავდნენ.

კარი გაიღო და დარბაზში ვიღაც ახალგაზრდა შემოვიდა. მას ხელში ერთი მეორეზე დაწყობილი უბრალო ზოლიანი ნაჭრისაგან შეკერილი „ხინკალა“ ქუდები ეჭირა. პირველად იგი ფანჯარასთან გაჩერებულ კრაველის ბოხოხიან მოხუცთან მივიდა, შემდეგ — რიგში მდგომ კაზაკთან, ბოლოს მე მომადგა.

— ერთი შენ ქუდს შეხედოს კაცმა, — მითხრა მან რუსულად, — შენ რა, მთელი სიცოცხლე ხამად გინდა დარჩე? ჰმ. კრაველის ქუდი! ხომ არ გგონია, შეერთებულ შტატებში შენს გარდა ვინმეს ეხუროს ბეწვის ქუდი? აგერ, შეხედე ინსპექტორს, ექიმს, კაპიტანს, ეგეთი ქუდები ახურავთ? რა თქმა უნდა, არა!

მე არაფერი ვუპასუხე.

— იცი, რას გეტყვი? მეც ოდესღაც ხამად ვიყავი ამ ქვეყანაში და შენ რომ გიყურებ, გული მიკვდება. არ მინდა, ვინმე ჩავარდეს იმ დღეში, მე რომ ვიყავი. აი, ჩემი კეპები. ნახე, რა ძვირფასი ზოლიანი ნაჭერია! ასეთ კეპებს ხომ მემანქანეები, მღებავები და მაღაროელები ატარებენ, — ბიჭმა ქუდი თითზე დაატრიალა, — ნუ გეშინია, ეს ნამდვილი ამერიკული სტილია. ამ ქუდს რომ დაიხურავ, ყველას ამერიკის მოქალაქე ეგონები. მე ვარ ამის თავდები. იცი, თანახმა ვარ, ჩემი

კეპი მაგ დაქექილ კრაველის ბოხოხში გაგიცვალო. პირდაპირ გაგიცვალო. სართად ერთი პენიც არ მინდა.

უნდა გითხრათ, რომ კრაველის ქუდი ზედ გამომგზავრების წინ შევიძინე და ჯერ სულ ახალთახალი გახლდათ. იგი მშვენიერი ვერცხლისფერი კრაველისაგან იყო შეკერილი. საქართველოში რომ მეცხოვრა, ალბათ, მთელი სიცოცხლე მეყოფოდა, მაგრამ...

— იცი, რა, — მითხრა ქუდების გამყიდველმა, — მინდა სამუდამოდ დაგამახსოვრდეს, რომ ამერიკაში ჩამოსვლის დღესვე ფული გააკეთე. დოლარს გიმატებ. მოვრჩით?

მე ბოხოხი მოვიხადე და კეპი დავიხურე. კეპი პატარა მომივიდა, ძლივს მიფარავდა კინკრიხოს, მაგრამ ამერიკაში ამერიკულად უნდა ჩაიცვა და თანაც რა სასიამოვნოა, როცა გემოვნებით იცვამ! ~~ასე ჩავიგდე ხელში პირველი დოლარი.~~

სირიელი ისააკსი გრძელ სკამზე იჯდა, იაფფასიან სიგარეტს აბოლებდა და ჩვენს ვაჭრობას თვალს ადევნებდა. ისააკსი ჩემს კაიუტაში ცხოვრობდა და ამიტომ კარგად იცოდა, რა ავლადიდების პატრონიც ვიყავი. ქუდების გამყიდველი შემდეგ მუშტარს რომ მიადგა, ისააკსმა საბაჟოს ინსპექტორისაგან თავის დაძვრენის კარგი ხერხი მასწავლა.

ეს მართლაც შესანიშნავი ხერხი აღმოჩნდა: სანამ ინსპექტორი ჩემს პასპორტსა და ვიზას სინჯავდა, მე უკვე მოვემზადე თავდაცვისათვის.

— გხვდებიან თუ არა მეგობრები? — მკითხა მან, — გაქვს თუ არა ფული, რომ თავი გაიტანო ამერიკაში.

მე მწვანე ამერიკული დოლარების მსხვილი დასტა ამოვიღე, 10 და 20 დოლარიანების მოზრდილი, რეზინით შეკრული დასტა.

— ო ქეი, გაიარეთ, — მითხრა ინსპექტორმა და საბუთებზე ბეჭედი დამირტყა.

ბარგი ავიღე და გარეთ გავედი. ფულის დასტა კი ისააკ-სის მეგობარს არაპულეოპულოსს დავუბრუნე. იგი, ახლა ალ-ბათ სხვას მიაქირავებდა ამ დასტას. არაპულეოპულოსი სულ ერთ დოლარს იღებდა ამ ფულის თხოვებაში. თითქმის მუქ-თია, არა?

გარეთა ბაქანზე ოსი ზურაბეგი დავინახე. ზურაბეგიც ტრი-უმით ჩამოვიდა ამერიკაში, მაგრამ განა პირველად — იგი ამე-რიკის მოქალაქე იყო და სათანადო საბუთებიც ჰქონდა ამის დასამტკიცებლად. გარდა ამისა, „გასპადინ“ ბუფალო ბილის მეგობარიც გახლდათ. ზურაბეგი პირველად 20 წლის წინათ ეწვია ამერიკას. მაშინ იგი ცირკის მოჯირითე იყო, შემდეგ კი მთავარი მზარეული გახდა. მას რამდენიმეჯერ დაეგროვებინა ფული და ცოლის საშოვნელად წასულიყო სამშობლოში, მაგრამ დღემდე ვერავინ ეშოვნა.

— რაო, ნაპირზე გადასვლის უფლება არ მოგცეს? — მკითხა ზურაბეგმა.

— როგორ არა, მაგრამ ფული არა მაქვს, რომ იმ გემში ჩავჯდე და ნაპირს მივადგე (მომცრო გემი თუხთუხით დაცუ-რავდა კუნძულსა და ნაპირს შუა და საშვიანი მგზავრები გა-დაჰყავდა). იქნებ გადამეცურა, მაგრამ ბარგს რა მოვუხერხო? სულ ცოტა, ორი გზა უნდა გავაკეთო.

— აი, შე ვირისთავო, — მითხრა ზურაბეგმა, — ეს ხომ ამერიკაა. გემი უფასოა. იგი ჩემ მთავრობას ეკუთვნის. ჩვენ მუქთად გადაგვიყვანენ. წავედით.

ასე მოვხვდით ნაპირზე.

ნაპირზე კი: ქუჩები, ხალხი, ხმაური. სახეები და კვლავ სახეები. ქოთქოთი, ჯიჯღინი, ყვირილი, მაგრამ ყველაზე მეტი— ფუსფუსი და მოძრაობა: წინ და უკან, უკან და წინ, თვალები ამიჭრელდა.

ასე გავიარეთ რამდენიმე კვარტალი. აქ ჩვენი საბუთები გამახსენდა, ამოვიღე, ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე და ურნაში ჩავყარე. „ამის შემდეგ ველარავინ დამიმტკიცებს, რომ ამერიკის მოქალაქე არა ვარ“, — გავიფიქრე და ზურაბეგს მივუბრუნდი: ახლა რა უნდა ვქნათ-მეთქი.

— სამუშაო უნდა ვიშოვოთ. ეგ უკვე ჩემზე იყოსო,— მიპასუხა მან.

ორივე მუშების დამქირავებელ სააგენტოსაკენ გავემართეთ. საბედნიეროდ, აგენტმა რუსული იცოდა. მან ზურაბეგი მაშინვე რუსულ რესტორანში გააგზავნა შეფ-მზარეულად.

— ახლა თქვენს მეგობარს მივხედოთ. აბა, რისი გაკეთება შეგიძლიათ? — მკითხა აგენტმა.

— მე ტყავის ლამაზად გამოყვანის ოსტატი ვარ. განსაკუთრებით კარგად ვიცი ძველებური მათრახის ტარის კეთება.

— ღმერთო ჩემო, — ამოიხვნეშა აგენტმა, — ეს ხომ შეერთებული შტატებია, აქ ცხენებს რა უნდა. ავტომობილებია. სხვა რა შეგიძლია?

საბედნიეროდ, მამაჩემი წინდახედული კაცი იყო და ორი ხელობა შემასწავლა. იფიქრა, ერთი უმტყუნებს, მეორეთი გაიტანს თავსო.

— მე მახვილების კეთებაც ვიცი, მოკლე და გრძელი მახვილების, სევადითა და უსევადოდ. სანადირო დანების დამზადებაც — უბრალო გინდა თუ მოხატული, წრთობა, ალესვა, პირის აწყობა, — ვუთხარი აგენტს და ჩემოდნიდან ქარგლობის მოწმობა ამოვიღე.

— ო ღმერთო, მათრახებისა და ხმლის ოსტატი, — ამოიხ-ვნეშა აგენტმა და ზურაბეგს მიუბრუნდა: — ჯობს შენთან წაი-ყვანო და ჭურჭელი არეცხინო, — რესტორანში ყოველთვის აკლიათ ხოლმე ჭურჭლის მრეცხავები.

ჩვენ მიწის ქვეშ ჩავედით, მატარებელში ჩავსხედით და რამდენიმე გვირაბი გავიქროლეთ. ამ გვირაბებმა სამხედრო გზის გვირაბები მომაგონა, სადაც უზარმაზარი ღამურები ბუ-დობენ, ოღონდ აქაურობა უფრო უარესად ყარდა.

რესტორანი შესახვევში მდებარეობდა. „ხაზეიკამ“ ძალიან ტკბილად მიგვიღო:

— შენ საჩაიედან მახსოვხარ, — უთხრა მან ზურაბეგს, — მოხარული ვარ, რომ ჩემთან იმსახურებთ. მგონი, „პირაშკების“ ოსტატი ხართ, არა?

— ყველაფრისა, მადამ, ყველაფრისა, — თავმომწონედ უპა-სუხა ზურაბეგმა, — ერთმა ჩემმა მეგობარმა, ბუფალო ბილმა, ერთ ჯერზე 30 ცალი ღვეზელი შეჭამა. ეს ჩემი მეგობარია. ჭურჭელს გარეცხავს.

რესტორნის პატრონს თავი დავუკარი.

სამზარეულო პატარა და ჩახუთული იყო. აქ ყველაფერი ღორის შიგანივით იყო გაჭონილი. ზურაბეგმა დანები ამოალა-გა, მზარეულის ქუდი დაიხურა, შინაურულად დატრიალდა სამზარეულოში და მარჯვედ შეუდგა მწვანილის დაჭრას.

— შენ კი ამათ დარეცხავ, — მითხრა დიასახლისმა, —ოთხი საათისათვის უნდა მოასწრო, მაგიდა შეგვიკვეთეს.

მე ერთი ლანგარი ჭიქები უნდა დამერეცხა, თანაც რა ჭიქები: მუცლიანები, მაღალფეხიანები, ერთი ციცქნები, თი-თოში თითო ყლუპი თუ ჩაეტეოდა. პირველი მაშინვე ჩამატყდა ხელში, მეორეც თვალსა და ხელს შუა გამიქრა. რვა, როგორც

იქნა, გავრეცხე, მეთერთმეტე თავიდანვე გაბზარული იყო; მეთორმეტე თასის კიდეს მოხვდა, ერთი დაიწკარუნა და გათავდა.

მე, ალბათ, დღესაც იქ ვიმუშავებდი, მაგრამ სწორედ იმ წუთას, როცა პირველი ლანგარი სარკმლიდან დარბაზში უნდა გადამეწოდებინა, ფეხებში რესტორნის კატამ გამირბინა.

როცა ნამსხვრევების ახვეტა დავამთავრე, ზურაბეგს მივუბრუნდი:

— ახლა პური ვჭამოთ, უკვე შუადღეა. აგე, მუშტრებიც მიირთმევენ. მათ ცქერაში მადა გამეხსნა. მწვადი შეწვი, კიტრი დაჭერი, ერთი კარგად ვისიამოვნოთ ამ ახალ ქვეყანაში.

— ეს რესტორანია, — მიპასუხა ზურაბეგმა, — საქართველოს სამხედრო გზის პირას მიყუჟული დუქანი არ გეგონოს, სადაც სტუმრები და შინაურები ერთ სუფრაზე ქეიფობენ. ეს რესტორანია და თავისი წესები და კანონები აქვს. მუშტრები რომ გამოილევიან, მაშინ უნდა დავნაყრდეთ ნასუფრალით. აბა, ისევ ჭიქებს მიხედე, ოღონდ, თუ ძმა ხარ, აღარ შემარცხვინო.

მე ერთი ჩარექი არაჟანი ვიპოვე, რესტორნის უკან, ხეივანში გავედი და პურს შევატანე. ამას ერთი ქილა ხიზილალაც დავაყოლე. ხიზილალა ძალიან მლაშე გამოდგა. ალბათ, საექსპორტოდ თუ იყო დამზადებული.

„ხაზეიკამ“ მომაგნო. ფეხზე წამოვდექი.

— მიირთვით არაჟანი, გეთაყვათ, მიირთვით, — მითხრა მან, — დაამთავრეთ, დაამთავრეთ. ოღონდ შემდეგ იქნებ წასულიყავით ჩემგან. სადმე შორს წასულიყავით. ნუ კი გეწყინებათ, მაგრამ ჭიქები და ხიზილალა ძალიან ძვირად მიღირს. შენი მეგობრის წყენინებასაც ვერიდები. ძალიან მჭირდება

კარგი მზარეული. რომ შეგეძლოს ჩუმად წასვლა! უცებ რომ გაუჩინარდე! მე 5 დოლარს მოგცემ.

— ჯერ არაფერი გამიკეთებია და ფულიც არ მერგება თქვენგან, რაც არის, არის. რესტორანი ჩემი ბედი არ ყოფილა. წავალ. ზურაბეგს არ ვემშვიდობები. თქვენ უთხარით შემდეგ.

„ხაზეიკამ“ ქუდი და რაღაც ქაღალდში შეხვეული გამომიტანა. ხეივანს დავყევი და ქუჩაში გავედი. ვიარე, ვიარე, ფეხის გულები ამეწვა სიარულით, კისერი მეტკინა აქეთ-იქით ყურებით, მაგრამ მაინც მივდიოდი და მივდიოდი. უკვე მეორე დღე მეგონა. შევეცადე ინგლისურად გამოვლაპარაკებოდი გამვლელებს. „რა საათი“, — ვიკითხე, მაგრამ არავინ გამომპასუხებია, ესე იგი, ვერ გამიგეს-მეთქი, ვიფიქრე და ახლა სხვანაირად შევაბრუნე სიტყვა, „რამდენი საათია“, მივმართე ვიღაც გამვლელს. მან თავის მაჯაზე მიმითითა, — ხუთის ნახევარი იყო. რა საოცარი ქვეყანაა! თუ მოინდომებ, უცებ ისწავლი კაცი ინგლისურს.

პარკში შევედი, ჩრდილი მოვნახე, ფეხზე გავიხადე და წამოვწექი. გავხსენი „ხაზეიკას“ გამოტანებული შეკვრა. პური და ძეხვი აღმოჩნდა შიგ. ახალ ქვეყანაში ცხოვრების დასაწყებად ხუთცენტიანი ნიკელის ფულიც მოეყოლებინა.

რა ვქნა, როგორ მოვიქცე? — სანამ ამაზე ვფიქრობდი, ჩამეძინა კიდეც.

ვიღაცამ გამომაღვიძა. თავზე პოლიციელი მედგა და რაღაცას მეუბნებოდა. მე თავი გავაქნიე, ვერაფერი გავიგე-მეთქი, ვანიშნე. პოლიციელმა ხელები, ფეხები, თვალები და თავი მოიშველია, (იგი ძალიან მაგონებდა თბილისში ნანახ თოჯინას). და, როგორც იყო, მიმახვედრა, რომ ბალახზე წამოწოლა აკრძალულია. თუ გინდათ, სკამზე დაბრძანდითო. სკამები

უფასოა, ყველას შეუძლია დაჯდესო. აი, როგორი ქვეყანა ყოფილა!

მაგრამ დაწოლა არც ისე იოლი აღმოჩნდა. სკამებზე, ყოველი ორი ფუტის დაშორებით, რკინის სახელურები დაემაგრებინათ. შეძრომა არ გინდოდა?! ჯერ ცალი ფეხი შევყავი, შემდეგ მეორეც მივაყოლე და დავწექი. მაგრამ გვერდი რომ ვეღარ ვიცვალე. თანაც, როგორც არ უნდა დავწოლილიყავი, რკინა ნიკაპზე ძებჯინებოდა. კარგა ხანს ვიფიქრე, თუ როგორ მოვქცეულიყავი. მერე წავედი, ჩემი ხუთცენტიანით მიწის თხილი ვიყიდე და ციყვებს დავუყარე.

პარკის ირგვლივ აღძართულ კოშკებში სინათლის ანთება დაიწყეს. უკვე დაბნელდა. მე შარაგზის მახლობლად, ფერდობზე ავედი. აქ კლდის ქვეშ პატარა ქვიშნარი ვიპოვე. შამფური გავთალე, ხის ტოტებით კოცონი გავაჩაღე, ძეხვი შევიწვი და პურს ‘ძევატახე, ‘ძალე ისევ მომშივდა. პიჯაკი დავახვიე, თავქვეშ ამოვიდე (ასე ომში ვაკეთებდი ხოლმე) და დავიძინე.

დამღალა ამერიკამ და ამიტომ კარგა ხანს მეძინა. უკვე შუაღამე იქნებოდა, რომ შუქმა თვალი მომჭრა. ჩემს ქვევით, შარაგზაზე მსუბუქი მანქანა მოთახთახებდა. შუქი მისი წინა ნათურებიდან მოდიოდა. რომ გამისწორდა, ერთი ამოიხროტინა და დადგა. მანქანიდან კაცი გადმოვიდა. მთელი საათის განმავლობაში ჯახირობდა, ხსნიდა და ხურავდა კაპოტს, უკაკუნებდა მანქანას რაღაც იარაღებს, მაგრამ ვერაფერი გააწყო. მე ფერდობზე ჩავცოცდი და გზაზე გავედი, ომში თვითმფრინავებთან მქონდა საქმე და ავტომანქანაც ხომ თითქმის იგივეა, რა თქმა უნდა, თუ ფრთებს არ მივიღებთ მხედველობაში. წეღანდელი პოლიციელის მსგავსად, ხელებით, ფეხებით, თავით მივახვედრე, — მომეცი იარაღები, აბა, ერთი მე ვცდი-

მეთქი. მან იარაღები მომცა და თვითონ გზისპირა სკამზე ჩამოჯდა.

შევამოწმე სანთლები, განმანაწილებელი, გრაგნილა, დავხედე ბენზინის მიმწოდებელ მილს, მაგნეტოს. შემდეგ მანქანის დაქოქვა მოვინდომე. ვატრიალე, ვატრიალე, კინაღამ გული ამომვარდა, მაგრამ ავტომობილი სდუმდა. გავცეცხლდი და ლანძღვა-გინება დავუწყე მანქანას. რა არ ვუწოდე: მთის დევის შვილი, ქვაბულის ეშმაკის ეტლი, დავარისხე იგი შავრქიანი თხის სახელით და, როცა ქართულად აღარაფერი დამრჩა, რუსულზე გადავედი, რომ ბოლომდე მომეოხებინა გული. შემდეგ ერთი გემოზე ჩავცხე რადიატორში წიხლი, ავტომანქანა ძველი იყო, T მოდელისა. მან ერთი დაიფრუტუნა, ვერხვივით აცახცახდა და ამუშავდა. მანქანის პატრონი ჩემთან მოიჭრა. მიცინოდა, ხელს მართმევდა, რაღაცას მეუბნებოდა, რაღაცას მეკითხებოდა. მაგრამ აქ პოლისმენის მეთოდი არ გამოგვადგა — მარტო ჟესტები არა კმაროდა. უცებ ჩემი ლექსიკონი გამახსენდა — ინგლისურ-რუსული და რუსულ-ინგლისური, ხალათის ჯიბიდან ამოვიღე და მანქანის პატრონს მივაწოდე. მან ლექსიკონი სინათლეზე დაიჭირა და ფურცვლა დაუწყო. „მუშაობ“? — მკითხა და ინგლისურ სიტყვაზე მიმითითა. მის გასწვრივ დაწერილ რუსულ სიტყვას დავხედე და თავი გავაქნიე. „ბინა?“ — მაჩვენა მან მეორე სიტყვა.

კვლავ უარით ვუპასუხე.

გამოვართვი ლექსიკონი, „გემი“ და „დღეს“ მოვძებნე და ვაჩვენე.

„წამოდი“, — მაჩვენა ლექსიკონში, — „უიდ მი“, — მითხრა და თითი მკერდზე მიიდო, „ჭამა“, „ძილი“, „სამსახური“, — შემდეგ კარგა ხანს იქექებოდა ლექსიკონში — „სამსახური

ხვალ". — „ავტომობილები?" — ვკითხე ძე, ჩვენ ხომ ქართულადაც „ავტომობილს" ვიტყვით.

„ავტომობილები", — დამიდასტურა და ძალზე ნასიამოვნები დარჩა, რომ ერთი საერთო სიტყვა მაინც აღმოგვაჩნდა.

მანქანაში ჩავსხედით, მრავალი მილი გავიარეთ, მრავალი ქუჩა, რომელთა ორსავე მხარეს სახლები იყო ჩამწკრივებული. ბოლოს მის სახლს მივაღწიეთ. შევედით, კარგა ბლომად ვსვით და ვჭამეთ, საბედნიეროდ, ჭამა-სმას, როგორც მოგეხსენებათ, ენის ცოდნა არ უნდა. შემდეგ მისმა ცოლმა ოთახი მომიჩინა და დავწექი. ძილის წინ ვფიქრობდი: „აი, მთელი დღეა ვცხოვრობ ამერიკაში და სწორედ ისე ყოფილა, როგორც ამბობდნენ, — ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ყველაფერი, მართლაც, ყველაფერი შეიძლება მოხდეს".

უკვე ოცი წელია ვცხოვრობ ამერიკაში და აქაურობაზე დღემდე ამ აზრისა ვარ.

ᲓᲘᲐᲮ, ᲗᲥᲕᲔᲜᲝ ᲣᲛᲬᲘᲙᲕᲚᲝᲔᲑᲐᲕ!

— ექვსი თვის ჩასულიც არ ვიყავი ამერიკაში, რომ კინაღამ ციხეში ამოვყავი თავი. ეს ამბავი ასე მოხდა:

ის პირველი ექვსი თვე ნიუ-იორკში გავატარე. კვირეები უსაზღვროდ გრძლად მეჩვენებოდა. არც დღესასწაულები იყო და არც ქეიფები, რომ ცოტათი მაინც გავხალისებულიყავი. ᲛᲝᲕᲘᲓᲝᲓᲐ შაბათი, და კონვერტით 12 ან დიდი-დიდი 14 დოლარს მომცემდნენ ხოლმე. ჩამოსვლის დღეს რომ კაცს შევხ-

ვდი ცენტრალურ პარკში, იმან დაპირება შეასრულა და საკუ-
შაო მომკა გარაჟში. მაგრამ ორი თვის შემდეგ სიდედრი გაუხ-
და ავად, გარაჟი მიაკეტა და ოჯახიანად სოფელში გადასახლ-
და. ჩემი ჩიქორთული ინგლისურით ძალიან გამიძნელდა ახალი
საკუთაოს ძოვნა.

ცოტა ხანს აბრეშუმის ფაბრიკაში ვიმუშავე, შემდეგ
ქანდაკების ჩამომსხმელ სახელოსნოში გადავედი. თაბაშირისა-
გან ვასხამდით ულაზათო ქანდაკებებს. ამ სახელოსნოს მანამ
ბევრჯერ, სანამ ბოლავარმა მოქანდაკემ აქლემის ჩამოსხმა არ და-
მავალა. ეს აქლემი უფრო ძროხას წააგავდა. მე არ ვიკადრე
ასეთი მახინჯი ცხოველის ჩამოსხმა და აქა-იქ ოდნავ შევას-
წორე, რომ აქლემის რამდენიმე ნიშან-თვისება მაინც მიმეცა.

როცა მოქანდაკემ ჩემი ნამუშევარი ნახა, გაცეცხლდა და
ის სკოლები ჩამომითვალა, სადაც ესწავლა — ლონდონის, პა-
რიზის, დრეზდენის (დარწმუნებული ვარ, ამ ქალაქებში აქლე-
მის ჭაჭანებაც არ იყო). და კვლავ უმუშევარი დავრჩი.

შემდეგ ოთახების მოხატვაზე ვიმუშავე, მაგრამ მე და ჩე-
მი უფროსი როგორღაც ვერ შევეწყეთ ერთმანეთს. მერე ერთი
ქართველი ვნახე (იმ დროს სულ ორი-სამი თუ ვიქნებოდით
ნიუ-იორკში), რომელიც ტანსაცმლის საწმენდ სახელოსნოში
მუშაობდა. ამ ქართველმა თანაშემწედ ამიყვანა. საშინელი წა-
მუშაო იყო. ტანსაცმელს ბენზინში ვრეცხავდით, რომ ლაქები
ამოსულიყო. ბენზინი ტვინში მირტყამდა. ყელში ჩადიოდა და
ყურებიდან გამოდიოდა. მთელი კვირა ბენზინით ვიყავი გაჟ-
ღენთილი.

რაც უნდა ჯოჯოხეთური კვირა გვქონოდა, დასვენების დღეს
მაინც შესანიშნავად ვატარებდით, რადგან ყველა მთელი დღით
მივდიოდით ვანკოთლანდის პარკში. ეს ხეებითა და ყვავილე-

ბით სავსე პარკი ქალაქგარეთ იყო. იქ შეგვეძლო ცეცხლი გაგვეჩაღებინა, ბატკნის მწვადები შეგვეწვა, მთელი დღე გვესეირნა, სამუშაოზე არ გვეფიქრა და ერთი დღის განმავლობაში მაინც დავმტკბარიყავით ადამიანური ცხოვრებით.

კვირადღეობით, დილის ექვსი საათიდან, მეტროს ვაგონებში უკვე ტევა აღარ იყო ხოლმე. ვის არ შეხვდებოდით აქ — რუსებს, ბერძნებს, სომხებს — მიჰყავდათ მოხუცები და ჩვილები, მიჰქონდათ დოქები, დასაკეცი სკამები, ნახშირიანი ტოპრაკები, ჰამაკები, სამოვრები, საუზმით სავსე კალათები და ფარდაგები. ყველა ამოჩემებული ადგილისაკენ მიეშურებოდა. იქ ჩაის გააწყობდნენ, საუზმეს ამოალაგებდნენ და ნატრობდნენ, ნეტა გვიან დაღამდესო.

ის დაუვიწყარი კვირა დღე, როცა უბედურება შემემთხვა, გაზაფხულის მიწურული იყო. კაშკაშა დღე იდგა, მოწმენდილ ცაზე აქა-იქ ღრუბლის თეთრი ქულები დაცურავდა. სწორედ რომ ფათერაკების შესაფერი დღე გახლდათ.

იმ დღეს პირველად მეცვა ამერიკაში შეძენილი კოსტუმი, მეწამულ ზოლებიანი ჰალსტუხი მეკეთა და ცხვირსახოციც ჰალსტუხის შესაფერი მქონდა. თავზე ჭილის ქუდი მეხურა, სწორედ ისეთი, იანკი დუდლი რომ ატარებდა. თავს ბედნიერად ვგრძნობდი და, ცოტა არ იყოს, ვიჯგიმებოდი კიდეც.

ხუთ-ექვს ახალგაზრდასთან ერთად პარკში ვსეირნობდი. ერთი ნაცნობი ოჯახიდან მეორესთან გადავდიოდით. აქ თითო ჭიქა ღვინოს გადავკრავდით, იქ ნამცხვარს წავატეხდით ხოლმე. ერთგან ბუფალოდან ახალჩამოსული ბ. ქა გაგვაცნეს, მეორეგან — ჰაერზე პირველად გამოყვანილი ჩვილი ვინახულეთ...

პარკის ბოლოს გვინდოდა გავსულიყავით და მყუდრო ბილიკს დავადექით. გზად ლამაზი ხე შემოგვხვდა. თეთრად გადაპენტილიყო, გეგონებოდა, აქაფებულიაო. ინგლისელები ძაღლის ხეს ეტყვიან.

— ყვავილები, ყვავილები, — აღრიალდა ერთი რუსი, სახელად კირილე, — დავგლეჯ, თაიგულს გავაკეთებ და ჩემ მეგობარ ქალს მივართმევ.

ამ კირილეს არ ვიცნობდით, სადღაც გზაში მოგვეტმასნა. კირილეს სხვებმაც აუბეს მხარი.

— დავგლიჯოთ! დავგლიჯოთ ყვავილები, თაიგულებად შევკრათ და მეგობარ ქალებს მივართვათ.

— ხე რატომ უნდა გავაფუჭოთ, — ვუთხარი მე, — ცოტა ტვინი გაანძრიეთ. თუ გიხდათ ლამაზ ქალს დაუმეგობრდეთ, თხოვეთ სასეირნოდ გამოგყვეთ, უთხარით, შესანიშნავ რაღაცას გაჩვენებთ, სახლისოდენა თაიგულს, თაიგულს, რომელიც პირდაპირ მიწიდან იზრდება-თქო. იშვიათი სანახავია-თქო. თუ ასე იზამთ, ძალიან ადვილად დაუახლოვდებით სეირნობის დროს და უკან რომ დაბრუნდებით, იქნება ნაყინის საჭმელადაც შემოგყვეთ.

არა, არავინ გამიგონა. მაინცადამაინც ხე უნდა დაემტვრიათ. მგლებივით მიესივნენ და ნაწილ-ნაწილ დაუწყეს გლეჯა. ხტოდნენ, კონწიალობდნენ, ვინ უფრო დიდ ტოტს მოტეხსო. ლამის ცუდად გავხდი.

— ჩემდა თავად, — ვუთხარი მათ, — მომერიდებოდა ქალისათვის მუქთად ნაშოვნი, მოპარული ყვავილების მირთმევა. ვიყიდდი. აი, ეს იქნებოდა პატივისცემა. არადა, სულ არ მივართმევდი.

უცებ, კირილე, რომელსაც უკვე ყველაზე დიდი თაიგული შეეკრა, ხის კენწეროდან ძირს ჩამოცოცდა და მითხრა:

— ფეხსაცმლის ზონარი უნდა შევიკრა, ეს თაიგული ერთი წუთით დამიჭირე, მალე დავბრუნდები.

მეც დავუჭირე და იმავ წუთს ჩემ გვერდით პოლისმენი გაჩნდა.

— კარგია, კარგი! — თქვა მან, — ეს ხომ საზოგადო ქონების განადგურებაა.

გვარები გამოგვკითხა და პატარ-პატარა ქაღალდებზე ჩამოწერა.

— რასა შვრება? — ვკითხე სერგეის.

— უწყებებს გვაძლევს!

— უწყებებს?

— ჰო, სასამართლოში უნდა წარვსდგეთ.

— დაპატიმრებული ვართ?

— თითქმის, თუ ჯარიმას გადავიხდით საქმე მიჩუმდება, მაგრამ თუ თავის არიდებას მოვინდომებთ და უწყებებს გადავყრით, მოგვნახავენ და ციხეში გამოგვამწყვდევენ.

— რა გვარი ხარ, ძმობილო? — მკითხა პოლისმენმა.

შევეცადე დამეჯერებინა, რომ ტოტები მე არ დამიმტვრევია. ეს თაიგული სხვამ დამაჭერინა-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა. მითხრა — ნუ მედავები, თორემ აქვე დაგაპატიმრებო.

კვლავ დავუწყე ახსნა-განმარტება:

— აი, ბიჭები დამიმოწმებენ, რომ მე არ მომიწყვეტია, სხვა იყო-მეთქი, — მაგრამ არც იმათ დაუჯერა, — ნუ ამართლებთო, — უთხრა.

სწორედ არ მინდოდა იმ პოლისმენს ვგვანებოდი: ისეთი

ეჭვიანი ვყოფილიყავი, რომ ყველა მატყუარა მგონებოდა. აბა, რა გემო აქვს ისეთ ცხოვრებას, თუკი ვერავის ენდობი.

ასე რომ, ჩემთვისაც გამოწერა უწყება და წავიდა. ის ახალგაზრდა, აი, ის კირილე კი აღარ გამოჩნდა — ჯერ კიდევ არ მოეთავებინა ფეხსაცმლის შეკვრა.

— საშინელი საქმე დაგვემართა, — ვთქვი მე.

— არაფერია, — გაიცინა სერგეიმ.

— არაფერი? მთელი ცხოვრება სამშობლოში გავატარე და არაფერს გადავყრივარ. ახლა სულ ექვსი თვის ჩამოსული ვარ ამერიკაში და უკვე გაიძვერა დამერქვა. ეს არაფერია? მამაჩემმა რომ გაიგოს ეს საშინელი ამბავი? რომ გაიგოს ჩემი დაპატიმრება, სოფელი რას იტყვის? პირველი ადამიანი, რომელიც კობიანთკარიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდა და რისთვის? იმისთვის, რომ ტუსაღი გამხდარიყო.

— მომხედე, — მითხრა სერგეიმ, — შენ არც კი დაგჭირდება სასამართლოში წასვლა. ფული გაგზავნე და თავი დამნაშავედ სცანი.

— კი მაგრამ, რომ არა ვარ?

— თქვი, ვარ-თქო, დროს მოიგებ!

— მაშინ პოლისმენი სწორე ყოფილა, რომ არავის უჯერებს, თუკი ჯერ იტყვიან, არაფერი დამიშავებიაო, მერე უკუღმა შეაბრუნებენ, დავაშავეო.

— თუ თავს დამნაშავედ არა სცნობ, სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგე, საქმე უნდა გაარჩიონ.

— ჰოდა, წარვსდგები კიდეც!

— ერთი დღის ხელფასს დაჰკარგავ!

— დავკარგო!

— პოლისმენი რომ ვნახოთ და კიდევ ერთხელ მოველაპარაკოთ? — შემოგვთავაზა არკადიმ.

— არაფერი გამოვა, — თქვა სერგეიმ, — პირადად მე სასამართლოში თავს დამნაშავედ ვცნობ. გიორგი ივანეს ძეს კი მხოლოდ ერთით შეგვიძლია დავეხმაროთ. უკან, ნიუ-იორკში დავბრუნდეთ და ფიქსერი ვინახულოთ:

— რას ნიშნავს ვიქსერი, — ვიკითხე მე, — ვიქსერი მელია უნდა იყოს, არა?

— „ფ". ფიქსერი ადამიანია. ხალხი ფულს აძლევს საქმეების მოსაწესრიგებლად. სხვადასხვაგვარი ნებართვის შოვნა შეუძლია, გადასახადის ბლანკებს ავსებს, ტრანსპორტის ბილეთებს აუქმებს. ვთქვათ, ლიცენზიაზე უარი გითხრეს — ფიქსერს ფულს აძლევ და იგი რაღაცა მანქანებით შოგიხერხებს.

— ჰოდა, მელია ყოფილა!

— მელია ვიქსენია, — განმიმარტა სერგეიმ, — სიტყვები თავ-თავის ადგილას უნდა ჩაილაგო თავში. ყველაფერს ერთმანეთში ურევ. ფიქსერს დიდი ნაცნობობა და გავლენა აქვს.

წავედით ფიქსერთან. მას დიდი ოთახი ეჭირა, ვითომდა, დიდი კაცი ვარო, მაგრამ იატაკი ხელოვნური მარმარილოს ჰქონდა. თუნუქის ტორშერები მოოქრული იყო, ფანერის მაგიდაზე ქაღალდის ვარდებით სავსე უზარმაზარი ფიალა იდგა.

ნეტა კედლის პანელები ურთხელისაა? — ხელით მოვსინჯე, — არა, ფანერა ყოფილა.

— ამ ოთახით თუ ვიმსჯელებთ, მე მგონი, ფიქსერი ნამდვილი ადამიანი არც უნდა იყოს, — ვუთხარი ბიჭებს. — ალბათ, თივით გატენილი ფიტულია და ენის მაგივრად პატეფონი უდევს პირში.

— ხმა გაიწყვიტე, თორემ ორჯერ მოგიწევს ციხეში წასვლა.

— აბა, რით შემიძლია დაგეხმაროთ, ბიჭებო, — გვკითხა ფიქსერმა. — შეგემთხვათ რამე?

მე უწყება გავუწოდე.

— პოლიციასთან გაქვთ უთანხმოება? — ფიქსერმა თავი გადააქნია. — პოლიციასთან დავა სახუმარო საქმე არ არის. თქვენ უეჭველად უცხოელი იქნებით, არა?

— კი, აქ უცხო ვარ!

— კარგი. ჰონორარს წინასწარ ვიღებ. ჩვეულებრივ ათ დოლარს. შენ ხუთს დაგჯერდები. მერე მოვიფიქროთ, რისი გაკეთება შეგვიძლია.

ფიქსერს ფული ჩავუთვალე.

— ახლა მიამბეთ.

ჩემი მეურვე დაწვრილებით მოუყვა ყველაფერს.

ფიქსერი ჩაფიქრდა. რაღაც ქაღალდები გადაათვალიერა. ბლოკნოტში რაღაც ჩაიწერა, კვლავ ფიქრებს მიეცა და ბოლოს განაცხადა:

— იცით რას გეტყვით? შენ ხვალ სასამართლოში წახვალ და თავს დამნაშავედ სცნობ. ეს ერთადერთი გამოსავალია. რაღაც ორ დოლარს გადაიხდი და საქმე მორჩება. გარდა ამისა, მე მთელ ჩემ ნაცნობობას დავიხმარებ საქმის მოსაგვარებლად.

— მომისმინეთ, — ვუთხარი ფიქსერს, — თუნდაც ბორკილების მოუხსნელად ჩამომახრჩონ, იმას ვერ დავიბრალებ, რაც არ ჩამიდენია.

ასე გათავდა ეს ამბავი. ფიქსერი მეტით ვერაფრით დაგვეხმარა და ძალიანაც გაგვიბრაზდა.

სერგეიმ თქვა:

— რა იქნება მოხუცი მისტერ კოენი გვენახა, რა ხანია, ამერიკაში ცხოვრობს და იქნებ რაიმე მოიფიქროსო.

— აი, რა, — მიუგო მისტერ კოენმა, როცა ჩვენი ნაამბობი მოისმინა, — ფიქსერ-მიქსერს[1] მოეშვით და მე დამიჯერეთ. უკვე 47 წელია, რაც ამერიკის სრულუფლებიანი მოქალაქე ვარ. თვით პრეზიდენტმა ჰეისმა მომიწერა ხელი. წადი სასამართლოში. როცა პირველ კითხვას მოგცემენ, უთხარი — არა ვარ დამნაშავე, თქვენო ღირსებავ-თქო.

— არა ვარ დამნაშავე, თქვენო ღირსებავ! რას ნიშნავს „თქვენო ღირსებავ"?

— მოსამართლეს. ამერიკაში ყველა მოსამართლეს ასე მიმართავენ.

— არა ვარ დამნაშავე, თქვენო ღირსებავ. მერე?

— მერე ადექი და შენი ამბავი მოუყევი.

— ჩემი დამტვრეული ენით?

— მოინდომე და კარგად გამოგივა. იქნებ მოსამართლემ მოგისმინოს და შეეცადოს გაგიგოს. რა თქმა უნდა, შეიძლება უხეირო მოსამართლე შეგხვდეს, ან ძალიან დაღლილი იყოს და ყურადღებით არ მოგექცეს, ანდა უცხოელებს არ თანაუგრძნობდეს, მაგრამ ასეთები ჩვენში თითზე ჩამოსათვლელია. თუ მაინცდამაინც ცუდი მოსამართლე შეგხვდა, გადაიხადე ჯარიმა, დავას ნუ დაუწყებ. ოღონდ ამერიკას ნუ შეიძულებ. მაშინვე მოდი და შემატყობინე.

— რას გააკეთებ?

— როგორ თუ რას, რა თქმა უნდა, შავ კენჭს ჩავუგდებ

---

[1] Mixer — ამრევი.

მომავალ არჩევნებზე. თუ წესიერად არ მოიქცევა, მეტს აღარ ავირჩევთ.

მეორე დილას სასამართლოში მივედი. ჯერ სხვების სახელები წაიკითხეს: იგორი! არკადი! სერგეი! ფილიპე! — აღიარა დანაშაული, აღიარა, აღიარა. ჯარიმის ფული ყველას გამოეგზავნა.

აი, მეც გამომიძახეს, რაღაცას მეკითხებოდნენ. მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ გავიგე. ვღელავდი. ჩემი ინგლისური ჩიტივით გაფრენილიყო. როგორ მიმართე მოსამართლესო? თქვენო კეთილსინდისიერებავ! არა. თქვენო უმაღლესობავ! არა! ეს რუსულია. თქვენო... კიდევ რაღაცა მკითხეს. მე უნდა, მეპასუხა. მხნეობა მოვიკრიბე და ვიყვირე. — დამნაშავე არა ვარ, თქვენო უმწიკვლოებავ! სასამართლოში ერთი ვაი-უშველებელი ატყდა. მთელი დარბაზი ახარხარდა. მოსამართლემ ჩაქუჩი დააბრახუნა — ბახ! ბახ! ბახ! სახე მამლის ბიბილოსავით გაუწითლდა. ნეტა რა ჩავიდინე? ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ახლავე სინგ-სინგში [1] გამაგზავნიდნენ და ყველაზე ღრმა ჯურღმულში ჩამაგდებდნენ, მაგრამ მოსამართლე ჯერ დარბაზს მიუბრუნდა, სიტყვა „უმწიკვლოების“ გამო ასეთი სიცილის ატეხა სასამართლოს შეურაცხყოფას ნიშნავსო.

— ახალგაზრდავ. — მომიბრუნდა მოსამართლე, როცა დარბაზი კარგად შეახურა, — სასამართლოს მიმართეთ „სერ“.

— კარგით, სერ!

— როგორც ვხედავ, თავს დამნაშავედ არა სცნობთ, ხომ ასეა?

— დიახ, სერ. არა ვარ დამნაშავე!

---

1 ნიუ-იორკის ციხე.

— ეს ოფიცერი კი ამბობს, რომ თქვენ და თქვენმა მეგობრებმა დაარღვიეთ მუნიციპალიტეტის ბრძანებულება. თურმე ხეს აფუჭებდით. ტოტებს ამტვრევდით.

— დიახ, სერ, სხვები ამტვრევდნენ, მე არა!

— რაიმე დამამტკიცებელი საბუთი გაქვთ?

— არა, სერ. ჩემთან მეგობრები იყვნენ, მაგრამ დღეს ვერ შესძლეს მოსვლა. ყველამ დამნაშავედ სცნო თავი და ჯარიმა გამოგზავნა. ასე უფრო იაფად გამოვიდნენ — ერთი დღის ხელფასი შეინარჩუნეს.

— რატომ შენც აგრე არ მოიქეცი?

— იმიტომ, რომ, თუ დამნაშავე ვარ, ვაღიარებ ხოლმე, მაგრამ როცა არა ვარ, ვერავინ მაიძულებს დავიბრალო. გინდა გითქვამს დამნაშავე ვარო, როცა არა ხარ, და გინდა გითქვამს, არა ვარო. როცა ხარ! სულერთია, ორივეჯერ სტყუიხარ!

— დიახ, სწორია. რამდენი ხანია, რაც შეერთებულ შტატებში იმყოფებით?

— ექვსი თვე.

— აქ ნასამართლობა გაქვთ?

— არა, სერ.

— იქ. სამშობლოში ხომ არაფერში გარეულხართ? ვინმეს ხომ არ დასხმიხართ თავს. ხომ არავინ მოგიკლავთ?

— დიახ, სერ მომიკლავს!

— რამდენი?

— უამრავი. მარტო პირველ წელს ვითვლიდი. მერე შევწყვიტე.

— ეგ სად ხდებოდა?

— ომში. მე სნაიპერი ვარ. ჩემი მოვალეობა იყო მომეკლა ყველა გერმანელი, რომელსაც დავინახავდი. იშვიათად, ბულ-

გარელებიც მხვდებოდნენ, მაგრამ იმ საწყლებს მაინცდამაინც არ ეხალისებოდათ სანგრიდან თავის ამოყოფა.

— გასაგებია, მაგას არ გეკითხებოდი. ჯარში კი არა, მანამდე ხომ არავინ დაგიშავებიათ, ხომ არავისათვის გაგირტყამთ?

— დიახ, სერ, ერთხელ!

— რა ერთხელ?

— ერთ კაცს კბილები ჩავუმტვრიე. ორიოდე კბილი!

— რატომ?

— წავასწარი, როცა ჩემ ძაღლს მოწამლულ ხორცს აჭმევდა.

— გასაგებია. მეტი არაფერი ჩაგიდენიათ.

— არა, სერ.

— ნამდვილად?

— დიახ, სერ.

— თქვენ ნამდვილად დაინახეთ, რომ ეს კაცი ხეს ამტვრევდა? — ჰკითხა მისმა უმწიკვლოებამ პოლისმენს.

— არა, სერ. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, მაგრამ დანარჩენები გამოტყდნენ. ეგეც იმათთან იყო და ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა.

— ოფიცერო, მე მწამს, რომ ეს კაცი გულწრფელი ადამიანია. თქვენ, ალბათ, შეცდით. საქმე წარმოებით ისპობა!

და მისი უმწიკვლოება, დიდი ამერიკელი მოსამართლე, ჩემსკენ გადმოიხარა და, იცით, რა მითხრა, მე უბირს, უენოს, ექვსი თვის ჩამოსულ გამოუცდელ უცხოელს? ახალგაზრდავ, მე მსურს ხელი ჩამოგართვათო, და მართლაც, ჩამორთვა. მთელი დარბაზი გვიყურებდა.

უზრდელი კაცი

ნიუ-იორკის ცემენტს ველარ ვიტანდი. ქუჩებში მთელ სიგრძეზე დიდძალი ცემენტი იყო დაფენილი. უფრო მეტი გორებად იყო ამართული გზის ორივე მხარეს. თავი ქვისთაღიან სარდაფში მეგონა. გარდა ამისა, ისიც მაწუხებდა, რომ ქვეყნად, ალბათ, მავთულით შემოუღობავი არც ერთი ხე, ბალახი და ყვავილი არ იყო დარჩენილი. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ახლოს არ გავკარებოდით მათ.

სხვაგან კი სად წავსულიყავი. უზურში არაფერი მქონდა. მაგრამ აი, ერთხელ, როდესაც სამსახურიდან მეტროთი ვბრუნდებოდი შინ, ორი კაცის საუბარი შემომესმა. რამდენადაც მივხვდი, ერთი მათგანი ახლახან დაბრუნებულიყო დასავლეთიდან, მაღალი მთების გადაღმა მდებარე ქალაქიდან. ეს ტყიანი მხარე თურმე ამერიკის კიდე იყო. ორი დიდი მდინარე ღრიალით და ზავთით უერთდებოდა ერთმანეთს და შემდეგ მეგობრულად აგრძელებდა გზას. მართალი გითხრათ, ცნობის წადილმა წამძლია და მივაყურადე. იქ თურმე მრავალი სლავი ცხოვრობდა. ყველანაირი სამუშაო ყელთამდე იყო და ფასსაც კარგს იძლეოდნენ. სულ არ მინანია, რომ ორიოდე მილით გავცდი ჩემს გაჩერებას. სამაგიეროდ გარკვევით გავიგონე იმ ქალაქის სახელი.

და აი, შაბათს, როგორც კი ხელფასი მივიღე, სადგურში წავედი და იმ შესანიშნავი ქალაქის ბილეთი ვიყიდე. ეს პიტსბურგი იყო. პენსილვანიის შტატის ქალაქი. როცა ჩავედი, სიმართლე უნდა ვთქვა, იგი ისეთი არ აღმოჩნდა, როგორსაც მოველოდი.

მაგრამ წუწუნის უფლება არ მქონდა. ახი იყო ჩემზე —

ყური არ უნდა დამეგდო უცხო ხალხის საუბრისათვის. რაც იყო, იყო. გულხელდაკრეფილი ხომ არ ვიქნებოდი. სამუშაოს ძებნა დავიწყე. ორ თვეს ვიხეტიალე ქუჩებში. ბოლოს წებოს ქარხანაში გამოვნახე ადგილი, მაგრამ იქაურობას მხოლოდ სამ დღეს შევრჩი. უფროსი სხაპასხუპით ლაპარაკობდა და ვერაფერს ვუგებდი. სამსახურიდან პირდაპირ შინ გავრბოდი, რათა კიდევ რაიმე შემეძინა ჩემი „სიტყვების წიგნიდან", მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა ოდესმე დავწეოდი ამ კაცს. მას უკვე მთელი საუკუნით გაესწრო ჩემთვის.

შაბათს მომცეს ჩემი ექვსი დოლარი და მითხრეს, რომ, თუ ოდესმე უკეთ ისწავლი ინგლისურს, დაბრუნდი და ამავე ადგილზე მიგიღებთო. დიდი შეღავათია. არა? და აი, კვლავ ქუჩაში აღმოვჩნდი. ხან ერთი, ხან მეორე ფაბრიკის კართან ავიტუზებოდი ხოლმე. ერთხელ, ხეტიალის დროს, რომელიღაც სადალაქოს მივადექი. დალაქი უკრაინელი იყო. თუმცა მაშინ არც რუსული ვიცოდი ხეირიანად, მაგრამ ინგლისურზე მეტად მაინც გამეგებოდა. ასე რომ, შევძელით გამოვლაპარაკებოდით ერთმანეთს.

— მუშაობ? — მკითხა მან.

— არა-მეთქი! — ვუპასუხე.

— გინდა მუშაობა?

— რაკი ჭამა მინდა, მუშაობაც უნდა მინდოდეს.

— ამ საღამოს 9 საათზე მოდი, შენი ჩემოდანიც მოიტანე. იქნებ ადგილი გიშოვნო.

— რა ადგილია?

— კარგი ადგილია. აი, მოხვალ და ნახავ.

ცხრა საათზე სადალაქოში მივბრუნდი. ძვირფას აბრეშუმის პერანგში გამოწყობილი ბრგე კაცი სავარძელში იჯდა და 25

ცენტიან სიგარას აბოლებდა, ორი კაცი კი ფეხსაცმელებს უპრიალებდა მას.

— კიდევ კარგი, რომ რვაფეხა არაა, — ვუთხარი დალაქს რუსულად, — მაშინ ხომ მთელი არმია დასჭირდებოდა გასაპრიალებლად.

— ხმა ჩაიწყვიტე, — რუსულადვე დამიბრუნა დალაქმა, — მისტერ ბლეკ, — მიმართა იმ კაცს ინგლისურად, — აი ის კაცი, მე რომ გითხარით. ძალიან უნდა მუშაობა.

— კარგი მუშაა?

— დიახ, სერ, მაგარი მუშაა.

— საიმედო თუა!

— დიახ, სერ, სულ რამდენიმე თვის ჩამოსულია ამერიკაში.

მისტერ ბლეკი ახლა მე მომიბრუნდა და მკითხა, ინგლისურად თუ ლაპარაკობთ.

„რომ ვიცრუო, ვლაპარაკობ-მეთქი და ეს ადგილიც დავკარგო, არ ივარგებს, ჯობს ამთავითვე იცოდეს ყველაფერი“, — გავიფიქრე და თავი გავაქნიე, — არ ვლაპარაკობ-მეთქი.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, — მისტერ ბლეკმა ხელები მოიფშვნიტა და ისე შემომხედა, თითქოს საშობაო გოჭი ვყოფილიყავი და აქნას მიპირებდა.

მოდი და გაიგე: ზოგან მოსწონთ, რომ ინგლისური იცი, ზოგან კი — არა. აი, როგორაა საქმე ამერიკაში.

— ერთი ჰკითხე, შეუძლია თუ არა, დღესვე წამოვიდეს? — უთხრა ბლეკმა დალაქს. დალაქმა რუსულად გადმომცა ბლეკის კითხვა.

თავი დავუქნიე და ჩემოდანზე ვანიშნე.

როგორც კი მისტერ ბლეკი გაპარსეს და უხვად ასხურეს

ოდეკალონი, ჩვენ მის მანქანაში შევძვერით და დავიძარით.

თორმეტცილინდრიანი კადილაკის მოტორი ისე უხმოდ მუშაობდა, რომ, ეტყობოდა, საგანგებო შეკვეთით იყო დამზადებული.

აქა-იქ ჩვენ შევჩერდით და ნახევარ დუქინამდე ხალხი წამოვიყვანეთ. ორი ჩინელი, ერთი ყრუ-მუნჯი ბიჭი. ერთი მექსიკელი და ერთიც ხნიერი გერმანელი. სულ ისეთები შევიყარენით, იტყოდით, მოხეტიალე ცირკის ხალხიაო.

გზას ბოლო არ უჩანდა. დალაქმა აკი თქვა, შორი გზა მოგელით, და ასეც გამოდგა. ცოტა თვალი მოვატყუე. გათენებისას გამომეღვიძა და წინ ქარხნის მილები, დიდი სახლები და ანთებული ბრძმედები დავინახე. მისტერ ბლეკმა მანქანა შეაჩერა და სამჯერ დააჭყვირა. შემდეგ ადგილიდან მოვწყდით, 70 მილის სიჩქარით დავეშვით დაღმართზე და ქარხნის ღია ჭიშკარში შევვარდით. ჭიშკარი მაშინვე მოგვაკეტეს.

მანქანიდან გადმოვედით. გვიჩვენეს, სად უნდა გვებანავა.

ვიღაცა კაცმა ყავა და ფუნთუშები მოგვიტანა და შემდეგ სამუშაოზე დაგვაყენა. მეორემ სამუშაო იარაღები მომაჩეჩა ხელთ. ახლა უკვე შემკეთებელ ხელოსნად ვითვლებოდი. ძალიან კარგი. ამასაც ვცდი.

დავიწყე საამქროში მიყრილ-მოყრილი მანქანების შეკეთება. გავიდა რამდენიმე საათი. ერთი კაცი მომიახლოვდა, დამთავრებული სამუშაო შემიმოწმა და რამდენჯერმე დამიკანტურა თავი. ეს ნიშნავდა, რომ საქმე კარგად მიდიოდა.

გულმა მიგრძნო, რომ კარგ ადგილზე მოვხვდი. სამუშაოს თავს მივაკლავ. საღამოობით ვიმეცადინებ, გაკვეთილებზე ვივლი. ადრე მოვალ სამუშაოზე და გვიან წავალ. შემდეგ დამაწინაურებენ. უკვე ვხედავდი ჩემს დიად მომავალს: 30 ცენტიან

სიგარას ვეწევი და ძვირფას კოსტუმში გამოწყობილი დავდივარ. მაგრამ ორ კაცს კი არ გავაწმენდინებ ფეხსაცმელებს. ეს ხომ ყოყლოჩინობა იქნება. შუადღის საყვირმა იმ დროს მომისწრო, როცა ვფიქრობდი, პაკარდში დავაბანდო ფული, თუ კადილაკში-მეთქი.

ეს ჩემი პირველი დღე იყო და, რა თქმა უნდა, საუზმე თან არ მქონდა. ის იყო ქარხნის დუქნის მოძებნა დავაპირე, მინდოდა ღვეზელი, ბისკვიტი, გაზიანი წყალი და შემწვარი ხორცი მეყიდა, მაგრამ დავინახე, რომ ყველა ერთი მეორის მიყოლებით გადიოდა ერთ-ერთ კარში და მეც მათ ავედევნე.

დიდი გაწყობილი მაგიდები, თხლად დაჭრილი შემწვარი შაშხი, პური, კარტოფილი, ჭყინტი ლობიო, მოხარშული სიმინდი, კარაქის მოზრდილი ოთხკუთხედი ნაჭრები... მიირთვი, რამდენიც გენებოს! მუჟუჟი, მწნილი! სწორედ რომ აღდგომის სუფრა გეგონებოდა. მაგრამ სუფრას ხალხის უცნაური კრებული ამშვენებდა — ნამდვილი ერთა ლიგა იყო. ცალ მხარეს ჰოლანდიელი შეჯდა, მეორე მხარეს კი — ვიღაც საყურეებიანი კაცი, მგონი, სიცილიელი, ცოტა მოშორებით მჯდომი, ნამდვილად სირიელი იყო.

ვისადილეთ. შემდეგ მოვიდა ღვეზელი. ყავა და ნაყინი. კვლავ აღრიალდა საყვირი. ჩვენ ოთახიდან გამოვედით. კარში ფული ამოვიღე საჭმელში გადავიხდი-მეთქი. მაგრამ არ გამომართვეს და ისევ შევინახე. ვიფიქრე, ხელფასიდან დამიკავებენ-მეთქი. კარგია! ყოველდღე აქ ვისადილებ.

სამუშაო დამთავრდა და იმ კაცთან ერთად მომიხდა გამოსვლა, რომელიც სირიელად შევიცანი. როგორც მივხვდი, გაზეთილი ქაღალდების საცეცხლურში შეკეთება ევალებოდა. უცნაური სამუშაო — ჭუჭყიანი და კვამლიანი. მე ორიოდე

სიტყვით გამოველაპარაკე მას. იგი ბეირუთელი იყო, მაგრამ უცხვირპირო და სიტყვაძვირი კაცი გამოდგა. ვკითხე — სადა ცხოვრობ, იქნებ შენს დიასახლისს ჩემთვისაც მოეცა ოთახი-მეთქი.

— საცხოვრებლად? — გაიკვირვა მან, — რას ამბობ? ჩვენ აქვე ვათევთ ღამეს.

— ფაბრიკაში?

— რასაკვირველია!

— აქვე ვივახშმებთ ხოლმე?

— რა თქმა უნდა.

— რატომ?

პასუხი არ გამცა.

ვახშმობა მოვიდა, მოიტანეს ორი დუიმის სისქის ბიფშტექსები, შემწვარი კარტოფილი, მწვანე მუხუდო, სტაფილო, სალათა, ნამცხვარი, ხილი, შემდეგ დიდი ყუთით სიგარები ჩამოატარეს.

— სხვები სადღა ჭამენ? — ვკითხე სირიელს გამოსვლისას.

ვფიქრობდი, იქნებ ვინმე გამომლაპარაკებელი მენახა, სხვა სასადილო ოთახში რომ მოვხვედრილიყავი. პირდაპირ ცუდად ვხდებოდი, როცა ჭამის დროს ვერავის ვესაუბრებოდი.

— ვინ სხვები?

— სხვა მუშები.

— მეტი არავინაა.

— შენ რა, იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ამ ვეებერთელა ფაბრიკას ჩვენ, ორასიოდე კაცი ვამუშავებთ? აქ ათასებია საჭირო.

პასუხს ვეღარ მოვუცადე. სასადილოს გამგემ მანიშნა, უკან გამომყევიო. მან საწოლებით სავსე დიდ ოთახში შემიყვანა,

საწოლი მომიჩინა, საწოლები ლამაზად იყო გაწყობილი. ქათ-ქათა ზეწრები, თბილი საბნები. მე დაწოლისთანავე დამეძინა, სიზმარში კი ვფიქრობდი, ამერიკა მართლაც შესანიშნავი ქვეყანაა-მეთქი.

გათენდა მეორე დღე. ორჯერ გაიხრიგინა სანიტარულმა ძანქანამ ეზოში. პირველად ორი ახალგაზრდა გამოიტანეს მანქანიდან და მედპუნქტში შეიტანეს, მეორედ — სამი. ისინი თავიდან ფეხამდე გასისხლიანებული იყვნენ. რას იზამ, საშიში სამუშაო ჰქონიათ, ჩემი ბედი, რომ შემკეთებელი ოსტატი ვარ!

ბოლოს დადგა შაბათიც, დავინახე, მუშები რომელიღაც ფანჯარასთან მიქუჩებულიყვნენ და მეც უკან მივუდექი, ხელფასის დღე იყო. კონვერტი მომცეს. კონვერტში კი, ღმერთო დიდებულო, 42 დოლარი ნაღდი ფული იდო! ჭამისა და ღამის გათევისათვის არაფერი დაეკავებინათ. ეს კომპანიის ხარჯზე ყოფილა. 7 ცინცხალი დოლარი თითოეულ ნამუშევარ დღეში.

ისე გამიხარდა, რომ სული კბილით მეჭირა, სანამ ქალაქში წავიდოდი და ფულს დავხარჯავდი. ის სირიელი მოვნახე და ვუთხარი: „გინდა ქალაქში გავისეირნოთ? ერთ ბოთლ ღვინოს ვკისრულობ. ცოტა ვისიამოვნოთ-მეთქი“.

— რას ამბობ! — მიპასუხა სირიელმა, — სრულ ჭკუაზე ხარ?

ეჰ, ყველაფერს მივხვდი. ასეთი ხალხი ადრეც შემხვედრია. ისინი ჭიქა ღვინოს არ დაგილევენ. ეშინიათ, რომ მთელი ბოთლის ჩამოდგმა არ მოუხდეთ. ფულის გიჟი ყოფილა. ბედნიერებას ვუსურვებ. დე, იქამდე იცოცხლოს, რომ თავის გემოზე მოიხმაროს დანაზოგი. თუმცა, ჩვეულებრივ, ასე არა ხდება ხოლმე.

დავიწყე ხეტიალი, რომ ვინმე სხვა მეპოვა. კლუბის ოთახ-

ში, რომელიც მშვენივრად მოეწყო ჩვენთვის კომპანიას, ბანქოს ორ მოთამაშეს წავაწყდი. ისინი „დურაკობანას“ თამაშობდნენ. „დურაკობანა“ რუსული თამაშია და ამიტომ გადავწყვიტე, გამოვლაპარაკებოდი.

მოთამაშეებმა რაღაც დამტვრეულ ენაზე მიპასუხეს. ისინი ფინეთიდან, ლატვიიდან თუ სადღაც იმ მხრიდან უნდა ყოფილიყვნენ. როგორც საუბრიდან მივხვდი, რუსული ჯარში ესწავლათ და ჩემსავით უხეიროდ იცოდნენ. უნდა ითქვას, უკეთეს მეინახეებს ვეძებდი, მაგრამ რაღას ვიზამდი, მაინც დავპატიჟე. მათ ისევე იუარეს, როგორც სირიელმა. „შენ რა, ტვინი არა გაქვს თავში? შენც სანიტარული მანქანით ხომ არ ვინდა დაბრუნება?!“ რა დაემართა ამ ხალხს, მე გავგიჟდი თუ ესენი?!

— აი, რა, ბიჭებო! ერთი უბრალო კითხვა მინდა მოგცეთ. ხედავთ თუ არა გარეთ გამოსვლა და ერთი ბოთლი ღვინის დალევა ჩემს ხარჯზე?

— გარეთ მოგკლავენ, — მითხრა ფინელმა, — უკან უთაკოდ მოგიხდება მოსვლა!

— ვინ მომკლავს?

— გაფიცულები, — მიპასუხა მან ინგლისურად. — გარეთ გაფიცულებია.

— კარგი. იყვნენ გაფიცულები, მაგრამ მე რატომ უნდა მომკლანი?

— გაფიცული იმას ჰქვია, — განმიმარტა მან, — ვინც წინათ აქ მუშაობდა და ახლა აღარ მუშაობს.

— კი მაგრამ, მე რას მერჩიან? ისინი წავიდნენ, მე მოვედი. ხალხი ყოველდღე იცვლის სამუშაოს!

— სულ კი არ წასულან. მარტო იმიტომ შეწყვიტეს მუშაობა, რომ უფროსის მიცემული ფული არ ყოფნიდათ.

— აშენება ხომ არ უნდოდათ? ასეთი სამუშაოს დატოვება შეიძლება? რას იშოვიან უკეთესს! როსტბიფი, მუქთი თამბაქო. სუფთა ლოგინი და 7 დოლარი. პირადად მე სიხარულით ვიმუშავებდი აქ კიდევ ერთ წელიწადს.

— მათ არც ამდენს არ აძლევდნენ, — არც აჭმევდნენ და არც აწვენდნენ. მარტო ორ დოლარნახევარს აძლევდნენ დღეში. ისინი კი სამ დოლარს მოითხოვდნენ.

— მე კი შვიდი დოლარი ვუჯდები უფროსს, რატომ არ აძლევენ მათ სამ დოლარს დღეში. ვერ ყოფილა კარგი ბიზნესმენი.

— უფროსი შვიდ დოლარს მანამ მოგცემს, სანამ გაფიცულები ლოდინით არ დაიღლებიან და კვლავ ორ ნახევარ დოლარად არ დაიწყებენ მუშაობას. ან იქნებ ორ დოლარსა და ოცდახუთ ცენტსაც დაჯერდნენ, — მაშინ ჩვენი უფროსი სხვა-ვან წაგვიყვანს.

— სად სხვაგან?

— სადაც სხვა გაფიცვა იქნება.

— ეს ჩვენი უფროსი რომელია? ის კაცი, ჩვენ რომ მოგვიყვანა? მისტერ ბლეკი?

— ჰო, ისაა.

მე ჩავფიქრდი.

ისინი კვლავ თამაშობდნენ: ტყაპ — ჩამოვარდა ტუზი, ტყაპ — ვალეტი.

— ბოდიში, რომ ხელს გიშლით, — მივმართე მათ რამდენიმე წუთის შემდეგ, — მაგრამ, იქნებ გახსოვდეთ, როგორ ითქმის ის სიტყვა რუსულად? — გაფიცული.

— ზაბასტოვჩიკ? აჰა! ზაბასტოვჩიკ! ახლა კი გამახსენდა. ჩემმა მეგობარმა არსენამ, იქ, სამშობლოში, კარგად იცოდა გაზეთიდან ამბების ამოკითხვა. იგი ყველა საყურადღებო შემთხვევას მიამბობდა ხოლმე. გასაგებია! ზაბასტოვჩიკი!

— ეს ადგილი არ მომწონს, — ვთქვი მე, — ახლავე მივდივარ აქედან. მაგრამ ის სად არის? მისტერ ბლეკის ოთახი?

— მთავარ შენობაში.

— საწყობების გვერდით?

— არა, იმის იქით. აგურის სახლი.

ეზო გადავჭერი და კიბეზე ავედი. „დაიკაკუნეთ". ეწერა კარზე. მეც დავაკაკუნე.

— შემოდით!

ეს მისტერ ბლეკის ხმა იყო. იგი იჯდა, ფეხები მაგიდაზე შეეწყო, პირში კბილის საჩხრეკი ჰქონდა ჩაჩრილი.

— მე მივდივარ, — მივმართე ბლეკს, — ოღონდ ჯერ ქაღალდი უნდა მომცეთ, რომელშიც ეწერება, რომ არ ვიცოდი, თუ ვქურდობდი.

— აა, ეს შენ ბრძანდები? — მისტერ ბლეკმა ჯაგრისი ყურზე ჩამოიდო, — მე კი მეგონა, ინგლისური არ იცოდი. კარგი გამძვრალი ყოფილხარ.

— ამდენი კი ვიცი, — ვუპასუხე მე, — ისეთი ქაღალდი მომეცი, სადაც ნათქვამი იქნება, რომ აქ შემთხვევით მოვხვდი, რომ არ ვიცოდი, თუ ვქურდობდი. აი, შემდეგ კი წავალ. აქ საკამათო რა არის?

— კარგია! აი, თქვე ტილიანო ჩამოთრეულებო. ყველანი ერთნაირები ხართ. ათიოდე დოლარს მოიგდებთ ხელში და ქვეყანა თქვენი გგონიათ!

— ჩამოთრეული, გამძვრალი, ტილიანი! უკაცრავად, მაგრამ თქვენი ხნის კაცი ასე არ უნდა ლაპარაკობდეს. დამიწერე ქაღალდი და წავალ.

— აი, შე გამოთაყვანებულო ნაბიჭვარო! — მისტერ ბლეკი სავარძლიდან წამოხტა.— არაფერსაც არ დაგიწერ. წადი, წაეთრიე, თორემ აქედან გისვრი. — მან მაგიდაზე მუშტების ბრახუნი დამიწყო. — არ გესმის? გაეთრიე!

გვერდითა ოთახის კარი გაიღო და იქედან მაღალი, გამხდარი, ჭაღარა კაცი გამოვიდა, მისტერ ბლეკმა მუშტების ბრახუნი შეწყვიტა და კრავივით უწყინარი გახდა: „რას მიბრძანებთ, სერ? დიახ, სერ“. აჰა! ეს, ალბათ, ყველას უფროსია,— გავიფიქრე მე.

— რას ნიშნავს ყოველივე ეს?! — უფროსი ალუბლის კურკებივით ისროდა სიტყვებს. — მე მგონი, იცი, რომ აქ მაწანწალები არ უნდა შემოუშვა.

მე უკვე აღარ შემეძლო ამდენი ლანძღვა-გინების ატანა.

— ნუ მეძახით მაწანწალას. ეს წუთია ამასვე ვეუბნებოდი თქვენს მეგობარს, მისტერ ბლეკს. თქვენ, მით უმეტეს, დროული კაცი ხართ და მეტი უნდა გესმოდეთ. ლანძღვა-გინება?! ეს ხომ ლაწირაკების საქმეა. თქვენ კაცი ხართ და კაცურად მოიქეცით!

— მომაშორეთ ეს კაცი!

მისტერ ბლეკმა ქაღალდის წერა დაიწყო.

— ეს კი იცოდეთ, — უფროსმა თავისი გრძელი თითი ჩემსკენ გამოიშვირა, — პირადად მე ვიზრუნებ, რომ თქვენი სახელი შეერთებული შტატების ყველა საწარმოს შავ სიაში მოექცეს.

— მილიონობით ადამიანს, ალბათ, არც კი გაუგონია თქვე-

ნი სახელი და ეგ შავი სიაც ფეხებზე ჰკიდიათ. ისინი მომცემენ სამუშაოს.

— ამასაც ვნახავთ!

მისტერ ბლეკმა წერა დაამთავრა.

— აჰა, შენი ქაღალდი, ოღონდ, როცა ალაყაფის კარს გაცდები და გაფიცულები ნაწლავებს დაგაყრევინებენ, მე ნუ დამემდურები! შენ ნახე სანიტარული მანქანით მოყვანილი ხალხი? როგორ ფიქრობ, სამართლიანად მოექცნენ მათ?

— თუ ვინმეს, ცოლს, ფულს, სახლს, ბავშვებს მოვტაცებ, — ვუპასუხე მე, — მაშინ მას უფლება ექნება ყოველნაირად შემიშალოს ხელი.

— კმარა, წაეთრიე! — გაცოფდა ბოსი, — კიდევ ერთი სიტყვა და ქარხნის მცველებს დავუძახებ. მათ იციან შენისთანების მოვლა!

— არ მიყვარს, როცა მაშინებენ, — გავბრაზდი მე, — ახლა უკვე მეძნელება წასვლა, ეს გაქცევას ემგვანება, მაგ სიტყვებზე ბოდიში მოიხადეთ. აი, მაშინ წავალ და ბარიბარში ვიქნებით.

— იცი, რას გიზამენ მცველები?!

— რას, მომკლავენ? ომის დროს ყოველდღე ვხედავდი, რომ ჩემზე უკეთესი ბიჭები ეცემოდნენ და აღარ დგებოდნენ. ერთხელ დაბადებული, ერთხელ მოკვდება. დღეს თუ ხვალ, რა ბედენაა.

მისტერ ბლეკი ტელეფონის მილს დასწვდა, მაგრამ მე მოველოდი ამას. ტელეფონს ხელი ვტაცე და ჩემს უკან, მაგიდაზე დავდე.

— თუ გინდა, დავარტყათ, — ვუთხარი მისტერ ბლეკს, — სადაც გინდა და როცა გინდა. ვამჯობინებდი კი ახლავე.

ოღონდ ვაქკაცურად. მცველები? ეგ რა კაცობაა? სიმამაცე ვინდა იყიდო, წინდები ხომ არაა? ფული გადაუხადო ვინმეს, რომ შენთვის გამოიჩინოს ვაქკაცობა?

დიდ ბოსს სახე მარჯნისფერი გაუხდა. მან თვალების პარპალი დაიწყო, იგი ჯანმრთელ კაცს არ ჰგავდა. ალბათ ცოტას ჭამდა და ბევრსა სვამდა.

— ინანებ, — თქვა ბოლოს ბოსმა.

— რა თქმა უნდა, ვინანებ, უკვე ვნანობ კიდეც. როგორ ფიქრობთ. მესიამოვნება, რომ ასე უხეშად გელაპარაკებით ამ ჭაღარა, მამისტოლა კაცს? რა თქმა უნდა, არა. ჩემი თავის მრცხვენია, მაგრამ ისევ თქვენი ბრალია. მე ხომ არ დამიწყია ლანძღვა და მუქარა.

მისტერ ბლეკმა რაღაც წაუჩურჩულა დიდ ბოსს.

— არა, — უპასუხა მან, თან ყბა ისე უცახცახებდა, რომ ძლივსღა აბამდა სიტყვას სიტყვაზე, — ალაყაფიდან გავიდეს. ეს უფრო იოლი გზაა.

— მშვიდობით! — მე უკვე კართან ვიყავ, — ყველა ერთნაირად არ უყურებს ცხოვრებას.

მათ არაფერი მიპასუხეს.

კვლავ კლუბში დავბრუნდი, ქაღალდი ავიღე და ოთხი წერილი დავწერე — თურქულად, რუსულად, სპარსულად და ქართულად:

— „პატივცემულო ბატონებო!

გთხოვთ მაპატიოთ ჩემი შეცდომა. ისე მოხდა. რომ არ ვიცოდი თუ სამუშაოს გტაცებდით. აი, ამიტომ კაროკ-დივარ!

თქვენი გულწრფელი“...
და ხელი მოვაწერე.

პიჯაკის ორივე მხარეს ორ-ორი წერილი მივიმაგრე ქინძისთავით, მისტერ ბლეკის წერილი შლიაპის ბაბთაში გავირჭე, ჩემოდანი ავიღე და პირველი ჭიშკარი გავიარე. მთავარ ჭიშკართან რომ მივსულიყავი, დაახლოებით 200 ფუტის სიგანის ეზო უნდა გამევლო. გავიგონე, როგორ დაიწყო ხალხმა ღრიალი, როცა ამ ეზოზე გადავიარე „გააღე“! — მივაძახე დარაჯს, რომელიც მთავარ ალაყაფთან ამართულ სადარაჯო კოშკურაზე იდგა. მან თავი გააქნია და ბრბოზე მანიშნა. „გააღე!“. საკეტმა გაიტკაცუნა, მე ღრმად ჩავისუნთქე და გავედი...

გონს რომ მოვედი, ტახტზე ვიწექი. ვიღაც ლედი სისხლს შეწმენდდა. ირგვლივ 4 თუ 5 კაცი შემომხვეოდა და დამჩერებოდა.

— ჩვენ ძალიან ვწუხვართ, — მომმართა რომელიღაც სლავურ ენაზე ცალთვალა კაცმა, — ჩვენი ბიჭები ფიცხები არიან.

— არაფერია. — მე თავი და ხელ-ფეხი ავამოძრავე. დაზიანებული არაფერი მაქვს. — რა მოხდა?

— შენ გარეთ გამოხვედი. ბუნებრივია, რომ პატარა არეულობა მოხდებოდა. ვიღაცამ მოგცხო და დაგაგდო. როცა დაეცი, მათ ბლეკის წერილი ნახეს და მაშინვე შენი მოკვლა დააპირეს.

— რატომ?

— წერილი ამბობს: „ამა წერილის წარმომდგენი, არის ჩემი პირადი რწმუნებული, კეთილ ინებეთ და შესაფერისად მოექეცით მას“.

მაგრამ ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა თქვა: „მოიცათ, მოიცათ, მაგ შტრეიკბრეხერების დალალს ჩვენთვის არასოდეს არ უთ-

ქვამს სიმართლე, ახლა რატომღა უნდა დავუჯეროთ. რაღაც მახეს გვიგებენ, ერთი ვნახოთ სხვა წერილები რას ამბობენო". მაგრამ მათი წაკითხვა ვერავინ შეძლო და ამიტომ აქ მოგიტანეს.

ყველაფერი წვრილად მოვუყევი მათ და დავმეგობრდით. გამომჯობინებამდე იმ სლავ კაცთან და მის ოჯახობასთან დავრჩი. შემდეგ კი მეც, სხვებთან ერთად, გაფიცულთა პიკეტებზე ვდარაჯობდი. აღარც მოსაწევი მქონდა, აღარც ბიფშტექსი და აღარც 7 დოლარი. სამაგიეროდ, არც მისტერ ბლეკი იყო აქ. ასე რომ, სრული წონასწორობა სუფევდა.

ერთი კვირის შემდეგ დიდმა ბოსმა გადაწყვიტა შეთანხმებოდა გაფიცულებს. მე ვფიქრობ, მას მობეზრდა ყოველდღე 7 დოლარის გაცემა იმ სირიელისათვის, რომელიც იმისათვის უკეთებდა საცეცხლურში გაზეთილ ქაღალდებს, რომ გაფიცულები მოეტყუებინა — ბრძმედები მუშაობსო. ბოსს კი შეეძლო, 3 დოლარად ისეთი ხალხი ეშოვა, რომლებიც ნამდვილ ცეცხლს დაანთებდნენ, ბოლოს და ბოლოს, იგი ხომ გამოცდილი ბიზნესმენი იყო.

ასე რომ, ჩემმა მეგობრებმა მუშაობა დაიწყეს და მეც კი მომინახეს ადგილი იმავე შემკეთებელ საამქროში.

მაგრამ გადავწყვიტე, ეს სამუშაო არ ამეღო. მართალი გითხრათ, გული არ მიმიწევდა ამისთანა უფროსის ხელში სამუშაოდ — ამ კაცს ზრდილობის ნასახი არ გააჩნდა და ყველაზე ცუდი კი, ჩემი აზრით, ის იყო, რომ იგი არც გამოსწორდებოდა.

ამის შემდეგ ემბრიჯში წავედი. თავდაპირველად დეპოში ვმუშაობდი, მერე გარაჟში ვიშოვე ადგილი. თვე თვეს მისდევდა. ახლა უკვე სამი წელი იყო, რაც თბილისი დავტოვე. სამი წელი! ამ ხნის განმავლობაში, თუ ნიუ-იორკში გატარებულ პირველ თვეებს არ ჩავთვლით, არც ერთი ქართული სიტყვისათვის არ მომიკრავს ყური.

სადაც უნდა მოვხვედრილიყავი, სულ სომხის, ასურელის და სპარსელის ძებნაში ვიყავი, — იქნება ქართული ესმოდეთ-მეთქი, მაგრამ ბედი არა მწყალობდა.

პიტსბურგში რომ ვმუშაობდი, ერთმა თურქმა მითხრა, — ჩემი ბიძაშვილი უილინგში ცხოვრობს და ქართულად მოლაპარაკე კაცს იცნობსო. ერთ კვირა დღეს, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი გამოგდებული წებოს ქარხნიდან, ავტობუსით წავედი და თურქის ბიძაშვილი მოვნახე. მაგრამ თურმე მის მეგობარს სულ ერთი თუ ორი კვირა ეცხოვრა ბათუმში, 1918 წელს. მას ახსოვდა ხილის გამყიდველები. ენა კი... რაღა კითხვა უნდა, ორ კვირაში ხომ ვერ ისწავლიდა.

ორიოდე საათს შევრჩი მასთან. ძეხვი და პური გიახელით და რამდენიმე ჭიქა ღვინოც გადავკარით.

— მე არ მიკვირს, — მითხრა თურქის ბიძაშვილმა (მას ასლანი ერქვა) — კარგად მესმის, რაც გემართება. ერთხელ ინდიანას შტატში წავედი მზარეულად. ექვსი თვე ვმუშაობდი იქ. ღმერთმანი, ერთი კაციც ვერ ვნახე, რომ გამოვსაუბრებოდი. ათასი დოლარი ნაღდი ფული რომ მომცენ, ამას აღარ ჩავიდენ.

სულ ასე მემართებოდა, მაგრამ მაინც ხელახლა ვიწყებდი

ისეთი კაცის ძებნას, რომელსაც ქართული ეცოდინებოდა. ეკლესიაში, სასაუზმეში და რუსულ კლუბში რომ მოვხვდებოდი, პირველად იმას ვკითხულობდი, ქართული ხომ არავინ იცის-მეთქი. ეს უკვე ჩვეულებად გადამექცა.

ერთმა სომეხმა დიაკონმა გაიგო ჩემი გასაჭირი, ღამით სახლში მომადგა და მითხრა: ერთ სომეხს ქართველი ცოლი ჰყავს, წაგიყვან და იქნებ შეძლოს შენთან ლაპარაკიო.

წავედით. ის ქალი მართლა ქართველი გამოდგა, მაგრამ ლაპარაკი არ იცოდა. ბოდიშიც კი რუსულად მომიხადა. „მაპატიეთ, გეთაყვა, მე ერთი სიტყვაც არ ვიცი ქართული". თურმე ერთი წლისა ყოფილიყო, რომ მშობლებს ოდესაში წაეყვანათ.

ერთხელ გავიგე, თურმე უნივერსიტეტში დიდი მეცნიერები ყოფილან, ისინი წიგნებს წერენ და ბევრ ენაზე ლაპარაკობენ, ქვეყნის ყველა კუთხიდან უამრავი სტუდენტი მოდის მათთან სასწავლებლად. ვიფიქრე, ასეთი ნასწავლები თუ არიან, იქნებ ქართულიც იცოდნენ-მეთქი. დასვენების დღეს საგანგებოდ გამოვეწყე და უნივერსიტეტში წავედი. ორ პროფესორთან გამაგზავნეს ზედა სართულში. მარმარილოს კიბით ავედი მათთან. სირიული გინდა, რუსული, ბერძნული, სპარსული, სომხური თუ თათრული, — ყველა ინგლისურივით იცოდნენ. ქართული? არა, ქართულის ინჩიბინჩი არ გაეგებოდათ.

კარგა ხანს აკანტურეს თავები. შემდეგ ერთმა მათგანმა თაროდან უზარმაზარი წიგნი გადმოიღო.

— იცით თუ არა, რომ თქვენ ერთ-ერთ იშვიათ ენაზე ლაპარაკობთ, რომ იგი არ ენათესავება ენათა არც ერთ ჯგუფს! — მითხრა მან.

— მგონი, სუმერულის კვალი შეინიშნება მასში, — თქვა მეორემ. შემდეგ მთხოვეს რამე მეთქვა ქართულად, მაგრამ არ ვქენი, რა აზრი ჰქონდა. მელაპარაკა და პასუხი არ მიმეღო? წყლის ნაყვა იქნებოდა. — დავემშვიდობე და წამოვედი. შემდეგ ხელი ჩავიქნიე, არაფერი მეშველება-მეთქი, — გადავწყვიტე და ღიღინი დავიწყე გულის გადასაყოლებლად (როგორც კრიალოსანს მარცვლავს ზოგი გულის გადასაყოლებლად).

ქუჩაში ვიყავი თუ სამუშაოზე, ვღიღინებდი, თავში სულ სიმღერა მიტრიალებდა. „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“...

ქუჩაში მომიხედავდნენ ხოლმე, დუქნის ბიჭები დამცინოდნენ, მაგრამ გაჩუმება არ შემეძლო. მემღერებოდა...

იმ დღესაც ღიღინით მივედი სამრეცხაოში პერანგის გამოსატანად. „რომ არ გაფუჭდეს ჩონგური, ოდელა, დელა, დელაო“.

დახლში მდგომ ქალს ქვითარი გავუწოდე. შევამჩნიე, რომ იგი გაოცებული მომჩერებოდა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე, — უკვე მიჩვეული ვიყავ ამას.

— თქვენ რომელიღაც უცნაურ ენაზე ღიღინებთ. არა?

— დიახ, ქალბატონო!

— მამაჩემმაც იცის ერთი უცნაური ენა. ძალიან უცნაური, ერთხელ, ათი წლის წინათ, მან განცხადება გაუგზავნა „სან ტელეგრაფს“, „ვუხდი 1000 დოლარს, ვისაც ეცოდინება ჩემი ენა“. აი, ასეთი განცხადება მოათავსა და ხელი მოაწერა: ალ. მონტო. რამდენიმე კაცი მოუვიდა, მაგრამ ის ენა არავინ იცოდა. ძალიან უცნაური ენაა.

— ქალბატონო, ყველა ენა, რომელიც არ იცი, მე მგონი, უცნაურად მოგეჩვენებათ, — ვუთხარი მე და წავიღიღინე

„ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები, დელია რანუნი...“

— მოდი, დავუძახებ. მამა! მამა!

— მა-მა!!

— წყალს ნაფოტი, ჰარალო, წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა...

გვერდითა ოთახის კარი გაიღო და იქიდან პატარა მოხუცი გამოხტა, — წყალს ნაფოტი? ვინ მღერის, წყალს ნაფოტი? — იკითხა მან („წყალი, ნაფოტი“ ისე წაიმღერა, თითქოს დაუსაპნავმა ურემმა დაიჭრიალაო).

მე მოხუცს მივაშურე: — გამარჯობათ, ბატონო!

მან ხელები გაშალა, გულში ჩამიკრა და გადამკოცნა. ლოყებზე მსხვილი ცრემლები ჩამოუგორდა.

— გაგიმარჯოს, შვილო! ეს რა ბედნიერი დღე გამითენდა!

— მეშველა. სამი წლის შემდეგ კვლავ გავიგონე მშობლიური ბგერები...

ქალიშვილმა სკამი მოუტანა მამამისს. მე მის გვერდით იატაკზე მოვკალათდი.

— სამი წელი? — თქვა მოხუცმა ქართულად, — სამი წელი და წუწუნებ? მე რაღა ვთქვა, შვილო, 30 წელია მშობლიური ქართული არ გამიგონია!

მოხუცმა მიამბო თავისი თავგადასავალი: ორი წლისა ყოფილა, როცა დედ-მამა (მამა გემის კაპიტანი ჰყოლია) ციებ-ცხელებით დაღუპულა ბათუმის ნავსადგურში. ბავშვი ერთ ქართველ ოჯახს აუყვანია. როცა დავაჟკაცებულა, მეზღვაურობა დაუწყია. პიტსბურგში მოხვედრილა, მოსწონებია და საბოლოოდ აქ დარჩენილა საცხოვრებლად.

ამის შემდეგ თითქმის ყოველ საღამოს მოხუცს გავუვლიდი ხოლმე სამრეცხაოში. ვიყიდდით ზეთისხილს, მარილიან ყველს, კიტრებს, ძია მონტოს ერთსართულიან სახლში მივდი-

ოდით და ღვინის კასრს მოვუსხდებოდით ხოლმე. მას 30 წელი არ გაეგონა ჩვენი ენა, მაგრამ ჩვენებური ღვინის დაყენება არ დავიწყებოდა.

ყოველ საღამოს ვისხედით სარდაფის კართან გამართულ ფანჩატურში, ვყვებოდით კინტოების ანეგდოტებს, არაკებს, რიგრიგობით ვიხსენებდით ადგილებს „ვეფხისტყაოსნიდან“.

ვლაპარაკობდით და ვლაპარაკობდით...

არ ვიღლებოდით. სიტყვები მოდიდებული მტკვარივით მოედინებოდა და ნანასავით ესალბუნებოდა სმენას.

ᲘᲝᲚᲘ ᲒᲐᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ

ერთხელ ის კაცი, რომელიც ჩემთან ერთად ემბრიჯის გარაჟში მუშაობდა, შვებულებაში წავიდა. როცა დაბრუნდა, გავიგე, რომ დეტროიტში მოწყობილიყო, სტუდაბეკერის ქარხანაში. — სამუშაო შენც გიშოვნეო, მითხრა.

— დიდი მადლობა, მაგრამ...

— არაფრის...

— დიდი მადლობა, მაგრამ რა მინდა დეტროიტში?

— აქ რაღა გინდა? — მკითხა მან, — ძველ ჯაბახანებს არემონტებ, რაღაცას ჯღანავ, როცა შეგიძლია დეტროიტში წახვიდე და მშვენიერი ახალი ავტომობილები აკეთო.

— ეგ დეტროიტი როგორიღაა?

— ქარხნები მთელი მილის სიგრძეზეა გაჭიმული. ყოველ ორმოცდაათწუთში თითო ახალი მანქანა ჩამოდის კონვეიერიდან.

— დაუჯერებელია.

— თუ ორმოცდაათი ახალი მანქანა ყოველ წუთში. მგონი ასეა... იქ დიდი ტბაც არის. მის მეორე ნაპირზე უკვე კანადაა.

„მარტოხელა კაცი ჭამაშიც ბრალიაო“, მეც ავდექი და დეტროიტში წავედი. ჯერ სტუდაბეკერის, შემდეგ კი პაკარდის ქარხანაში ვმუშაობდი. ძალიან მომეწონა.

მაგრამ მეორე ზამთარს მუშაობა შენელდა. ხუთასი დოლარი მქონდა დაზოგილი და გადავწყვიტე, სანამ შემომეჭმებოდა, რაიმეში დამებანდებინა. რაღაც ხელის მოსაჭიდი ხომ უნდა მქონოდა?

და მე ყველაზე სარფიან საქმედ ორი ცოცხალი შავმურა მელიის შეძენა მივიჩნიე. ისინი ფერმაში ვიყიდე. გამყიდველი ამ მელიებს ფერმაშივე იტოვებდა. როგორც მან ამიხსნა, შვილები და შვილიშვილები რომ ეყოლებოდათ, მათ ტყავებს გავყიდდით და ფულს გავაკეთებდით. ორივეში 225 დოლარი გადავიხადე, შენახვაში კი 2 დოლარს ვიხდიდი ყოველ კვირას.

ყოველ კვირა დღეს ჩემი მელიების სანახავად დავდიოდი და ძალიან შემიყვარდნენ კიდეც. ერთს, ოქროსთვალებას, მელუშკელა დავარქვი, მის ქმარს — მისტერ ფოქსი. მათთვის ხილი მიმქონდა ხოლმე და როგორც კი დამინახავდნენ, მელუური გულები აღტაცებით ევსებოდათ, გალიიდან ცხვირს გამოჰყოფდნენ და ყურძენს ხელიდან მგლეჯდნენ.

მაგრამ მალე შევატყვე, რომ ეს გამდიდრების ნელი გზა იყო. მეხუთე კვირას მელიების მომვლელმა დამირეკა ფერმიდან: „მეტს ნულარ მოხვალ, მეგობარო, გუშინ შენი მელიები გაციებულნენ და ფეხი გაჭიმესო“.

კინაღამ დამბლა დამეცა, მაგრამ ცოტაოდენი ფიქრის შემ-

დეგ მივხვდი, რომ ასე სჯობდა, რადგან ძალიან შემიყვარდნენ მელუშკელაც და მისტერ ფოქსიც და ვერასგზით ვერ ავიტანდი, მათ დახოცვას, არადა, როცა იქნებოდა უნდა დაეკლათ, რათა ვინმეს ყელზე შემოეხვია მათი ტყავი.

ახლა მხოლოდ 275 დოლარი მქონდა. რა ვუყო ამ ფულს? სჯობს, უძრავი ქონება შევიძინო-მეთქი, ვიფიქრე, — ის არც ავად გახდება და არც მოკვდება. დასვენების დღეებში შეგიძლია მეგობრებს წაიყვანო და შენი ადგილ-მამული დაათვალიერებინო. როცა მოჟამულ ხასიათზე ხარ, წახვალ, თვალს გადაავლებ და გამხიარულდები.

კომისიონერისაგან, რომელიც რუსულ კლუბში დადიოდა ხოლმე, მიწის ორი ნაკვეთი ვიყიდე პონტიაკში. მან ეს ორი ნაკვეთი მშვენივრად გაფერადებულ რუკაზე გვიჩვენა. აქ ეწერა მფლობელებისა და ქუჩების სახელები. აქვე ნაჩვენები იყო, თუ სად გაშენდებოდა პარკები, სად ბაზრები. ყველაფერი იყო აღნიშნული ამ რუკაზე.

— ასეთი ადგილ-მამულით, — მითხრა მან, — თქვენ პატარა ქონებას შეიძენთ.

და ეს ყველაფერი 250 დოლარი ჯდებოდა. არავითარი დამატებითი ხარჯი. ფული ნაღდად გადავიხადე.

როგორც კი დრო ვიხელთე, ჩემი ადგილ-მამულის სანახავად პონტიაკში წავედი, მაგრამ მიგნება ძალიან გამიჭირდა, იგი ტლაპოთი დაფარულ დიდ მინდორზე მდებარეობდა. ფეხსაცმელები მთლიანად ტალახში ამომეთხვარა. ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიე ჩემს ნომერს. იგი იმ თეთრ სვეტზე ეწერა, რომელიც ტალახით სავსე ღრმა გუბესთან ჩაესოთ. აი, თურმე როგორი ყოფილა ჩემი მამული!

მთელ ქვეყანაზე მხოლოდ ჩვენ ფურ-კამეჩს, ლამაზას თუ

მოეწონებოდა ეს ადგილი, რადგან შეეძლო თუნდაც მთელი დღე ეგორავა ლაფში, თუკი ვინმე არ დაუსტვენდა და არ ამოიყვანდა იქედან.

მაგრამ მე მაშინვე მივხვდი, რომ ლამაზას ჩამოყვანა საქართველოდან არ იქნებოდა მიზანშეწონილი. კობიაანთ კარში ხომ უამრავია ასეთი გუბე. თანაც შაურიც არ დამეხარჯებოდა მათ შეძენაში.

ასე რომ, შინ, დეტრიოტში დავბრუნდი.

ჩემი სახლის ზედა სართულში ვცხოვრობდით: მე, ორი ეგვიპტელი, ახალგაზრდა — ჰასანი და აჰმედი, ერთი რუსი — ჩემი მეგობარი ვალოდია, კაზაკი ერმაკი და ერთი მოხუცი სპარსელი, რომელიც არაფრით არ გვიმხელდა თავის სახელს.

როცა შევედი, ახმედი ფლავს ამზადებდა. — მაჭამეთ რამე, ბიჭებო! სულს აქეთ არაფერი დამრჩა: ჩემი მელიები სამარეში წვანან, ჩემი მიწა წყლის ქვეშაა, ჩემი ფულები გაქრა. ოცდახუთი დოლარიღა დამრჩა. და მე ყველაფერი ვუამბე ამხანაგებს.

ერმაკი სკამზე იჯდა და სმამაღლა კითხულობდა რუსულ იუმორისტულ გაზეთს.

— ასეა, — ერმაკი ფეხზე წამოხტა, — შენ გაგაცურეს, გაგყიდეს, გაგათახსირეს, მოგატყუეს. ნამდვილად ასეა! გაგაღატაკეს! იქნებ ის აგენტი ფიქრობს, რომ შენ არარაობა ხარ, რომ მეგობრები არა გყავს, მარტოდმარტო ხარ. იმას ვაჩვენებ სეირს. ასე ადვილი არაა კაცის მოტყუება, თუ ერმაკის ყურამდე მივა ამბავი. მოდი, ბიჭებო, ყველანი პონტიაკში წავიდეთ, ამ საღამოსვე. ჩვენ უკანასკნელ კაპიკამდე დავიბრუნებთ მთელ ფულს. ან ფული ან სული!

— მოდი ნუ მოვკლავთ, — თქვა აჰმედმა და თან გაცხარე-

ბით ამოურია ქვაბს, — ასეთი ამბავი ამერიკის მთავრობას არ მოსწონს.

— ან ფული ან სული! — გაიმეორა ერმაკმა, — ჩემთვის სულერთია რომელი, დაე, თვითონ აირჩიოს. მე ერთი ვიცი — მეგობრობა წმინდათა წმინდა რამ არის.

როცა პონტიაკში მივედით, უძრავი ქონებით მოვაჭრეს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა ამდენი ხალხის დანახვა, მაგრამ მაინც ძალიან თავაზიანად მიგვიღო და სათითაოდ მიგვიჩინა დასაჯდომი ადგილი.

— გასაგებია, ბიჭებო, გასაგებია. თქვენი მეგობრის მიწა ახლა იქნებ მართლაც ნესტიანია. ამას არ უარვყოფ, მაგრამ ახლა ხომ ზამთარია. წვიმებია. ზაფხულში კი, როცა მიწა გაშრება, ვისი იქნება მობიბინე მდელო? ვისი იქნება ფიალასავით გაფურჩქვნილი ყვავილები? ვისი იქნება წყლის შროშანებით სავსე სათევზაო გუბურა? — და აგენტმა თითი ჩემსკენ გამოიშვირა, — თქვენი, მეგობარო, ეს ყოველივე თქვენი იქნება!

— ჰო, მაგრამ...

— გარდა ამისა, — განაგრძო მან, — ქვაფენილს დააგებენ, სულ მალე, მომავალ კვირას. ქვაფენილს კი თხრილები სჭირდება. ასე არაა? თხრილები წყალს დაწრეტს და თქვენი ნაკვეთი გამოშრება. ექვსი თვის შემდეგ უეჭველად თავზე თავს მოიგებთ.

აი, ასე მიყვა და მიყვა იმერელ მეზღაპრესავით, რომელიც ერთ ზღაპარს ლამაზად გადაბამს ხოლმე მეორეს და იმდენი ილაპარაკა, რომ ბოლოს ერმაკმა ჯიბე ამოიფხიკა და 25 დოლარად ორი ნაკვეთი დაიბევა. ვალოდია კი შეპირდა მეორე კვირას დანიშნულთან ერთად მოვალ და ორი ნაკვეთის შესყიდვაზე მოვილაპარაკოთ, ოღონდ ერმაკის მეზობლად იყოსო.

ასე გამოგვისტუმრა. მე კვლავ ჩემი უძრავი ქონების პატრონად დავრჩი. იგი კვლავ წყლით იყო დაფარული და ჯიბეშიც ისევ ის 25 დოლარი მედო.

— მოდი, უფრო ფხიანად მოვიქცეთ, — თქვა მეორე დღეს ვალოდიამ, — აბა, მოიფიქრეთ, რას აკეთებს ამერიკაში ხალხი ყოველ წუთს.

— ჭამს.

— თუ არ ჭამენ, რეზინს ღეჭავენ კუჭის მოსატყუებლად. მოდი, რაიმე საჭმელი მოვამზადოთ და გავყიდოთ. დიდძალ ფულს მოვიგებთ.

მაგრამ რა მოვამზადოთ. დიდხანს, დიდხანს ვიფიქრეთ. ღვეზელები, ცხრაფურცელა? (ჩვენებური ცხრაფენიანი ქადა თხის კარაქითა და ნიგვზით შეზავებული), ირმის ბარკლის მწვადი?

არა, არც ერთი არ გამოგვადგება. ბოლოს ხინკალი ვარჩიეთ ყველაფერს. ხინკალს ძროხის რბილი ხორცი უნდა. წვრილად დაკეპავ, ხახვსა და მწვანილს დააჭრი. ცოტა პილპილი, ცოტა მარილი, (პილპილზე მეტი) წყალი, და მერე ერთად აურევ. შემდეგ კარგად მოზელილ ცომს მუხის ფოთლის სისქეზე გაათხელებ, შუაში ხორცს ჩადებ და თავს მოუხვევ. შემდეგ სათითაოდ ჩაყრი ცხელ წყალში და როცა ქვაბი თუხთუხს დაიწყებს, ხინკალი მზადაა. ამოიღებ, გამოხვრიტავ, წვენს გამოწუწნი და შემდეგ ხორცსა და ცომის გარსს ერთად შეექცევი, ათის, ოცის, და თუ კარგი მადა გაქვს, ოცდაათის შეჭმასაც შესძლებ. აი, ეს არის ხინკალი.

ყველაზე ძნელი ცომია, მაგრამ ვალოდიამ თქვა: მე ვიცი, როგორ უნდა მოვზილოთო.

— ათასჯერ მინახავს, როგორ ზელდა დედაჩემი. მამაჩემს

ძალიან უყვარდა ხინკალი. განსაკუთრებით ზამთრობით, როცა თოვლი იყინებოდა, როცა ჩემი ძმები ცხენებით ბრუნდებოდნენ შინ და ყინულის ტკაცა-ტკუცი ისმოდა. აი, სწორედ მაშინ უყვარდა მამაჩემს ხინკლაობა. ისე ყინავდა, რომ არმავირის ეკლესიების ზარების რეკა სოფელში გვესმოდა, მააშ! გვესმოდა ჩვენი სახლის გვერდზე მარხილით ჩავლილი მგზავრების სიმღერებიც. ფქვილი დამჭირდება, წყალი და კვერცხი. ეს ნამდვილად ვიცი.

პირველად რომ სცადა, ფაფა გამოუვიდა. მეორედ უკვე საგოზავს ჰგავდა, მესამედ ცარცს.

— რა გაეწყობა, — თქვა მან, — დიასასხლისს უნდა ვთხოვოთ.

და ანა ფეოდოროვნამ გვიჩვენა, როგორ უნდა მოგვეზილა. ჩვენ გულისყურით ვუმზერდით და ცომი შესანიშნავი გამოვიდა. ცომში ხორცი გავხვიეთ და მოვხარშეთ. ჩინებულია! თითქმის სულ შევჭამეთ.

შემდეგ რამდენიმე დუქინი ყუთში ჩავაწყე და ქუჩაში გავედი, რომ რესტორნისათვის მიმეყიდა, მაგრამ სადაც კი მივედი, კარი მომიკეტეს და იმდენი ცნობისმოყვარეობაც კი არ გამოიჩინეს, რომ ერთი უბრალო ქვაბი და ადუღებული წყალი მოეცათ ნიმუშის მოსახარშად.

ბოლოს, ერთი ბერძენი ვნახე, რომელსაც იალტაში ემუშავა მზარეულად. მან კარგად იცოდა ხინკლის გემო. გასინჯა და მითხრა:

— ო, ქეი, 50 დუქინს ავიღებ საცდელად — დღეს აქ რუსების ბანკეტი ეწყობა. ზუსტად ექვს საათზე აქ იყავ შენი ხინკლიანად. წუთი არ დააგვიანო. ნაღდი ფულით გაგისწორდები. ნუ მომატყუებ და არც მე შეგიშლი პირს.

კურდღელივით მოვკურცხლე შინისკენ. გული მყინვარწვერის თავზე შემოხვეულ დილის ღრუბელივით გამინათდა.

— ანა ფეოდოროვნას ველარ შევაწუხებთ, — თქვა ვალოდიამ, როცა ეს სასიხარულო ამბავი შევატყობინე, — აი, რა ვქნათ: შენ, გაღმა რომ რუსული ფურნეა, იქ წადი, უთხარი ჩვენი გაჭირვება და ერთი მოზრდილი გუნდა ცომი იყიდე. მე ამასობაში ხორცს დავამზადებ. რომ დაბრუნდები, ცომს გავათხელებ და ხინკალს მოვხარშავთ.

მეპურე მიმიხვდა. მან ვარცლიდან კაცის თავის ოდენა ცომი ამოიღო და ქაღალდში გამიხვია. — ცივ ადგილას შეინახავ და ყველაფერი კარგად იქნებაო, — მითხრა მან, როცა ფული გადავუხადე.

ტროლეიბუსში სივიწროვე იყო. თანაც ისე ცხელოდა, დევის თორნე გეგონებოდათ. კარგა მანძილი გვაკლდა დიკერსონის ქუჩამდე, როცა ვიგრძენი, რომ ცომი ამოსვლას იწყებდა. ჩემს გვერდით მჯდომი ქალი ჩავიდა. მისი ადგილი ვიღაც ქალბატონმა დაიჭირა. ცომი ამ დროს უკვე ტიკპორას ოდენა გამხდარიყო. ცომს ხუთიოდე მუშტი ჩავაზილე და ცოტა ხნით დაწყნარდა. ტროლეიბუსში კიდევ ამოვიდა ხალხი. ცომმა უკვე ქაღალდიდან დაიწყო გამოსვლა. რამდენს არა ვცდილობდი, მაგრამ სულ იზრდებოდა და იზრდებოდა. — ღმერთო ჩემო, სულ მალე მთელ ტროლეიბუსს გაავსებს-მეთქი, — გავიფიქრე. ჩემს მეზობელ ქალბატონს ნერვიულობა დაეტყო. კართან მჯდომი კაცი თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა ჩემს პაკეტს. ცომი ცოტა კიდევ აფუვდა და თითქმის საზამთროს-ოდენა გახდა. შევეცადე პალტოთი დამეფარა იგი.

ვიღაც ქალი ჩემსკენ გადმოიხარა. მისი ქუდის ფრთა თვალში მეტაკა.

— თქვენ რუსი ხართ? — მკითხა ქალმა.

— არა, ქალბატონო, — დავუწყე ახსნა-განმარტება, — ქართველი ვარ. ეს სულ სხვაა, სხვა ენა, სხვა...

— ეს რუსია, ყუმბარა აქვს, — შეჰკივლა მან და საავარიო ზონარი მოქაჩა.

ტროლეიბუსში ერთი აურზაური ატყდა. კონდუქტორი ჩემსკენ წამოვიდა „რა ამბავია". ხალხმა ჩემზე მოუთითა, „ეგ რა მოგაქვს?" — მკითხა მან. იმ დროს ჯერ კიდევ კარგად არ ვიცოდი ინგლისური.

— მე მომაქვს, მე მხოლოდ ერთი ტოპრაკი პურის... პურის...

იქნებ ყველაფერი კეთილად დამთავრებულიყო, მაგრამ სწორედ ამ დროს ჩემმა მეზობელმა ქალმა პირი გააღო და იწივლა, მიშველეთ! მიშველეთ! ის ჩემსკენ მოცოცავს!

ცომს ქაღალდი გაეხია და მის კაბაზე მისეირნობდა.

— ინებეთ, ინებეთ, ქალბატონო, — ცომი იღლიაში ამოვიჩარე, — ეს აიღეთ და ახალი კაბა იყიდეთ, ოღონდ ასეთ ამბავს ნუ ასტეხთ, გეთაყვათ. ჯიბიდან პირველივე ხელში მოხვედრილი ფული ამოვიღე და მივაწოდე. და იცით? იგი ათდოლარიანი იყო! მე გასასვლელისაკენ გავემართე.

— ტროლეიბუსს აღარ გაეკარო,—მითხრა კონდუქტორმა,— მე შემეძლო შენი პასუხისგებაში მიცემა, წესრიგის დარღვევისათვის.

ღვთის წყალობით, ერთი კი კარგად მომივიდა, — ჩემი ცომი გარეთ, სიცივეში, მოჭკვიანდა. ასე, რომ უკვე შემეძლო მისი ტარება. მაგრამ სახლამდე თითქმის 6 მილი იყო და თუმცა სირბილით მივდიოდი, საათმა ხუთი დარეკა, როცა ჩემს ქუჩაზე შევუხვიე.

ჩემი დიასახლისის მამა, რუსეთ-იაპონიის ომის დროს კაპიტანი თუ ადმირალი ყოფილა და ამის მოსაგონებლად ყველა სართულზე, გემზე რომ ხმარობდნენ, ისეთი თითო დიდი ზარი ჰქონდა დაკიდებული, ზარი განსაკუთრებულ შემთხვევაში ირეკებოდა, მაგალითად, თუ ვინმე კიბეზე დაგორდებოდა და ფეხს მოიტეხდა, ან ელექტრონი ცეცხლს გააჩენდა, ან აბაზანა გაივსებოდა წყლით, ან ვინმე დოღზე ფულს მოიგებდა. ეს ზარი იმდენ ხანს ვრეკე, რომ კინაღამ თოკი ჩამოვწყვიტე. შემდეგ მოაჯირს გადავაწექი და დავიღრიალე — ყველა ზევით ამოდით და ხინკლის გაკეთებაში მომეხმარეთ, თორემ ვერ მოვასწრებთ!

პატარა ქალმა — მუსიკის მასწავლებელმა, მადამ გრეშკინამ ოთახიდან თავი გამოჰყო. ანა ფეოდოროვნას ქალიშვილი, ლუბა, ქვედა სართულიდან ამოიჭრა, ადმირალმა ოთახის კარი გამოაღო.

ყველამ ჩემთან ამოირბინა და საქმეს შევუდექით. ანა ფეოდოროვნა ცომს ათხელებდა, მე და ვალოდია ხორცს ულუფებად ვანაწილებდით, ლუბა თავს უხვევდა ხინკლებს, აჰმედი და ჰასანი წყალს ადუღებდნენ, მადამ გრეშკინა აწყობდა „ადინ, ი დვა, ი ტრი, ი ჩიტირიჰ“,—როგორც ერთ სიმღერაშია. მისი აღმატებულება ფუთნიდა, არტაშა კიბეზე არბოდ-ჩარბოდა და ყუთებს ნათხოვარ საბარგო მანქანაში აწყობდა.

მარტო ჩვენი სპარსელი მიმჯდარიყო კუთხეში, შალი შემოეხვია, აქეთ-იქით ირწეოდა და ამბობდა: „ღმერთო, ჩემო, ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება, გაგონილა, კაცს ამისთანა საშინელი რამ დაემართოს ამ სიბერის დროს“.

ექვსს ათი წუთი აკლდა, როცა დავამთავრეთ. მე რესტორ-

ნისაკენ გავექანე. იმ კაცს 40 დოლარი გამოვართვი და შინ დავბრუნდი.

— ახლა მოგება ვიანგარიშოთ, — თქვა ვალოდიამ, — 10 დოლარი ხორცში, 3 დოლარი ცომში.

— ათი დოლარი ტროლეიბუსში, — მივათვალე მე.

ბიჭებს ორი ბოთლი ღვინო ვუყიდე. თითო ორ დოლარად. ესეც 4 დოლარი. მაგრამ რუსეთის იმპერატორის ფლოტის ადმირალს ერთ ბოთლ ღვინოს ხომ ვერ შევკადრებდი, ამიტომ მას ერთი ბოთლი კონიაკი მივართვი. ესეც 6 დოლარი.

— თითო ბოთლ ღვინოს ვერც ადმირალის ქალიშვილს შევთავაზებდი, ვერც ანა ფეოდოროვნას და ვერც მადამ გრეშკინას. ასე რომ, კიდევ 6 დოლარი ვარდებსა და გულწრფელ სურვილებში.

მანქანა, ბენზინი, ადგილები კინოს ლოჟაში არტაშას და ლუბასთვის... ვალოდია ჩაფიქრდა, „მაპატიე, — თქვა მან ბოლოს, — გულწრფელად უნდა გითხრა, როგორც მეგობარმა მეგობარს. აი, რა მინდა გითხრა: თქვენ ბიზნესის კაცი არა ხართ, გიორგი ივანიჩ. სადმე სხვაგან უნდა ეწიოთ ბედს“.

ვიანგარიშე, რაღა დამრჩა ჩემი 500 დოლარიდან — ერთი დოლარი და 67 ცენტი ნაღდი ფული მოგროვდა.

— ვალოდია, — მივუგე მე, — ამაში შენ ცამდე მართალი ხარ.

რამდენიმე სითბო და მოგონება...

ამის შემდეგ გამდიდრებაზე ფიქრს თავი დავანებე და კვლავ ჩემ საქმეს ვიკუბრუნდი. მაგრამ ძალიან უკმაყოფილო ვიყავ ჩემი ბედით. იმიტომ კი არა, ფული რომ დავკარგე-

ამაზე სულ არ ვნაღვლობდი. დავრწმუნდი, რომ უფულო კაცს ნაკლები საზრუნავი აქვს, ვიდრე ფულიანს.

არა, რაღაც სხვა მაწუხებდა. დღეები უხალისოდ მისდევდა ერთმანეთს. საშმელი სანამ თეფშზე იყო, გემრიელი ჩანდა, ჭამას დავიწყებდი და ჩალასავით უგემური ხდებოდა. ღვინოც კი აღარ მსიამოვნებდა. გულზე ცივი ლოდი მაწვა და ვერაფრით მომეშორებინა. ბოლოს მივხვდი, რომ ჩემი უქეიფობის მიზეზი მარტოობა იყო.

ხმის გამცემად ძია მონტო მყავდა, — ადგილი კარგი მქონდა პაკარდის ქარხანაში, თანდათან ამერიკელებსაც დავუმეგობრდი, უფრო იმათ, რომლებიც ჩემს საამქროში მუშაობდნენ. ისინი ოჯახშიაც კი მეპატიჟებოდნენ ხოლმე. ამერიკელი მუშები ძალიან მომწონდა, თუმცა მათ სულ სხვა ადათ-წესები ჰქონდათ, მსიამოვნებდა, რომ ხშირად იცინოდნენ (ხანდახან თავიანთ თავზეც კი), მიხაროდა, რომ ამსხვრევდნენ მოძველებული იდეების ბორკილებს და არ ეშინოდათ, ყველაფერი, თვით სიკვდილიც კი თავიანთ თავზე გამოეცადათ. ამგვარი სიმამაცე აქამდე არც გამეგონა.

ეს ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ მაინც რაღაც მიღრღნიდა გულს. საქმე შემდეგში იყო: რაც მეტ ამერიკელ მეგობარს ვიძენდი, მით უფრო მწვავედ ვგრძნობდი მარტოობას. მეგონა, თითქოს ნაჯახით ორად გაეპოთ ჩემი ცხოვრება. მე იმ ნაწილის დარდი მკლავდა, საქართველოში რომ დარჩა. ახალი მეგობრები აუცილებელი იყო, მაგრამ კიდევ მაკლდა ვიღაც— ალბათ ის, ვინც სამშობლოს გამახსენებდა. მაშინ ჩემ გაორებასაც მოეღებოდა ბოლო.

ბოლოს, ერთ დღეს თითქმის ამიხდა სანატრელი. ნიუიორკიდან ილიკოს წერილი მომივიდა. ილიკოს ქართველების

გაზეთს ვეძახდით, რადგან ყველა ჩვენგანის ასავალ-დასავალი იცოდა. ვინ დაქორწინდა, ვინ მოკვდა, ვინ გაუჩინარდა, ვინ შეიცვალა მისამართი. ჩვენ ისე ცოტა და ისე გაფანტულები ვიყავით, ილიკო რომ არა, სულ დავკარგავდით ერთმანეთს. იგი ამჯერად კარგ ამბავს მატყობინებდა.

„სალამი და გამარჯობა, გიორგი. გისურვებ წარმატებას და კარგად ყოფნას. პეტრე ტრამვაის დაეჯახა. რადიატორები დაემსხვრა. მკლავიც მოიტეხა. გივი უკვე დიდი ვაჟკაცია — სკოლაში დადის. ვასოს ქალიშვილი გაუთხოვდა. ერთი ახალი შემოგვემატა. შენზე ამბობს, ვლადიკავკაზიდან ვიცნობო. ახლა ფორტ უეინში წამოვიდა სამუშაოდ. ახლობელია? იცნობ? ძია ჯონი მქვიაო, თქვა“.

ძია ვანო! აქ, ამერიკაშია?! ფორტ უეინში?! გულში ამღერებულ ჰანგს ფეხი ავაყოლე და ცეკვით შემოვუარე ოთახს.

რა თქმა უნდა, ვიცნობდი. ის კი არა, მეჩვენებოდა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე არ მომშორებოდა გვერდიდან ისე, როგორც ძია გიორგი, ძალუა სალომე და ჩვენი ვარდუა, რომელსაც თურმე ომიდან დაბრუნება აღარ ეწერა.

მაგრამ ძია ვანო ჩემი ნამდვილი ბიძა როდი იყო. უფრო მეტიც — სხვადასხვა სოფლელები ვიყავით. პირველად ვლადიკავკაზში გავიცანი, ათი წლისა რომ ვიყავი. იქ ხმლების ოსტატს მიმბარეს შეგირდად. გამწარებული ცხოვრება მქონდა. ოსტატის ბრძანებით სახელოსნოში უნდა დამეძინა (გაქურდვისა ეშინოდა). ბრტყელ ლოდზე ვწვებოდი და საბნად კამეჩის ტყავს ვიხურავდი. დღეში თოთხმეტ საათს ვმუშაობდი. ეს კიდევ არაფერი: ოსტატის ცოლი წმენდა-ხეხვაში უდიდეს სიამოვნებას პოულობდა. ნიადაგ საპნიანი წყლით ხეხავდა და ფხეკდა ყველაფერს. მისი ჯაგრისი და იატაკის საწმენდი ჯოხი

ყველაფერს სწვდებოდა, კედლებიდან და ფანჯრებიდან წინა ქუჩამდე და ყოველივე ამისათვის წყალი მე უნდა მომეტანა ჭიდან და ისიც დასვენების წუთებში. მაინც არაფერი შველოდა. ორიოდე დღე რომ გაგეტარებინა იმ სახლში, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვერ მოიშორებდით ჭუჭყსა და წვირეს.

ერთ ღამეს, როცა უკვე ორი კვირა იყო გასული ჩემი შეგირდობიდან, უკანა კართან ვიჯექი და ხის თოფს ვაკეთებდი (თუ მართლა დამესხმოდნენ ქურდები, თავს დავიცავდი), თან ჩემს ერთადერთ მეგობარს, ცალთვალა მურა ძაღლს ვესაუბრებოდი. სახელად ბუცა ერქვა.

— ბუცა, რა ფასი აქვს ჩემ ცხოვრებას. ამ უხეირო სამუშაოზე კისრით ვარ მიჯაჭვული, სულ მარტოდმარტო ვაგდივარ, ერთი მეგობარიც კი არა მყავს. განა შენზე უკეთეს დღეში ვარ?!

მე და ბუცა ცოტა ხანს ფიქრებმა წაგვიღო. უცებ მეორე ეზოდან რაღაც ხმაური გაისმა. ბუცამ ჭიშკრის ღრიჭოში ცხვირი გაჰყო, სუნი აიღო და მობრუნდა. მივხვდი, რომ ყაჩაღები არ იყვნენ მოსული.

— ბუცა, ნეტა რისთვის ვცხოვრობ ამქვეყნად, ჯობს, მეც ძაღლი ვიყო.

— თუ აგრე გგონია, აჰა, ძვალი მიირთვი.

ფეხზე წამოვვარდი. ერთი წუთით თავში გამიელვა, ბუცა ალაპარაკდა-მეთქი, მაგრამ არა, ვიღაც კაცი იყო. იგი ქვის ღობიდან გადმომყურებდა. თითქმის 7 ფუტის სიმაღლისა იქნებოდა. შავი ულვაში და დევივით თმა ჰქონდა. მარტო თვალები უჩანდა ალერსიანი.

— აჰა, ძვალი,—გაიმეორა მან და ბატკნის ბარკლის ძვალი

მომაჩეჩა ხელში, — თუ ძაღლობა გინდა, ეს მიირთვი, მაგრამ თუ კაცად ამჯობინებ დარჩენას, დამიჯერე, უფრო მეტად ისიამოვნებ. აი, მე უკვე ორმოცდაათი წელია, კაცი ვარ და ჯერ არ მინანია. მოდი, ღობეზე გადმოძვერი და სუფრას მოვუსხდეთ.

მეც გადავძვერი და დავრწმუნდი, რომ ის კაცი არ ტყუოდა.

შიშხინა მწვადები და მწვანილწაჭრილი ბატკნის ბეჭი გიახელით, ზედ ვაზის ფოთოლში გახვეული ტოლმა დავაყოლეთ. ბუცაც შევიამხანაგეთ, ღობის გადაღმა ვუყრიდით ძვლებს და ისიც მადიანად ახრამუნებდა. შემდეგ მოვიდა ძროხის ხორცი სოკოებითა და ნაღებით, შემდეგ ტკბილეულითა და ხილით პირამდე სავსე ლანგარი გაჩნდა. სადღეგრძელოებს ხუთნაირი ღვინით ვსვამდით — 3 წითელი იყო, ორი კი თეთრი. ერთი სიტყვით, ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას. რადგან ეს რესტორანი იყო და მე რომ მიმიპატიჟა, იმ კაცს ეკუთვნოდა.

— ცოლი, შვილები, დედ-მამა უკვე დიდი ხანია აღარ მყავს, ამქვეყნად ერთი ნათესავიც აღარ შემომრჩა, ასე რომ, ახლა ყველას ძია ვარ.

ამის შემდეგ თითქმის ყოველდღე დავდიოდი ძია ვანოს დუქანში და, თუ თავისუფალ დროს ვიშოვიდი, ყველგან ვეგზავნებოდი და ყველაფერზე ვეხმარებოდი. დუქანი დღემუდამ სავსე იყო ღატაკი ხალხით და ძია ვანოს არასოდეს ეზარებოდა, იმათი თავგადასავლის მოსმენა. მოხუც ჯარისკაცს პენსიის საქმე ვერ მოეგვარებინა, რამდენიმე ახალგაზრდა ციმბირიდან გამოქცეულიყო, ექვსშვილიან ქვრივს ლუკმაპური არ გააჩნდა, ხანდახან ისეთი კაციც გამოერეოდა, რომლის დაჭერისათვის მეფის პოლიცია ჯილდოს იყო დაპირებული.

თვითონ ძია ვანომ ამჯობინა, მუშტრებზე მეტი მეგობრები ჰყოლოდა, მისთვის რომ ფული ყოფილიყო მთავარი, ადგებოდა და კვლავ შეფ-მზარეულად წავიდოდა პეტერბურგში, სადაც მასთან ბატონიშვილები ივლიდნენ და დიდი მთავრები სიხარულით მისცემდნენ ოც-ოც მანეთს თითო შამფურ მწვადში.

— არა, მირჩევნია, ჩემი თავის ბატონ-პატრონი ვიყო, — ამბობდა ხოლმე ძია ვანო, — ამიტომ ჩამოვედი შინ. აქ ისე არ მიჰქრიან დღეები, როგორც პეტერბურგში და გარდა ამისა, ჩემს პატარა რესტორანში ყოველდღე შემიძლია წვეულება გავმართო. ეს ხომ დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე — ხანი გამოხდა და ძია ვანოს წყალობით შეგირდობის ყავლი მოვათავე. შემდეგ ომი დაიწყო და, როცა ვლადიკავკაზში დავბრუნდი, ძია ვანო წასული დამხვდა. ბოლოს ამერიკაში ჩამოვედი. ახლა თურმე ისიც აქ ჩამოსულა.

მომავალ დასვენების დღემდე სული კბილით მეჭირა. დასვენებამ სამშაბათს მომიწია. ქალაქგარეთ მიმავალ პირველსავე მატარებელში ჩავჯექი და დილაადრიან ფორტუეინში ჩავედი. სულ არა ვფიქრობდი, რომ ძია ვანოს პოვნა გამიჭირდებოდა. იგი მზარეული იყო და ბუნებრივია, რომელიმე რესტორანში უნდა ემუშავა.

ტაქსი დავიქირავე და ქალაქის რესტორნების ჩამოვლას შევუდექი.

— ხომ არა გყავთ აი, ამ სიმაღლე, ამ სისქე, ასეთი და ასეთი მზარეული? — ვკითხულობდი ყველგან. იმ დღეს, მგონი, იმდენი მზარეული ვნახე, რამდენსაც სხვა მთელი სიცოცხლის

მანძილზე ვერ ნახავდა, მაგრამ ძია ვანოს ვერა და ვერ მივაგენი.

ოთხი საათი შესრულდა, უკვე მზად ვიყავ, ხელი ამეღო ძებნაზე: — ჩვენ ექვსი რესტორანი, ორი კლუბი, ერთი სასადილო და ერთი საავადმყოფო დაგვრჩა, — მითხრა ტაქსის შოფერმა.

— რესტორნები მომბეზრდა, მოდი, ახლა კლუბები ვნახოთ, — ვუთხარი შოფერს.

ერთ სახლთან მიმიყვანა: „ათლეტი დახურული კლუბი", ეწერა კარზე მიკრულ თითბრის ფირფიტაზე. კარისკაცმა შემიშვა. როცა დარბაზში შევედი, გვერდით ოფიციანტმა ჩამიარა. ლანგრით ოხშივარიანი თეფში მიჰქონდა სასადილო ოთახში. აქ დასრულდა ჩემი ძიება: ოფიციანტს ჩახოხბილი მიჰქონდა (ხახვში და პამიდორში ჩახრაკული ვარია), ეს კერძი ძია ვანოს ხელოვნების მწვერვალი იყო.

ბევრი აღარ მიფიქრია და თავი სამზარეულოში შევრგე. ძია ვანო მართლაც იქ დამხვდა. თმა და ულვაში გაჭაღარავებოდა, ძლივს დაჩანჩალებდა, მაგრამ ხმა არ შეცვლოდა, სახელი რომ დამიძახა, გამახსენდა, ასეთივე ხმით, ღობის გადაღმიდან რომ გამომელაპარაკა. მას შემდეგ მთელი საუკუნე გასულიყო და ეს კაცი ახლა რომ მკოცნიდა, მაინც ჩემი მეგობარი იყო.

ძია ვანომ სუფრა გააწყო და დავსხედით, გაცდენილი წლები ხომ უნდა აგვენაზღაურებინა. რა თქმა უნდა, ძია ვანოს უკვე ეპოვა ხალხი, რომელთაც მისი დახმარება სჭირდებოდათ. ნამდვილად ვიცანი ისინი. ამჯერად, მოხუცი უკრაინელი და ჭლექიანი აკორდეონისტი უნდა ყოფილიყვნენ.

ძია ვანომ მთელი კლუბი მოიწვია და ჩემი სადღეგრძელო შესთავაზა:

— ამ პატარა ჭიქით, ჯენტლმენებო, ადღეგრძელეთ ეს ბიჭი, რომელსაც ცხოვრება შევუნარჩუნე.

ხალხმა სეტყვასავით მომაყარა კითხვები:

— გემბანიდან გადავარდით? ფრონტზე მოხდა ეგ ამბავი? ყაჩაღები დაგესხნენ? — და არ მიჯერებდნენ, როცა ვეუბნებდი: — ძია ვანო რომ არა, მე დღეს ძაღლი ვიქნებოდი და ვლადიკავკაზში მთვარეს ვუყეფდი-მეთქი.

ძია ვანო სიხარულით ცას ეწია, როცა ვუთხარი, დარბაზში ჩემს გვერდით ჩახოხბილი ჩაატარეს და იმით გიპოვე-მეთქი.

მითხრა, ჩანს, შენ ჩემში მარტო მეგობარს კი არა, ნამდვილ ხელოვანსაც სცნობო.

აკორდეონისტმა სიმღერა შეთხზა და როცა ხველება შეუჩერდა, ჩვენ პატივსაცემად შემოსძახა:

რამდენი სითბო და მოგონება
და რაოდენი სილაღე ახლავს
უცხო მხარეში,
უცნობ მხარეში
მონატრებული მეგობრის ნახვას.

დიდებული დღე იყო, ასეთი დღე იშვიათად დაუდგება კაცს. ძალიან მეწყინა, როცა მზე გამოგვესალმა.

რაღა გაეწყობოდა, უკან დავბრუნდი და მუშაობა განვაგრძე. ამის შემდეგ, ზოგჯერ, რამდენიმე თვის განმავლობაში ვერა ვხედავდი ძია ვანოს. ხან წელიწადიც გადიოდა ხოლმე. შემდეგ რამდენიმე დღეს ან კვირას კვლავ ერთად ვიყავით და მერე ისევ იყრებოდა ჩვენი გზები. ერთხელ, მშვენივრად გავატარეთ მთელი ზაფხული სან-ფრანცისკოში. მაგრამ, როცა კი

ამერიკის თავბრუდამხვევი ორომტრიალი ჩამითრევდა, ადგილიდან ადგილზე გადავიდოდი, სამუშაოს ვიცვლიდი, ნაცნობ სახეს ვეღარ დავინახავდი, მაშინ გავიხსენებდი, რომ სადღაც არსებობს ყველასათვის საყვარელი ძია ვანო და კვლავ კარგ ხასიათზე ვდგებოდი.

კალიფორნია დასავლეთითაა

გულის მომკვლელი სურათია, როცა ავადმყოფი თვალდახელსშუა გადნება ხელში, მაგრამ ბევრად უფრო საზარელი სანახავია ქალაქი, რომელიც შენს თვალწინ კვდება.

ასე დაემართა დეტროიტს 1932 წლის ზამთარში. ეს ქალაქი, წინათ ძხიარული და სიცოცხლით სავსე, მოკვდა.

ჯერ ფაბრიკა-ქარხნებს მოეღო ბოლო, შემდეგ ზედიზედ მიიკეტა პატარა დუქნები, როლებიც ცოტაოდენ მოგებას მაინც აძლევდა მედუქნეებს. გამოცარიელებული ვიტრინები ცხედრის თვალებივით მისჩერებოდნენ უკაცურ ქუჩებს. ყველ[illegible] მოჩანდა დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლები და სახელმწიფო დაწესებულებები. ქვეყანა ისე იცლებოდა ფულისაგან, როგორც დაჭრილი სისხლისგან.

ხელფასის მიღების დღეს, სულ უფრო და უფრო მეტ მუშას აძლევდნენ ჩეკზე ქინძისთავით მიმაგრებულ ვარდისფერ ქაღალდს. ეს ნიშნავდა, რომ მუშები უკან აღარ უნდა დაბრუნებულიყვნენ. ძალიან ხშირად ვხედავდი ასეთ სურათს, როცა ხელფასის მისაღებად რიგში ვიდექი, დათხოვნილი ისე გაიც-

რიცებოდა, თითქოს ტიფმა შეამცივნაო. ეს დეპრესია მართლაც ტიფს ჰგავდა, ოღონდ კვდომის პროცესი იყო შენელებული.

ნეტა რატომ მოხდა ასე? მიზეზი არავინ იცოდა. ვითომ ნიუ-იორკის ბირჟის ბრალი იყო? ზოგი ასე ფიქრობდა, ზოგი კი ამბობდა, ნიუ-იორკის ბირჟა სადღაც დაკარგულშია, როგორ მომწვდება დეტროიტში, როგორ წამართმევს ლუკმა-პურსო. ვერც მე გავეცი პასუხი ამ კითხვას (იქნებ არც არსებობდა იგი), ის კი მივხვდი, დიდი სირცხვილი იყო დავრჩენილიყავი სამუშაოზე, რომელიც ცოლშვილიან ხალხს ესაჭიროებოდა, ამიტომ ანგარიშის გასწორება მოვითხოვე. აღებულ ფულს შავი დღისათვის გადანახული ორასიოდე დოლარი დავუმატე და ჯართის მოგროვება დავიწყე. ვყიდულობდი ძველ ავტომანქანებს, ვშლიდი და ნაწილებსა და ჯართს ვყიდდი. ფასზე არა ვჯანჯლობდი.

ჩემს მეზობლებსაც ცუდად წაუვიდათ საქმე. ყოველ საღამოს, სამუშაოდან დაბრუნებისას, ვხედავდი ანა ფეოდოროვნას, რომელიც ჩაის სვამდა ხოლმე სასადილო ოთახში და ვატყობდი, რომ დღეს გუშინდელზე მეტად იყო შეწუხებული.

პარასკევს ბინის ქირა გადავიხადე და ცოტა ხანს შევყოვნდი ანასთან.

— დაბრძანდით, გიორგი ივანიჩ, — მითხრა მან და ჩაი დამისხა. — საშინელი დრო დადგა, საზარელი. უკვე ვალოდიამაც დაკარგა ადგილი. მადამ გრეშკინას არც ერთი მოწაფე აღარა ჰყავს.

— მოსალოდნელიც იყო, — ვთქვი მე, — ვიღას სცხელა მუსიკისათვის. ტრა-ლა-ლა მშიერ კუჭზე?

— ერმაკი და ის მოხუცი სპარსელი ჯენტლმენიც მიდიან

ორშაბათს. მთელი ეს უზარმაზარი სახლი შენი ქირის ანაბარა მრჩება. რა უნდა ქნას კაცმა?!

— იქნებ დრო შემოტრიალდეს. — დავამშვიდე ანა.

— ეჰ, არა მგონია. მე თუ მკითხავთ, რაც თავი მახსოვს, ცხოვრება სულ უკან-უკან მიდის. მე კი მეგონა, ამერიკა მდიდარი იყო და აქ თავზე საყრელად გვექნებოდა ყველაფერი.

— სამწუხაროა, მაგრამ აქაც არიან ღატაკები. ისინი ყველგან არიან.

ოთახში ანას მამა — „მისი აღმატებულება“ შემოვიდა. ანამ ნამცხვარი დაჭრა და შემეპატიჟა. — მიირთვით, გიორგი ივანიჩ. ერთი ნაჭერი. დღეს მამაჩემის დღეობაა. ვინ იცის, გაის ამ დრომდე მიაღწევს კი ჩემი შამიკო, ან ვინმე ჩვენთაგანი?! ნამდვილად აღარ ღირს ბრძოლა. ხშირად მიფიქრია ამაზე. სიკვდილი ჯობს ყველაფერს.

— ვინ იცის!

— იქნებ ვერც მაგაში ნახოთ სიამოვნება. ერთხელ ხომ სცადეთ.

— რაიმე უნდა ვიღონოთ, — თქვა „მისმა აღმატებულებამ“ და გულიანად ამოურია ჩაის ჭიქას. — სწორად არ მიდის საქმე. ხომ დაგვპირდნენ, ამერიკაში სამუშაო ყველას ექნებაო. ასე არ იყო?

ვერ ვხვდებოდი რატომ წუხდა ასე. მას ერთი დღეც არ უმუშავია თავის სიცოცხლეში. თუმცა ეს უკვე აღარ არის ჩემი საქმე.

— ჰო, მაგრამ, რა ვიღონოთ, რა შეგვიძლია? — იკითხა ანამ.

— სადმე სხვაგან უნდა გადავიდეთ. — თქვა „მისმა აღმატე-

ბულებამ“, — ამ მხრივ ამერიკა კარგი ქვეყანაა. რამდენ ადგილსაც არ უნდა იყო ნამყოფი, წასასვლელი მაინც დაგრჩება.

— ოღონდ ისეთი მხარე მოვნახოთ, სადაც სამუშაო იქნება, მამიკო, სწრაფად თუ ვივლით, ძალიან სწრაფად, იქნებ, გავასწროთ ამ ღვთის რისხვას (ანამ პირჯვარი გადაიწერა), დეტროიტს რომ დასტეხია თავს.

— დრო მინდა მოსაფიქრებლად, — თქვა „მისმა აღმატებულებამ“, — ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონოთ. — მან თვალებზე ხელი აიფარა და ჩაფიქრდა. ამ დროს ოთახში ანას ქალიშვილი ლუბა შემოვიდა. თუთხმეტ-თექვსმეტი წლის კუდრაჭა გოგონა. მას ანგელოზივით ლურჯი თვალები, ვარდისფერი ლოყები და იხვის ჭუკივით ყვითელი კულულები ჰქონდა. ხასიათიც შეეფერებოდა მის გარეგნობას: ჯორივით ჯიუტი და თავისნათქვამა იყო. საშინელი გაწიწმატება იცოდა და, თუ ტირილით ვერაფერს გახდებოდა, კბენასაც კადრულობდა. მე ლუბას ძმა, არტაშა მეცოდებოდა. იგი 12 წლის მშვენიერი ბიჭუნა იყო. ხშირად მიფიქრია, ნეტა თუ გაიზრდება ლუბას ხელში-მეთქი.

— გამარჯობა, ლუბა, — მივესალმე მე, — რა გასწავლეს დღეს სკოლაში?

— ნუ მეძახი ლუბას, — მან ფეხები დამიბაკუნა, — ათასჯერ მითქვია. განგებ მეძახის. ლუბა! ლუბა! ლუბა! მე ახლა ლუსეტი მქვია.

— ზდრავსტვუიტე, ლუსეტ პეტროვნა, გამარჯობათ მისს ლუსეტ, სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. ასე გირჩევნია?

— გარდა ამისა მე სკოლაში აღარ დავდივარ. თავი დავანებე. ვმუშაობ.

— რას აკეთებ?

— ადგილებს ვუჩვენებ მაყურებლებს კინოში.

— მერე მაგისათვის დატოვე სკოლა. რა გამორჩენა გაქვს?

— ყველა სურათს შემიძლია ვუყურო, სამს, ოთხს, ხუთს, რამდენიც მომესურვება. ესაა ჩემი გამორჩენა.

— თეატრის ბრალია, — თქვა ანამ, — ვერ გავამტყუნებ. ამაში მე მგავს. ეჰ, თეატრი, თეატრი! ო, როგორ მიყვარდა. პეტროგრადში ჩვენი ლოჟა გვქონდა...

„მისმა აღმატებულებამ“ რიხიანად ჩაახველა. ეს ნიშნავდა, რომ რაღაც მოიფიქრა. — მაშ, ამაზე შევთანხმდით, — თქვა მან, — ეს ერთი. მეორე...

კარი გაიღო და ოთახში ბორბლებიან ციგურებზე შემდგარი არტაშა შემოგორდა. მან სკამი დაითრია და მოშორებით დაჯდა, რომ ლუბა არ მიწვდომოდა საჩქმეტად.

— რაზე შევთანხმდით? — იკითხა არტაშამ.

— სანამ შემაწყვეტინებდი, — თქვა „მისმა აღმატებულებამ“, — მე ვაპირებდი მეთქვა, რომ ჩვენ სადმე სხვაგან მივდივართ: ამერიკაში ჩამოსვლისას ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ ისეთი ადგილი ავირჩიეთ, სადაც არავინ იცოდა ჩვენი ენა. შეცდომა აღარ უნდა გავიმეოროთ. ამჯერად ჩვენ იქ წავალთ, სადაც ყველა რუსულად ლაპარაკობს. ჩვენ ალიასკაში მივდივართ.

— ალიასკაში? კარგი იქნება! — თქვა არტაშამ, ბუფეტთან მიგორდა და თეფში აიღო, — მაგრამ ვინ ასწავლა ესკიმოსებს რუსული.

— აი, ამერიკული განათლება, — უთხრა „მისმა აღმატებულებამ“ ანას, — იმედია, კმაყოფილი ბრძანდებით. — მაქვს პატივი გაცნობოთ, ჩემო ბიჭუნავ, რომ ალიასკა წარმოადგენდა მისი მოწყალე უდიდებულესობის აწ განსვენებულ მეფე ნიკო-

ლოზ ალექსანდრეს ძის სამფლობელოს. უნდა იცოდე, რომ იქ ყველა რუსულად ლაპარაკობს და ეგ ციგურები უნდა მოიხსნა.

— მეფემ ამერიკას მიჰყიდა, — ვთქვი მე.

— ჭორია, შუმი ჭორი!

— ბანქოს ვალის გასასტუმრებლადო. .

— სიცრუეა, — მან მუშტი დაჰკრა მაგიდას. — მისი იმპერატორობითი უმაღლესობა ასეთ რამეს თუ გააკეთებდა, ხალხს არ დაუმალავდა. სულ ტყუილებია. ასე რომ, ალიასკაში მივდივართ.

— კი, აუცილებლად, — ანამ თვალები დახუჭა, — ალიასკაში წავიდეთ. იქ განუწყვეტლად თოვს. ფარფატით ჩამოცვივა თოვლის ფანტელები და სახლებს და ეკლესიების სახურავებს მიეყინება ნამცხვარზე მოსხმული კრემივით. ზარებს და რეკავენ. კვლავ დავინახავთ ჩვენებური გლეხების გაბრწყინებულ სახეებს. კი! ყველანი მივდივართ!

— კი მაგრამ, ჩემი ჯართის საწყობი რატომ უნდა დავკარგო? ლუკმას იმითა ვჭამ.

ანამ თვალები გაახილა და ამქვეყნიურ ცხოვრებას დაუბრუნდა. — მოითმინე, გიორგი ივანიჩ, მე არაფერი მინდა, მე ხმელი პურის ქერქი და ერთი ჭიქა წყალი მეყოფა, მაგრამ ჩემი ბავშვები? შენ გავიწყდება ჩემი ბავშვები!.. მათი მომავალი!

— მართალია, მაგრამ ალიასკაში წასვლა მაინც არ მინდა.

— უკაცრავად, — შემაწყვეტინა „მისმა აღმატებულებამ? — ერთი შეკითხვა. ყოფილხართ როდესმე ალიასკაში?

— რასაკვირველია, არა.

— მეც მანდა ვარ! მაშინ როგორღა ამბობ წასვლა არ მინდაო?.

— ეგეც რომ არ იყოს, — უთხრა ანამ, — ჩვენი მარტო წასვლა შეუძლებელია. მე, ავადმყოფი, უსუსური ქალი, მარტოდმარტო გზაზე! ბავშვებით! ორი პატარა ბავშვით!

ლუბამ ტორტს ნაჭერი ჩამოაჭრა.

— თეთრი დათვები, — თქვა არტაშამ, — ვეშაპები, სელაპები, გიორგი ივანიჩ. სელაპები ტაშს უკრავენ ფარფლებით. ხვალ სკოლიდან გეოგრაფიის წიგნს მოვიპარავ და გაჩვენებთ.

— კი მაგრამ, მაგას ყველაფერს ათ ცენტად ვნახავ ბელ აილის პარკში, სამხეცეში.

— „ქვრივებს ღვთის რისხვა დაატყდათ თავზე“, — დაიწყო ტირილით ანამ და ცრემლი ღვართქაფად ჩამოედინა ლოყებზე. — თქვენ თუ უარს მეტყვით, აღარ ვიცი, რა ქვას ვახალო თავი.

— ჭიქაში ნუ იცრემლები, დედიკო, — უთხრა არტაშამ და ხელზე ხელი მოუთათუნა, — ჩაი დაგიმლაშდება. როცა იქ ჩავალთ, ძაღლებშებმული მარხილით გასეირნებ ხოლმე: მე და გიორგი ივანიჩს ძაღლები გვეყოლება და ქარივით გაგაქროლებთ, — არტაშა ფეხებით მიაწვა მაგიდას, წინ გასწია და ძაღლებს შეუძახა:

— გასწით, გაფრინდით, წამალი მიმაქვს ნომში, აბა, ყოჩაღად!

ლუბამ კიდევ აიღო ნამცხვარი.

— ოქრო! — თქვა „მისმა აღმატებულებამ“, — სულ ოქრო მიტრიალებს თავში. ერთი მიგნებაა საქმე, თორემ მერე ხვეტე და ხვეტე.

— ზღვის ლომებიც, — თქვა არტაშამ, — სელაპებს ჰგვანან, ოღონდ ულვაში აქვთ, ვიცი, მოგეწონებათ.

— კარგი, კარგი, ნუღარ ტირით, ანა ფეოდოროვნა, მე მოვდივარ.

ლუბამ ნამცხვარს ბოლო მოუღო, თითები გაილოკა და განაცხადა:

— მივდივართ, ოღონდ ალიასკაში კი არა. მე მსურს კინოვარსკვლავი გავხდე. ამიტომ გადავწყვიტე ჰოლივუდში წაგიყვანოთ.

ახლა ამაზე აგვიტყდა დავა. ალიასკა თუ კალიფორნია. ჩემ სიცოცხლეში პირველად დავუჭირე მხარი ლუბას. თუკი სადმე წავიდოდი, ყველას კალიფორნია მერჩია. ძია ვანო ამ ექვსი თვის წინ წავიდა კალიფორნიაში და გამუდმებით მწერდა, ჩამოდიო. ამას გარდა, ამერიკელებთან საუბრიდან დავასკვენი, რომ კალიფორნია ძვირფასი მხარეა. ბოლოს და ბოლოს, იქ თოვლი მაინც არ იქნება.

დავიწყეთ მზადება გასამგზავრებლად. ჩემი ხარახურის საწყობში მივედი, საუკეთესო ნაწილები ავარჩიე და ავტომობილი შევაკოწიწე. ცოტათი დილიჟანსს წააგავდა, ცოტათი ბალდახინს.

— საბარგო მანქანაც დაგვჭირდება, — მომახალა ანამ, როცა ეს ჩემი „შემოქმედება“ შინ მივაგორე თავის მოსაწონებლად.

— რათა? თქვენ, „მისი აღმატებულება“, ბავშვები და მე ხალვათად დავეტევით. ერთი ადგილიც დარჩება.

— ჰო, მაგრამ მადამ გრეშკინაც დავიყოლიე. ისიც ისიამოვნებს ჩვენი ექსკურსიით. ერმაკიც ფიქრობს წამოსვლას.

— კარგი, მაგრამ საბარგო მანქანა რაღად გვინდა?

— რა საკითხავია? ჩემი ავეჯისათვის.

— ანა ფედოროვნა ხომ არ გინდათ თქვათ, რომ კალიფორნიაში ავეჯის გადატანა გინდათ? მე მგონი, ამას არ ამბობთ, ხომ?

თქვენ წარმოიდგინეთ, ანა ფედოროვნა სწორედ ამას ამბობდა.

ვიშოვე საბარგო მანქანა. 150 დოლარად. ძალიან იაფად გამოვედით. ტონა ნახევრიანი ფორდი იყო. დავიწყეთ დატვირთვა. საწოლებზე, მაგიდებზე, სკამებსა და ხალიჩებზე ხმა არ ამომიღია. მაგრამ შემდეგ კაუჩუკის ხის შეფუთვა დაგვჭირდა (კაუჩუკის ხე კალიფორნიაში მიგვქონდა!), მერე 50 გირვანქა ბუმბული გამოიტანეს ბოხჩით.

— ეს ბუმბული ბებიაჩემის დედის ნამზითვია, — აგვიხსნა ანამ. — ჩემი წმიდათაწმიდა მოვალეობაა, ლუბას შევუნახო სამზითვოდ.

— ლუბამ ჯერ ქმარი მონახოს, ისა ჯობს, — ვუთხარი მე.

პასუხის მაგივრად ჩიტის გალია მომცა, მანქანაზე დაუდეო. გალია უზარმაზარი იყო. ჩიტი გზაში მომკვდარიყო, როცა რუსეთიდან მოდიოდნენ.

— ამ გალიას ვერაფრით ვერ შეელევით, არა?

— რად გინდა, გეთაყვა, გამაწბილო, თუ ჩემი სიამოვნება ასეთი უბრალო, პატარა რაიმეთი შეიძლება. რატომ მატოვებინებ გალიას? რატომ გინდა მომისპო იმედი, რომ ოდესმე მომღერალი იადონი მეყოლება და მისი გალობით დავტკბები?

გალია მანქანაზე დავდე. იადონის გალიაც კალიფორნიაში მიდიოდა. ბოლოს, როცა სამცხენა მარხილის ეჟვნებიანი მოსართავები და სკა დაუდეს, რომელიც უკანა ეზოში ედგა არტაშას, მივხვდი, რომ ლაპარაკით ვერაფერს გავხდებოდი. რაც უნდა, ისა ქნან!

— როგორც იქნა, დავამთავრე ჩვენი ექსპედიციის გეგმის საბოლოო ვარიანტი, — თქვა „მისმა აღმატებულებამ“ ერთ

დილას, თავის დიდ პორთფელს თასმები შეხსნა და მოგრძო ქაღალდი ამოიღო, — მსუბუქი მანქანით წავლენ ჩემი ქალიშვილი, ბავშვები, მადამ გრეშკინა და ერმაკი. ერმაკი დამცველად. საბარგოთი მე და თქვენ წავალთ, გიორგი ივანიჩ. გზას გავკვალავთ.

— ერთმანეთს უნდა მივსდიოთ, ერთად უნდა ვიყოთ, ესაა მთავარი, — მითხრა ანამ. — თუ დავცილდით, ნამდვილად ვიცი, მხოლოდ ზეცაში შევერთდებით.

— კი მაგრამ, მე როგორ მოვახერხო, — შევწუხდი მე, — რუკის ცნობა რომ არ ვიცი? როცა უყურებ ქაღალდზე გზას— სულ ბრტყელია. როცა მიდიხარ კი აღმართსა და დაღმართზე გადის, ხან უხვევს, ხან ნაკადულებს ჭრის, დიდი განსხვავებაა.

— მაგას მე ვკისრულობ, — დამპირდა „მისი აღმატებულება“, — ინსტრუქციებს მე მოგცემთ. დიდი გამოცდილება მაქვს. მთელი სიცოცხლე ვმოგზაურობდი. ტრანსბაიკალიდან თურქეთში, პეტროგრადიდან ვლადივოსტოკში, ნურაფრისა ნუ გეშინია.

ყველაფერი მზადაა?

არა, ანას დრო სჭირდებოდა საგზლის მოსამზადებლად. მთელი კვირა ნამცხვრის სუნი ტრიალებდა სახლში. მაგიდები დახორგილი იყო სატენიანი ქათმებით, მოხარშული ლორით, სალათიანი, ჭარხლიანი და მწნილიანი ქილებით. ყველგან ტკბილეული ელაგა და დაჯდომისას დიდი სიფრთხილე გმართებდა.

— გამაგიჟებთ, ანა ფეოდოროვნა, — ვუთხარი მე, — რას სჩადიხართ. აღდგომა ხომ არ გვისწრებს გზაში.

— დამაცადე, დამაცადე, ხელს ნუ მიშლი. ხუმრობა ხომ არა გგონია იმდენი საგზლის მომზადება, რომ 7 კაცს კალიფორნიამდე ეყოს.

— მე კი მეგონა, რესტორნებში ვისადილებდით.

„მისმა აღმატებულებამ“ თავი გამოჰყო საკუჭნაოდან. იგი ღვეზელებს ამოწმებდა იქ.

— ჩემო საწყალო ბიჭუნა, ნუთუ იმედი გაქვს, რომ სადაც გავჩერდებით, ყველგან გამზადებული საჭმელი დაგვხვდება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ შენ სულ არა გქონია მოგზაურობის გამოცდილება. იქნება რკინიგზის სადგურებს გულისხმობ. მაშინ მართალი ხარ: სადგურებზე ადუღებულ წყალს ვიყიდით, ჩაის დავლევთ. მაგრამ ჩვენ ხომ ღარიბი ხალხი ვართ, აბა, ვინ უნდა დავაწინაუროთ, რომ შევატყობინოთ, მოვდივართ და საჭმელი დაგვიმზადეთო.

„მის აღმატებულებასთან“ კამათს წყლის ნაყვა სჯობდა, ამიტომ აღარ შეუპასუხე.

ბოლოს, ოქტომბრის ერთ მზიან დილას, როცა სუსხი შამპანურივით იკბინებოდა, მზადება მოვათავეთ და გავემგზავრეთ. დასამშვიდობებლად მოვიდნენ ანას მეგობრები — ოცი-ოცდახუთი ქალი, „მისი აღმატებულების“ კლუბის წევრების უმეტესობა, ორიოდე ჩემი ნაცნობი ბიჭი და უამრავი მოსწავლე — ლუბას და არტაშას ამხანაგები. ყველა ერთად შეჯგუფდა და თვალდაჭყეტილი შემოგვცქეროდნენ. საბარგო მანქანა დატვირთულია. ბენზინი და ზეთი მსუბუქ მანქანაშია. მზადა ვართ?

— არა, — თქვა ანამ, და მანქანიდან გადმოვიდა, — არა, ასე წასვლა არ იქნება. მეგობრებს მარტო გამოცარიელებული სახლი უნდა დაამახსოვრდეთ? ეს საშინელი დანაშაულია. დაე, ყველას ახსოვდეს, ანას ხელგაშლილობა. დე, ყველამ ილაპარაკოს, რომ იგი ყოველთვის გულუხვი იყო და წასვლის დღესაც ასეთი დარჩაო. გადმოიღეთ სამოვარი!

სამოვარი საკერავი მანქანის ქვემოდან გამოვათრიეთ, კოვზები ნახერხიდან (ნახერხში არ დაიფხაჭნებოდა). არტაშა სარდაფში გაიქცა და ერთი ტომარა ნახშირი მოიტანა. ანამ მთელი საგზალი გადმოალაგა, რომ ნამცხვრამდე მიეღწია. ჩემს მოვალეობას ჩაის ჩამორიგება და ანა ფეოდოროვნას მეგობრების ლაპარაკის მოსმენა წარმოადგენდა. ისინი დაწვრილებით ყვებოდნენ თავიანთი მოგზაურობების ამბავს. მოგზაურობათა უმეტესობა უბედურად დამთავრებულიყო!

შუადღეზე ყველამ მოათავა ჭამა და ტირილი, ჭიქები დავრეცხეთ; საბარგო მანქანა ხელახლა დავტვირთეთ და ახლა კი ნამდვილად წავედით. ნახვამდის! ნახვამდის! ნახვამდის!

ხელმძღვანელობა „მისმა აღმატებულებამ“ იკისრა — მარჯვნივ! მარცხნივ! პირდაპირ! და მიხვეულ-მოხვეულ, ტალახიან, ვიწრო გზაზე აღმოვჩნდით!

— დეტროიტიდან მეთორმეტე შარაგზით გადიან. რატომ იმ გზით არ წავედით? — ვკითხე მე.

— ეჰ, ჩემო ბიჭუნა, — გადააქნია თავი „მისმა აღმატებულებამ“, — შენ ჭკუას ვერასოდეს ისწავლი. გამოცდილი მოგზაურები ყოველთვის ერიდებიან მთავარ გზებს. ამით ქურდებს და ბანდიტებს აცდები და არც ბაჟს გადაიხდი.

ხან ტლაპოში მივდიოდით, ხან ყანებში, ხან ნახირს ჩავუქროლებდით გვერდზე, ხან მაყვლიანს. ღამით ეკლესიის ეზოში დავბანაკდით. მეორე დილას კვლავ დავადექით გზას. ჩემი ვარაუდით კალიფორნიამდე ჯერ ბევრი გვაკლდა.

მეორე საღამოს საგზალი გაგვითავდა. მადლობა ღმერთს! ახლა შეგვეძლო რესტორანში შევსულიყავით და ადამიანურად გვეჭამა.—„მისი აღმატებულების“ შიში ტყუილი გამოდგა, რეს-

ტორნებს თვლა არ ჰქონდა. (მეტი არც დეტროიტში დაგვიტოვებია, ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა.)

მშვენიერი სუფთა სასადილო ავირჩიეთ, ყველანი შევედით, მაგიდებს შემოვუსხედით და კერძები შევუკვეთეთ, მაგრამ რამდენი გამოვიარეთ? ცნობისმოყვარეობა მახრჩობდა. ავდექი და დახლთან მივედი. სარკმელს გადაღმა კაცი დავინახე. იგი ძეხვსა სწვავდა.

— თუ არ შეწუხდებით, მითხარით, რომელ ქალაქში ვარ? — ვკითხე მას.

— იანგსტაუნში.

— იანგსტაუნში? — ჩვეულებრივ რომელ შტატში ითვლება ეგ იანგსტაუნი?

— ოჰაიოს.

— ეს ოჰაიოა? — დამცეცხლა! ნამდვილად მახსოვდა, რომ ეს შტატი გამოვიარე, როცა პიტსბურგიდან დეტროიტში მივდიოდი. საეჭვო აღარაფერია: ესე იგი მხარი გვქცევია.

— მაპატიეთ, კიდევ ერთი შეკითხვით უნდა შეგაწუხოთ: თქვენი აზრით კალიფორნიაში რომელი გზით უნდა წავიდეთ აქედან?

— დასავლეთით, — მითხრა მან და მამაკაცთა საპირფარეშოზე მიმითითა.

მე იქეთ წავედი, სამზარეულო და უკანა ეზო გადავჭერი და ნაგვის ყუთზე ჩამოვჯექი. ერთ საათს შევყურებდი ზეცას და ბოლოს ვარსკვლავების საშუალებით კარგად ჩავიბეჭდე თავში მიმართულება. შემდეგ დავბრუნდი და ერთი ლურჯი თეფში შევჭამე. (ეს ინგლისურად მხოლოდ იმის შეჭმას ნიშნავს, რასაც ამ თეფშით მოგართმევენ. თეფში, რა თქმა უნდა, ოფიციანტს უბრუნდება).

მეორე დილას ხელმძღვანელობა დავიჩემე:

— ორი დღე გავფლანგეთ, — ვთქვი მე, — ორი დღე, რომელსაც ვეღარაფრით დავიბრუნებთ. გაშალეთ რუკები. არტაშ, ახლა კალიფორნიის გზას გააყოლე ჯოხი. ძალიან კარგი და პატიოსანი. ახლა ჩამომიწერე ის შტატები, რომლებიც უნდა გავიაროთ.

არტაშამ ლამაზად, თანმიმდევრობით ჩამოწერა: ოჰაიო, ინდიანა, მისური, კანზასი, კოლორადო...

— ახლა კი, — ვთქვი მე და მანქანა ავამუშავე, — ყველანი მომყევით. სულ ასე ვივლით, პირდაპირ. ნამდვილად კვალს მივაგენი. კალიფორნია იქ გვიცდის, სადაც მზე ჩადის.

ასე ვრცელი და თვალწარმტაცი

დაიწყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღეები. ვმოგზაურობდი და ვათვალიერებდი ჩემ წინ გადაშლილ ვრცელსა და თვალწარმტაც ქვეყანას. დღე ისე არ გავიდოდა, რომ კიდევ ერთი მარგალიტი არ მიმემატებინა შთაბეჭდილებათა საგანძურისათვის.

დიდი, თვალუწვდენელი იყო ამერიკა. დი-დია, დი-დია, შემომძახებდნენ ხოლმე გვერდით ჩაქროლებული ავტომობილებისა და ამაყი მოტოციკლეტების თვლები; დი-დია, გრიალებდნენ ტრაქტორის მუხლუხოები; დი-დია, დი-დია, გუგუნებდა ლიანდაგები, თუმცა ლოკომოტივი უკვე თვალს იყო მიფარებული...

ახლა ხალხი?! სადაც კი შევჩერდებოდით, ყველა სიხარულით მემუსაიფებოდა და მიმეგობრდებოდა. ვხვდებოდი რუსეთიდან ჩამოსულ მენონიტებს, პრაღელ „ბოჰემელთა ძმობის“ წევრებს, გზის შეკეთებაზე მომუშავე ირლანდიელებს, კარგი ვისკისა და მაგარი თამბაქოს ხუნი რომ ასდიოდათ. ისინი ცოტა ხნით შემოირბენდნენ ხოლმე დუქანში და ხელგაშლილად იხარჯებოდნენ; ვხვდებოდი შიფერის ქარხანაში მომუშავე უელსელებს, რომელთა ლაპარაკი ჩიტის ჭიკჭიკს წააგავდა, ვხედავდი პატარა მოხატულ სახლებს აიოვაში, სადაც ეგრეთწოდებულ „პირველ მოახალშენეთა“ ოჯახები ცხოვრობდა. ისინი ოჰაიოდან გადმოსული პიონერები იყვნენ. ოჰაიოში ვერმონტიდან მოსულიყვნენ, ხოლო სულ ადრე უფრო შორიდან — ინგლისიდან გადმოსახლებულიყვნენ. უკვე აღარ მიდარდებდა, რომ არც ერთი ენა არ ვიცოდი ხეირიანად და თან უცხო ქცევა მქონდა. ვხედავდი, რომ ყველა უცხოელი იყო, მხოლოდ ერთში ვამჩნევდი განსხვავებას: ზოგი ადრე ჩამოსულიყო, ზოგი კი გვიან.

ნეტა მარტო ვყოფილიყავი. მაშინ, ალბათ, შევძლებდი ყოველ ადგილას მთელი კვირა, თვე, წელიწადი დავრჩენილიყავ. მაგრამ ლუბას ეჩქარებოდა, ისე ეჩქარებოდა კინოვარსკვლავობა, რომ წუთის დაკარგვაც არ სურდა. „მის აღმატებულებას“ არაფერი მოსწონდა — ხან სიცხეს უჩიოდა, ხან სიცივეს, ხან ხალხი აწუხებდა, ხან უხალხობა. ანა ფეოდოროვნა სულ ქვითინებდა — დეტროიტი რატომ დავტოვეთო, ყველაფერი უვარდებოდა ხელიდან. შევისვენებდით, რაღაც რჩებოდა — ხან კბილები, ხან ჭიქის ჩასადგამი, ხან ყურთბალიში.

— ძალიან, ძალიან მიკვირს, ანა ფეოდოროვნა, პეტროგრადიდან დეტროიტამდე როგორ ჩამოხვედით, ვინმე ტომრით ჩა-

მოგიყვანდათ, ისე ვერ მოაღწევდით, — ვუთხარი ერთხელ, როცა კანტონიდან პიორიაში დავბრუნდით, სადაც ტურისტთა ოთახში ანას ხატი დარჩა.

მარტო არტაშას აღმოაჩნდა საიმისო ჭკუა, რომ ფანჯარაში გაეყო თავი და ეთვალიერებინა ამერიკა, რომელიც ღვთის ნახელავ ხალიჩასავით იყო გადაშლილი.

გადავჭერით ილინოისი. სულ ტყეებსა და სამკალად შეღერებულ ყანებს შუა მივდიოდით. მისურის რომელიღაც მდინარისპირა ქალაქში ერთი „ამერიკული კერძი“ — შემწვარი ქათამი — გიახელით. ძალიან გემრიელი იყო, რადგან უჩანგლოდ და უთეფშოდ ვჭამდით. ცხელ-ცხელი ოქროსფერი ხმიადებიც დავაყოლეთ, თაფლ-კარაქ-წასმული. ისე დნებოდა პირში, რომ ყველა სხვა ქვეყანაში ნამცხვარს დაარქმევდნენ. ნებრასკა ძალიან მომეწონა. შებინდებისას ერთგან რძის საშოვნელად შევედით. ღრმად მოხუცებულმა ფერმერმა, რომელსაც მამაღმერთივით თეთრი და გრძელი წვერი ჰქონდა, ბოსელში შემიყვანა და სათითაოდ ჩამომითვალა ძროხების სახელები. შემდეგ თავისი დიდი, ჭრელი კომბაინი მიჩვენა და ისე მოუთათუნა გვერდზე ხელი, თითქოს საყვარელ ცხენს ეფერებაო. მერე მიამბო, როგორ მოდიოდა ფეხით ნებრასკისაკენ, როგორ ცხოვრობდა ალიზის ქოხში, რომლის კართანაც ბიზონის ჯოგები დაეხეტებოდა...

— სიხარულით ცას ვეწიე, როცა უღელი ხარი — დოლი და რეიჩელი მინდორში გავიყვანე და პირველი ბელტი გადავაბრუნე. მააშ! — მოხუცს ხმა ჩაუწყდა და თითქმის ჩურჩულით განაგრძო: — ვიცოდი, რომ ქვეყნის შექმნის დღიდან არც ერთი გუთანი არ შებმოდა ამ ყამირს.

რა თქმა უნდა, ბევრი რამ არ მომეწონა. განა ქვეყნად

არის სრულყოფილი მხარე? მაგრამ ნამდვილმა სიყვარულმა ნაკლოვანებებიც უნდა აიტანოს. ვხედავდი ღატაკთა დაბრეცილ ხუხულებს, რომლებსაც შიგნიდან ქაღალდის ნახევები ჰქონდა გაკრული, ვხედავდი ფერადკანიანებს, რომლებიც კინწისკვრით გაეგდოთ სუფრიდან. ეს სუფრა ცხოვრებას მხოლოდ ჩვენთვის — თეთრკანიანებისათვის გაეშალა. ვხედავდი ნაღვლიან ადამიანებს, რომლებიც მოთმინებით იცდიდნენ ფაბრიკებთან, ქარხნებთან, მაგრამ ისინი აღარავის სჭირდებოდა.

ეს ყველაფერი ადრე რომ მენახა, გული გამისკდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამერიკაში ვიმოგზაურე, დავმშვიდდი — ვნახე, რომ ყველაფერი ბლომად იყო. დოვლათი ყველას ეყოფოდა, ოღონდ სამართლიანად უნდა გაენაწილებინათ.

კარგა ხანს მშვიდობიანად ვიმგზავრეთ. ხიფათი მაშინ შეგვემთხვა, როცა კოლორადომდე ერთი დღის სავალიღა დაგვრჩა. „მისმა აღმატებულებამ“ მითხრა, საჭესთან მე დავჯდები და შენ ცოტას დაგასვენებო. ცოტა თვალი მივლულე და როცა გამოვფხიზლდი, მთავარ გზას ავცდენოდით და მდინარის ნაპირას შევჩერებულიყავით. მართალია, წყალი კოჭამდე ძლივს მისწვდებოდა კაცს, მაგრამ ხიდი არსად ჩანდა და მდინარეს ნაპირებიც ციცაბო ჰქონდა.

— ეს შემდეგნაირად მოხდა... — დაიწყო „მისმა აღმატებულებამ“

— მშვენივრად ვიცი, როგორც მოხდა, — შევაწყვეტინე მე, — რაც მოხდა, მოხდა. ერმაკ, შენი მანქანა უფრო მსუბუქია, ჩემსას გვერდზე გადავაყენებ, პირველად შენ ჩადი. თუ გახვედი, მეც გამოგყვები.

— რომ ჩავრჩე?

— შენ უფრო ადვილი ამოსაყვანი იქნები.

— არა, არა! შენ ამ გზით წადი, მე კი იმ გზით წავალ. (ერმაკი იმ ჯურის ხალხს ეკუთვნოდა, შავიაო, რომ ეტყვი და იმ წუთას პირში გეცემიან — არა, თეთრიაო!)... მე რომ ასე წავიდე...

— ფილოსოფოსობის დრო აღარ არის, საცაა ბინდი ჩამოწვება. შენ თუ არ გინდა წასვლა, მე ვერ დავრჩები, — ვუთხარი და დავიძარი. რა თქმა უნდა, შუა მდინარეში გავიჩხირე. თვლები ლამში ჩაეფლო. ვიძირებოდი.

— ჩემი ავეჯი, მიშველეთ! — აყვირდა ნაპირზე მდგომი ანა და ხელები თავში წაიშინა, — გადაარჩინეთ, ვიღუპები!

საბარგო მანქანა კიდევ ერთი გოჯით ჩაჯდა ლამში.

— ნუ გეშინიათ ანა ფეოდოროვნა! — გადმოვედი, მანქანის ქვეშ შევიხედე და ლამის თითები დავიკვნიტე სიბრაზისაგან, — ნუ სწუხარ, ცოტა მაცალე და ჩინეთამდე მიგიყვან, მერე თუ გინდა, ვლადივოსტოკში წადით მაგ ავეჯიანად.

ერთი ღრიანცელი ატყდა. ყველა დავესიეთ და ნივთები ნაპირზე გადავიტანეთ. მანქანა უკვე აღარ ეფლობოდა ლამში, მაგრამ ადგილიდან მაინც ვერ დავძარი. მერე მდინარეს დავყევი ნაპირ-ნაპირ, — იქნებ სადმე ფიცრები ვიპოვნო-მეთქი. მოშორებით რამდენიმე ცხენოსანი და ფორნები დავინახე. უკან ისეთი მტვერი მოსდევდა, აშკარა იყო, ცხვრის ფარას მოერეკებოდა. იმათკენ გავეშურე:

— ხელი შემაშველეთ, ბიჭებო, მანქანა ჩამეფლო ლამში.

ეტყობოდა, ვერ გამიგეს. ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს: ჰოუ, ჰოუ, ბოუ. მერე ცხენოსნებს ერთი ახალგაზრდა მხედარი გამოეყო, მომიახლოვდა და ინგლისურად მკითხა, რა გინდაო.

— ერთი გამაგებინეთ, რა რჯულის ხალხი ხართ, — ვკითხე მე, — ტალახში ჩავეფალი, იქნებ მიშველოთ!

— ნავაჰოები ვართ. მოიცა, ვიკითხავ და თუ დახმარება შეგვიძლია, გეტყვი.

— ნავა ჰუ?

— ნავაჰო, ინდიელები.

— სასიამოვნოა, ბევრი რამ გამიგია თქვენს ბიჭებზე, მაგრამ, როგორ ვიფიქრებდი, რომ ბედი გამიღიმებდა და გნახავდით.

ცხენოსანი უკან გაბრუნდა და ერთ მოხუცს გამოელაპარაკა. ამასობაში ჩემიანებს ვუთხარი, — ეგენი ინდიელები არიან-მეთქი.

ანამ ჩაიჩოქა, პირჯვარი გადაიწერა და ლოცვა დაიწყო. „მისი აღმატებულება“, რომელიც ტახტზე იყო წამოწოლილი და ისვენებდა, წამოხტა, მაშები, ჯოხები და ცეცხლის საჩხრეკები მიყარ-მოყარა და აღრიალდა: ხმალი სად არის, ჩემი ხმალი, ჩემი ხმალიო. ნამდვილი გიჟი გეგონებოდათ.

ერმაკმა სამზარეულოს მაგიდა ააყირავა, ზედ სკამები ახორხლა და მათ უკან ჩაცუცქდა.

— ნუ გეშინია, — უთხრა მან მადამ გრეშკინას, — სანამ მოვკვდებოდე, შევეცდები შენ და ლუბა დაგხოცოთ, მაგრამ თუ უფალი სხვანაირად ინებებს, აი... — მან მაგიდის უჯრიდან ყასბის დანა ამოიღო, — აი, ეს გამოიყენეთ, თორემ ცოცხლად ჩაგიგდებენ ხელში.

— ხმა ჩაიწყვიტე, — უყვირა ლუბამ, სარკე კამოდის უჯრაში ჩააგდო, ხელით კულულები შეისწორა, სახეზე პუდრი გადაისვა და ძმას ხელი ჩაავლო ხელში, — წამოდი, არტაშ, ინდიელებთან უნდა წაგიყვანო.

— მე თვითონ წამოვალ, ხელი გამიშვი, — უთხრა არტაშამ. ამასობაში ინგლისურის მცოდნე ინდიელი უკან მობრუნდა.

— ოლ რაიტ, — დამიყვირა მან და ამხანაგებს ხელი დაუქნია. ისინი მოგვიახლოვდნენ და ცხენებით და ფორნებით წყალში შევიდნენ.

— ჰი, ია! ჰი, — დაიძახა ერთმა.

— ჰი, — შესძახა ყველამ ერთად. ერთი, ორი, სამი, და საბარგო მანქანა ნაპირზე აათრიეს. შემდეგ მეორე მანქანაც გადმოიტანეს.

— მგონი, ერთი სოფლის ხალხი უნდა იყოთ? — ვუთხარი ახალგაზრდა ინდიელს, როცა ყველაფერი მოთავდა. — თქვენი უფროსის ნახვა მინდა, — შეიძლება? — მან მოხუც ინდიელთან მიმიყვანა, რომელმაც ოუ, ოუ, ოუ შემომძახა. მე არ ვიცოდი ეს რას ნიშნავდა, მაგრამ ზრდილობის გულისათვის იგივე გავიმეორე. ცოტა ხანს უხმოდ ვისხედით. ერთმანეთს ვათვალიერებდით და ვაფასებდით, ბოლოს იმ ახალგაზრდა ინდიელს ვკითხე, გასამრჯელო რამდენი მოგცეთ-მეთქი. მათ ცოტა ხანს ერთმანეთში ილაპარაკეს და ბოლოს მითხრეს, არც რამდენიო.

ამ პასუხს თავიდანვე მოველოდი და როცა მათკენ მივდიოდი, წინასწარ მოვამზადე ხუთდოლარიანი ქაღალდის ფული. გასამრჯელოს რომ არა ჰგვანებოდა, ფული ჩემს ლამაზ წითელ ცხვირსახოცში გავხვიე და მოხუც ინდიელს მივართვი. მან გულდაგულ დაათვალიერა ფულიცა და ცხვირსახოციც, მერე რაღაც თქვა თავის ენაზე. სულ მალე ვიღაც ინდიელმა მშვენიერი ქამარი მომიტანა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემი ნაცნობი ინდიელი მოვიდა და ხუთდოლარიანი ოქროს ფული გამომიწოდა. ეს, როგორც ჩანს, ნიშნავდა, რომ ჩვენ უკვე მეგობრები

ვიყავით. იმ ახალგაზრდა ინდიელს ვთხოვე, იქნებ ცხვარი მომ-ყიდოთ-მეთქი. ინდიელებმა მოითათბირეს და ცხვარი მომიყვა-ნეს.

— ახლა ყველანი უნდა დამეწვიოთ, — ვუთხარი ინდიე-ლებს, — ჩვენებურად უნდა შევწვა.

ცხვარი დავკალი, გავატყავე და გავასუფთავე. შემდეგ შამ-ფურები გავთალე და მწვადები შევწვი. ცეცხლი არტაშამ და ორმა ინდიელმა დამინთო. ინდიელები უცნაური ხალხი გამოდ-გა. როგორც კი ჩემებურად დავუტრიალდი ცხვარს, მათ მეო-რე ცხვარი დაკლეს და შეწვეს, ოღონდ სხვანაირად. ორ საათ-საც არ გაევლო, რომ ყველაფერი მზად იყო.

მე ჩემიანები მოვიწვიე, მაგრამ წამოსვლა არავინ ინება.

— რა თქმა უნდა, არ წამოვალთ, — თქვა ანამ, — ბავშვებს რამე შეაღოღდება, აბა შეხედე, რა აცვიათ ტანზე?

— არა, არა! — „მის აღმატებულებას“ ხმალი ეპოვა და წელზე შემოერტყა, — მე და ერმაკი ყარაულად დავრჩებით. ამას ისევ შენ დასაცავად ვაკეთებთ, გიორგი ივანიჩ, მათ ყო-ველ წამს შეუძლიათ მოგიტრიალდნენ.

ლუბამ არც კი მიპასუხა. იგი იმ კატასავით გაბუტულიყო, რომელსაც კუდზე ფეხი დააბიჯეს. ასე რომ არტაშაღა შემრჩა. მე მოხუცი ინდიელით დავიწყე და ყველას სათითაოდ ჩამოვუ-რიგე შიშხინა მწვადები (ოცი თუ ოცდახუთი კაცი იყო). ვცდი-ლობდი უფროს-უმცროსობა დამეცვა. არ ვიცი, მოეწონათ თუ არა. ეს კი იყო, რომ დიდი შეძახილებით მიირთმევდნენ. როცა ჭამა დავამთავრეთ, ჩემი ახალგაზრდა თარჯიმანი მომიახლოვდა და მითხრა:

— პაპაჩემს მოეწონა ცხვრის დაკვლის, გატყავებისა და შეწვის თქვენებური წესი. მას სურს გაიგოს, რომელი ტომი-

დან მოსულხარ, რამდენი ცხვარი გყავთ და ნადირობის საქმე როგორ მიდის.

— მე ქართველი ვარ, ქვეყნის მეორე კიდიდან, ჩვენს სოფელში, როგორც ვიცი, ბოლოს ორასამდე ცხვარი იყო. თუ წესიერად ვინადირებთ, ნადირი ყველას ჰყოფნის.

ახალგაზრდა ინდიელმა რაღაც ქვისაგან გამოთლილი ნივთი მომცა. მე კი საჩუქრად ჯიბის დანა ვიეცი. საცობის ამოსაღებიც ჰქონდა ზედ. სხვა ვერაფერი მოვახელე ჯიბეში. მერე ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, და ინდიელები წავიდნენ.

— მგონი, მსოფლიოში არ მოინახება მაგათზე ბინძური და შესაზარი ხალხი, პირდაპირ ჰყარან, — თქვა ანამ, როცა ბარგი მანქანას დავუდეთ და წასასვლელად მოვემზადეთ.

— საშინელი შესახედავებიც არიან, — დაუმატა ლუბამ,— შემაძრწუნებელი.

— ველური ხალხია, — ბრძანა „მისმა აღმატებულებამ“ და ხმალი ქოლგის ხალთაში ჩადო, — ველურები! აბა როგორები გინდა იყვნენ, მოუშინაურებელი ველურები არიან.

— ახი კი იქნებოდა. ყველა დაეტოვებინეთ შუა მდინარეში, — გავბრაზდი მე. — ისე კი, მე თუ მკითხავთ, მაგ ველურებმა იციან, როგორ უნდა იქცეოდეს კაცური კაცი და ასეც მოიქცნენ!

აი, კალიფორნია

ლამში ჩაფლობა მაინცდამაინც არ მოუხდა ჩემს მანქანას. მაგრამ. როგორც იყო კელაობით გავიარე კოლორადო და არიზონაში შევედი. ძალიან ვცდილობდი მსუბუქ მანქანას არ ჩა-

მოვრჩენოდი, მაგრამ საბურავები მაჭირვებდა საქმეს — ძველი გაქვავებული რეზინი წამდაუწუმ სკდებოდა და იძულებული ვხდებოდი გავჩერებულიყავი და შემეკეთებინა. ისე ხშირად ვისვენებდით, რომ დავიღალეთ. ბოლოს გადაწყვიტეს, დაწინაურებულიყვნენ. შეხვედრა კალიფორნიაში დავთქვით.

მოგზაურობის დაწყებისას თითოეულმა 30 — 30 დოლარი დაედეთ. ამ ფულს ანა განაგებდა. მას უნდა გადაეხადა ბენზინის, ღამის გათევის, საჭმლისა და ღია ბარათების ფული.

ახლა, რაკი ვიყრებოდით, ფულიც უნდა გაგვეყო. ანამ ქისა გახსნა და წარმოიდგინეთ, ჩვენზე უფრო თვითონ გაოცდა, როცა შიგ მხოლოდ 8 დოლარი და 75 ცენტიღა ნახა.

— ღმერთო დიდებულო, — წამოიძახა ერმაკმა, — დანარჩენი სად გაქრა?

პასუხის მოლოდინში სმენად ვიქეცით.

ანამ ყველაფერი გადაქექა, ქისა დაფერთხა, ბანქოს ყუთი ამოაცარიელა, სათითაოდ გადაფურცლა ქაღალდები.

— ვიცი, მივხვდი, სადაც გაქრა. მე გავფლანგე, მე ქურდი ვარ, — თქვა ანა ფეოდოროვნამ ბოლოს და აქვითინდა.

— გაჩუმდი, — ვუთხარი მე, — ტირილი რაღას გვიშველის. მოდი, ჯიბეები ამოვიფხიკოთ და გავიგოთ რამდენი გვაქვს.

პირველად ერმაკმა ამოაბრუნა თავისი ცარიელი ჯიბეები. არტაშას 3 დოლარი ჰქონდა, რომელსაც კარგა ხანია ინახავდა ავტომობილის საყიდლად. მადამ გრეშკინამ გვთხოვა, თუ არ შეწუხდებით, მანქანიდან გადაბრძანდითო. ჩვენც გადავედით. მან ფანჯრის ფარდები ჩამოუშვა. ათიოდე წუთს გზაზე ვიდექით და ვუცდიდით. ბოლოს მადამ გრეშკინამ ხმაურით ასწია ფარდები და ქაღალდის ხუთდოლარიანი გადმოგვაწოდა. „მისმა აღმატებულებამ“ ერთი დოლარი და ოცდახუთი ცენტი

დაგვიმატა. მგონი, ლუბასაც ჰქონდა ფული, მაგრამ გაიტრუნა. ყველა რომ შევკრიბე და ჩემი თხუთმეტი დოლარი დავუმატე, ზუსტად ოცდაცამეტი გამოვიდა. კალიფორნიამდე კი ჯერ ექვსასი მილი გვიკლდა. კარგა ხნის თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს, ოცდახუთი დოლარი წაეღოთ და მსუბუქი მანქანით მისულიყვნენ ჰოლივუდში. დანარჩენი რვა დოლარი მე დამიტოვეს და დამავალეს, როგორმე იუმამდე მიაღწიეო.

— იქ მოიცდი და ფოსტას ხშირ-ხშირად მიაკითხავ. ორიოდე დღეში ფულს გამოგიგზავნით, რომ დარჩენილი გზის გამოვლა შესძლო, — მითხრა „მისმა აღმატებულებამ“.

— ფულს როგორ იშოვით?

— ერთი ნათესავი მყავს, ჩემი უფროსი დის შვილი. ციმბირიდან ლოს-ანჟელოსში წამოვიდა. ის მასესხებს.

— იცით, სადა ცხოვრობს?

— რასაკვირველია, ის ხომ ჩემი დის შვილია.

— ერთსაც ვიტყვი და მერე დავმუნჯდები, — ვთქვი მე,— მოდი, უახლოეს ქალაქამდე მივაღწიოთ, საბარგო მანქანა და ავეჯი გავყიდოთ და ერთად წავიდეთ კალიფორნიაში. რაღაცას ხომ მოგვცემენ ამათში.

ანა კვლავ ცრემლად დაიღვარა. რაღას ვიზამდი, განა სველ ბამბასთან შეიძლება ლაპარაკი.

— ოლ რაიტ, — ვუთხარი მე, — თქვენი ნებაა!

მათ ჩემოდნები წაიღეს და წავიდნენ. — აუცილებლად მიაკითხე ხოლმე ფულს იუმის მთავარ ფოსტაში, — გადმომძახა „მისმა აღმატებულებამ“ მანქანიდან!

განვაგრძე გზა. ჩავუარე ჯილა ბენდს და სენტინელს. თუმცა ფული ცოტა მქონდა, და ჩილიური ლობიოთი და სოდიანი

ბისკვიტებით ვიბრუნებდი სულს, ასეთი მოგზაურობა მაინც ძალიან მომწონდა.

დაბინდებისას მანქანის გვერდით ვბინავდებოდი და საჭმელს ვიმზადებდი. ხანდახან გვერდით ჩავლილ ხალხს გამოველაპარაკებოდი ხოლმე — მოღუშულ, სევდიან ადამიანებს. მათ კუბინვით ადგათ ზურგზე დახვეული საბნები. მე ასეთი ცხოვრება ხელს არ მომცემს-მეთქი, — გადავწყვიტე, როცა ეს ხალხი გავიცანი. მიდიოდნენ და თვითონაც არ იცოდნენ, საით... (თუ არავის მამა, ქმარი, ძმა, მეზობელი ან მეგობარი არა ხარ, რაღა კაცი გქვია?)

შემდეგ ღამე ჩამოწვებოდა, უდაბნოს ფერები ერთმანეთს შეერწყმოდა და ბოლოს ყველაფერი ჩამუქდებოდა ხოლმე. მხოლოდ ხანდახან თუ გააპობდა წყვდიადს შორეული ქოხის ფანჯრიდან გამომკრთალი ეული სხივი.

ყველაზე უფრო რკინიგზის გვერდით დგომა მიყვარდა. მთელი ღამე შემეძლო ვმდგარიყავი და მემზირა გვერდით ჩაქროლილ მატარებლებისათვის. ისინი მაქვასავით დასრიალებდნენ წინ და უკან და მთელ ამერიკას ქსელავდნენ. გასაკვირი არაა, რომ ამ მატარებლებმა შემოუნახეს ამერიკას ლამაზი სახელები. ისინი საბარგო ვაგონებზე ეწერა: ეჩისონი, თოპეკა და სანტა ფე, დელავერ ლაკავანა და რუტ ოვ როკეტსი. დეტროიტი და მაკინაკი, ჰასტიგი. მენსფილდი და ნაკოგდოში, ბლეკ დაიამონდი და ნიკლ პლეიტი.

თანდათან ვუახლოვდებოდი იუმას. ათიოდე მილიღა დამრჩა. უკვე გახარებული ვფიქრობდი, ყოველივე კეთილად დამთავრდა-მეთქი, რომ მანქანას უკანა საბურავი მოძვრა და ქვიშაზე მახრჩობელა გველივით დაიწყო კლაკვნა.

დავხედე თუ არა, მივხვდი, რომ აღარაფერი ეშველებოდა.

დავჯექი და სამხრობამდე ვიცადე—იქნებ ვინმემ ჩამოიაროს და ქალაქში წამიყვანოს-მეთქი, მაგრამ ერთი მანქანაც კი არ გამოჩნდა. შემდეგ ვცადე უსაბურავოდ წავსულიყავი. ერთი მილის შემდეგ ფერსოც მოვარდა.

რაღა გაეწყობოდა. მანქანა გზის ნაპირას დავაყენე და ბედს შევურიგდი. შევატყე, რომ ცოტა ხანს აქ უნდა დამედო ბინა. მეორე დღეს მოვახერხე იუმაში მისვლა. წერილი არ დამხვდა. ხარახურის საწყობებს ჩამოვუარე და ერთგან ფორდის ცოტათი ნახმარ ბორბალს მივაგენი, მაგრამ 10 დოლარს აფასებდნენ, მე კი მხოლოდ ოთხნახევარი მქონდა. შუადღისას ფოსტას მივაკითხე — კვლავ არაფერი იყო ჩემს სახელზე.

მანქანასთან დავბრუნდი. მეორე დღესაც მივაკითხე წერილს — ჯერ არ მოსულაო, მითხრეს. ასე გავიდა თითქმის მთელი კვირა. დღეში ერთხელ მაინც მივდიოდი ქალაქში და ხელისგულივით შევისწავლე მთელი გზა, ბუჩქები, ძროხის ჩონჩხები, კონსერვის ცარიელი ქილები და რკინის ნამსხვრევები.

ერთ დილას, როცა ფოსტაში მივედი, თანამშრომელმა მითხრა, — შენი წერილი მოვიდაო (ეს თანამშრომელი უკვე კარგად მიცნობდა). მაგრამ წერილი კი არა, ღია ბარათი იყო. ცალ მხარეზე პალმის ხეები ეხატა და ქვეშ წარწერა ჰქონდა „მთავარი ქუჩის აღმოსავლეთი მხარე“. ნეტა რაში მენაღვლებოდა, რომელი მხარე იყო. ბარათი გადმოვატრიალე და „მისი აღმატებულების“ ხელი ვიცანი: „მშვიდობით ვიმგზავრეთ. მადლობა უფალ! აქ კარგი ამინდებია. ორჯერ პლაჟზედაც ვიყავით. არტაშამ თევზეულობის ბაზარში კინოვარსკვლავი ნახა... კიდევ ორიოდე სტრიქონი, მისამართი. სულ ქვევით P. S. ჩემს დის შვილს ჯერ კიდევ ვერ მივაგენი, მაგრამ არ იდარდო, ვეძებ“.

ფოსტის კიბეები ჩავიარე, ჩამოვჯექი და ფიქრებში ჩავიძირე. ბოლოს გადავწყვიტე, როგორ მოვქცეულიყავი. ავდექი და კვლავ ხარახურის საწყობს მივადექი — ოთხ დოლარად არ მომცემთ იმ ფორდის ბორბალს? დანარჩენს მერე გამოგიგზავნით-მეთქი.

— არა.

— ოთხი დოლარი და ფოტოაპარატი?

— არა.

— ოთხი დოლარი ნაღდად, ჩემი ფოტოაპარატი და მანჟეტის საკინძები?

— არა.

— მგონი, მეც რომ დავემატო, მაინც არაფერი გამოვა, — ვუთხარი გამყიდველს და გამოვედი.

— აი, ეს რა ღირს? ვიკითხე, როცა ჭიშკართან მივედი.

ბალახებში ნეშის ძველი ბორბალი ეგდო, მაგრამ მე უცებ ერთი კარგი აზრი დამებადა.

— ერთი დოლარი, ოღონდ მალე მომწყდი თავიდან.

ფული გადავიხადე და წავედი. ბორბალს ხელით მივაგორებდი. დაახლოებით ერთი მილი რომ გავიარე, ქალაქიდან მომავალი მანქანა წამომეწია. ახალგაზრდა მძღოლმა მანქანა გააჩერა და კაბინაში ჩამისვა. მას სიტყვა არ დაუძრავს და მეც არ ამომიღია ხმა, სანამ გზის საქცევს არ მივუახლოვდით. აქ კი ვთხოვე: ცოტა ხანს შევჩერდეთ, აი, ის ძველი აკუმულატორი უნდა ავიღო, გზაზე, რომ გდია-მეთქი.

— ჯართის შემგროვებელი ხარ? — მკითხა მძღოლმა, როცა მანქანა შეაჩერა.

— არა, მანქანა გამიფუჭდა, ფორდი. ბორბალი მოძვრა და აი, ეს უნდა დავუყენო.

მძღოლი მოტრიალდა, ბორბალს შეხედა და თქვა:

— ეგ ხომ ნეშისაა. ვიღაცას მასხრად აუგდიხარ:

— ვიცი, რომ ნეშისაა, მაგრამ მინდა, როგორმე გამოვიყენო.

— არ მოერგება.

— მოვარგებ.

— ვერ მოარგებ.

— ვსინჯავ მაინც. — უცებ გამახსენდა, რასაც ამერიკელებზე ამბობდნენ. ვიფიქრე, აი, ახლა კი ნამდვილად ჩავაღწევ კალიფორნიამდე-მეთქი და მტკიცედ ვუთხარი:

— უეჭველად მოვარგებ. დარწმუნებული ვარ. მოვახერხებ. თუ გინდა, ოც დოლარზე დაგენიძლავები, რომ ჩემი მანქანა ივლის.

ამასობაში უკვე მანქანასთან მივსულიყავით. ავეჯი გადმოტვირთული იყო. ცალ მხარეზე მანქანას მორი ჰქონდა შეყენებული. მძღოლი გადმოვიდა და გულდასმით დაათვალიერა ყველაფერი — ოც დოლარს ვდებ, რომ არ წავაო, — თქვა ბოლოს, მანქანის საფეხურზე ჩამოჯდა და ცქერა დამიწყო, აბა, რას გააკეთებსო. მე ფიჩხები და ქაღალდის ნაგლეჯები მოვაგროვე, თუნუქის დაბრეცილ ნაჭერზე დავყარე და ცეცხლი მოვუკიდე. როცა კარგად აგიზგიზდა, შიგ აკუმულატორი ჩავაგდე. შემდეგ დომკრატით ცოტათი ავწიე მანქანა და ბორბალი მოვხსენი. მერე ნეშის ბორბალი მოვაზომე — ფომფლოდ მოდიოდა. ამასობაში მძღოლი ისე დაინტერესდა, რომ ფიჩხი მოაგროვა და ცეცხლს შეუკეთა. ბოლოს აკუმულატორის ტყვია გადნა და თუნუქზე დაგროვდა. მე სწორედ დამდნარი ტყვია მჭირდებოდა. ბორბალსა და ფერსოს შუა ჩავასხი და ღრიჭო ამოივსო. ეს ტყვია მივასწორ-მოვასწორე და შევალამაზე. შემდეგ თვალი

მანქანას დავუყენე და ასიოდე ფუტი გავიარე. საუცხოო რამ იყო, ოღონდ ჩემი მანქანა ომიდან დაბრუნებულს ჰგავდა — ცალი ფეხი დიდი ჰქონდა, ცალი პატარა.

— დიდი შებერტყილი ვინმე ყოფილხარ. — მითხრა მძღოლმა, — ჩემი თვალით რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი. ბედი გქონია, რომ ის ძველი აკუმულატორი გაგახსენდა.

— მართლა ბედი მქონია, რომ გამახსენდა, რასაც თქვენზე ამბობენ: „ამერიკელები ყველაფერზე მზად არიან ნიძლავი დადონო“.

მძღოლმა ქაღალდის ორი ათდოლარიანი გამოაძრო დასტას და მითხრა:

— მოიგე, მაგრამ ავტომობილებზე ამაოდ ფანტავ დროს. ჯობს, ცხენებზე სცადო შენი ხელოვნება.

ავეჯის დატვირთვის დროს სულ იმ კაცის ნათქვამზე ვფიქრობდი. რაღაც ხუმრობა რომ იყო, მივხვდი, რადგან ვიცოდი, ცხენს ვერავინ გამოუცვლიდა ფეხს. როცა ცხენი ფეხს მოიტეხავს. ტყვიას დაახლიან ხოლმე.

უკან, იუმაში დავბრუნდი. თან ოცი დოლარი ნაღდი ფული მქონდა. ფორდის ბორბალი ვიყიდე. მანქანას დავუყენე, ერთი ლაზათიანად ვივახშმე და უკვე მზად ვიყავ გასამგზავრებლად.

ასე განვაახლე მოგზაურობა. ფული ბევრი არა მქონდა, მაგრამ მსუბუქად ვქამდი და მეყო. ლოს-ანჟელოსამდე ბევრი აღარ დამრჩა, როცა დაღამდა, მაგრამ გადავწყვიტე აღარ გავჩერებულიყავ და შუაღამისას ქალაქში შევრახრახდი. მივედი იმ მისამართზე. „მისმა აღმატებულებამ“ რომ გამომიგზავნა, მაგრამ ჩვენები იქ აღარ ცხოვრობდნენ.

— ყველანი ჰოლივუდში გადასახლდნენ, — მითხრა დიასახლისმა და ახალი მისამართი მომცა.

აღარსად შევყოვნებულვარ. ათასნაირი მიხვეულ-მოხვეული, ოღროჩოღრო გზა გავიარე და, როგორც იყო, მივაგენი. ვრეკე და ვრეკე ზარი. ბოლოს, როგორც იქნა, გაიღვიძეს და ყველანი ფართხაფურთხით ჩამოცვივდნენ ქუჩაში. „მის აღმატებულებას“ წითელფუნჯიანი ღამის ქუდის მოხდაც ვერ მოეფიქრებინა.

აანთეს სანთელი. საუცხოო ოთახი დაექირავებინათ — რკინის მილებისაგან გაკეთებული სავარძლები, ლურჯტყავგადაკრული სკამები და მინის მაგიდები იდგა. ცნობილი პარიკმახერის სახელოსნოს ჰგავდა იქაურობა.

— ესეც ასე. აი, მეც აქა ვარ. მეგონა, ვერასოდეს მოვაღწევდი. მე ძალიან...

ამ დროს კიბეზე ლუბა ჩამობრძანდა. კაბა მიწაზე დასთრევდა. რაღაც ვარდისფერბეწვიანი მხეცის ტყავისაგან შეკერილ წამოსასხამში იყო გახვეული. ნეტა მანახა, როგორია ის ცხოველი, რომელსაც ეს ტყავი გააძვრეს.

— ახლა კი, — ვუთხარი ანას, — როცა ჩემი ამბავი დავამთავრე, — თქვენი წუხილი წარსულს ჩაბარდა: ახლავე გადმოვტვირთავ თქვენს ავეჯს, ოღონ მითხარით, სად დავაწყო?

— სად დავაწყოთ? — გაიკვირვა ლუბამ, — რაში გვეკითხება, სად დააწყობ იმ ხარახურას. ჩვენ უკვე შევიძინეთ ავეჯი. თუ გინდა, სანაგვეზე გადაყარე. — ლუბამ ბულდოგივით ასწია ცხვირი და მაუწყა — „მე ახლა კინოში ვმუშაობო“.

როგორ გაუიდა ჩანჩოდ ჩემი ცხვირი

ამ დროს ჰოლივუდში სამსახური სარჩევად არ იყო, მარტო კინოსტუდიებში თუ შეიძლებოდა ადგილის შოვნა. მე ლითონ-ჩამომსხმელ საამქროში მოვეწყე და თან კინოშიც ვთამაშობდი. მაგრამ, როცა კაზაკი დასჭირდებოდათ, მხოლოდ მაშინ დამიძახებდნენ ხოლმე. სხვა როლს ვერ ვეღირსე. ერთ დღეს, ჩინგიზ ხანის ურდოებს რომ ვსდევნიდი, თუ ვოლგელ მენავეს ვცემდი (ახლა კარგად აღარ მახსოვს, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს) მსახიობობაზე გული ავიყარე. — ვთქვი, ცხენის ჭენება და ჩოხისა და ბუხრის ქუდის ტარება თუ მინდოდა, ბარემ შინ, კობიანთკარში, დავრჩენილიყავ. მე სხვა რაღაცის საძებნელად ჩამოვედი ამერიკაში და სჯობს, ის ვიპოვო მეთქი.

აი, ეს იყო მიზეზი, რომ სან-ფრანცისკოში წავედი და სამუშაოს ძებნა დავიწყე. მესამე თუ მეოთხე დილას კარზე დამიკაკუნეს. ოთახში ძია ვანო შემოვარდა. იგი იქვე მახლობლად ცხოვრობდა.

— გაიღვიძე, გაიღვიძე, ბიჭო! — ძია ვანო აღმართზე ამავალი ორთქლმავალივით ქშინავდა და ჩქარობდა. — თერთმეტ საათზე კალისტოგაში უნდა ვიქნე. ბორისი უნდა გაფატრონ.

— ვინ უნდა გაფატროს?

— ექიმებმა. ჩემ ჩამოსვლამდე საუზმის ბიზნესი შენთვის მიჩუქნია.

— საუზმის? ისე მჭირდება ეგ საქმე, როგორც თხუნელას თვალები. მე ახლა ავტომობილების ზეთის გასაზომ ხელსაწყოს გამოგონებაზე ვაპირებ მუშაობას.

— არა, არა! — ძია ვანომ რამდენიმე გასაღები გამოაძრო

რგოლს, — შენ სავსებით გენდობი, არც გაგიჭირდება, ჩანჩო შენთან იქნება და ყველაფერში მოგეხმარება, ნახვამდის.

შუა კიბიდან უკან ამობრუნდა, კარში თავი შემოყო და მითხრა, შუადღემდე ათასი სენდვიჩი უნდა გაყიდოო.

ნეტა თუ დაბადებულა ჩემზე უბედური კაცი? თუ დაიბადა, ალბათ, მაშინვე მოკვდა .და ახლა აღარ დადის ქვეყანაზე.

ახლა მოგახსენებთ, რა იყო ამ ბიზნესის არსი: ძია ვანო გამზადებულ საუსმეს პაკეტში აწყობდა და იმას მიჰყიდდა ხოლმე, ვინც რესტორნიდან ძალიან შორს შუშაობდა ან ვისაც სამუშაოდან გამოსვლის საშუალება არა ჰქონდა, შუადღისას კი ჭამა უნდოდა.

რადგან ძია ვანო ჭკვიანურად ყიდულობდა პროდუქტებს, თითოეულ ვაშლს ხელს შეავლებდა — დამპალი ხომ არ არისო და ტკბილი საუბრით მეავე კიტრის ყოველ დუჟინზე თითო კიტრს ამატებინებდა, ყოველ შეფუთულ საუზმეზე 4 — 5 ცენტი მოგება რჩებოდა.

როცა ძია ვანო საუზმეს გაამზადებდა, ორი რუსი დამტარებელი მოდიოდა მანქანებით და ქარხნებში, გარაჟებში, მშენებლობებზე და ყველგან, სადაც კი გაყიდვა შეიძლებოდა, ჩამოატარებდნენ ხოლმე. ისინი ექვს-შვიდ ცენტს იგებდნენ თითოეულ პაკეტზე.

ძია ვანო ორგვარ სენდვიჩს ამზადებდა — ერთში ვაშლები, ღვეზელის ნაჭერი და მწნილი იდო, მეორეში კი მაგრად მოხარშული კვერცხი და ჩურეკ-ლუჰუმი (ხანდახან ჩურეკ-ლუჰუმის ნაცვლად შაქარყინულის ნატეხს ან მიწის თხილს სდებდა ხოლმე). ეს ყველაფერი 25 ცენტი ღირდა. ასე, რომ ყველა ბედნიერი იყო ჩემს გარდა — ამიერიდან სენდვიჩები მე უნდა

მეკეთებინა. ამაზე უფრო კი არაფერი მეჯავრებოდა ქვეყნად. მე თუ მკითხავთ, სენდვიჩი ვერაფერი შვილი საჭმელია.

როცა ძია ვანოს დუქანში შევედი, ჩანჩოს ღვეზელის ცარიელ უუთებზე ეძინა. სასთუმლად კი მაიონეზის უუთი ედო. ეს ჩანჩო ცოტა ჭკუამხიარული ახალგაზრდა გახლდათ. ძია ვანომ იგი ემბარკადეროზე [1] იპოვა. შიმშილისაგან მისავათებული იყო. არა მგონია, სცოდნოდა, ვინ იყო და ან საიდან მოვიდა. რაღა თქმა უნდა, ძია ვანოს მეტი არავინ მისცემდა სამუშაოს. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

— ჩანჩო, — დავუძახე და შევანჯღრიე, — მოდი, საქმეს შევუდგეთ. პირველად რას აკეთებდა ხოლმე ძია ჯონი?

ჩანჩო გამოფხიზლდა, ოთახს თვალი მოავლო და ბოლოს ჭერს უპასუხა:

— სენკვიშებს. თინუსის და ორაგულის სენკვიშებს.

— აბა, მოიტანე ორივეს კონსერვები.

— მარტო ერთნაირი კონსერვი გვინდა, — თქვა ჩანჩომ და ისე გაიღრიჭა, რომ კინაღამ ლაშები გაეხა. — ყველაფერი ამ კონსერვიდან გამოდის.

— ამიდან? შე საწყალო. მართლა ლენჩი ყოფილხარ. კარგი, გააკეთე (ჩანჩოსთან დავას ასე სჯობდა). კიდევ რას აკეთებდა?

— სააღდგომო კვერცხებს.

ახლა მკათათვე იდგა და მიეხვდი, რომ ჩანჩო მაგრად მოხარშულ კვერცხებს გულისხმობდა. თან ჩანჩოს ვადევნებდი თვალს. აბა. რას აკეთებს მეთქი. ჩანჩომ ქილა გახსნა, ორაგული ამოიღო და საუცხოოდ გაანაწილა — ერთ თეფშზე ძვლები.

---

[1] გემების მისადგომი ბაქანი.

კანი და შავი ხორცი დააწყო, ერთმანეთში აზილა და ორაგულის სალათა დაარქვა, მეორეზე თეთრი ხორცი დააბვავა და მაიონეზში ამოთითხნა.

— ესეც თინუსი. არ მოელოდი, განა? — თქვა ჩანჩომ და იალაღზე გაშვებული ცხენივით დაიჭიხვინა.

ოთახში ღვიძლით, ვირის ძეხვებით და სოსისებით დაზურგული მეხორცე შემოვიდა.

— დღეს ჩვენი დღეა. ქორფა შაშხს ვიღებთ ხოლმე, — ამიხსნა ჩანჩომ.

— რისთვის იყენებთ?

— ინდაურების სატენისათვის, — მიპასუხა ჩანჩომ და მართალიც გამოდგა. ჯერ შემწვარი ღორის ხორცის სენდვიჩები დავამზადეთ. რაც თხლად არ დაიჭრა, პილპილში და სანელებში ავურიეთ და ყარსული მწვადები შევწვით. ნარჩენები დავკეპეთ. ნიახურში ავურიეთ და ქათმის სალათა გამოვიდა.

აი, თურმე ასე ასულელებენ სენდვიჩის მოყვარულებს და მე თუ მკითხავთ, ახია მათზე.

გადიოდა დღეები. მე და ჩანჩო კარგად შევეწყეთ ერთმანეთს და საუცხოო სენდვიჩები გამოგვდიოდა ხოლმე. ისე დავოსტატდი, რომ პურის ნაჭრებს ბანქოსავით ვარიგებდი, ხორცს კოზირებივით ვარტყამდი, ერთი ხელის მოქნევით ვატყეპებდი კარაქს პურზე, მერე გადავკეცავდი და სენდვიჩი მზად იყო. მარტო ერთი რამ მაწუხებდა — მოგებას ვერა ვხედავდი.

ძალიან მრცხვენოდა. ძია ვანომ თავისი საქმე ჩამაბარა, სრული ნდობა გამომიცხადა. მე კი ვერ გავუმართლე, მოგება ვერ ვანახე. ბოლოს ჩემს საკუთარ დანაზოგს ოცი დოლარი მოვაკელი და გავუგზავნე.

ზარალში ჩანჩოს მიუძღოდა ბრალი. არა, ქურდი არ იყო. უფრო პატიოსანი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ დადიოდა, მაგრამ ყველაფერს იჯერებდა, რასაც ეუბნებოდნენ. ეს კი ფული ჯდებოდა.

ერთხელ კომივიაჟერმა რაღაც მოიტანა — მარილის მაგივრობასაც სწევს და ჯანსაც მატებს ადამიანსო,— თქვა. ჩანჩოს, ბუნებრივია, უნდოდა, რომ მუშტრები ჯანსაღად ჰყოლოდა და ორმოცდაათი გირვანქა აიღო. როცა დუქანში მივბრუნდი და ეს ამბავი გავიგე, გავცეცხლდი.

— ჩანჩო, მამაშენი და ბაბუაშენი უბრალო მარილითაც კმაყოფილდებოდნენ. ამას გარდა ნამდვილი მარილი დიდიდიდი იმის მეოთხედი ღირს, რაც შენ გადაიხადე.

ჩანჩო ისე შეწუხდა, რომ სამზარეულოში გავიდა და ვარდისფერ კრემიანი ტორტი გამომიცხო. ზედ აცა-ბაცა ასოებით ეწერა: „სალამი და დიდხანს სიცოცხლე გიორგი ივანიჩს“. აბა, რა გული მიზამდა, რომ არ შევრიგებოდი. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ჩანჩომ ორი ყუთი კოკტეილის საწრუპავი ღეროები იყიდა საუზმის პაკეტებში ჩასატანებლად. წითელი, ყვითელი, მეწამული და მწვანე. მუშტრებს გაახარებს უბრალო, თეთრებზე უფრო ეხენი მოეწონებათო, თქვა.

მე ფულის გადამალვა დავიწყე, მაგრამ ყველას რომ გავუსწორებდი ანგარიშს, დასამალი თითქმის აღარაფერი მრჩებოდა ხოლმე.

მთავარი იყო მუშტრები მოგვმატებოდა, ამიტომ ახლების მოსანახად ქალაქში გავედი. აქა-იქ ვიშოვე კიდეც რამდენიმე — რვა ბიჭი საკანალიზაციო არხის მთხრელებში, ათი გოგო სამრეცხაოში, თხუთმეტი კაცი მშენებლობაზე. ეროვნული არმიის სასროლეთზე ისე მოეწონათ სასინჯად მიტანილი საუზმე,

რომ მითხრეს ყოველ კვირას სამასი სენდვიჩი და ასორმოცდაათი რძე მოგვიტანეო.

მაგრამ ვერც ამან გვიშველა და ბოლოს იძულებული გავხდი, ძია ვანოსათვის სიმართლე მიმეწერა. მან წერილობითვე გვიპასუხა: „მე არ შემიძლია დაბრუნება, ბორისი ჯერ კიდევ სუსტადაა და ვერ მოვშორდები. კარგი იქნება, თუ ბიზნესს გაყიდით. ფასზე ნუ იჯანჯლებ. არ იდარდო, შვილო, სხვა ბიზნესს ყოველთვის ვიშოვი, ბორისისთანა მეგობარს — კი ვერა".

რუხულ გაზეთში განცხადება მოვათავსე, მაგრამ, ვის რად უნდოდა შენი ჩაფლავებული ბიზნესი. ორიოდე მყიდველი მოვიდა, მაგრამ ჩვენი ტექნიკური აღჭურვილობა რომ დაათვალიერეს, დაიჯღანნენ; რატომ ავტომატური ხორცის საკეპი არა გაქვთ, მაცივრიდან წყალი რათა წვეთავსო... ბოლოს ვიღაც მისის და მისტერ მარინოვებმა ხუთასი დოლარი შემოგვაძლიეს. მე იმ დროს ქალაქში ვიყავი სავაჭროდ, მაგრამ მხოლოდ საუზმის ნახევარი გავასაღე. დუქანში რომ მივბრუნდი, მაშინ გავიგე ჩანჩოსაგან ეს საშინელი ამბავი.

— კაცი და ქალი იყვნენ აქ. ხუთას დოლარს იძლეოდნენ, მაგრამ ძია ჯონს ამაზე მეტი ფული დასჭირდება საცხოვრებლად, ვიდრე ახალ ბიზნესს დაიწყებდეს, ამიტომ არ გამოვართვი.

— არ გამოართვი! — ვუღრიალე ჩანჩოს, — სამასი დოლარი რომ აგვეღო, მადლობელი ვიქნებოდი! სადა ცხოვრობენ?

ჩანჩომ არ იცოდა მათი ადგილსამყოფელი. ისე გავცოფდი, რომ კარის გამოკეტვა და გასაღების წყალში გადაგდება დავაპირე. მეორე დღეს გამიხარდა, თავი რომ შევიკავე — სრულიად მოულოდნელად მუშტრები მოგვემატა. ყველა ჩემგან ყი-

დულობდა, სხვა გამყიდველები შურით სკდებოდნენ (აქამდე მე მშურდა მათი).

მესამე დღეს კიდევ უფრო დამესივნენ, — სამი პაკეტი მომეცი, მებუფეტევ, — მითხრა ერთმა ახალგაზრდამ.

— ძალიან მადაზე კი მოსულხარ!

მან რაღაც სხვანაირად გაიცინა, შემდეგ მეორემ მითხრა, აბა, ერთი კარგი პაკეტი ამომირჩიეო.

— ყველა კარგია, ყველა სენდვიჩში ყველის ორმაგი ულუფაა მეთქი, — ვუთხარი.

მუშტარმა თვალი ჩამიკრა და მითხრა: — ვიცი, რომ ნამდვილად აგრეაო.

უკან დავბრუნდი, რომ კიდევ ორმოცდაათი პაკეტი წამეღო. ჩანჩო ვიღაც ქალსა და კაცს ესაუბრებოდა. თურმე ისინი იყვნენ, ხუთასი დოლარი რომ შემოგვაძლიეს ბიზნესში. მაგრამ საქმე უკვე კარგად მიდიოდა. იქნებ ჩანჩო მართალიც იყო, რომ არ დათანხმდა: ხუთასი დოლარი ჩვენს გაჭირვებას პირს არ მოწმენდდა. მათ კვლავ შემოგვთავაზეს ფული. არც ჰო ვუთხარი, არც არა. ავდექი და უკანა ოთახში გავედი, სადაც პროდუქტებს ვინახავდით. მინდოდა, სენდვიჩები დამემზადებინა.

— ვინ არის ეგ კაცი? — ჰკითხა იმ კაცმა ჩანჩოს.

— უფროსი.

— მართლა? — გაიცინა ქალმა, — საშინელი შესახედავია. ცხვირი თუთიყუშს მიუგავს.

— აბა, ახლა აქედან წადით, — თქვა ჩანჩომ, — საღამოსათვის პაკეტები უნდა მოვამზადო. მომშორდით.

საწყალი ჩანჩო. ხმაზე შევატყე, რომ ძალიან გაბრაზდა ჩემი შეურაცხყოფისათვის.

— ხუთას ორმოცდაათ დოლარს მოგცემ. — უთხრა კაცმა. — ორმოცდაათი შენ დაიტოვე.

— წადით აქედან!

მე საკუჭნაოდან გამოვედი.

— იცი რას გეტყვი? — მითხრა მისტერ მარინოვმა. — მოდი, ერთხელ გამოგყვები და ვნახავ, როგორი ვაჭრობა გაქვს, ხვალ დილას შეიძლება?

საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. ამასობაში ჩვენი ბიზნესი ისე გაიზარდა, რომ სასწრაფოდ დამჭირდა ფული დამატებითი პროდუქტების შესაძენად. ჩემი უკანასკნელი ორმოცდაათი დოლარი, გაჭირვების დღისათვის რომ ვინახავდი, ორიოდე დღის უკან ბანკიდან გამოვიტანე და დუქანში დავმალე და აი, გაჭირვებაც კარზე მომდგომოდა.

— ჩანჩო, ჩვენი საქმე ისე კარგად მიდის, რომ ხვალ ათასი საუზმით მეტი უნდა მოვამზადო. დღეს ძალიან ადრე გავიცალე ხელი.

სამალავთან მივედი ფულის ამოსაღებად, მაგრამ იგი ცარიელი აღმოჩნდა.

— ჩანჩო! ორმოცდაათი დოლარი ხომ არ ამოგიღია იატაკის ღრიჭოდან.

— კი, ამოვიღე, ორმოცდათერთმეტ-ნახევარი დოლარი იყო, — მიპასუხა ჩანჩომ და მხიარულად გაიღიმეა.

— მერე რა უქენი?

— საქმეში დავაბანდე.

— რაში გამოიყენე?

— ზოგი ამაში, ზოგი იმაში. დავატრიალე.

— გამაჯანსაღებელი მარილი, კოკტეილის საწრუპავები,

კიდევ რა? მეტი რა იყიდე? მიჩვენე. იქნებ გავყიდო. რაღაცას ხომ მომცემენ.

ვერა და ვერ ამოვგლიჯე სიმართლე პირიდან. თანხა საქმეში დააბანდა. რამდენი და რაში ვერ მითხრა. ჩანჩო თითებზე ითვლიდა, ბოლომდე მივიდოდა, მერე უკუღმიდან მოყვებოდა თვლას და კვლავ იმავე პასუხს მაძლევდა. თან ნაცემი ძაღლივით შემომცქეროდა თვალებში. ბოლოს, შემეცოდა და ვუთხარი, ეს ამბავი დავივიწყოთ-მეთქი.

რა უნდა მექნა. ღმერთმა ასეთი გააჩინა და რაღა ეშველებოდა. ქუჩაში გამოვედი სასეირნოდ, ეგებ ცოტა დავწყნარდე-მეთქი. დუქანში რომ დავრჩენილიყავ, ნამდვილად ვიფეთქებდი.

როცა დავბრუნდი, ვნახე, რომ ჩანჩოს რაღაცა მანქანებით ყველაფრის მომზადება მოეხერხებინა — თურმე ყასაბს დაღრეჯოდა და ხორცი და ოცდაათი დოლარი გამოერთმია.

მეორე დილას, ექვს საათზე, დამატებითი პაკეტები გამზადებული იყო და ის იყო უნდა წავსულიყავ, რომ ჩემი ბიზნესის მუშტარი — მისტერ მარინოვი მოვიდა და მითხრა: — გამოგყვებიო, — ძალიან კარგი, წამოდი-მეთქი, — ვუთხარი.

პირველსავე ალაყაფის კართან კინაღამ გადამქელა ხალხმა. მეორე ადგილას უკვე წინასწარ დაეყენებინათ რიგი და მიცდიდნენ.

— ასე როგორ გაითქვი სახელი? — მკითხა მისტერ მარინოვმა.

— მეც არ ვიცი. იქნებ იმიტომ, რომ არ ვძუნწობთ. თუმცა ამ საქმელებს ისეთი სახელები ჰქვია, რომლებიც მე მაინცდამაინც არ მომწონს, მაგრამ პატიოსნად ვვაჭრობთ და ეს, ალბათ, მუშტრებმაც შეგვატყეს.

— ოთხი პაკეტი, მებუფეტევ!

— ექვსი პაკეტი!

— მეც მომხედეთ.

— მე სამი ცალი გადამინახე! — გადმომძახა რიგის ბოლოდან ათისთავმა.

მისტერ მარინოვს ასეთი კარგი ბიზნესის დანახვაზე თვალები აუციმციმდა. მან მგელივით დააძიძგინა კბილები და ჩაილაპარაკა:

— კარგია! საუცხოოა! არ მოველოდი, ასე კარგად თუ მიდიოდა საქმე.

არც მე მოველოდი, მაგრამ მისტერ მარინოვს აღარ ვუთხარი. როცა დუქანში დავბრუნდით, ცოლი იქ უცდიდა. კუთხეში მიდგნენ და მოილაპარაკეს.

— ძალიან კარგი, — მითხრა მისტერ მარინოვმა ბოლოს,— რაც იყო იყო, დავივიწყოთ. რვაას დოლარ ნაღდ ფულს მოგცემ. — მან საფულე გახსნა და დოლარები აატკაცუნა.

განა თევზი ვიყავ, რომ ჭიით მოვეტყუებინე. — არა, ხელს არ გვაძლევს-მეთქი, — ვუთხარი.

საწყალი ჩანჩო ძალიან შეწუხებული იყო, ფული რომ გაფლანგა და ამ დღეში ჩამაგდო. თავისი დანაშაული რომ გამოესყიდა, ისე იქნევდა თავს, როგორც გზაჯვარედინზე მდგომი მეისრე აქნევს ხოლმე დროშას. მანიშნებდა — არა, არ გვინდაო.

— მაშ რამდენი გინდათ?

— უფრო მეტი.

— უფრო მეტი, — კვერი დამიკრა ჩანჩომ.

— ცხრაასი?

— ათასი დოლარი, ოღონდ ახლავე.

— ოღონდ ახლავე, — გაიმეორა ჩანჩომ, — აი, ამ წამსვე.

მაგრამ ამდენი ვერ გაბედეს და როცა მიხვდნენ, რომ არ დავუკლებდით, წავიდნენ.

ახლა ხილის საყიდლად უნდა წავსულიყავ. იმდენ საუზმეს ვამზადებდით, რომ საყიდლებზე უამრავი დრო გვეხარჯებოდა.

— ოღონდ იცოდე, სკამიდან არ ადგე და ძალიან გთხოვ, რაც არ უნდა კარგი აზრი მოგივიდეს თავში, ჩემ მოსვლამდე არ განახორციელო, — ვუთხარი ჩანჩოს, როცა დუქნიდან გავდიოდი.

ორი კალათა ვაშლი, ერთი კალათა ფორთოხალი, ცოტა ქლიავი ვიყიდე და ნახევარ საათსაც არ გაუვლია, რომ დუქანში ვიყავი. ჩანჩო ისევ იმ სკამზე იჯდა, ოღონდ მის წინ ფულის გროვა აღმართულიყო.

— ისინი უკან მოვიდნენ და ბიზნესი მივყიდე. ისე მივყიდე, რომ აქედან არ ავმდგარვარ. არც კი გავნძრეულვარ. ძია ჯონს გაეხარდება, კმაყოფილი დარჩება! — საწყალი ჩანჩო სიხარულით ხელებს იფშვნეტდა.

— იმედია გაეხარდება, მაგრამ ჯერ ეგ ფული დავთვალო! ათას ორასი დოლარია? ცას ეწევა სიხარულით. ეს ორასი დოლარი რაღაში დაგიმატეს?

— უკან მოვიდნენ და ათას დოლარს მაძლევდნენ, მაგრამ უარი ვუთხარი. — ათასი 12 საათზე იყო. გიორგიმ თქვა ათასი, ოღონდ ახლავეო. მაშინ თორმეტი საათი იყო. იმის მერე ფასი ათას ორას დოლარზე ავიდა-მეთქი.

— მერე?

— მერე ქალმა ყვირილი დამიწყო, კაცი მოიღუშა, მაგრამ მე არ ავდექი სკამიდან და ბოლოს მომცეს ათას ორასი დოლარი.

— ეს ორასი დოლარი რაში მოგცეს?

— შენ ცხვირში, გიორგი ივანეს ძევ. იმ ქალმა ხომ შეურაცხყოფა მიაყენა შენ ცხვირს.

— მადლობელი ვარ, ჩანჩო. მაგდენად მთელ სახეს ვერ გავყიდდი.

რამდენიმე საათის შემდეგ მისტერ მარინოვმა საქმე გადაიბარა. მე და ჩანჩო მაშინვე კალისტოგის მატარებელში ჩავსხედით. რაღა თქმა უნდა, ჩვენს დანახვაზე ძია ვანო ცას ეწია სიხარულით. ფული გადავეცი. სამი დღე ვჭამდით, ვსვამდით, ვმღეროდით და ვმხიარულობდით. საავადმყოფოდან ახალგამოწერილი ბორისიც ავიყოლიეთ. სახლი მთელი დღე ძია ვანოს მეგობრებით იყო სავსე. ყველამ გაიგო ჩვენი ამბავი და ყველას უნდოდა ენახა ის ცხვირი, რომელმაც ორასი დოლარი შეგვმატა.

— ახლა კი, — მითხრა ძია ვანომ, როცა ქეიფი და დროსტარება მოვათავეთ, — გადავწყვიტე ისეთი ადგილი შევიძინო, სადაც მინერალური წყლის აბაზანები იქნება. შენ ჩემი მოზიარე იქნები, ჩანჩო კი თანაშემწე. გინდა?

— არა, ძია, მე ცოტა ხანს კიდევ დავრჩები. მერე კი უნდა წავიდე. დრო არა მაქვს.

— კარგი, მაშინ შენ და ჩანჩომ რაიმე საჩუქარი იყიდეთ თქვენთვის, — გვითხრა ძია ვანომ და ორჯა-ორასი დოლარი მოგვცა.

მე ნაჭერი შევარჩიე და პირველად ჩემ სიცოცხლეში შევაკერინე თერძს კოსტუმი. მუქი ნაცრისფერი იყო, მხრები ახალ მოდაზე ჰქონდა, შარვალზე ნაოჭები დავაყრევინე, როცა ვიცვამდი, ყველას ამერიკის მკვიდრი ვეგონე. ძალიან კარგი რამ გახლდათ. პიჯაკს ახლაც ვატარებ.

ჩანჩომ კი... არა, მისი თვალიდან მოშორება არ შეიძლებოდა, ჩანჩომ ფული წაიღო და ისეთ რამეში გადაყარა, იმაზე უსარგებლოსა და გამოუყენებელს მთელი ქვეყანა რომ მოევლო, მაინც ვერ იშოვიდა. მან საფლავის ქვა იყიდა თავისთვის და ძალიან გახარებულიც იყო. იგი ხშირად ეპატიჟებოდა ხალხს, საფლავის ქვასთან მიიყვანდა და ეუბნებოდა ხოლმე. ნახეთ რა ლამაზად ვიქნები დასაფლავებულიო.

ცოტა კიდევ და, დავამთავრებ ამ ამბავს, ერთ ცხელ დღეს მე და ძია ვანო ახალშეძენილ მამულში ვისხედით ხის ქვეშ და ატამჩაჩრილ ცივ ღვინოს შევექცეოდით. ჩანჩოს იქვე გვერდით ეძინა.

— ეს მამული უკეთესი საქმეა, ძია, ვიდრე საუზმის გაყიდვა. ისე საფაციფუცო არაა ღა, რაც მთავარია, სენდვიჩები აღარა გაქვს დასამზადებელი, — ეუთხარი ძია ვანოს.

— მართალია. უნდა გამოგიტყდე, როცა სენდვიჩებს ვაკეთებდი, გული მეთანაღრებოდა ხოლმე. მრცხვენოდა. თავმომწონე კაცმა სენდვიჩს არც უნდა მოკიდოს ხელი. იცი, დღესაც ვერ მივმხვდარვარ, როგორ გამოსწორდა თქვენი ბიზნესი ასე უცებ. ამდენი წლის გამოცდილება მაქვს და ასეთი რამ არასდროს გამიგია.

ჩანჩომ გაიღვიძა და „ახლა ღვინოს დავლევო“, წაიბურტყუნა. ძიამ ჭიქა გაუვსო.

— მეც ვერაფერს მივხვდი. ერთ დღეს, სამასი საუზმე გავყიდე, მეორე დღეს ათასი, მესამე დღეს სამი ათასი. მიზეზი?!

— მიზეზი ის ფულია, საქმეში რომ დავაბანდე, — თქვა ჩანჩომ.

— აბა, ამიხსენი, ჩანჩო, — თხოვა ძია ვანომ, — მარტივად მითხარი.

— მე ის ფული, იატაკის ღრიჭოში რომ ვიპოვე, ავიღე და თითო-თითო დოლარიანებად დავახურდავე. მააშ! მერე ქვედა სენკვიშში ვდებდი თითოს. ყოველ მეათე პაკეტში. ხალხი ამიტომ ამჯობინებდა ჩვენი საუზმის ყიდვას. ალბათ უხაროდათ, როცა იპოვნიდნენ.

ფერადი საწრუპავები. გამაჯანსაღებელი მარილი, საფლავის ქვა, დოლარები სენდვიჩებში — არა, ნამდვილად შტერი იყო ეს საცოდავი.

ჯარისკაცობა

ერთ დღეს, როცა ჯერ კიდევ კალისტოგაში ვცხოვრობდი, სამზარეულოში შევედი რაღაც საქმეზე. ჩანჩო იარაღის სახელმძღვანელოს ათვალიერებდა და ხელში თოფივით ჰქონდა მომარჯვებული ფრანგული ფუნთუშა. ძია ვანო სკამზე იჯდა და მოღუშული მისჩერებოდა ჩანჩოს.

— ბიჭო, ჩანჩომ მითხრა, გიორგი ჯარში ჩაეწერაო. თუ მართალია, მეტ საუზმეს გაჰყიდი. ეს ძალიან კარგი საქმე იქნება.

— ნამდვილ ჯარში კი არა ვარ, რაღაც ჯარის მაგვარია — ეროვნული გვარდია ჰქვია, მაგრამ განა საუზმის გასაყიდად ჩაეწერე. ეს ამბავი სულ სხვანაირად მოხდა: ჯარისკაცები ყოველ კვირა დღეს სამას საუზმეს და რძეს მისაღებდნენ. აქედან აღებული ფული ძალიან მშველოდა. ჯარისკაცად შემდეგ

ჩამწერეს. ახლა რაკი შეერთებული შტატების ჯარისკაცი ვარ, მისი ფორმა მაცვია და მის იარაღს ვატარებ, როგორღა უნდა მივუიდო ჩემს ქვეყანას სენდვიჩები? როგორღა უნდა გამოვრჩე ფულს?

— თუკი მართლა შენი ნება-სურვილით შეხვედი, — მითხრა ძიამ, — მაშინ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ეს იმას ემგვანება, მშობლებს რომ გამორჩე რამეს.

— ჰოდა, ამიტომ თავის ფასად ვყიდი.

— კი მაგრამ, რატომ ჩაეწერე. ექვსი წელი ჯოჯოხეთში იყავი, — მეფის არმიაში-და არ გეყო?

— არ იცი, რა ემართება კავალერიის ბებერ ცხენს ჯარის დაფდაფების ხმაზე? მეც ისე დამემართა: ყოველ კვირას დამქონდა საუზმე სასროლეთზე. მეოთხე კვირას რომ მივედი, იცი რაა აკეთებდნენ? ჩემ ბოთლებს ესროდნენ ტყვიას.

— მომხედეთ, ბიჭებო, — ვუთხარი ჯარისკაცებს, — ეგ ბოთლები ფული მიღირს — თითო სამი ცენტი. აგრე ხომ გავკოტრდები!

— რას ამბობს, — გაიკვირვა ლეიტენანტმა, 23 — 24 წლის სასიამოვნო შესახედაობის ახალგაზრდამ, — ძალიან ვწუხვარ, ეგ სულ გამოგვრჩა მხედველობიდან.

— მომისმინეთ, ბიჭებო, — ლეიტენანტმა ყველას ერთად მოუყარა თავი, — მე ქუდს ჩამოვატარებ, ფულით გავავსოთ და მერე განვაგრძოთ სროლა. ფულს გამარჯვებული აიღებს, მებუფეტეს ანგარიშს გაუსწორებს და დანარჩენს თვითონ დაიტოვებს. შენ ხომ დაგვყაბულდები?

— სიამოვნებით!

ოცდაშვიდ-ნახევარი დოლარი მოაგროვეს და სროლა კანაგრძეს.

— ლეიტენანტო, — ვუთხარი მე, როცა ყველამ ისროლა,— სხვა რომ არ იყოს, ჩემი ბოთლებია, რა იქნებოდა, ჩემთვისაც მოგეცათ სროლის ნება?

— მართალია! სწორია! — ახმაურდნენ ჯარისკაცები, — მებუფეტემ უნდა ისროლოს, რევოლვერი მიეცით, მაგანაც სცადოს.

ჩაამწკრივეს ბოთლები. პირველ თოთხმეტ თუ თხუთმეტ ბოთლს თავები წავაცალე. დანარჩენები ისე დავამსხვრიე.

— დიდი ამბავი, შენ ხომ ამ ომის დროს სნაიპერი იყავ. მე მგონი თქვენი რაზმის ყველაზე უარესი მსროლელიც კი მოახერხებდა მაგდენს. არადა კვლავ სანგრების სათხრელად გააგზავნიდნენ.

— მართალია. იმათ კი რატომღაც არ დამიჯერეს. მებუფეტემ მეორედ უნდა ესროლოსო. მე ცოტა უკან დავიხიე და კიდევ ორიოდე ფანდი ვაჩვენე. ასე იყო თუ ისე, მთელი ფული მე დამრჩა.

— მანდ გასაკვირი არაფერია, — თქვა ძიამ, — ეგრე ადვილია სროლა, — იცი, რომ რძის ბოთლი ხელს არ შეგიბრუნებს.

— ჰოდა, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ეროვნულ გვარდიაში ჩამწერეს.

— ჰო, მართალია, — თქვა ჩანჩომ, — გიორგიმ ნება დამრთო მეც წავყოლოდი. ვარჯიშს ვუყურე. ბახ! ბახ! როცა ააცდენდა, ტაშს ვუკრავდი.

— ვარჯიშისა და ოფიცრების გინების მოსმენის გარდა რას აკეთებთ? — მკითხა ძიამ.

— ჩვენ არავინ გვაგინებს, შემგინებელს, ალბათ, სამხედრო სასამართლოს გადასცემენ. ეგეც არ იყოს, არა მგონია,

აზრად მოსვლოდათ ჩვენი გინება, ისინი ხომ მშვენიერი ახალგაზრდები არიან, უმეტესობა კოლეჯშია ნამყოფი. ასეთი ოფიცრები შენ არც კი გეყოლება ნანახი. ტანვარჯიშის დარბაზში ერთად დავდივართ, რესტორანში ერთად ვვახშმობთ, ტრამვაიში ერთად ვსხდებით. — ერთხელ, როცა უკვე ფიცი მქონდა მიღებული და მსროლელთა რაზმში ვირიცხებოდი, სერჟანტი გამიბრაზდა, რადგან სროლაში ვჯობნიდი. ლეიტენანტმა რომ ჩამოგვიარა, დამაბეზღა — ფეხები სწორად არ უდგასო. ახლა კი დაიწყება ჯოჯოხეთი-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ლეიტენანტმა ჩემი ნასროლის ანგარიში მოითხოვა, გასინჯა და თქვა, ყველაზე ზუსტად უსვრიაო. რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს წესდება, როგორ უნდა დადგე და დაჯდე, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ეს იმათთვის იწერება, ვინც თავგასულიაო, — უთხრა მან სერჟანტს.

— კიდევ რას აკეთებთ? — მკითხა ძიამ.

— კურსებს ვუსმენთ.

— კურსებს?

— ჰო, გვასწავლიან. ყველაფერს გვასწავლიან, მჭედლობას, რადიო-აპარატურას, სიგნალიზაციას, ავტო-საქმეს. ყველაფერს, რაც გაახსენდებათ. თანაც სულ უფასოდ. მთავრობის ხარჯზე.

— ასეთი რამ არასოდეს გამიგონია, — თქვა ძიამ, — ჯარისკაცები და სწავლა? რომ აზროვნების საშუალება მიეცეთ? მუდამ ამბობენ, რომ ჯარისკაცები ხეპრეები უნდა იყვნენ. მაინც რისთვის უნდათ ეგ ჯარი?

— ამერიკაში ეროვნული გვარდია იმიტომ ჰყავთ, რომ ერთხელ ამერიკელებს მტრები შემოესივნენ და ყველაფერი

ხარკში წაიღეს. მერე სახლებში ჩაუსახლდნენ, მათ ხარჯზე დაიწყეს ცხოვრება და ხალხს ეს არ ესიამოვნა.

— ბუნებრივია, — თქვა ძიამ, — მეც არ მესიამოვნებოდა.

— ამიტომ ამერიკელებმა გადაწყვიტეს მტრებს შებრძოლებოდნენ და უკან გაერეკათ.

— სწორეა! სწორედ მოქცეულან.

— მაგრამ ამ მტრებს დიდი და კარგად გაწვრთნილი არმია ჰყავდათ. უამრავი ათასი კაცი იყო მწკრივებად დაწყობილი. ამერიკელებს კი თოფებისა და სიმამაცის გარდა არაფერი გააჩნდათ და მაინც აღსდგნენ მტრებთან საბრძოლველად. ამერიკელები კედლებს და ხეებს მოეფარებოდნენ, გაისროდნენ, შემდეგ უკან გაიქცეოდნენ, დასტენიდნენ თოფებს და კვლავ გაისროდნენ ხოლმე.

— ბუხ! ბუხ! — აღრიალდა ჩანჩო და პური რევოლვერივით დამიმიზნა.

— ათი კაცი, ორმოცდაათი კაცი. ასი, ხუთასი. სულ მალე მთელი არმია ჰყავდათ და მტრები უკან გარეკეს.

— კარგია, — თქვა ძიამ, — ძალიან მინდა ხელი ჩამოვართვა იმ ხალხს.. დიდი ხნის წინათ მოხდა ეგ ამბავი?

— ასი წლის წინათ, თუ უფრო ადრე. ამის შემდეგ ამერიკელებმა თქვეს, ჩვენ მილიცია უნდა ვიყოლიოთ ყველა შტატშიო. როცა კვლავ გვაიძულებენ თავი დავიცვათ, უკვე მზად ვიქნებითო.

— ძალიან საინტერესო ამბავია, — თქვა ძიამ, — ვითომ ძალიან მოხუცი ვარ არმიისათვის?

— როცა უკან დავბრუნდები, ლეიტენანტს ვკითხავ.

— ჰკითხე, უთხარი, ძალიან გამოცდილია-თქო. ყირიმის ომში ვარ ნამყოფი, თურქების წინააღმდეგ მიბრძოლია. მთის

ბრძოლებშიც ვყოფილვარ, სანამ მოვკვდები, მინდა იმ არმიის რიგებში ჩავდგე. სადაც კაცს შეუძლია ჯარისკაციც იყოს და ადამიანიც.

ყველაფერს კურნავს, გარდა სიყვარულით დამწვარი გულისა

ერთი ჩვენებური ბიჭი, ილარიონი, კოლეჯში მუშაობდა. მისი მოვალეობა იყო ტელესკოპით ემზირა ვარსკვლავებისათვის, რათა მათ ადგილი არ მოეცვალათ. როცა ვარსკვლავებს არ უთვალთვალებდა, სტუდენტებს ასწავლიდა ათასნაირ ხრიკებს, მაგალითად: როგორ უნდა გაეზომათ მზე, როგორ მისულიყვნენ მთვარეზე უმოკლესი გზით. უხსნიდა, თუ საით მიიწრაფიან კომეტები, რომლებიც ელვასავით ჩამოგვიქროლებენ ხოლმე. ინგლისელები ასეთ კაცს ასტრონომს ეძახიან.

ილარიონი ღამეებს ათენებდა სამუშაოზე.. მაინცდამაინც ბევრ ფულს ვერ აკეთებდა, მაგრამ ღვთის მადლით ზოგიერთივით ფულის გიჟი არ იყო. მხოლოდ სწავლაში პოულობდა სიამოვნებას. ხანდახან გასართობად ორიოდე ვარსკვლავს დაიჭერდა, რომლებიც წინათ არა ჩანდნენ იმ მიდამოებში, ლამაზ-ლამაზ სახელებს დაარქმევდა და წიგნში ჩაწერდა.

აი, ასეთი გართობა და კვირაში ერთხელ მეგობრებში დალეული ერთი ბოთლი ღვინო სავსებით აკმაყოფილებდა მას.

ილარიონს მტკიცე ჩვეულებად ჰქონდა ყოველ პარასკევს საღამოს რესტორანში შეგვხვედროდა და კარგად გაეტარებინა დრო. თუმცა ილარიონი დიდი პროფესორი იყო, ტელესკოპის ბაქანზე იჯდა და ჭერად დაფა ეხურა, თუმცა ყველა

მდაბლად უკრავდა თავს, იმდენი ჭკუა მაინც შერჩენოდა, რომ ქეიფში, ძეცნიერების სასახლე დაევიწყა და კაცურად მოელხინა: დაელია, ემღერა, ეცეკვა და ანეგდოტები ეთქვა.

მაგრამ ერთ პარასკევს ილარიონი აღარ გამოჩნდა. ჩვენ კი ბეჭიც მოვხარშეთ, რადგან ილარიონს ყველაზე მეტად ბეჭი უყვარდა.

— არა მგონია, რაიმე მოსვლოდა, — თქვა ვახტანგმა, — თუმცა რა ვიცი? ილარიონი ხომ გაუთავებლად კითხულობს იმ უზარმაზარ წიგნებს. აკი ვეუბნებოდი კიდეც: — ეგენი ყოფას გიტირებენ ოდესმე-მეთქი. სურათებიც კი არაა იმ წიგნებში, რომ ცოტა თვალი შეასვენოს კაცმა.

— არა, ეგ არ ავნებდა, — თქვა შალიკომ, — ჩვენ, ხევსურებს, არწივის თვალი გვაქვს. როდისმე მიამბნია თქვენთვის ბიძაჩემის ამბავი? მას შეეძლო მიზანში მოერტყა...

— ჰო, როგორ არა. გიამბნია.

ჩვენ სულ არ გვეხალისებოდა კვლავ თავიდან ბოლომდე მოგვესმინა, თუ როგორ არტყამდა შალიკოს ბიძა გარეულ ტახს ტყვიას ნახევარი მილის მანძილიდან. თანაც შიგ კაკალ გულში. სულ ცოტა ასჯერ მაინც ექნებოდა მონაყოლი და მანძილი შალიკოს ბიძას და ტახს შორის სულ უფრო და უფრო მატულობდა.

— ისევ ის ტახი?! გეყო, შალიკო, სულ მალე ბიძაშენს, ალბათ, რადიოთი დაახოცინებენ ღორებს, — ჩაუნისკარტა ვახტანგმა.

— იქნებ ილარიონს რაიმე საქმე გამოუჩნდა, — ვთქვი მე, — რათა კინკლაობა შეწყვეტილიყო, — იქნებ მთვარის დაბნელება ან სხვა რაიმე მოხდა და ვეღარ მოიცალა.

ჩემი ნათქვამი ჭკუაში დაუჯდათ. ასე რომ, მეორე პარას-

კევამდე არ გვიდარდნია. მაგრამ ილარიონი არც მაშინ გამოჩნდა.

— ახლა კი რაღაც უბედურება გვჭირს, — თქვა ვახტანგმა, — ხომ არ შეიძლება, რომ მთვარემ ყოველ კვირას მოისულელოს თავი. რომელიმე ჩვენთაგანი კოლეჯში უნდა წავიდეს და გაიგოს რა გვჭირს.

დელეგატად შალიკო ავირჩიეთ.

— ძალიან კარგი, — თქვა მან, — როცა ჩემ სოფლელს საფრთხე მოელის, მე უნდა მივხედო. ამხანაგის გადარჩენა ჩემი მოვალეობაა და ამიტომ იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ძალიან საშიშ ადგილას მგზავნით. რა გაეწყობა. წასვლა აუცილებელია.

მეორე დღეს დაბრუნდა და ძალიან ცუდი ამბავი მოგვიტანა, ილარიონი ავად ყოფილა, ძალიან ავად!

— რა დაემართა? — ჰკითხა ვახტანგმა, — აბა, ამიწერე, როგორ გამოიყურება?

— ახლავე. რაღაც საავადმყოფოს მსგავს ოთახშია, ოთახი კოლეჯის შენობაშია. ამბობენ, ისეთი არაფერი სჭირს, მარტო დაიღალაო, მაგრამ, მე მგონი, რაღაცას გვატყუებენ.

— თვითონ ნახე?

— კი. შემიყვანეს იმ ოთახში, ილარიონი კედლისაკენ პირშემობრუნებული წევს. რა დაგემართა, კაცო-მეთქი. — ვუთხარი ქართულად, — მომვლელმა დაისისინა, — შენ მეგობარს ნუ ააღელვებ, — ცოტათი გადაიღალა. დიდად მნიშვნელოვანი გამოკვლევა დაამთავრა და ახლა ისვენებსო.

— ისვენებს კი არა ის არ გინდა? უფრო ავადმყოფსა ჰგავს-მეთქი.

— არა, ავად. არ არისო, — თქვა იმ ქალბატონმა და კბი-

ლები ისე გააელვა, გეგონებოდათ ელნათურები აინთოო. ბრაზი მომივიდა და ვუთხარი:

— დარწმუნებული ვარ, ავად არის. აბა, ამხელა კაცი ამ შუადღეზე ლოგინში რამ გააჩერა-მეთქი. — მერე ილარიონს ვკითხე, რა დაგემართა-მეთქი. — არაფერიო, — ობოლი ბატკანივით დაიკიკინა ილარიონმა.

— ილარიონი და ლოგინი. — გავიკვირვე მე. — ასოთხმოცდაათ გირვანქიანი, ექვსი ფუტისა და სამი დუიმის სიმაღლის კაცი ლოგინშია?

— ჰოდა, წავედი და ექიმს ვკითხე, ძალიან დიდ პროფესორს. მითხრა, ილარიონი ძალიან მაგრად მუშაობდა და ახლა გვეშინია ნერვების დასუსტება არ დაემართოსო.

— ნერვების დასუსტება? ეგ რას ნიშნავს? — იკითხა ვახტანგმა.

— ეს ამერიკული დავადებაა. როცა შენს ტვინს შენზე ფიქრი აღარა სურს, — ავუხსენი მე.

— ალბათ, საშინელი რამაა. ხანდახან მეც მემართება — მავიწყდება, სად რასა ვდებ. სხვა მხრივ მე და ჩემ ტვინს კარგი ურთიერთობა გვაქვს. სხვანაირად ვერც კი წარმომიდგენია, — დაიმშვიდა თავი ვახტანგმა.

— ნეტა თავი გაეტეხათ ომში, — ვინატრე მე, — ან დაეხანჯლათ, ან ტყვია მოხვედროდა ფეხში, რაღაც ისეთი დამართოდა, რომ კაცი მიმხვდარიყო რამეს. ეს ნერვების დასუსტება რაღა ჯანდაბაა.

ერთხმად გადავწყვიტეთ, საავადმყოფოში წავსულიყავით. იქ უკეთ შევატყობდით, რითი შეგვეძლო შველა.

ილარიონი აბანოს ხალათში დაგვხვდა. სკამზე იჯდა, მაგრამ სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

— ილარიონ! — ვუთხარი მე, — მშიერი ხარ, კაცო?

— ჩვენ ძვირფასი კერძი გვქონდა საუზმედ ისპანახი, — თქვა ილარიონის მომვლელმა გახამებულმა ქალბატონმა, — და ღუ კარგად მოიქცევი, (მან ილარიონს თითი დაუქნია) ერთ დიდ ფინჯან კრემს მიიღებ ვახშმად. ასე შევთანხმდით, არა?

— ილარიონ! — უთხრა ვახტანგმა ქართულად, — ბატკნის ხორცი არ გინდა, შამფურზე შემწვარი, კარგად გახუხული? სისხლს მოგიმატებს.

ილარიონმა თავი გააქნია.

— ერთი ჭიქა კარგი ღვინო? შავი, — შესთავაზა შალიკომ, — ჯანზე მოგიყვანს.

— გინდა რამეს გიმღერებთ? იქნებ გესიამოვნოს, — ვუთხარი მე.

— არა, ჯენტლმენებო, დღეს არა. ხვალ კი შეგიძლიათ კვლავ მოინახულოთ, — გვითხრა გახამებულმა ქალბატონმა და გარეთ გამოგვრეკა.

— მისმინეთ, ბიჭებო, — ვთქვი მე, როცა სახლის გზას დავადექით, — სასწრაფოდ უნდა ვიღონოთ რამე. ხვალ ძია ვანო ბრუნდება ფრესნოდან [1]. ძია უკვე 80 წელია ცხოვრობს ამ ქვეყანაზე და უეჭველია, ამისთანა ამბის წამალი ეცოდინება.

როგორც კი მოვიდა ძია ვანო ჩვენთან, ეს ამბავი ვუთხარით. მან კარგა ხანს იფიქრა, (ამასობაში მშვენივრად დაივარცხნა წვერი) და ბოლოს იკითხა, ილარიონმა სიყვარულში ხომ არ განიცადა მარცხი?

— არა, — უპასუხა შალიკომ, — ეგ არ უნდა იყოს მიზეზი.

---

1 სან-ფრანცისკოს კნინობითი სახელწოდება.

პირველად მისვლისას ცოტა რომ გამომეფხიზლებინა, ვუთხარი, „ილარიონ, ერთმა ახალგაზრდა ქალმა გამაჩერა კიბესთან და მკითხა მისტერ ილარიონი დღეს როგორ არისო. შველივით ქალი იყო, შენი გულის ვარდი ხომ არ არის-მეთქი“? მაგრამ ილარიონმა არც კი შემომხედა.

— მაშინ ერთადერთი გზაღა დაგვრჩენია, — თქვა ძია ვანომ, — ნიორწყალი უნდა ვცადოთ. კვეხნით არ ვიტყვი და ჩემი გაკეთებული ნიორწყალი კოჭლს ააცეკვებს, მუნჯს აამღერებს და მკვდარს გააცოცხლებს. ნამდვილად გეუბნებით, რომ მიჯნურის გარდა ყველას მოარჩენს.

— ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ უშველის, — ვთქვი მე, — ერთხელ მეც მიგემია. მადას გაუხსნის და რაკი ჭამას დაიწყებს, რაღა თქმა უნდა, მოიკეთებს კიდეც.

— რომ არ მოუხდეს? — იკითხა ვიღაცამ.

— მაშინ გათავებულია საქმე, — თქვა ძიამ. — მაშინ ქელეხზე უნდა ვიზრუნოთ. არა რცხვენია ავადმყოფობისა? ახალგაზრდა კაცია, ჯანმრთელი, ხელი არ აკლია და ფეხი. აი, მე 85 წლის კაცი ვარ და როდისმე თუ გახსოვთ ლოგინში ჩავწოლილიყავ და მეგობრები ამეწრიალებინოს?

— ილარიონის გაჯორვას მერეც მოვასწრებთ, — თქვა ვახტანგმა, — ახლა კი საქმეზე ვიზრუნოთ. როგორ ვაჭამოთ ეგ ნიორწყალი. საავადმყოფოში შეტანა არ მოხერხდება. ტრამვაის გაჩერებიდანვე ეცემათ სუნი.

— მე დავრეკავ და ექიმს ვთხოვ, რომ ჩვენს მეგობარს ილარიონს ჩვენთან გამოსეირნების უფლება მისცეს, — თქვა ვახტანგმა.

— კარგია!

— შემდეგ მანქანით წავიდეთ სადმე, ქეიფი მოვაწყოთ და ნიორწყალი ვაჭამოთ.

— ერთი კი ეცეს ნივრის სურნელი და მერე უარს აღარ იტყვის ერთ ნაჭერ ხორცზე, — ვთქვი მე, — მერე ორიოდე ყლუპ ღვინოსაც ვადაყლუნწავს ჩვენი ილარიონი და, ეჭვი არაა, მოიხედავს.

— კი მაგრამ, საავადმყოფოში რას იფიქრებენ, დროზე რომ არ დაბრუნდება?

— როცა გამოვიყვანთ, მეორედ დავურეკოთ და ვუთხრათ, ჩვენთან კიდევ რამდენიმე საათის გატარება მოუნდა ილარიონს-თქო. კარგად მოვუვლით-თქო.

— სად წავიდეთ? პარკში?

— არა, პარკში დიდ ცეცხლს არ დაგვანთებინებენ.

— სანაპიროზე?

— სანაპიროზე აჯობებს. ქვევით დავუყვეთ და ქალაქს გავცდეთ.

— ის პატარა პლაჟი ბუტლეგერებითაა სავსე, — თქვა ვახტანგმა, — იქ თავიანთ ნავებსა სცლიან ხოლმე.

— ზღაპარს ნუ ყვები, — დასცინა შალიკომ, — ნეტა კი გადავწყდეთ. მინდა ხუთი-ექვსი გალონი გამოვართვა. ერთნაირად ვიყიდი და იაფად გამოვალ.

დავრეკეთ საავადმყოფოში. ექიმმა ნება დაგვრთო. მანქანით მივედით ილარიონის წამოსაყვანად.

— გადავწყვიტეთ სანაპიროზე წაგიყვანოთ და კარგი ქეიფი გავმართოთ, შენი პატივისცემა გვინდა.

— სულაც არ მექეიფება.

— ცეცხლს დავანთებთ, მწვადებს შევწვავთ...

— არ მინდა.

— ძიამ, შენ რომ გიყვარს, ისეთი აჯაფსანდალი დაამზადა.

— არ მინდა, არ მინდა! — იმეორებდა ილარიონი მოშლილი პატეფონივით.

ნაპირს გავყევით და ქალაქიდან 20 — 25 კილომეტრზე საუცხოო ადგილი ამოვარჩიეთ. მანქანა მინდორში დავაყენეთ და ბილიკით ჩავედით ზღვის ნაპირას. იქაურობა თეთრი, ქათქათა ქვიშით იყო დაფარული. სამი მხრიდან ციცაბო კლდეები იცავდა. უქარო ადგილი იყო, ნანატრი. ილარიონს დიდ მორებზე საბნები გავუშალეთ და დავსვით. იგი პირდაპირ ოკეანეს გაჰყურებდა.

— აბა, არ მოიწყინო! — უთხრა ვახტანგმა, — ზღვის ჰაერი ისუნთქე და უცებ გამომჯობინდები. ღრმად ისუნთქე.

ამჯობაში მე და შალიკომ ფიჩხები მოვაგროვეთ და ცეცხლი დავანთეთ. ძია ვანო ნიორწყლის კეთებას შეუდგა — როდინში დარჩეული ნიორი, მარილი, წიწაკა, ქინძი და კამა ჩაყარა, ნაყვა დაუწყო და თან ძმარს უმატებდა წვეთ-წვეთად. როცა კრემივით იქცა და ჰაერი ნივრის სურნელით გაიჟღინთა, ნიორწყალი უკვე მზად იყო.

ილარიონი ავადმყოფი იყო და მწვადს პირდაპირ შამფურიდან ვერ შეჭამდა. ამიტომ ვახტანგმა რამდენიმე საუკეთესო ნაჭერი ფოთოლზე დაუწყო, მწვადს გვერდით ნიორწყალი დაუსხა და პურიც დაუტეხა. დავიწყეთ ჭამა-სმა. ნიორწყალმა ისე მოგვაშივა, რომ რამდენიმე შამფური ბატკნის ხორცი შევიწვით და ორიოდე ჭიქა ღვინო კიდევ გადავკარით. ძია ვანომ ანეგდოტები გვიამბო, ვახტანგმა თავისი ჩონგური ააღუღუნა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ცალი თვალი ილარიონისაკენ გვქონდა. კი, მართალია, ჭამდა, მაგრამ ისე, თითქოს ჩალა უდევს პირშიო.

— არა, სასწაულები არ ხდება, — მითხრა შალიკომ, როცა მე და ის გამორიყული შეშის მოსაგროვებლად წავედით, — იქნებ, მეორედაც რომ ჰამოს, მაშინ განკურნოს მაგ ნიორწყალმა. ასეთ მძიმე შემთხვევაში, ალბათ, ორჯერაა საჭირო.

უკან რომ დავბრუნდით, შალიკომ სამშობლოს ამბები გაიხსენა — იქნებ, ილარიონი გავამხიარულოო. ორივენი ხევსურები იყვნენ. ცამდე აზიდულ პიტალოებში შებუდრულ სოფლებში ცხოვრობდნენ. ამ ხევსურებს უცნაური ზნე-ჩვეულებები აქვთ: დღემდე იმ ჩაფხუტებსა და ჯაჭვის პერანგებს ატარებენ, რომლებიც ჯვაროსნებმა დაუტოვეს. ხშირად ფარიკაობენ და თუ საჩხუბარი არაფერი აქვთ, სახუმარო ბრძოლებს მიმართავენ დროის მოსაკლავად. უმამაცესი ხალხია, მაგრამ ცოტა ჩამორჩენილი.

წინათ ილარიონს ძალიან უყვარდა ხევსურებზე საუბარი. იგი ამაყობდა, ხევსური რომ იყო და იერუსალიმის ყველა ჭიშკარში იარაღითა და გაშლილი დროშებით შესვლის უფლება რომ ჰქონდა. (თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არასოდეს არ უსარგებლია ამ უფლებით). ილარიონს და შალიკოს ძალიან მოსწონდათ თავი, როცა ორლესულებს აათამაშებდნენ ხოლმე ხელში. ეს ხმლები იმხელა იყო, რომ ზოგი ვერც კი დასძრავდა ადგილიდან.

— მოდი, ლაშქრული დავძახოთ. უკაცური ადგილია და არავინ შეწუხდება, აი, ისა, აკრის ალყის დროს რომ ვმღეროდით, ჰა? გინდა, ხომ გინდა? — შეაგულიანა შალიკომ.

არა, ილარიონს არ უნდოდა.

— მაშინ იმაზე რას იტყვი, ჯარი რომ შევკრიბეთ და დორილეუმი რომ გადავარჩინეთ განადგურებას. ასეთი შემთხვევა

ხშირად არ გვეძლევა. რაც გვინდა, ყველაფერი შეგვიძლია შემოვძახოთ.

— არა!

— კარგი, მაშინ მე ვიმღერებ, შენ კი მოძახილი მითხარი. აბა, მოდი! „ფრანგებს ჰყავდათ დედოფალი, ელეონორა, ელეონორა...“

არა, ილარიონის გული ვერაფრით ვერ მოიგო.

ბოლოს ისევ ვახტანგმა ააჟღერა ჩონგურის ლარები და მშვენიერი კვარტეტი გამოვიდა. მე, ძია ვანო და შალიკო ვმღეროდით. ბანს ტალღები გვეუბნებოდნენ — ბუმ, ბუმ, ბუმ...

და სწორედ მაშინ, როცა ასე ბედნიერად ვგრძნობდით თავს — ჭიქით ხელში ვუმზერდით ოქროსფრად, მწვანედ და ცისფრად მოელვარე ცეცხლის ენებს, ჩვენს უკან, სულ ათიოდე ნაბიჯზე ტყვიამ ქვიშა აამტვერა.

— დაწექით! — იყვირა ძია ვანომ. ყველანი მიწას გავეკარით და მორს ამოვეფარეთ. კიდევ ერთხელ დაითხიპინა.

— B B -ა,[1] — თქვა ვახტანგმა, როცა მესამე გასროლის ხმა გაისმა. — ისიც მარტო ერთი თოფიდან ისვრიან.

— სულერთია. მაინც არ მინდა, რომ მომხვდეს, — თქვა შალიკომ, — რატომ გვესვრიან?

— რატომ? ეგენი ის ბუტლეგერებია, ბითუმად რომ გინდოდა გამოგერთმია ღვინო. მოდი, ნულარ იყიდი. იმ ფულით ვინმე მეკუბოვე იქირავე. იაფად რომ დაგმარხავს, ისეთი.

ბუტლეგერები უკნიდან მოგვპარვოდნენ. მათი ლაპარაკიც გვესმოდა.

— სიმღერის დროს მოგვეპარნენ, — თქვა ძია ვანომ. —

---

1 პრევმატური თოფის სახეობაა.

ალბათ, გემს ელიან ამაღამ და ამიტომ გვანიშნებენ, წადითო.

— განა არ შეუძლიათ წესიერად ეთქვათ? — იკითხა შალიკომ. — ახლა როგორ უნდა წავიდეთ? არაფრით არ შეიძლება. უკვე გაქცევად ჩაგვეთვლება.

რამდენიმე წუთს ხმაგაკმენდილები ვიწექით მორს უკან. ცალ მხარეზე ძია ვანო მეწვა, მეორეზე — ილარიონი.

— რა ვქნათ, — დაიჩურჩულა შალიკომ, — შეიძლება შემოგვიტიონ.

ნაპირზე რაღაც ამოძრავდა. ვითომ კაცია? არა! კიდევ მივიხედე უკან — იქნებ წყალმცენარეები შრიალებენ? გარკვევით ვერაფერი გავარჩიე და ძიას გავკარი ნიდაყვი, მაგ[illegible] იმანაც ვერაფერი დაინახა. რაღაც ლანდი მოჩანდა მხოლოდ.

— რა ვქნათ და ჩვენი წესი და რიგი გავატაროთ, — უპასუხა ვახტანგმა შალიკო[illegible], — ერთად დავესხათ თავს და ვიბრძოლოთ. როცა ერთ-ერთი ჩვენთაგანი დარჩება ცოცხალი, იმას ისე შეუძლია მოიქცეს, როგორც გაეხარდება.

— მოვიცადოთ, — თქვა ძიამ, — ცოტა ხანს...

უცებ ღრიალმა ხმალივით გააპო ღამის მყუდროება.

— ეშმაკმა დალახვროს, ეს ხომ ილარიონია. — ყამოიძახა შალიკომ.

ჩემს გვერდით ხელი მოვაფათურე — არავინაა.

ნამდვილად ილარიონი იყო. იგი კვლავ ხრიალებდა. ისეთი ხმა ამოსდიოდა პირიდან, რომ კაცს სისხლი გაუჩერდებოდა ძარღვებში.

— ერთი თოფიანი დავიჭირე, — გადმოგვძახა ილარიონმა. — მომეხმარეთ, ბიჭებო, ორიღა დამრჩა. — იგი კლდის ნაპირას, ბილიკზე იდგა, ციცაბოს ნახევარი ჩაევლო. ნეტა რო-

გორ ჩავიდა? თუმცა რა იყო მისთვის ცოცვით გაევლო მთელი კლდიანი სანაპირო, ახოხებულიყო ფრიალოზე და იქიდან დახტომოდა თავს ბუტლეგერებს. ეს ხევსურები ხომ ნამდვილი ჯიხვები არიან.

ჩვენც ზევით ავცოცდით, ცოტა ხნის ძიძგილაობის შემდეგ მთელი ჯგუფი დავიჭირეთ და ქამრებით შევკარით.

— ახლა დროებითი ზავი დავდოთ, — თქვა ჩვენმა სპოუკსმენმა [1] და უხუცესმა ძია ვანომ, — რატომ გვესროდით.

— თქვენ კანონის დამმრღვეველები ხართ, — თქვა ერთმა, იგი იტალიელი უნდა ყოფილიყო, რადგან ინგლისურად კარგად ვერ ლაპარაკობდა.

— ჩვენ დავარღვიეთ კანონი? — გაიკვირვა შალიკომ. — რა სასაცილო ხარ. ერთი ამათ დამიხედეთ! იქნებ პრეზიდენტმა აკრძალა სანაპიროზე პიკნიკების მოწყობა. აკრძალა?

— დაიკარგეთ! ვიცით თქვენი პიკნიკები! — თქვა ყველაზე წარმოსადეგმა იტალიელმა და ზურგი შეგვაქცია.

— გაგიშვებდით, კარგი ბიჭები რომ იყოთ, მაგრამ რა ვიცი, კიდევ რას ჩაიდენთ, ძალიან ველურები ხართ, — უთხრა ძია ვანომ.

— არა, ლაპარაკზე დროს ნუ დავკარგავთ, — განაცხადა ილარიონმა, — უახლოეს ფერმაში მივიდეთ და პოლიციას დავურეკოთ.

— პოლიცია?! — დაიღრიალა ბრგე იტალიელმა, — რას ამბობთ? გაგიჟდით? ბუტლეგერები...

— ვინა ხართ, მე არ მეკითხება. ხალხს არ უნდა ესრო-

---

[1] თავმჯდომარე, ორატორი.

ლოთ. ამას, შეიძლება, მარცხი მოჰყვეს. თქვენივე ბრალია, პოლიციას რომ ვეძახით.

— თქვენ ვერ გაბედავთ პოლიციის დაძახებას, — თქვა მეორემ, ყელზე წითელ ცხვირსახოცშემოხვეულმა. (მესამე ბუტლეგერი მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა — რა დაემართა, ვერ მივხვდი) — ვერ გაგვაცურებთ. პოლიცია ორი წელია დაგეძებთ. მაშინვე ციხეში გამოგამწყვდევენ. თქვენ ხომ ბუტლეგერები ხართ.

— ბუტლეგერები ჩვენა ვართ? — გაოცდა ვახტანგი, — ჩვენ კი არა, თქვენა ხართ.

— თქვენა ხართ, თქვენ, — ბრგე იტალიელი ისე გაცოფდა, რომ ხტუნვა დაიწყო, — თქვენა! თქვენ! თქვენ!

— მოითმინეთ. — თქვა ძია ვანომ, — მოდი, კარგად გავიგოთ, ვინ ვინ არის. მე ვარ კაცი, ხელობით მზარეული, სანფრანცისკოში მცხოვრები. აქ პიკნიკზე ჩამოვედი. ესენი ყველანი ჩემი მეგობრებია. ასე რომ, ბუტლეგერები თქვენა ყოფილხართ. ხომ ასეა?

— რა თქმა უნდა, არა! — თქვა ბრგე იტალიელმა, — მე ფერმერი ვარ. ესენი ორივე ჩემი მეზობლებია. კვირა ისე არ გავა, რომ განგსტერებმა აქ თავიანთი გემი არ გადმოცალონ და...

— მართალია, — ჩაურთო სიტყვა წითელცხვირსახოციანმა. — საქონელი საბარგო მანქანებით გადააქვთ და ოქროფხალას ნათესებს გვითელავენ. პურის ყანაც გამიჩანაგეს. ათასჯერ ვუთხარი, აღარ მოხვიდეთ-მეთქი, მაინც მოდიან. ამიტომ მე და ჩემმა მეგობრებმა მოვიცადეთ, ვიდრე ჩვეულებისამებრ დალევდით, იმღერებდით და იღრიალებდით, შემდეგ თოფები პილპილით დაეტენეთ და...

— არა უშავს რა, — თავაზიანად გააწყვეტინა შალიკომ.— შეცდომა ყველას მოუვა. ასე არაა?

მე ტყვეებს ქამრები ავხსენი.

— ზარალის საქმე როგორ იქნება? — იკითხა ბრგე ახალგაზრდამ. — ტაისაცხელი საფლეთებად გვექცა. თქვენმა მეგობარმა ჩემი თოფი მუხლზე გადაღუნა.

— ქველა ქფილები დამაქრევინა, — წაიჩიფჩიფა ჩია კაცმა, აი, იმან, ტუჩებს რომ აცმაცუნებდა. იგი ანთებული ასანთით ხელში დახოხავდა მიწაზე. — ვერა ვფოულოფ. აი! არა, ეშ არაა. ხომ არ გადავქლაფავდი?

— კბილები დაკარგა. — გვითხრა წითელცხვირსახოციანმა.

— ღმერთო ჩემო! — შეწუხდა ილარიონი. — სულ არ მინდოდა ამის ჩადენა.

— ხელოვნური კბილებია, — დაგვაწყნარა წითელცხვირსახოციანმა, — ნამდვილი რომ ჰქონოდა, უარესი იქნებოდა.

— მაინც ძალიან ვწუხვარ, — თქვა ძია ვანომ, — თხუთმეტი დოლარი შეგვარიგებს?

კი შეგვარიგებსო, — თქვეს.

— ოკეი! აბა, ბიჭებო, ფული შეაგროვეთ, — გვითხრა ძიამ.

— არა, მე გადავიხდი. — მიუგო ილარიონმა. — ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. რამდენი წელია, ასე არა ვყოფილვარ. მე ვკისრულობ.

ერთი სიტყვით, ფული გადავიხადეთ და ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

— ახლა მეგობრები ვართ! — გამოაცხადა ძია ვანომ.

— უკაცრავად, — იკითხა ჩიამ (მას კბილები ეპოვა და ჩაესვა), — ნივრიანი ხომ არაფერი გიჭამიაო.

ამის შემდეგ ყველანი სანაპიროზე ჩავედით, მწვადები შევწვით. იმ ბრგე ახალგაზრდამ, თურმე ტონი ერქვა, წითელ-ცხვირსახოციანი შინ გააგზავნა, მინდვრის გადაღმა, „ორი დოქი წამოიღე. ამათ კარგი ღვინო მინდა დავალევინოო“.

ილარიონი კი, ღმერთო დიდებულო, — ჭამდა, მღეროდა, მალაყებზე გადადიოდა, გვიჩვენა, როგორ ცეკვავენ მის სოფელში — ჯაჭვიდან აწყვეტილი ძაღლივით ხტოდა.

ბოლოს ცეცხლი ჩაიფერფლა, საჭმელი შეიჭამა, სიმღერები შემოგველია და ჩვენი ქეიფიც დამთავრდა.

— დასწყევლა ღმერთმა, — თქვა ტონიმ, როცა პირობა ჩამოვართვით, რომ შემდეგ კვირას ქალაქში გვესტუმრებოდნენ, — ასეთი მამაცი მებრძოლები ჩემ სიცოცხლეში არ შემხვედრია. ალბათ, ძალიან გიყვართ ბათქაბუთქი. მან მუშტი შემოკრა ხელისგულს.—ეს, ალბათ, ჩვეულებრივი რამეა თქვენებურებისათვის.

დილის ცხრა საათს გადასცდა, როცა ილარიონი უკან ჩავაბარეთ კოლეჯს.

— საავადმყოფოში ნუ წამიყვანთ. ჩემ ოთახში დამტოვეთ, — გვეხვეწებოდა იგი, კვიცივით კუნტრუშობდა და მზად იყო მუშაობას შესდგომოდა.

— კარგად მოეწყო საქმე, ძია, — შენიშნა შალიკომ, როცა მანქანამ ჩვენს ქუჩაზე შეუხვია, — სწორედ ისე გამოვიდა, როგორც დაგვპირდი. ნიორწყალი, თურმე, მართლა კურნავს ყველაფერს.

— ჰო, ყველაფერს, სიყვარულით დამწვარი გულის გარდა.

— მაგას რა შველის ძია? — ვკითხე მე.

ძიამ ცერით გაისწორა ულვაში და მიპასუხა:

— მხოლოდ სამარე, ან სხვა უფრო ლამაზი ქალი.

რა არის საჭირო ბედნიერი ცოლქმრობისათვის?

ელენე რომ დავნიშნე, რაღა თქმა უნდა, მაშინვე მეგობრებთან გავიქეცი, რომ ეს ამბავი მეხარებინა. გული ბედნიერებით მქონდა სავსე.

მაგრამ იმათ, როგორც შევატყე, ჩემსავით არ გაეხარდათ ეს ამბავი. ვახტანგს ცხენივით დაუგრძელდა სახე, შალიკო გალურჯდა და ოთახის კუთხეში დაჯდა. ილარიონმაც კი არ დამიჭირა მხარი (ის ხომ თითქმის გაამერიკელებული იყო). მარტო ძიამ ჩამომართვა უგემურად ხელი და ორიოდე სიტყვა გაიმეტა.

— ძალიან გამბედავი ყოფილხარ, ბიჭო, თუ ამერიკელ ქალს ირთავ.

— უპირველეს ყოვლისა, — დამიქნია თითი ვახტანგმა, — ამერიკელ ქალებს არ მოსწონთ უცხოური სახელები. ამიტომ სახელი უნდა შეიცვალო. ერთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა რუსმა ამერიკელი ქალიშვილი ითხოვა. დაქორწინებისთანავე ცოლმა სასამართლოში წაიყვანა და გერბერტ გუვერად[1] მონათლა. უნდოდა წონა მომატებოდა მის ქმარს. ახალ არჩევნებში გერბერტ გუვერი ვერ გაიმარჯვებს და წარმოგიდგენია რა დღეში ჩავარდება ჩემი ნაცნობი? შენც ასე დაგემართება.

— ყველაზე ცუდი ისაა, რომ ყველა ამერიკელი ქალიშვილი, რომელსაც დღემდე შევხვედრივარ, საჭმელს წიგნებით ამზადებს, — თქვა ილარიონმა.

— ბოიცა, ეგ იცი, რას ნიშნავს? — განმიმარტა ვახტანგ-

---

[1] ჰერბერტ ჰუვერი — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი 1929 — 1933 წლებში.

ძა, — ერთიც ვნახოთ, წიგნი დაკარგა. საჭმელი ფაა-ფუ. შიმშილით უნდა შოვკვდე.

— ახალ წიგნს ვუყიდი.

— კიდევ მეტს გეტყვი, — ჩამოგვერია ლაპარაკში შალიკო, — ამერიკელები ძალიან ცოტა საჭმელს ამზადებენ. თუ ორი სულია ოჯახში — ორ ბივშტექსს, სამია — სამს. ერთ ზედმეტ ულუფას არ დაამზადებენ შემოსწრებულისათვის. უცებ ვინმე რომ მოგვიდეს სტუმრად, მშიერი დარჩება. სულ ექვსი თვე არ გავა, რომ სირცხვილისაგან უფალს მიაბარებ სულს.

— მართალია, — დაუკრა კვერი ვახტანგმა, — დასაფლავების შემდეგ პურ-ღვინოც კი არ გეღირსება. იქნებ მარტო კუბოს წამღებებს დაალევინონ თითო ჭიქა ჩაი. მე არც მოვალ.

— შენ კართან მგზავრი რომ ჩაივლის, — სადილზე ვერ მოიპატიჟებ, ამ სიამოვნებას უნდა გამოეთხოვო, — თავის ქნევით ჩაილაპარაკა შალიკომ, — თეთრად მბრწყინავი ხუთასდოლარიანი, ღილაკებიანი და სახელურებიანი მაცივარიც რომ გედგას, ერთი ზედმეტი ნაჭერი ძეხვი არ გექნება გადანახული სტუმრისათვის.

— შენ ჯერ კიდევ არ იცი, რა საშინელება მოხდება შენს ოჯახში, — მითხრა ვახტანგმა, — ვერც ერთი ამერიკელი ქალი ვერა სძლებს ბოდგატსის[1] გარეშე.

— ელენეს ძაღლი ჰყავს, ირლანდიური სეტერი. „ველიკი კნიაზი“ ჰქვია, ინგლისურად ჰერცოგს ნიშნავს. ბოდგატსი არ მინახავს იმასთან.

— ბოდგატსი დასახარჯი ფულის წინასწარ ჩამოწერას ჰქვია. ვთქვათ, უქეიფოდა ხარ. ისე, მაგალითისათვის ვთქვათ,

---

[1] ბიუჯეტი (budget) — დამახინჯებულად.

და გინდა რუსულ კლუბში შეხვიდე. ერთი ბიქა არაყი გადაკრა და ქაშაყის ხაჭერი დააყიალო,

.ის ბოსაყვა.ად. ამისათვის ჯერ ბოდგატსი უნდა დაწერო:

ვსვამ ვისკის — 30 ცენტი.

ვაყოლებ ქაშაყის ხაჭის — 10 ცენტი.

— როდის აქეთ იცნობ ასე კარგად ამერიკელ ქალიშვილებს. საიდან გაქვს ასეთი ცნობები, — გავუბრაზდი ვახტანგს.

— გეყოთ, ბიჭებო, — გაგვაჩერა ძიამ. — რაკი პირობა მისცეს ერთმანეთს, აღარაფერი ეშველება. საქმე შორჩომილია.— ძია ვანომ მეორედ ჩაბომარეთვა ხელი, — არა უშავს, ბიჭო გოგია, ოცი წელი შენი მეგობარი ვიყავი და ახლა ველარ დაგკარგავ.

არავის ლაპარაკს არ მიეხედე და ყველაფერი მშვენივრად აეწყო. ჩემ სიცოცხლეში პირველად მქონდა ოჯახი. საუკეთესო დედა მყავდა, კაცი რომ ინატრებს, ისეთი; ლამაზი და მხიარული და, თქვენ წარმოიდგინეთ ბებიაც კი გამიჩნდა. ბევრი კი ვერ დაიკვეხნის ასეთი ბებიით — ოჯახის მშვენება იყო.

ვიდრე ქალები ქორწილის სამზადისს არ შეუდგნენ, ჩემი ცხოვრების მზით გაკაშკაშებულ ლურჯ ცაზე ერთი ღრუბელიც არ ჩანდა.

— ათი ან თერთმეტი კაცის დაპატიჟებას თუ აპირებ, — მითხრა დედამ, — და თხუთმეტიც ხომ აქაურები იქნებიან, სულ ოცდაათი ვიანგარიშოთ, მაშინ რულეტი დავაცხოთ, სამი, არა სამი კი არა, ოთხი ქათამი, სოკოები...

— ოთხი ქათამი?! — საშინელ დღეში ჩავვარდი, მაგრამ ჯობს, ახლა ვუთხრა ჩვენებურების ამბავი. სუფრას რომ შემოუსხდებიან, მერე კი გაიგებენ, მაგრამ გვიანღა იქნება.

— ძია ვანო საკუთრად ჭამს ორ ქათამს, როცა კარგ მადაზეა.

ჩემ სიდედრს სახეზე შევატყე, რომ გაოცდა.

— უფალო დამიფარე, მერე წნევა არ უწევს?

— არა, ყოველ შემთხვევაში ოთხმოცდახუთი წლის კაცის პირობაზე საკმაოდ ჯანმრთელად გამოიყურება.

— კარგი. მაშინ ქათმები მეტი გვჭირდება. ფრანგული მუხუდო, აი, ისა, პტი პუას რომ ეძახიან. პატარა ცხელ-ცხელი ბისკვიტები, მუსი...

— მუსი[1] ძალიან კარგი იქნება, ბარკლებიდან მწვადების შეწვა შეიძლება, ბეკს მოვხარშავთ.

ელენეს სიცილი აუტყდა.

— მუსი ნაყინის მსგავსი საჭმელია, — ჩამჩურჩულა დამ.

— როგორც ჩანს, ვერასოდეს ვერ მივხვდები ნათქვამს.

მუსი ირმის მსგავსი ცხოველი მეგონა, მაგრამ დავა აღარ დავიწყე.

— მისმინე, ჩემო, — მითხრა დედამ, — როგორც მე მივხვდი, ასე უნდა მოვიქცეთ: შენ მოგვიყევი, როგორია საქორწილო საუზმე საქართველოში და მერე ვნახოთ, რასაც შევძლებთ, გავაკეთოთ.

— იქ საუზმით არა კმაყოფილდებიან. მთელი დღე სჭამენ.

— კეთილი, რასა სჭამენ?

— ჯერ თევზეულს. შებოლილი თართი შეიძლება. კარაქში შეპიწკინებული ბოთის ციმორი. მერე ზუთხი — ქორჭილას მსგავსი თევზია, სტაფილოს წვენით და დაფნის ფოთლით, სათა-

---

[1] moose — ამერიკული ირემი, mousse — ტკბილი საჭმელი. ორივე ერთნაირად გამოითქმის.

ლი, ჭიჭყინა, შემწვარი კალმახი და ორაგული — დიდი თევზია, აირში ლიმონის ნაჭერს უდებენ. შემდეგ ცოტა ხიზილალა. იქნებ ვინმეს უყვარდეს! ზედ ახალი ხახვი უნდა დააჭრან. და კიდევ...

— ზღვის ნაპირას გამართულ სადილს ჰგავს. აი, მშობლიურ ბენში რომ ვაწყობდით ხოლმე, ისეთს. — თქვა ბებიამ. — თქვენებურები ასთაკვებს თუ ჭამენ?

— არა, მაგრამ არაფერი დაშავდება, თუ სამ-ოთხ ცალს დავდებთ სუფრაზე. იქნებ ვინმემ გასინჯოს. ჩემი აზრით, თევზეული საკმარისია.

— შემდეგ რა მოდის? — იკითხა დამ, — რომელიც ფანქრით იწერდა ყველაფერს.

— საწყალი კაცის ხიზილალა, — ვუთხარი ქართულად და ინგლისურად ვუთარგმნე, — Poor man's caviar, — უამისოდ არ იქნება. იოლი საქმეა. კანიანად შემწვარ ბადრიჯანს კოვზით ამოფხეკენ და კარგად მოსრესენ. მერე წვრილად დაჭრილ ქორფა ხახვს დააყრიან, ლიმონის წვენს და ზეთს დაასხამენ და მერე ტარხუნას, ძმარსა და ოხრახუშს უზამენ.

— ზეთი, ტარხუნა, ბადრიჯანი, — მისუსტებული ხმით იმეორებდა დედა, — თართი, ხიზილალა...

— წვნიანი შეიძლება გამოვტოვოთ, — განვაგრძე მე, — შემდეგ მოდის ხორცეული. ჯერ ინდაურის საცივი. ამის ოსტატი ძია ვანოა. მოიცა (უცებ კარგი აზრი მომივიდა თავში), თუ ნებას მომცემთ, ძია ვანოს ვთხოვ, რომ რამდენიმე დღით ადრე მოვიდეს და ყველაფერი მოამზადოს.

— რა, მზარეული ხომ არ არის? — მკითხა დედამ.

— რესტორანი ჰქონდა მრავალი წლის განმავლობაში. თქვენ ნუღარაფერზე შეწუხდებით.

— კარგი, — ამოიხვნეშა დედამ, — ყოველმხრივ კარგი იქნება. გვეტყვის, რა დავამზადოთ. ელენე უყურებს და ისწავლის თქვენებური კერძების კეთებას. რაც დაჯდება, დაჯდება! რას ვიზამთ! თავიდან უნდა დაგვეპირა ქეთერერის [1] ვარაუდი.

„ ნეტა რას ნიშნავს ქეთერერი. — ვიფიქრე გულში, —ესეც ვიკითხო? არა, თუ ეგ რაიმე კერძია, ძია უეჭველად მოახერხებს დამზადებას“.

ერთი სიტყვით, ჩვენები ყველაფერზე დავითანხმე და ქორწილამდე ორი დღით ადრე სადგურში წავედი ძია ვანოს დასახვედრად. იგი ისე იყო გარშემორტყმული ფუთებით, მუყაოს ყუთებითა და ჩემოდნებით, რომ ვუთხარი, წიწილებიან კრუხსა ჰგავხარ-მეთქი.

— რა მექნა, — მიპასუხა ძიამ, — ვერ გადავწყვიტე, რომელი ჩოხა წამომეღო. შავი, სიასამურის ქუდით, თუ თეთრი, ასტრახანული ბიხოსით. ბოლოს ორივე წამოვიღე. ჰოდა, აქ ჩემი ქვაბებია. ცოტა მწვანილიც. ასეთს აქ ვერ ვიშოვიდი, — და ძია ვანომ ათიოდე ისეთი რამ ჩამომითვალა, ურომლისოდ სიცოცხლე წარმოუდგენელი იყო.

ყველაფერი გადმოვიტანე და მანქანაში ჩავაწყე. ხავერდის ჩანთა ძიამ თვითონ წამოიღო. მასში შემზარავი საყასბო დანები, სამართებელივით ალესილი ვიწრო სათლელები, მოღუნულწვერიანი სათულები, ნაჯახები და პატარა-პატარა უცნაური ფორმის ალმასივით მჭრელი საფხეკები იდო. ძიას მეტს არავის ჰქონდა მათი ხელების ხლების ნება — ოსტატის იარაღები იყო.

სახლში მისვლისთანავე დარბაზში შევიყვანე.

---

[1] პროდუქტების დამამზადებელი (caterer).

— ეს ის კაცია, საჭმელი რომ უნდა მოამზადოს? — მკითხა დედამ.

ძიას თავის ბარგი მოჰყავდა წესრიგში, სათითაოდ იღებდა ნივთებს ფუთებიდან, მაგრამ, როცა ქალების ხმა გაიგონა, სარკეში ჩაიხედა, ტანსაცმელი გაისწორა და მეორე ოთახში შევიდა. ჯერ საერთო სალამი მისცა ყველას, შემდეგ ქალებს ჩამოუარა და ყველას სათითაოდ ეამბორა ხელზე. ბოლოს ბებიას წითელი ვარდების თაიგული მიუძღვნა, დედას დაშაქრული ხილით სავსე ატლასის ყუთი მიართვა. დას ნელსაცხებლის ბოთლი (ბაფთიანი) და მერე სიტყვა წარმოთქვა . ქართულად. როცა დაამთავრა, ჯიბიდან ძვირფასეულობათა პატარა ყუთი ამოიღო ელენესათვის. შემდეგ ორივე ლოყაზე მაკოცა და დაჯდა.

ბებიამ ღრმად ჩაისუნთქა და მკითხა:

— დიდად დავალებული ვარ, მაგრამ მითხარით, რა თქვაო?

— მან მადლობა გადაგიხადათ, პატივი რომ დასდეთ და მოიწვიეთ. გისურვათ, რომ დიდხანს და თანხმობით იცხოვროთ ყველამ ამ ოჯახში. მწუხარება გამოთქვა, რომ დედა არა მყავს და მამა ჯერ არ ჩამოსულა, მაგრამ სიამოვნებით იკისრა იყოს ჩემი უახლოესი ნათესავი ყველა სავალდებულო ცერემონიალის შესრულების დროს.

— ჩვენს მაგივრად მადლობა გადაუხადე, გეთაყვა. უთხარი, უაღრესად დავალებული ვართ-თქო, — მითხრა დედამ.

— ის ამბობს, ქალები რომ საქორწილო ხორაგის გრძელი სიის კითხვით არ შევაწუხო, ხვალ მე თითონ გამოგყვებით ბაზარში. ეს ჩემთვის სიამოვნება იქნებაო. ყველაფრის არჩევაში დაგეხმარებათ.

— ჩვენ გავაგებინეთ კი რამეს? — შეწუხდა ელენეს და.

ამასობაში ძია ჯონი უკვე კარგად შეეგუა გარემოს და კითხვა გაიგო. იგი წამოდგა: „I luff, I luff you oll“ [1], — თქვა მან და კვლავ დაჯდა.

მომდევნო დღეებში მთელი სახლი საქორწილო მზადებით იყო აფორიაქებული. სისხამ დილიდან ისმოდა მარტო ნაყვის, კეპვის, თქვეფის ხმა და ღუმელის კარის ხათქა-ხუთქი. ქვაბების სახურავები ორთქლზე ცეკვავდნენ. ძია ვანო მშვენიერ დროსტარებაში იყო — ხან თაროებზე აფათურებდა ხელებს და ვერცხლის ჭურჭელს ითვლიდა, ხან უეცრად გამოხტებოდა საკუჭნაოდან და კარადიდან გადმოღებულ თეფშს ამოწმებდა, ხან კი ხანგრძლივად ჩაფიქრდებოდა და ხელში დაცლილ ღვინის ჭიქას ატრიალებდა. ამ დროს, ალბათ, ფიქრობდა, თუ რომელი ახალი კერძით გავეკვირვებინეთ.

პირველ დღეს ძიამ და ბებიამ ორიოდე მწარე სიტყვა უთხრეს ერთმანეთს — წიწაკის დასამჟავებელი წათხის რეცეპტზე მოუვიდათ უთანხმოება, მაგრამ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ჩხუბის შემდეგ საუკეთესო მეგობრები გახდნენ. მეტადრე მაშინ, როცა გამოირკვა, რომ ორივეს გაგიჟებით ჰყვარებია ცერცვი, ნამცხვარი, შემწვარი და მოხარშული ხორცი, სუფი და სალათა.

მერე ქალებმა შემოიარეს და ძია ვანო თითოეულს ცალ-ცალკე უმხელდა შაქრით კომშის მოხარშვის საიდუმლოებას, ან თვითონ ეკითხებოდა რაღაც ანგელოსის ნამცხვრის დამზადების კონფიდენციალურ დეტალებს. ძია ვანოს მოსვლისთანავე სახლი სამზარეულო იარაღებით აივსო. მანამდე ძია ვანოს არც უხმარია ისინი — მჭრელი დანები ვაშლის დასაჩი-

---

[1] მე თქვენ ყველანი მიყვარხართ (დამახინჯებულად).

რავად, ყალიბები კარაქისათვის და რა ვიცი, კიდევ რა... ერთ-ხელ, წარმოიდგინეთ, წინადადებაც კი მომცა — ყავის საფქვავი დამიშალე, მინდა გავიგო, ასე წვრილად როგორ ფქვავსო. ეს ყავის საფქვავი კი თითქმის საგვარეულო რელიქვია იყო — ელენეს დიდედის პაპას ეყიდა ჰორში.

ბუნებრივია, მე ასეთი სისულელეებისათვის ვერ მოვიცლიდი. მთელი დღეები საქორწილო წესების დაზეპირებას ვუნდებოდი, რომ კრიტიკულ წუთებში მეგობრები და სამშობლო არ შემერცხვინა. ბოლოს ეს დიადი დღეც დადგა. ცერემონიალი დამთავრდა და აი, უკვე ცოლიანი კაცი ვარ. ყველამ მოგვილოცა და გვისურვა, ერთი საუკუნე ბედნიერად იცხოვრეთო. ამის შემდეგ დადგა დრო, რომ ლამაზ, სანთლებით გაჩახჩახებულ, ვარდებით მორთულ და სანოვაგით დახორგილ მაგიდას შემოვსხდომოდით. თუმცა ზოგი ამერიკელი სტუმარი, მგონი, ძალიან გაოცდა და შეცბა ამ უცნაური საქორწილო საუზმის დანახვაზე, მაგრამ მადა არ დაუკარგავთ. — ყველა გაცხარებული ილუკმებოდა. არც ისეთი დამბლა დასცემიათ, რომ მეორედ, არა, სჯობს სიმართლე ვთქვა, მესამედ და მეოთხედ არ გადაეღოთ ყოველი კერძი.

ახლა ჩემს მეგობრებზე მოგახსენებთ: როცა ასეთი სუფრა ნახეს, შალიკოს ეყო ვაჟკაცობა და ბოდიში მომიხადა, და, წარმოიდგინეთ, თვით ვახტანგმაც კი მოიხარა ქედი: თქვა — ჩემი ბიძაშვილის გათხოვების შემდეგ ასეთი არაფერი მინახავსო. ასე რომ, იმ დღეს ყველა ბედნიერი ვიყავით.

ძია ვანო ქალებში ჩამჯდარიყო, ნექტარის საძებნელად გამოფრენილ ფუტკარივით ზუზუნებდა და თან წამდაუწუმ ატრიალებდა თავს აქეთ-იქით.

— ამგვარად, ნიღაბს კარგად დავნაყავთ, — მესმოდა მისი ხმა, — მერე დაკეცილ ხალიჩაში ავიტანოთ...

— ახალ ხალიჩაში? — ბიჭებმა ტილები და მოუთმენლად დაუწყეს ლოდინი ბასუკს.

— დიახ, ჭალბაქონები, ოღონდ რუ ღელავთ, ღეროებს დავაჭრით, რადგან შემდეგ ლაბირინთს წვენი უნდა ვუქნათ. მერე წიწაკა...

— ტკბილი წიწაკა?

— ტკბილი, — როგორც ქალის ღიმილი, — დაუქნია თავი ძიამ. — ტკბილი, მწვანე, მრგვალი წიწაკა. შემდეგ ოხრახუში და ქინძი — ჩვენებური მწვანილებია. და ყველა ამას ქორფა მწვანე ლობიოში შევზილავთ...

— გასაოცარია, — წამოიძახა ხუჭუჭთმიანმა ლედიმ, — ნამდვილად გასაოცარია.

— და ეს ჩვენებური მწვანე ლობიო იქნება.

სადღეგრძელოები ითქვა, ცოტა ცრემლი დაიღვარა, მაგრამ უფრო მეტი სიცილი და მხიარულება იყო. ბოლოს განშორების ჟამიც დადგა — ჩვენ ხომ სამოგზაუროდ მივდიოდით. წასვლისას, რაღა თქმა უნდა, ყველას რაღაც გაახსენდა: ელენემ სხვა კოსტუმის ჩაცმა მოინდომა, მერე საქორწილო ნამცხვარს კვლავ რამდენიმე ნაპერი ჩამოჭრა, მერე თაიგული გადააგდო...

— ბილეთები? მატარებლის ბილეთები რა იქნა?

— ილარიონ! სად შეინახე მატარებლის ბილეთები? აბა, მარდად!

— შენს საფულეში.

კარგი ადგილი არ უპოვია ბილეთების შესანახად? მაგრამ მადლობა უფალს, მივაგენი.

და როცა უკვე წასვლას ვაპირებდი, ძია ვანომ ბოდიშით გაიყვანა ელენე დარბაზში და დიდი საიდუმლო გაანდო — ისეთი დიდმნიშვნელოვანი, რომ, მგონი, ორჯერ ვაუმეორა. თაღის ჭაღალმიდან მომესმა ელენეს „დიახ“ და შემდეგ მეორედ „დიახ“. ბოლოს, როგორც იქნა, გავეტიეთ. ადამიანს კარგად შეუძლია აიტანოს ერთი ქორწილი. ორს კი მე ჩემდათავად ვერ გავუძლებდი.

— ახლა კი, — ვუთხარი ელენეს, როცა მატარებელში ჩავსხედით, — ახალ ცხოვრებას ვიწყებთ და მოდი, ნურაფერი გვექნება ერთმანეთისაგან დამალული. რა გითხრა ძია ჯონმა?

— ახალი რეცეპტი, — სიცილით მითხრა ელენემ.

— ღმერთო ჩემო, რისი რეცეპტი?

— თუ გინდა ბედნიერი ცოლქმრობა გქონდეთო, — ჩამჩურჩულა ძია ვანომ ყურში, — სულ ცოტა, დღეში ერთხელ მაინც უთხარი შენ ქმარს, მიყვარხარ-თქო, და როცა ქართველებისათვის აწყობ სუფრას, არ დაივიწყო, უამრავი საჭმელი თუ არ იქნა, არ ეყოფათო.

ვიცინი, მაგრამ ხმადაბლა

მაგრამ ამ საქმეს საუკეთესო რჩევა-დარიგებაც კი ვერ შველის — ამერიკელ ქალიშვილს მაინც ძალიან უჭირს უცხოელის ცოლობა. სხვა ზნე-ჩვეულებათა შეთვისება, სხვანაირ საჭმელზე მიჩვევა, სხვა ენის შესწავლა...

მიუხედავად ამისა, გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ

ჩემმა ცოლმა საკმაოდ კარგად გაართვა თავი სიძნელეებს: ისწავლა აჯაფსანდალის გაკეთება, დაოსტატდა მჭადის გამოცხობაში, ორიოდე ქართულ სიტყვას ამტვრევდა და ქართველებსაც დაუამხანაგდა. ოღონდ ისინი (ძია ვანოს გამოკლებით), იმდენი ხნის ჩამოსულები იყვნენ, რომ უკვე ამერიკულ ყაიდაზე ცხოვრობდნენ.

ელენემ მხოლოდ ერთხელ წაიტეხა ფეხი და რომ მახსენდება, ახლაც მეცინება. ოღონდ, როცა ელენე მიყურებს, ვცდილობ, არ შემამჩნიოს.

ცოლის შერთვამდე ცოტა ხნით ადრე ერთმა გამოგონებამ გამიმართლა. მთელი ჩემი სიცოცხლე რაღაც-რაღაცეებს ვიგონებდი, მაგრამ ისე, გასართობად. ათიოდე წლისა ვიყავ, როცა ხის თოფი გამოვიგონე ხისავე ტყვიებით და კურდღელი მოვკალი. ომის დროს ჩემი ერთადერთი სიამოვნება ჩვენი ჯაბახანა მანქანები იყო. ისეთი უხეირო ნაკეთები გახლდათ, სულ მცირე შესწორება უკვე გამოგონებად ჩაითვლებოდა.

მე გამოვარკვიე, რომ ამერიკაში პირდაპირ გიჟდებიან გამოგონებებზე, განსაკუთრებით ისეთი მანქანის გამოგონებაზე, რომელიც მუშაობს, და ულაპარაკოდ იხდიან მასში დიდძალ ფულს.

იცით, რა არის მთელი საიდუმლოება? — ან უნდა გაამარტივო რთული მანქანა, ანდა პირიქით, გაართულო მარტივი, რომ იგი რაღაც არაჩვეულებრივი და მნიშვნელოვანი ეგონოს კაცს.

დაქორწინებიდან ცოტა ხანი რომ გავიდა, ასლის გადასაღები ქაღალდით დავინტერესდი, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც საინტერესო არა იყო რა.

ორიოდე კვირის შემდეგ ნიუ-იორკიდან ილიკოს წერილი მივიღეთ:

„ერთი ქართველი ყოფილა ნორთკაროლინაში — ბესო ფეხშველაშვილი. მრავალი წელია იქა ცხოვრობს. დიდი ხნის ჩამოსულია, ოღონდ არავინ იცის მისი ადგილსამყოფელი. სადღაც გაქრა. ახლა რადგან მეზობლები ხართ, შენი მოვალეობაა, იპოვო...“

ელენეს ვუთხარი: „ამ დღეებში, როგორც კი მოვიცლით, ბესო ფეხშველაშვილის საძებნელად უნდა წავიდეთ-მეთქი“. ოღონდ ჯერ გადასაღები ქაღალდი უნდა დამემთავრებინა. ამას გარდა, თავი ახალი სახის, წყალგამძლე ცემენტით მქონდა გამოტენილი და ისიც უნდა გამომეცადა.

ერთ დღეს გაზაფხულის სუნთქვა ვიგრძენი. ვირჯინიაში რაღაც საოცრად ლამაზი გაზაფხული იცის. სულ ერთ კვირაში მინდორ-ველი ლურჯად მოლივლივე სუმბულებით იფარება, ხეთა ჩეროში იები მოელვარე, წინწკლებიან ხალიჩას ქსოვენ, ყველგან, სულ ყველგან ფიჭვის სურნელი დატრიალდება ხოლმე.

— სწორედ თავგადასავლების შესაფერი ჟამი დადგა, — ვუთხარი ელენეს, — რა იქნება, რომ ბესოს მონახვა ვცადოთ?

სახლი გამოვკეტეთ, ძაღლები ჩამოვიყვანეთ, მანქანაში ჩავსხედით და გზას გავუდექით. ილიკოს წერილიდან დაახლოებით ვიცოდი იმ ბესოს ადგილსამყოფელი. პატარა ქალაქი იყო, დურჰამის აღმოსავლეთით C თუ K იყო პირველი ასო. მატარებელი არ უდგებოდა. გვერდით მდინარე ჩაუდიოდა.

ელენემ ცნობარიდან ამომიწერა ასეთი ქალაქები, მაგრამ

თან დაიჩივლა — როგორ ვიპოვით, კარდაკარ ხომ ვერ ვივ-ლითო?

— საუკეთესო რესტორანს ვიპოვი და გამგეს ვკითხავ. ქართველი კაცი თუა და ქალაქში ცხოვრობს, დროდადრო რეს-ტორანში უნდა იქეიფოს, თუნდაც სულ მარტოდმარტომ.

პირველი ორი დღე ელენეს ამოწერილ თითქმის ყველა ქა-ლაქში ვიყავით, მაგრამ ბედმა არ გაგვიღიმა. მესამე საღამოს ერთი მოხუცი კაცი მიგვასწავლეს. ის კაცი უნდა ყოფილიყო, ჩვენ რომ ვეძებდით. მივედით, მაგრამ ყარსელი სომეხი გამო-დგა. სამოცი წლის წინათ დაუტოვებია სამშობლო.

ორიოდე საათი ვისტუმრეთ ამ სომხის ოჯახში, მისი თავგა-დასავალი მოვისმინეთ, ფოტოსურათები დავათვალიერეთ, მი-სიანები გავიცანით და ერთი ბოთლი დუძიკა დავლიეთ. ძირ-ტკბილას მოგაგონებს, ოღონდ სპირტიანია. მე თუ მკითხავთ. გემო სახელზე უკეთესი არა აქვს. სომეხს ვკითხე, ოდესმე ვინმე ბესო ფეხშველაშვილს ხომ არ გადაყრიხართ-მეთქი. არაო, მითხრა, — მაგრამ, ამბობენ, მეზობელ ქალაქში (აქედან ორმოცდაექვსი მილია) ვიღაც უცხოელი ცხოვრობსო. ოღონდ, მან არ იცოდა, საიდან იყო ჩამოსული ეს უცხოელი, პენსილ-ვანიდან, რუსეთიდან თუ მთვარიდან. ამ სომხისათვის ყველა უცხოელი იყო და ამიტომაც დღემდე არ მონდომებია მისი ნახვა.

გადავწყვიტეთ, კიდევ გვეცადნა ბედი. დავიძარით და საღა-მომდე ძლივს მივაღწიეთ ქალაქს.

მისი ნიშნები ილიკოს მონაწერს არ დაემთხვა: არც „C“-ზე იწყებოდა არც „K“-ზე, და არც დურჰამის აღმოსავლეთით იყო. თანაც მდინარის მხოლოდ ნახევარი ჩაუდიოდა გვერდზე. (მეორე ნახევარი შარშანდელ ზაფხულში ამომშრალიყო).

გზაზე ვიღაც ზანგი მისეირნობდა. მანქანა გავაჩერე და ვკითხე, მავანი და მავანი კაცი ხომ არ იცი-მეთქი.

— დიახ, — მიპასუხა მან მჟღერი ხმით (ამ ზანგებს ისეთი ხმა აქვთ, თითქოს ვერცხლის თასიდან თაფლი იღვრებაო), — ერთი რაღაცნაირი კაცი ცხოვრობს შარაგზის ბოლოს სახლში. ამერიკელი არაა. მარჯვნივ მოუხვიეთ, მერე მარცხნივ.

როგორც იქნა, მივაკვლიეთ იმ სახლს. მთლად ჩაბნელებული იყო. კარგა ხანს ვაბრახუნე, მაგრამ არავინ გამოგვხედა და მანქანაში დავბრუნდით.

— შინ არავინაა? — მკითხა ელენემ.

— არა. წერილს დავუტოვებ და თუ ის კაცი ბესოა, იქნებ გვესტუმროს ოდესმე.

— და თუ ის არ არის, შეიძლება მაინც გვესტუმროს, — თქვა ელენემ, — სულ არ გამიკვირდება.

რამდენიმე სიტყვა დავწერე და კარის ღრიჭოში შევტენე. მერე გულის დასამშვიდებლად ერთხელ კიდევ ვხეთქე კარს ფეხი. და ის იყო, უკან წამოსვლას ვაპირებდი, რომ კარის სარკმელი გაიღო და ვიღაცის სახე გამოჩნდა.

— გამარჯობა, — ვუთხარი სახეს ქართულად.

სახე მიიმალა, სარკმელი მიიხურა. დაველოდე. არაფერი შეცვლილა. ცოტა კიდევ დავიცადე. კვლავ არაფერი.

— მომისმინე! — მივმართე კარს ქართულად, — ის, ვინც შენს შიგნით ცხოვრობს, ჩემი აზრით, გიჟია. მამამისიც გიჟია და პაპამისიც გიჟი იყო. შენ, ვიღაცა ხარ მანდ, გისურვებ, რომ ლუკმა ქვად გექცეს და ერთი მეგობარიც ვერ იპოვო, რომ სუფრაზე მოგიჯდეს გვერდით. მარტო შენს ქელეხზე იყოს ხალხი. თუ მანამდე მივაწიე, მეც სიამოვნებით დაგეწვევი. ღამე მშვიდობისა.

თუ ქართველი იყო, გაიგებდა, თუ რა აზრი შემექნა მასზე. თუ არა, — ჩემი ლაპარაკით არაფერი დაშავდებოდა.

კარი გაიღო. მე 40 — 50 წლის მამაკაცი დავინახე.

— გაგიმარჯოს, — მითხრა მან ისეთი ხმით, თითქოს დაჟანგული ხერხი ჭრიალებსო, — ბოდიშს ვიხდი. შინ შემოდით.

— ცოლი მყავს მანქანაში.

— ნება მიბოძეთ, მასაც ვთხოვო. დიდად ნასიამოვნები დავრჩები, თუ შემოვა.

შევედით და დავსხედით. ძველი, მაგრამ სუფთა სახლი იყო.

— რაც მამათქვენსა და პაპათქვენზე ვთქვი, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ახლაც ვერავინ დამაჯერებს, რომ პირადად თქვენ გიჟი არა ხართ, რატომ თავიდანვე არ შემომიყვანეთ?

— არავის გაცნობა არა მსიამოვნებს. ძუნწი ვარ. ყველას კარისაკენ ვუთითებ. მომეშვით სუყველა.

— თუ ასე გინდოდათ, მაშ რატომ შემოგვიყვანეთ ოთახში?

— როცა თქვენი ხმა გავიგე, აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. უკან გამებრუნებინა ქართველი კაცი? რომ წასულიყავით და გეთქვათ ბესო ფეხშველაშვილის კარზე ვაკაკუნე და არ გამიღესო, ხომ მომეჭრებოდა თავი. აი, ამიტომ იყო, რომ შემოგიშვით.

— გასაგებია. — ვუთხარი მე, — ეს იმით აიხსნება, რომ გაძუნწებამდე ქართველი იყავი. ხომ გაგიგონიათ, სანთელსაკმეველი გზას არ დაჰკარგავსო.

ბესო მაგიდას აწყობდა და თანხმობის ნიშნად თავს გვიქნევდა. სიჩუმე რომ დამერღვია, ვუთხარი:

— გასაოცარი ამბავია. პირველად ვხვდები უცხვირპირო

ქართველს. ჩვეულებრივ სულ იმას გვისაყვედურებენ, რომ თავზე გადაყოლა ვიცით ხოლმე.

— რას იზამ, — მიპასუხა ბესომ, — როგორც კი ვინმეს გავიცნობ, მაშინვე ფულს დამესესხება. ხან მახლობელი ჰყავს ავად — ოპერაცია უნდა გაუკეთონ, ხან რაიმე სარფიან საქმეს იწყებენ, ხან მიწას ყიდულობენ. ყოველთვის ერთსა და იმავეს ამბობენ. ყველაზე ხშირად კი გამოგონებებს მთავაზობენ. უარის თქმას ვერ ვახერხებ და ფულს ვაბანდებ ამ გამოგონებებში.

ბესომ წარბებქვეშ გამომხედა და მკითხა:

— გატყობ, შენც რაღაც გამოგონება გექნება.

— არა. მეც გატაცებული ვარ გამოგონებებით, მაგრამ ფული არ მჭირდება.

— აი, ამ წუთში რაიმე აზრი ხომ არ გიღიტინებს თავში. რაიმე პატარა, უბრალო მიგნება.

რატომ მოვუყვე ჩემს ცემენტზე, — ვთქვი გულში. სჯობს, მე თვითონ გავაკეთო-მეთქი. ხმამაღლა კი ვუთხარი:

— ერთი რაღაც მაქვს. მანქანას ეხება: მაგრამ მაინცდამაინც გულით არ მოვკიდებივარ. მგონი, მუდმივი ძრავა გამოვიგონე, ოღონდ რომ დავრწმუნდე, ლოკომოტივი მჭირდება.

— აი, ხომ მივხვდი! საშველი არაა! ყველაზე უფრო ეს მუდმივი ძრავები მღუპავს. კარგი, ამიხსენი, როგორია ეგ შენი გამოგონება და იქნებ ვიშოვოთ ლოკომოტივი.

სიტყვა ბანზე ავუგდე: ვუთხარი — მანქანაში ძაღლები მყავს, ხომ არაფერი უშავს, აქ რომ შემოვიყვანო-მეთქი.

ჩემს მობრუნებამდე ბესოს ორი თეფში ხორცი დაედგა იატაკზე. ქედანა და მურა კარგა მადიანად შეექცნენ.

— იქნებ კიდევ შიათ, — მკითხა ბესომ, როცა დაინახა, რომ ძაღლები თეფშებს ლოკავდნენ.

ბესომ ძაღლებს ცალ-ცალკე დაულაგა წინ ქაღალდში შეფუთული ჩურექ-ლუჰუმები. ქედანას ეყო ზრდილობა და ქაღალდი წინასწარ შემოაგლიჯა, მაგრამ მურა არ იყო საზოგადოებაში გამოსული და გასანთლულ ქაღალდიანად გადასანსლა.

შემდეგ ბესომ მშვენიერი სუფრა გაგვიშალა. დავსხედით და კარგი დრო გავატარეთ. ბესო განსაკუთრებით ნასიამოვნები დარჩა, როცა გაიგო, ცოლი ახლადშერთული რომ მყავდა და მაინც ვაწვიე. ეს ძალიან დიდ პატივისცემად ჩათვალა.

ბესო კედელთან მივიდა და სურათი ჩამოხსნა. სურათს უკან კედელში შეჭრილი დიდი ხვრელი გამოჩნდა. ბათქაში და ტკეჩები გამოეტეხათ. მან ხელი შეყო ხვრელში და ცის დანაკის საყურეები გამოიღო. ასეთი ლამაზი არაფერი მენახა — ოქროში ჩასმულ საპნის ბუშტებს ჰგავდა.

— მე მსურს ჩემს თავს სიამოვნება მივანიჭო თქვენი ცოლისათვის ამ პატარა სახსოვრის ჩუქებით. ნებას მომცემთ?

ნება მივეცი და გულწრფელი მადლობა მოვახსენე, მაგრამ ელენემ რაღაც მოიბოდიშა და უარი განაცხადა.

— გასაგებია, გასაგებია. — თქვა ბესომ, — ჩემი სიბრიყვის ბრალია. უნდა მაპატიოთ. თქვენ ფიქრობთ, რომ ცის დანაკი თარსია, არა?

მან ცოტა ხანს აფათურა ხვრელში ხელი და ამეთვისტოს გულსაბნევი ამოიღო.

— გთხოვთ, ნება დამრთოთ, რომ საყურეების ნაცვლად ეს გულსაბნევი შევთავაზო. ან კიდევ ეს, — და ბესომ ბრილიანტის თვლიანი ბეჭედი დაგვანახა.

ელენემ მადლობა გადაუხადა და გულსაბამი გამოართვა, რადგან დაატყო, ეს რომ არ გამოერთმია, მაშინ ბესო უფრო ძვირფას საჩუქარს შესთავაზებდა.

— თქვენ არ შეიძლება ძუნწი იყოთ. ეს ყოვლად წარმოუდგენელია, — ვუთხარი ბესოს.

— კი! ნამდვილად ვარ! ძუნწი რომ არ ვიყო, განა კედელში დავმალავდი სამკაულებს. მაშ ეს სიძუნწე არაა?!

ბოლოს შინ დაბრუნების დროც მოვიდა. ბესო ჩამაცილა. ეს დურბინდი წაიღე სახსოვრად. ამით გაიხსენებ ჩემთან პირველად მოსვლასო. მერე ფოტოაპარატი მომაჩეჩა ხელში — ეს იმის გასახსენებლად, დღე და ღამე რომ დადიოდი ამ უცხო ქვეყანაში შენი თანამემამულის მოსაძებნადო. მერე ელენეს ინგლისურ, რუსულ და ბერძნულ შრიფტიან საბეჭდ მანქანას აძლევდა, მაგრამ, როგორც იყო, დავაჯერე, ექვსი თუ შვიდი ცალი გვაქვს-მეთქი. ბესომ პირობა მოგვცა, რომ ორი კვირის შემდეგ გვესტუმრებოდა.

გზაზე ლენემ კინაღამ დამახრჩო შეკითხვებით.

— რატომ იყო ასეთი ჩუმი? რატომ პირდაპირ მე არ მომმართავდა? არ მოვეწონე?

— ძველი ყაიდის კაცია, — განვუმარტე მე, — ისინი უხსოვარ დროს ასე იქცეოდნენ და ახლაც მტკიცედ ადგანან ამ ჩვეულებებს. მაშინ ეს ზრდილობად ითვლებოდა.

შინ რომ დავბრუნდით, კვლავ სამუშაოს ჩავუჯექი და, როგორც იყო, დავამთავრე ჩემი ცემენტი. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ კარგი იქნებოდა.

— ამ ცემენტით ჩვენი სახლის სარდაფის შელესვას ვაპირებ (ჩვენი სახლი ნესტიანი იყო), თუ აქ გამოდგა, მაშ წყალგამძლე ცემენტი გამომიგონებია-მეთქი, — ვუთხარი ელენეს.

ბულდაგულ შევლესე და სარდაფი ფიჩხივით გამოშრა. დღეში ხუთჯერ მაინც ჩავდიოდი სანახავად — პირდაპირ შედევრი იყო!

იმ დღეს, როცა ბესოს მოველოდით, სადგურისაკენ გავეშურე, მაგრამ გზად წითელი მელია შემომხვდა. მელია ხიდზე გადარბოდა და ცოტა ხანს ვუმზირე. მინდოდა გამომერკვია, რატომ აქანდაკებენ, მაგალითად, ბეჰემოტებს. თუ ბეჰემოტები იმსახურებენ გამოქანდაკებას, მელიამ რაღა დააშავა. ბოლოს მივხვდი—ეს მხოლოდ და მხოლოდ კუდის ბრალია. მერე გარეული ჯადვარი ვიპოვე, ინგლისურად „ქალის ფეხსაცმელს" რომ ეტყვიან ისა, და ამოვთხარე. ვიფიქრე, ელენეს ბაღში დავრგავ-მეთქი. მერე შევეცადე გამეგო, რას ამბობდა ნაკადული, მიწაზე დავწექი და ვუსმინე და ვუსმინე: „თევზები თეფშებზე, თევზები თეფშებზე" რაკრაკებდა ნაკადული. მეტს ვერაფერს მივხვდი. ამან გამახსენა, რომ მშიოდა. წამოვხტი და სადგურისაკენ გავეშურე. მატარებელი კიდეც მოსულიყო და კიდეც წასულიყო, — თითქმის ერთი საათი იქნებაო, — მითხრა რკინიგზის მოხელემ. ბესო ვერსად შევნიშნე: ვიფიქრე, ალბათ, არ ჩამოსულა, თორემ რომ ჩამოსულიყო, მოისაზრებდა და სადგურზე დამელოდებოდა-მეთქი. (ბესო გამოცდილი კაცია და მიხვდებოდა, რომ დროზე არ მივიდოდი სადგურში).

რაღა უნდა მექნა. ავდექი და შინ მივბრუნდი. ხორშაკი ქარი ქროდა. აივანზე ელენე დავინახე. სვიტრი ჩაეცვა, თავშალი მოეხურა და ხელთათმანებიც არ დაევიწყა. იგი ჩაის უსხამდა ბესოს, რომელსაც ყელსახვევით მოებუდნა თავპირი, პალტო ეცვა და ქუდიც ეხურა. შევამჩნიე, რომ ძალიან ტანჯული გამომეტყველება ჰქონდა.

შინ შევედით. ძალიან მინდოდა გამეგო, რა აწუხებდა ბე-

სოს, მაგრამ მან მალე მოიკეთა და ჩამოტანილი საჩუქრების ამოლაგება დაიწყო. ჩემთვის გიტარა ჩამოეტანა, ელენესათვის თხილამურები, — მძლეოსნობა ყველა ამერიკელ გოგოს უყვარსო.

ვისაუზმეთ, დავლიეთ, დრო გავატარეთ და შემდეგ ბესო წასასვლელად შეემზადა — რიჩმონდში მიდიოდა საქმეზე. დაგვპირდა, რამდენიმე დღეში უკან უნდა წამოვიდე და შემოგივლითო. ელენეს სული კბილით ეჭირა, სანამ ბესო დაგვემშვიდობებოდა. პირდაპირ იწვოდა ცნობისმოყვარეობით.

— რაში იყო საქმე? — მეცა იგი, როგორც კი ბესო ზღურბლს გადასცდა, — მითხარი, თუ ღმერთი გწამს, რატომ არ შემომყვა ოთახში?

— მითხარი, როგორ იყო?

— როგორ და კარზე რომ დააკაკუნა, რა თქმა უნდა, ხელი ჩამოვართვი და შემოვიპატიჟე. მე მგონი, თავაზიანად ვუთხარი. მე ხომ ძალიან გამეხარდა მისი დანახვა. მითხრა, გარეთ მოვუცდიო. ჩავაცივდი, შემობრძანდი-მეთქი, მაგრამ არ ქნა, აივანზე რომ სკამი გვიდგას, იმაზე დაჯდა და მეც რაღას ვიზამდი, გარეთ ვავედი. ყველაფერზე ველაპარაკე, რაც კი გამახსენდა — ამინდზე, ვირჯინიაზე, ჩვენს ნაცნობ ქართველებზე, ვკითხე, როგორ იმგზავრეთ-მეთქი, ხშირ-ხშირად გზას გავცქეროდი, მაგრამ შენ არა ჩანდი. უკვე პირველ საათს გადასცდა. ამიტომ საუზმე გარეთ გამოვიტანე. ნეტა რა მოეჩვენა? რამე დავაშავე?

— არა, არა. ეს ძველთაძველი ზრდილობაა. მრავალი წლის წინათ ასეთი ჩვეულება იყო, როცა ვინმესთან მიხვიდოდი, გარეთ უნდა დაგეცადა, სანამ თვითონ ოჯახის უფროსი არ შეგიპატიჟებდა სახლში. უბრალოდ, ასეთი ადათი არსებობდა: როცა მარტო ცოლი იყო შინ, ოთახში არ უნდა შესულიყავი.

— ღმერთო ჩემო, — ელენეს სუნთქვა შეეკრა და სახე ჭარხალივით გაუწითლდა. — რა ჩავიდინე! ეს რა ჩავიდინე!

— რა?

— როცა ბაღი შემოვატარე, შენი ჩაყრილი ხეხილი, ფანჩატური და სათევზაო გუბურა დავათვალიერებინე...

— მერე, რა მოხდა?

— მერე მე, ოჰ, რა ვქენი! სამუდამოდ მოგჭერი თავი, — ელენე აქვითინდა, — მერე ვეღარ მოვიფიქრე, რითი გამერთო და ვუთხარი, იქნებ ინებოთ, ჩემთან ერთად სარდაფში ჩამობრძანდეთ და ცემენტი ნახოთ-მეთქი.

ფერმის შეძენა

უკვე მეორე გაზაფხული იყო, რაც ვირჯინიაში ვცხოვრობდით. ერთხელ ორი რამ შეგვემთხვა ერთდროულად. ერთი ის, რომ ილიას მეუღლე, ემილია იაკოვლევნა, დაგვპირდა, ზაფხულის შვებულებას თქვენთან გავატარებო, და მეორე, ელენე დავიყოლიე, მონაწილეობა მიგვეღო კონკურსში. „რაღა სწორედ ესა და ეს საჭმელი ზეთი მოგწონს და არა სხვა", — იყო ამ კონკურსის ერთ-ერთი კითხვა.

— სწორედ ის ზეთია დასახელებული, რომელსაც ვხმარობთ, — ვუთხარი ელენეს, — რატომ არ უნდა ვცადოთ ბედი?

— ნუ სულელობ, ჩვეულებრივი მოკვდავები ამ კონკურსში არ იმარჯვებენ. ან კომპანიის მესვეურის ბიცოლა მოიგებს, ან ტყუილ გვარს დაწერენ.

— არა მჯერა, ამერიკაში ხომ ყოველთვის უამრავი ხალხი იგებს. ყველა გაზეთში აცხადებენ და რადიოთი გადმოსცემენ ხოლმე. მე მგონი, ვინც იგებს, ნამდვილი ადამიანია. როგორც ჩანს, ამერიკაში ძალიან მიღებულია ასეთი კონკურსები.

— კარგი, შენცა სცადე.

მეც ავდექი და ზეთის კომპანიას წერილი მივწერე:

„სალამი და კარგად ყოფნა ამ წერილის წამკითხველს! მაქვს პატივი შეგატყობინოთ, რომ ჩემი ცოლი ყოველდღე თქვენი ზეთით კაზმავს სალათს. არ ვიცი, ჩემი ცოლია კარგი, თუ თქვენი ზეთი. ერთი კია — უკეთესი სალათა არავის უჭამია ქვეყნად“.

ღუმელი, სტოკერი და რვა ტონა ქვანახშირი მოვიგე.

ელენე გულზე გასკდა. იგი დახელოვნებულ ლიტერატორად ითვლებოდა ჩვენს ოჯახში. სამაგიერო რომ გადაეხადა, ჩემს საბრძანებელში შემოიჭრა და დასაკეცი საყვავილე ქოთანი და კარსა და კარს შუა ჩასადები რეზინები გამოიგონა (რეზინი ძველი კამერისაგან უნდა გამოეჭრათ და მას ქეჩის მაგიერობა უნდა გაეწია).

ელენემ ორივე იდეა ერთ ტექნიკურ ჟურნალს მიჰყიდა. ნეტა ღმერთმა მოწყალების თვალით გადმოხედოს იმათ, ვინც ამ გამოგონებათა განხორციელებას დააპირებს. ერთი სიტყვით, ახლა მე და ელენე ბარიბარში ვიყავით.

ახლა ღუმელზე მოგახსენოთ: ჯერ ერთი, იჯარით აღებულ სახლში ვცხოვრობდით. მერეც, ადგილიც არ გვქონდა მეორე ღუმელის დასადგმელად. ამიტომ სასალათე ზეთის კომპანია ძალიან კეთილად მოგვექცა და ღუმელის ნაცვლად ელექტრომაცივარი მაჩუქა.

— მოდი, უფრო ხერხიანად მოვიქცეთ, — ვუთხარი ელენეს,

როცა სამზარეულოში ელექტრომაცივარი აზუზუნდა, — განა არა სჯობს, სახლი ვიყიდოთ. სხვა დროს ყოველგვარი საჩუქრისათვის გვექნება ადგილი. ასეთი შეცდომა აღარ უნდა გავიმეოროთ.

ასე ვიყიდეთ ფერმა პენსილვანიაში.

მაგრამ ეს ყოველივე არაფერი იყო ემილია იაკობის ასულის დაპირებასთან შედარებით. შვებულების ჩვენთან გატარება ფრიად მოულოდნელი დაფასება იყო, რადგან ემილია საქმიანი და მოდაში შემოსული ქალბატონი გახლდათ. აურაცხელი ტანსაცმელი და ორი ბეწვის ქურქი ჰქონდა, კვირაში შვიდნაირად ივარცხნიდა თმას და საუცხოო კოსმეტიკის კაბინეტის მფლობელი იყო. თავის ხელოვნების მიღწევებს ემილია სასტუმრო „ასტორიის“ ხალხით გაჭედილ დარბაზებში აჩვენებდა. ემილია ყოველთვის გვასწავლიდა, როგორ მოვქცეულიყავით, თუ ნამდვილ ამერიკულ ყაიდაზე გვინდოდა ცხოვრება.

ახალშეძენილ ფერმაში რომ გადავსახლდით, ემილია ჯერ კიდევ არ იყო გასული შვებულებაში. როცა ავეჯი უწესრიგოდ დავალაგეთ გასარემონტებელ ოთახებში, ხარახურა გადავყარეთ და ტელეფონი დავდგით, ელენეს ვუთხარი:

— ახლა კი, ვფიქრობ, დროა, ილიას დავურეკო და ემილიას ჩამოსვლის თაობაზე მოველაპარაკო.

— რაღაც ვერ წარმომიდგენია ემილია თავისი მტრედისფერი, გაპრიალებული ფრჩხილებითა და სიფრიფანა წინდებით ჩვენს ფერმაში, მაგრამ შენ როგორც გენებოს ისე გააკეთე.

მე ნომერი ავკრიფე და ილიკოს ქართულად ვუთხარი:

— ჩვენ გუშინ ვირჯინიიდან ავიყარეთ და აქ გადმოვსახლდით, მაგრამ ემილიას უთხარი, მაინც ჩამოვიდეს. ბეთლემში

ჩამოვიდეს მატარებლით, ზუსტად ისე, როგორც ადრე ავუხსენით. ისევ პენსილვანიაში, რიჩმონდში კი არა... ბეთლემში. გაიგე?

— გავიგე, რა თქმა უნდა, გავიგე, — ეტყობა, ილიკოს პირთან ისე ახლო მიეტანა მიკროფონი, რომ ხმა მთელ ოთახში ისმოდა, — ყველაფერი გავიგე.

— სადგური პენსილვანია?!

— ჰო!

— სამშაბათს. როგორც დავთქვით.

— კარგი!

— აბა, კარგად იყავი!

— მოიცა. — დაიღრიალა ილიკომ, — სად უნდა ჩამოვიდეს?

ყურმილი მაგრად ჩავბღუჯე ხელში და ჩავყვირე:

— ბეთლემში. პენსილვანიის შტატში!

— ვერ გავიგე! ასო-ასოდ მითხარი!

— ბეჰ — ბეჰ, — დავიწყე მე, მაგრამ ველარ დავამთავრე. შემდეგი ბგერა ქართულში არა გვაქვს, — ამ ბგერის ნაცვლად ხორხიდან რაღაც ხრიალი ამოვუშვი.

— არ მესმის, — იყვირა ილიკომ, — ბიგლი? არის ასეთი ქალაქი! ბიგლი.

— აბა, რა ვიცი, არის? ყურადღებით მომისმინე. ბეთლემი. ბეჰ-ეჰ ს-ოჰ, რა ჯანდაბა დაგემართა?! აი, სადაც ფოლადია, კაცო, ფოლადი.

— პიტსბურგში გინდა ჩამოვიდეს? პიტსბურგის სადგურზე დახვდები?..

მუხლებში გავიმართე და ხმას ავუწიე.

— მომხედე, ილიკო! ქალაქი ბეთლემი! ბეთლემი! სადაც ქრისტე დაიბადა.

— ის ხომ ძველ ქვეყანაში დაიბადა. მე ასე ვიცი. აქ არ დაბადებულა.

შევატყე, რომ სისხლი მომაწვა ყელში, მაგრამ ერთხელ კიდევ ვცადე:

— ბეთლემი. მამაშენის სახელს წააგავს. მიხვდი? ძალიან კარგი. ემილია იაკოვლევნას უთხარი, სადგურიდან დაგვირეკოს.

— აი, ახლა კი გავიგე. რატომ აქამდე არ მითხარი ასე? ახლა მოგაგნებს... კარგად იყავი!

ყურმილი ჩამოვკიდე და შუბლი მოვიწმინდე. თავიდანვე ასე უნდა მეთქვა. ახლა ხომ მიხვდა.

— კი მაგრამ, მამამისს მართლა ბეთლემე ერქვა? — მკითხა ელენემ. — ნუთუ ილია ბეთლემის ძეა?

— არა, მაგრამ ძალიან დიდი მსგავსებაა. ბართლომე — ილია ბართლომეს ძე. ახლა უკვე გვიპოვის.

ვუცადეთ სამშაბათს, ოთხშაბათს, მაგრამ ემილია არ გამოჩნდა. პარასკევს, ნაშუადამევს, რკინიგზის მოხელემ დაგვირეკა:

— ერთი ქალბატონია აქ, უკვე კარგა ხანია იცდის. ჩემი ვარაუდით თქვენებური უნდა იყოს.

იმ წამსვე სადგურისაკენ გავქუსლე. მართლა ემილია გამოდგა, როგორც ყოველთვის, უცხოელს ჰგავდა. ახალი კაბა ეცვა, ახალი ქუდი ეხურა, თმა უცნაურად დაევარცხნა და სახეზე რაღაც ნელსაცხებელი წაესვა.

— ასე ხომ? — თქვა ემილიამ და რაღაც სხვანაირად ჩაიცინა. — არ შემხვდით ხომ? მე უკვე ვიყავი ბერთესვილში, მშვენიერი ადგილი ყოფილა, ბარტოში. იქ ღია ბარათები ვიყიდე. ნიუ იერუსალიმი მოვინახულე. მთელი ქვეყანა მოვიარე. აქ

ორ დღეა ვიცდი, რა უცნაურია ხალხი — ეგონათ, რომ არასოდეს მომაკითხავდით.

— ძლიერ ვწუხვართ, — თქვა ელენემ, — დიდ ბოდიშს ვიხდით, რომ...

— არაფერია. მე ხომ ვიცოდი, რომ მოხვიდოდით. ოდესმე მაინც!

მივედით შინ და მანქანიდან ტანსაცმლის ყუთი, ტყავის ნესესერი და ქუდებისა და ფეხსაცმელების ყუთები გადმოვტვირთეთ. ემილია ისე გახალისდა, ვეღარ იცნობდით.

— ეს ფერმა ყოფილა, — თქვა მან, ბოსლისაკენ მიბრუნდა, ყელი მოიღერა და ღრმად ამოისუნთქა, — აი, ეს კი ფერმაა. რატომ ადრე არ მითხარით? მომყევით! — ემილიამ წინდები და წაწინწილებულქუსლიანი ფეხსაცმელები გაიხადა და ფეხშიშველამ გადაჭრა ეზო. კარგახანს გულისყურით უმზერდა ბოსელს, აბა, როგორი კოჭები აქვსო, მცოდნის თვალით გამოიკვლია საღორე, საქათმის დანახვაზე უკმაყოფილოდ გადააქნია თავი; მერე შვრიის ყანაში გადაუხვია, რამდენიმე თავთავი მოწყვიტა და გამოღეჭა, ყველა ყანის მიწის ნიმუში აიღო და ხელში დასრისა, მერე ღელეს აუყვა და, ბოლოს, როგორც იყო, უკან მობრუნდა (ჩვენ ფეხდაფეხ მივსდევდით), ლობიოს ხის ქვეშ დაჯდა და ჩაფიქრდა.

— ეს ფერმა ქათმებისათვის არ ვარგა,- –თქვა ემილიამ კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, — ძალიან ნოტიოა. არც კარტოფილისათვის — თიხნარია. და, მე მგონი, არც ქერისთვის. მაგრამ მაინც კარგი ფერმაა, საუცხოო ფერმაა. ახლა მოვითათბიროთ, რა მოვიწიოთ: ხორბალი? ჭვავი?

— არაფრის დათესვას არ ვაპირებთ, — უთხრა ელენემ,— მაგრამ ემილიას სახეს რომ შეხედა გაასწორა, — თითქმის

არაფრის, მხოლოდ ცოტა კიტრი, პამიდორი და ასეთი რამეები. სახლის გულისათვის გადმოვედით. ფერმერობას არ ვაპირებდით. მიწამ დე დაისვენოს.

— მაშინ სარეველა გაჩნდება. რა ახირებაა? ჩვენში ამის ნახევარი მიწით გამდიდრდება კაცი. სიკვდილამდე მდიდარი იქნება. შვილებს სკოლაში გაგზავნის, ოქროს საათს იყიდის ოქროსვე ძეწკვით.

— ემილია, არა მგონია კაცმა ფერმერობით დიდი ქონება შეიძინოს. ეგ არაა სარფიანი საქმე, თუმცა კარგი გასართობი კი უნდა იყოს.

— სარფიანი... რას ამბობ... ასეთ ფერმაში სამი, ოთხი...— ბოლოს თითები მოიშველია, — ექვსი, რვა ოთახიანი ქვის სახლით, სარდაფით, საჩიხებით და ასეთი ბოსლით ამერიკის უმდიდრესი ფერმერები ცხოვრობენ. მინდორზე ღორები, ძროხები და ცხენები ჰყავთ გაშვებული, თივა ზვინებად უდგათ, ბეღლები ხორბლითა აქვთ სავსე. ბაზარზე მასთან საუბარს ბედნიერებად თვლიან. აუცილებლად უნდა დათესოთ, ოღონდ ჯერ უნდა მოხნათ.

— მამაჩემმა შვილივით გამოზრდილი ცხენი გაყიდა, შალა ერქვა, და იმ ფულით ვლადიკავკაზში გამაგზავნა ხელობის შესასწავლად. „დროშკების“ სადგურზე თავი ვერ შეიკავა, ატირდა და მითხრა: „წადი, შვილო, ისწავლე და ლუკმაპურისათვის ჩემსავით აღარ მოგიწევს მთელი სიცოცხლე გუთნის უკან ჩანჩალიო“. ასე მითხრა მამამ. ესეც არ იყოს, მიწის დამუშავება არ მიყვარს.

— რასაც ცხოვრება გაძლევს, უნდა აიღო. ვერას გააწყობ. ბედია. აი, ჩვენ სოფელში ერთი კაცი იყო. წყალს რომ იღებდა, ჭაში ჩავარდა. ყვირილი ატეხა და მეზობლებმა თოკით და

კავით ამოიყვანეს. უფალს მადლი შესწირა, მაგრამ ცოტა ნაადრევად მოუვიდა. ამ ომში მეზღვაურად წაიყვანეს კრონშტანდში. გემბანიდან ტალღამ მოიტაცა და დაახრჩო. ცოლი, დედამამა და სამი შვილი დარჩა. რას იზამ, წყლის წერა ყოფილა. როცა წერაა, არაფერი ეშველება. ღორებზე რას იტყვი?

— არავითარი ღორი, — ვთქვი მე, — მარტო გარეულ ტახებს ვიყოლიებ. ისიც რამდენიმეს. ჩვენ რომ გვეყოს საჭმელად, იმდენს.

— მაშინ ძროხები? პრიალა, ყავისფერი ძროხებით გაავსე ბოსელი და ნაღები გექნება. ერთი ოთახი კარგად გავასუფთავოთ და შიგ კარაქი ვდღვებოთ ხოლმე. ცხვრები?! ათიოდე ცხვარიც გვინდა საძოვრების დასამშვენებლად. ქათმები მოვაშენოთ. წითელი ქათმები. წითლები უფრო მდიდრულია, ვიდრე ჩვეულებრივი, თეთრი ქათმები.

— გარეული ტახები თუ ვიშოვე, — ვთქვი მე, — ჩამოვკიდებ ჭერში და ქვევიდან ცეცხლს შევუნთებ. ქონის წვეთები მარგალიტებივით ჩამოიღვენთება, და ფანჯრის მინასავით გამჭვირვალე რომ გახდება, ქეიფი მოვაწყოთ და შევჭამოთ. გარეული ტახის შაშხი ნიგოზივით გემრიელია.

— კარგი! მაშინ ღორები შევიძინოთ! — დამეთანხმა ემილია, — დედაჩემმა ღორების მოვლის საიდუმლოება მასწავლა. რძეში მოხარშული ნელთბილი ფაფა უნდა აჭამო სამხრად. იქნება სახელმწიფომ პრიზიც კი მოგცეს ღორებში. აქ იციან ასეთი რამეები. განა არა?

— მეც ასე ვფიქრობდი, — აუბა მხარი ელენემ, — სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა ან საოლქო ბაზრობამ ან სხვა ვინმემ.

— იცით? — განაგრძო ემილიამ, — ამისთანა მდიდარ ფერ-

მას შიმშილობის დროს ღატაკები, ობლები და ხეიბრები მოადგებიან. ყველას პატარა კალათა ექნება და თქვენს ნაწყალობევს ჩაყრიან შიგ. ისეთი მდიდრები იქნებით, რომ ამის შესაძლებლობა გექნებათ. ისინი დაგლოცავენ და თქვენც მადლობას შესწირავთ გამჩენს, რომ მაინცდამაინც თქვენ ამოგირჩიათ ღარიბების მფარველად.

— პირადად მე, — თქვა ელენემ, — მათხოვრობა რომ დამჭირდეს, როდესმე, ისე შემრცხვება, რომ იქვე მოვკვდები.' ამას გარდა, ისინი უფრო სათემო ხაზინას აკითხავენ ხოლმე.

— „რაცაა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია", უთქვამს ჩვენს დიდ მგოსანს შოთა რუსთაველს, მაგრამ მოწყალების მიცემა მაინც ვერაფერი საქმეა. ჯობს, უფრო უკეთესი საშუალება გამონახო ხალხის საკეთილდღეოდ.

— რჩევასაც გკითხავენ, — დამამშვიდა ემილიამ, — თუ როგორ იცხოვრონ, როგორ დაქორწინდნენ, როგორ წავიდნენ ამქვეყნიდან. შენც უპასუხებ. იმდენი წიგნები და ჟურნალები რომ გაქვს წაკითხული, ელენე, ფუჭად აღარ ჩაგივლის.

— ჯერ მე თვითონ უნდა ვიცოდე, როგორ ვიცხოვრო და მერე სხვას ვასწავლო, — გაბრაზებით ჩაილაპარაკა ელენემ.

ცოტა ხანს მდუმარედ ვისხედით და ხეებში ჩაბუდებული მტრედების ნაღვლიან ღუღუნს ვუსმენდით.

— ხვალ დილას შინ მივდივარ, — თქვა უცებ ემილიამ.

— რას ბრძანებთ, ემილია იაკობის ასულო. — ხმაზე შევატყვე, ელენე ნანობდა, ასე უხეშად რომ მიმართა სტუმარს, — ნუ წახვალთ, მოიცადეთ. ფერმები აქ სხვანაირია. ამერიკაში ეს ღარიბულ ფერმად ითვლება. მწირი მიწაა — ამაზე უარესი იქნებ არც კი იყოს ახლომახლო. ჩვენ ეს საცოდავი ფერმა ვარჩიეთ, რადგან ყველაზე იაფი ღირდა.

— არა, კარგი ფერმაა, — კვლავ დაიჟინა ემილიამ, — ხვალ შინ წავალ...

— დარჩით, — შეევედრა ელენე, — ნუ წახვალთ და ჩვენ მთელი დღე მზის გულზე ვიგორავებთ, ვიცურავებთ და არავითარ სოფლურ სიამოვნებას არ მოვიკლებთ. ყვავილებს დავკრეფთ და...

— და ხვალვე, ღამით, აქ ვიქნები, — განაგრძო ემილიამ, — ოღონდ ამჯერად უნდა დამხვდეთ. აღარ უნდა მომატყუოთ, — ემილიამ თავისთვის ჩაიცინა. — განა დამავიწყდა, მაშინ რომ არ დამხვდით? ძალიან სასაცილო იყო.

ვეღარაფერი გავაწყეთ და მეორე დილას „ექვს საათსა და 40 წუთიან მატარებელზე“ გავაცილეთ.

— არასოდეს აღარ დაბრუნდება უკან. — მითხრა ცრემლმორეულმა ელენემ, — სულ ჩემი ბრალია. ალბათ, წერილს გამოგვიგზავნის და ზრდილობიანად მოიხდის ბოდიშს. ახლა ჩვენ ვიცით, რომ გაბრაზებულია, თორემ ისე, იმ წერილით, ვერც კი მივხვდებოდით. შენ როგორ ფიქრობ?

— შეიძლება დაბრუნდეს, შეიძლება არა! სანამ არ დავინახავთ, ვერაფერს ვიტყვით.

გარეუბნის მატარებელს საღამოთი ისე, სხვათა შორის დავხვდით, და აკი მართლა არ ჩამოვიდა ფუთებითა და ორი გაბერილი ჩანთით დატვირთული ემილია ვაგონიდან!

— იცით, — დაიწყო მან, როცა მანქანა ოღროჩოღრო გზას დაადგა, — ნიუ-იორკში ყველას გაეხარდა თქვენი დასახლება, ოღონდ ყველამ საყვედური თქვა, — ასეთი კარგი ამბავი რატომ არ შეგვატყობინაო. კვირას კოსტა და ვერა ჩამოვლენ. კოსტა წყალსადენს გამოიყვანს. ილიკოც აპირებს ჩამოსვლას. ვეხოვე, შენს მუშტრებს რჩევა ჰკითხე აბაზანის შესახებ-მეთ-

ქი. რაიმე მდიდრული უნდა იყოს. შავი, მეწამული ან მწვანე, ნამდვილი ამერიკული სტილისა. ანიტა და მიშა რესტორანს დაკეტავენ და ჩამოვლენ. ისეთი რაღაცეები ჩამოაქვთ თქვენთვის, რომ... — ემილიამ თვალები დახუჭა, — არა, სანამ არ ნახავთ, არ გეტყვით.

ყველანი სამზარეულოში შევედით. ემილიას ჩამოტანილებიც იქვე დავაწყე.

— მაგრამ, რაც ამჟამად ყველაზე უფრო გიჭირთ, მე ჩამოგიტანეთ.

ემილიამ აზღუდში ხელი ჩაიყო, ქინძისთავით დამაგრებული ქისა ამოიღო, ასი დოლარი გადათვალა და მაგიდაზე დადო, — ეს ხვნა-თესვის ხარჯებისათვისო.

შემდეგ ერთ-ერთი პაკეტი გახსნა, შიგ ოცდაათი გირვანქა ლორი აღმოაჩნდა. — ეს გადავინახოთ, შიმშილობის დროს გამოგვადგებაო.

შემდეგ მეორეს შემოახია ქაღალდი:

— ნახეთ, რამხელა ჰამაკია. სამუშაოს რომ მორჩებით, ჩეროში დაისვეხებთ. ახლა კი, მოდი, ფერმის მოწესრიგებას შევუდგეთ!

იჭ, სადაც ახლაც სძინავთ გოლიათებს

ერთი სიტყვით, გვინდოდა თუ არ გვინდოდა, ფერმერობა უნდა დაგვეწყო. ემილიამ გაავრცელა თუ არა ჩვენი ამბავი, ერთ-ერთი ჩვენი მეგობარი — შალვა მაშინვე ჩვენსკენ გამოეშურა მაცნედ: რვა-ათი კაცი ჩამოვა შაბათს და მანამდე დარჩებიან, ვიდრე ყველაფერს არ ჩაუყრიან საფუძველსო.

ამის გაგებისთანავე რკინა-კაევულობის მაღაზიისაკენ გავეშურე საჭირო იარაღების საყიდლად.

— ლურსმნები, ხერხები, კიბეები, ფარცხი, — ჩამოთვალა შალვამ ჩემი ნავაჭრი, — გუთანიც იყიდე? ძალიან კარგად გივაჭრია, მაგრამ თუ გინდა, რომ საქმე დაჩქარდეს, თუ გინდა სწრაფად მოვათავოთ ყველაფერი და ჩვენც ვისიამოვნოთ, ერთი რამ გვჭირდება: სამშობლოში რომ არასოდეს მოგვკლებია ისა, კარგი მეზღაპრე.

— ვიცი, კარგი იქნება, მაგრამ რაღაც არ გამიგონია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში რომელიმე მეზღაპრე ჩამოსულიყოს.

— მაშინ ჩვენ თვითონ უნდა გავანძრიოთ ტვინი. ჩვენვე მოვიგონოთ ზღაპრები. აი, მაგალითად, გაგიგონია, როდისმე ის ზღაპარი, მგელი რომ იერუსალიმში წავიდა?

— ათასჯერ. შენ ის იცი, ერთმა ბიჭმა სახლი რომ ააშენა სპილოს ძვლებით?

— არა, კახელებს ეგეთი ზღაპარი არ გვაქვს. როგორ იწყება?

გამეხარდა და თავიდან ბოლომდე მოვუყევი. მერე შალვაჰ მიამბო, როგორ მოხდა მისი პაპის პაპისა და ბებიის ბებიის— სპარსელი ქალის პირველი შეხვედრა. ძალიან ამაღელვებელი და რომანტიული ამბავი გამოდგა.

სანამ სხვები ჩამოვიდოდნენ, ჩვენ უკვე რამდენიმე ზღაპარი გვქონდა ხელთ. რა თქმა უნდა, იმათაც ეხსომებოდათ რამე. ასე რომ, ყველაფერი კარგად მოეწყო.

ზღაპრების მოყოლას ჩვეულებრივ დილაობით ვიწყებდით. მე და კოსტას მუშაობისას კარგი საუზმეულობა გვიყვარდა — ძეხვი, ცხელ-ცხელი სოსისები, ახალი კვერცხები, მცირეოდენი

მარილიანი ყველი, შუშა კიტრები და თუ ტაფაზე გამომცხვარ მჭადსაც მოგვართმევდნენ, უარს არ ვამბობდით ხოლმე. ჩვენი ქალები, განსაკუთრებით ჩრდილოელები, უფრო არაჟანმოსხმულ კარტოფილს და ქაშაყს ეტანებოდნენ. ბესოს მარტო მსუბუქი საუზმე სწამდა და მისთვის ყოველთვის გვქონდა ერთი თეფში კრევეტის სალათა, ცოტაოდენი სარდინები, დაკეპილი ღვიძლი და სხვა ამგვარი საჭმელები. შემდეგ ელენეს, რომელიც კალიფორნიელი იყო, გაახსენდა, ფორთოხლის წვენით ორთქლის მანქანის გარდა ყველაფრის ამუშავება შეიძლებაო. ამიტომ ხელში ნიადაგ ფორთოხლის წვენით სავსე დიდი დოქი ეჭირა და შეუბრალებლად გვაძალებდა, დალიეთო. ნაღებიანი ყავა (ნახევარი ნაღები იყო, ნახევარი ყავა), ნამცხვარი, კომპოტი და სხვა საჭმელებიც უნდა გვეგემნა. ამიტომ საუზმეს ნახევარი დილა ვუნდებოდით. ბუნებრივია, რომ ამდენ ხანს სუფრასთან ჯდომით სიმხნევე გვემატებოდა და ყველანაირი ამბების მოყოლას ვიწყებდით.

კუკულა, რა თქმა უნდა, იმას ყვებოდა, რაც კოლეჯში ყოფნის დროს წიგნებიდან ამოეკითხა. იმის ზღაპრებს სიცოცხლე არ ეტყობოდა. ძია ვანოც ხშირად ეკითხებოდა ხოლმე — თუ წიგნებიდან გაქვს ამოკითხული ეგ ზღაპრები, საიდანღა იცი, რომ ნამდვილიაო? შენი თვალით ხომ არ გინახავს მაგათი მთქმელი, იქნებ ყველა მოჭორილიაო.

ასე — ხან ერთს ამბავს ვყვებოდით, ხან მეორეს და საქმეც ჩქარდებოდა. პირველ რიგში სახურავი უნდა გამოგვეცვალა. ძველს იმოდენა ნახვრეტები ჰქონდა, რომ წვიმის დროს ნიაგარის ჩანჩქერივით ჩამოდიოდა წყალი, მერე სხვენის კიბეს ჩამოყვებოდა, მარცხნივ უხვევდა, დარბაზს გადაჭრიდა, წინა კიბეს ჩაივლიდა და სადარბაზო კარით გადიოდა ეზოში. ძაღ

ან კარგი სანახაობა იყო (განსაკუთრებით, თუ ოთახში იყავი), მაგრამ არცთუ ძალიან სასიამოვნო.

სანამ ყავრით ვხურავდით სახლს, პეტრე სხვენზე იდგა და კიბეს გვიჭერდა, (იგი ცალხელა იყო და ყველაფრის გაკეთება არ შეეძლო), თავი ამოყოფილი ჰქონდა, ცას შესცქეროდა და მხნედ რომ ვყოფილიყავით, ზეპირად ამბობდა „ვეფხისტყაოსანს“. საკმაოდ დიდი პოემაა და თითქმის სახურავის დამთავრებამდე გვეყო.

ნაშუადღევს, როცა მზე ისე დააჭერდა, რომ სახურავზე დარჩენა შეუძლებელი იყო, დარაბებს და ჩარჩოებს ვღებავდით და რიგრიგობით ვყვებოდით ამბებს.

აბრამს ბევრი რამ გადახდენოდა თავს ომის დროს. ერთხელ გვიამბო:

— უკვე მეორე ზამთარი იყო, რაც თურქეთის ფრონტზე ვიყავი. მე სიყრმის შვილი ვარ და მამაჩემი ჯერ ახალგაზრდა კაცი იყო. გავიგე, რომ მისი ასაკის ხალხს ჯარში იწვევდნენ. ძალიან შევწუხდი. არ ვიცოდი, საით გააგზავნიდნენ და ჩვენებს რა ეშველებოდათ მისი წაყვანის შემდეგ. კიდევ კარგი ისე მაგრად ვმუშაობდი, რომ ფიქრის დრო აღარ გვრჩებოდა. სანგრებს ვაშენებდით. თურქები უამრავ ყუმბარებს გვაყრიდნენ აეროპლანიდან და, ამიტომ, მხოლოდ დაღამებისას შევუდგებოდით ხოლმე საქმეს.

ერთხელ ბრძანება მივიღეთ — სასწრაფოდ დაამთავრეთო, და იმავე ღამეს მთის გადაღმა მდებარე ბანაკიდან საბარგო მანქანით ორმოცდაათი თუ სამოცი კაცი გადმოგვიგზავნეს დამხმარედ. ყველა ერთად შევუდექით მუშაობას. ძალ-ღონეს არ ვზოგავდით, რათა გათენებამდე მოგვეთავებინა. ძირს ვე-

ცემოდით, ერთმანეთს ვეჯახებოდით, მაგრამ მაინც არ ვეშვებოდით საქმეს.

მოულოდნელად თურქები დაგვესხნენ თავს. ყუმბარების უმეტესობა მიზანს ვერა ხვდებოდა, მაგრამ ზოგი ახლოს დაეცა და ფინდიხმა რამდენიმე კაცი გამოგვაცალა ხელიდან. ვინ და რამდენი, გათენებამდე ვერ გავიგეთ. და როცა ოდნავ ინათა, ვნახე, რომ ერთ-ერთი მათგანი მამაჩემი იყო, ჩემი ღვიძლი მამა. მოკლული. თურმე მთელი ღამე გვერდი-გვერდ გვიმუშავია და არ ვიცოდი. ამის მერე რამდენჯერ მიფიქრია. იქნებ ჩემს გვერდით იდგა-მეთქი, როცა ფიცარი მომქონდა, იქნებ იმ ფიცრის ბოლო იმას ეკავა, როცა აგურებს მაწვდიდა, იქნებ ხელი მომიხვდა ხელზე. აბა, იმ სიბნელეში რას მივხვდებოდი და ვერც ვეღარასოდეს გავიგე.

— ამისთანა ამბავი აღარ გავიგონო, — უთხრა შალვამ, — უკვე სამჯერ შევღებე ეს დარაბა. რაიმე სამხიარულო გვითხარი.

— ელენემ ერთი ძალიან სასაცილო ამბავი იცის, — ვუთხარი შალვას,

— ბებიამისისაგან გაუგონია — ქვეყანა კინაღამ რომ დაიქცა სენტ-ჯონსბერიში.

— რაღაც არა ჰგავს ძალიან სასაცილოს, — დაეჭვდა შალვა.

— კი, არის! წადი და ჰკითხე.

შალვა ოთახში შევიდა და უმალვე ტყვიასავით გამოვარდა უკან.

— ღმერთო, დამიფარე. — ყვიროდა იგი და თან ყბა ისე უცახცახებდა, რომ ძლივს გავიგეთ, რის თქმა უნდოდა — ღმერთო, მიშველე! მისს ბეტი ბუხრის თავზე ზის და ელენე ყასბის დანას ურტყამს კედელს.

ყველა ოთახში შევცვივდით.

— რას აკეთებთ?! — ვკითხე მე.

— ლურსმანს ვარჭობთ კედელში. სურათი უნდა დავკიდოთ, — მისს ბეტიმ ირგვლივ მიმოიხედა: — რა მოხდა?

ელენემ კვლავ ჩაარჭო დანა კედელში. — ნახე! მე ადრეც ვეჭვობდი. თაბაშირის ტიხარია. მოდით, ბიჭებო, დაანგრიეთ და ერთი დიდი ოთახი გვექნება ექვს ფანჯრიანი და... ფერი რატომ არ გადევთ არც ერთს?

ყველაზე ძნელი საქმე ძველი საქათმეების, საღორეებისა და ბეღლების თავიდან მოშორება გამოდგა. ყველა ჩაბინძურებული და მინგრეულ-მონგრეული იყო. მთელი ამერიკის ვირთხები კლუბებად იყენებდნენ ამ შენობებს. ტრაქტორი მოვუბით, მაგრამ გადაბრუნება მეორედ ვცადეთ — ჯაჭვები დაწყდა. ხელი ჩავიქნიეთ, ვაშლის ხის ქვეშ დავსხედით და ერთი დოქი ლიმონათი გამოვცალეთ. ეს ლიმონათი ჩვენმა კეთილმა ქალებმა მოგვიტანეს.

— მომისმინეთ, — ვთქვი მე, — ამის მეტი თითქმის აღარაფერი გვრჩება გასაკეთებელი ეზოში. მოდი კიდევ ერთხელ შევუტიოთ და რაღაც გამოვა. ბარემ მოვათავოთ. მერე, ამ საღამოს, ერთი ამბავი მინდა მოგიყვეთ. აქამდე არავისთვის მიამბნია. განსაკუთრებულ შემთხვევას განსაკუთრებული ამბავი უხდება. ჩემს გარდა მხოლოდ სამმა იცის და აქედან ორი მკვდარია. ძალიან სხვანაირი ამბავია.

ორი საათის შემდეგ იმ ნაგებობათაგან მხოლოდ ბოძები დარჩა. ჩვენ ტანსაცმელი დავიბერტყეთ და კატალპის ხის ქვეშ შევუდექით სადილობას.

— ახლა კი დაიწყე, — მთხოვა ყველამ ერთად, შალვამ ჭიქა ამივსო.

— ერთ პაპანაქება დღეს, მაშინ თერთმეტი-თორმეტი წლისა ვიქნებოდი, მე, სამმა ჩემმა მეგობარმა და ჩემმა დათვმა მიშკამ საბანაოდ წასვლა გადავწყვიტეთ. თითოეულმა ჩვენგანმა (ადამიანებს ვგულისხმობ) თითო ნატეხი მჭადი და ცოტა მარილი ვიაბგზლეთ. ვიფიქრე, ვინ იცის, იქნებ ხოხობი მოვკლათ შურდულებით და შევწვათ-მეთქი. მიშკა არავის აწუხებდა საჭმელზე, თვითონ პოულობდა ხოლმე თაფლის ფუღუროს და მაყვლის ბუჩქს.

ჰოდა, სულ ზევით ავედით. მაღლა, მაღლა! ამ სიმაღლეზე წინათ არასოდეს ავსულვართ. ბოლოს ერთ ტაფობს მივადექით. იქ თერგი ცოტას ისვენებს. იმდენ ხანს, რომ პატარა მწვანე ტბის შექმნას ასწრებს.

— ვიცი ეგ ადგილი, — თქვა ვანომ, — მაგრამ მეწყერმა მთლად ამოქოლა ყველაფერი. ჩვენ გაგვაგზავნეს სათხრელად. წყალს გზა გაუხსენითო.

— ნამდვილად ეგ ადგილია. ჰოდა, იმ წელს ძალიან ცხელი ზაფხული იყო, წყალი კარგა მაგრად დაშრა ხევში, მაგრამ მაინც საკმაოდ ღრმა იყო. ძალიან გვეამა ბანაობა. ერთმანეთს ვაყურყუმელავებდით და მიშკას ათასგვარ ოინებს ვაკეთებინებდით. შემდეგ ყვინთვა დავიწყეთ: კლდიდან ვხტებოდით. პირველად მე დავყვინთე. როცა ზედაპირზე ამოვდიოდი, თვალი გავახილე და კლდეში შეჭრილი დიდი ხვრელი დავინახე. არ დაგავიწყდეთ, ისევ წყალქვეშ ვარ. გადავწყვიტე, ამ ხვრელში შემეცურა. ვიფიქრე, წყლის დონის ზევით თუ გადის, შიგ დავიმალები, და როცა ჩემს მეგობრებს დამხრჩვალი ვეგონები და მიხვდებიან თუ რა განძი დაკარგეს, გამოვალ და გავახარებ-მეთქი.

— დიდი ჭკუის პატრონი არა ყოფილხარ, — მიკბინა კუკულამ.

— მაშინ არც მჭირდებოდა დიდი ჭკუა. ჩემს სამ ძაღლზე და ერთ ცხენზე გამჭრიახი უნდა ვყოფილიყავი და ჩემი საქმე კარგად წავიდოდა. ჰოდა, როცა ხვრელში შევცურდი, ისეთი რამ დავინახე, რომ იმწამსვე ტყვიასავით გამოვვარდი და ზედაპირზე ამოვცურდი.

— რა?! რა?!

— მოითმინეთ! ბიჭებს მოვუყევი, რა თქმა უნდა, არ დამიჯერეს. არა და არა! მაგრამ, როცა შეამჩნიეს, რომ სახე გაფითრებული მქონდა და ხელები მიკანკალებდა, დაეჭვდნენ. ოთხივემ წყალში ჩავყვინთეთ, ხვრელში შევცურეთ, მერე ცოტა ზევით ამოვედით და ოთახში, არა ოთახში კი არა, უფრო დიდი იყო, დარბაზში აღმოვჩნდით სულ ცოტა თბილისის სადგურის მოსაცდელის ოდენა მაინც იქნებოდა. მაგარ კლდეში გამოკვეთილი დარბაზი იყო. ჭერის ბზარებიდან შემოსულ სუსტ სინათლეზე დავინახეთ, რომ გვიპოვია, ჩვენ ოთხ ღლაპს, ბოლოს და ბოლოს, გვიპოვია.

— რა?!

— გოლიათების ბინა, სადაც ისინი მიდიოდნენ ხოლმე სასიკვდილოდ.

— შეუძლებელია!

— ნამდვილად. ჩოჩხები იყო იქ. თავები ჩვენს თავებს ჰგავდა, ოღონდ ბუშელის ოდენა იქნებოდა. თვალის ბუდეში მუშტი შეეტეოდა. გრძელი თანაბარი კბილები. წვივის ძვალი კაცის სიმაღლისა იყო.

— ჭურჭლეული, ხმლები, ფული? — იკითხა მისტერ მოკეტმა. — სკივრები, ქოთნები?

მისტერ მოკეტი ამერიკელი ჯენტლმენია. პროფესორი. რუსი ქალი ჰყავს ცოლად.

— არაფერი არ იყო. მარტო ჩონჩხები ეყარა. მე ვფიქრობ, როცა სასიკვდილოდ მიდიოდნენ, ყველაფერს გარეთ სტოვებდნენ ხოლმე.

— ძროხის თავები გინახავს! — მითხრა კუკულამ.

— კობიანთკარის მინდვრები სავსე იყო ძროხისა და ცხენის თავებით. მეტი რა მინახავს ჩემს სიცოცხლეში! ტყის ყველა ბინადრის ჩონჩხსაც ვცნობდი. მელიის, დათვის, მგლის, არა, ისინი ადამიანთა ჩონჩხები იყო. ჩვენსავით ხუთთითა მტევანი, გრძელი კიდურები. სიცოცხლეში, ალბათ, ექვს ფუტიან ნაბიჯებს ადგამდნენ. ძალიან დავღონდი, როცა გავიფიქრე, რომ ცოცხლებს ვეღარასოდეს ვნახავდი. განსაკუთრებით მაშინ, როცა იმათი მკლავები ვნახე. ალბათ, ძალიან კარგი სანახავი იქნებოდნენ, როცა ერთმანეთს ეჭიდავებოდნენ.

— შენ ამბობ, რომ ასეთი რამ ნახე და არავის შეატყობინე. განცხადებაც არ შეგიტანია?

— განცხადება რატომ უნდა შემეტანა? მე ხომ არასოდეს ძიჩხუბია მათთან. მე მიყვარს გოლიათები, ოდესმე რომ ვნახო, სიამოვნებით დავუმეგობრდები.

— ეგ გოლიათები, — შემოგვიერთდა ლაპარაკში ძია ვანო, — რომლებზეც მე ზღაპარი მომისმენია, ერთი მოხუცისაგან, იმას კიდევ სხვა მოხუცისაგან მოუსმენია, აქამდე მონაჭორი მეგონა. შუბლზე კოპი ჰქონდათ? ყოველთვის ასე აღწერენ ხოლმე.

— ჰქონდათ, მრგვალი!

— ცხენები იყო, — დაიჟინა კუკულამ, — მკვდარი ცხენები.

— ომში უამრავი ჩონჩხი მინახავს. დამიჯერე, კაცები იყვნენ, კუკულა, ადამიანები.

— მე არა მჯერა, — თქვა პეტრემ, — ეგ ალბათ, მეწყერის შემდეგ მოიგონე ხალხის გასამასხარავებლად.

— რომ არავისთვის არ გვითქვამს? გარდა ამისა, როცა სახლის გზას დავადექით, თედომ — ნეკის ბოლო გვიჩვენა. გამოქვაბულიდან წამოეღო. თუ ჩემი არა გჯერათ, გუდაურში წადით და ნახეთ. თედო იქაურია და, როგორც ვიცი, ახლაც შენახული აქვს ის ძვალი.

მაგრამ კუკულამ არც ამ საბუთისა ირწმუნა და ღვინის ჭიქაში ჩაილაპარაკა: — მკვდარი ძროხის ძვალი იქნებოდაო.

საბედნიეროდ, ანიტა კარლის ასულს მეორე ამბავი გაახსენდა ისევ მიწისქვეშა გამოქვაბულზე. უამისოდ ნამდვილად წავიკიდებოდით. ოთახში შევედით და ბუხარს მივუსხედით. ახლა შეგვეძლო თან გვესმინა და თან ტაროები შეგვეწვა. ჩემი აზრით, ამისთანა კარგი ამბავი მთელი ზაფხულის განმავლობაში არ მოგვისმენია.

— ჩვენი სოფლის მახლობლად, მთის წვერზე, ერთი ციხე-სიმაგრე იდგა. შიგ გვირაბი იყო გათხრილი, საფეხურებიანი. ძირს, მიწაში მიდიოდა, მაგრამ არავინ იცოდა, საით.

— რატომ არ იცოდნენ? — ჰკითხა პეტრემ.

— იმიტომ, რომ გვირაბი ავი სულების ბუდედ ითვლებოდა. ზოგი ამბობდა, კლდეს გაივლის და ზღვის ნაპირას გადისო, ზოგი — ციხის ძველი მფლობელის ჯურღმულში მიგიყვანსო. მღვდელი ამბობდა — მოერიდეთ, ალბათ, ჯოჯოხეთში თავდებაო.

ერთხელ, ქორწილის დროს, როცა ყველა ჭამა-სმასა და მხიარულებაში იყო გართული, იმ ძველ ციხე-სიმაგრეზე ჩამო-

ვარდა სიტყვა. ნეფეს მოესურვა დედოფლისათვის დაემტკიცებინა, ბედი გეწია და უმამაცეს ახალგაზრდას გაჰყევიო, და მეჭორწილეებს უთხრა — „მე მინდა იმ გვირაბში ჩავიდე მარტოდმარტო და ვინც ჩემს დაბრუნებამდე მოიცდის, საუცხოო საჩუქრებს ამოვუტანო.“

— არა! არა! — აყვირდა ყველა, მაგრამ ნეფემ არ შეისმინა: „სანთელი მომეცით და მივდივარო.“ რაღას იზამდნენ? მთელი ხალხი გაჰყვა გვირაბის თავამდე. ნეფე ძირს დაეშვა. ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ, ისმოდა გვირაბიდან. ხმა თანდათან სუსტდებოდა. პირველ ორ-სამ საათს ხალხი მხიარულობდა, სვამდა და თან ყური იქეთ ჰქონდა, ხომ არ ბრუნდებაო. შემდეგ უძახეს, იყვირეს, თოფები დაცალეს, მაინც არ ამოვიდა. გავიდა ხანი და ბოლოს მარტო დედოფალი დარჩა იქ დამჯდარი — იმედს არ ჰკარგავდა, ღმერთს ევედრებოდა, მაგრამ ნეფე აღარ დაბრუნებულა.

ჩვენ მოვუცადეთ, ვიდრე ანიტა მჭადის ნატეხზე კარაქს წაუსვამდა. როცა შეჭამა, ელენემ ჰკითხა, შემდეგ რა მოხდაო?

— არაფერი, დაიკარგა!

— რა? არავინ მოძებნა? — ჰკითხა პეტრემ. — ეს წარმოუდგენელია.

— ჩასვლა არ შეიძლებოდა. — უპასუხა ანიტამ.

— ანიტა კარლის ასულო, ერთი ნაჭერი მჭადი კიდევ შეჭამეთ და მოიგონეთ. ნამდვილად გაგახსენდებათ, თუ როგორ დამთავრდა ეს ამბავი, — უთხრა ბესომ.

— თუ გნებავთ, სხვა ამბავს მოგიყვებით, ეს კი დამთავრდა, მორჩა!

უბრალოდ, ვერ დავიჯერეთ, რომ ის კაცი აღარ დაბრუნებულა და სულ ვეკითხებოდით.

— მოისმინეთ, ანიტა კარლის ასულო? — ჰკითხა პეტრემ მეორე დილით, როგორც კი საუზმეს მივუსხედით, — ორიოდე წელი გავიდა და იმ კაცის ძვლები იპოვეს, არა? ალბათ, ზღვის ნაპირას ეყარა. ასე არ იყო?

— არა.

— იმ კაცს საცოლე არ უყვარდა და გაქცევით მოიწმინდა ნამუსი. ათი წლის შემდეგ იგი კვლავ მიბრუნდა იმ სოფელში, სხვა ცოლით და ათი შვილით, — თქვა მისს ბეტიმ.

— არა, საცოლე ელოდა! ყოველდღე ელოდა. მე უკვე მოხუცი გავიცანი და მაინც ელოდა.

იმ დღეს პეტრემ ათჯერ მაინც მიატოვა სამუშაო, ოთახში შევიდა და ანიტას დაუწყო ხვეწნა, არაფრით არ უნდოდა იარაღის დაყრა; დარწმუნებული ვარ, ბოლოს ორიოდე მეგობარი მაინც გაჰყვა იმ კაცს. იქნებ მკვდარი იპოვეს, გული გაუსკდა, ალბათ. ან იქნებ კლდეზე გადაიჩეხა, და რაიმე მხეცმა შეჭამაო.

მაგრამ ანიტას ვერ გადაათქმევინა ერთხელ ნათქვამი. „ის კაცი ქვევით გვირაბში წავიდა და სამუდამოდ დაიკარგაო.“

ევროპამდე ასე შორი გზა რომ არ ყოფილიყო, მე მგონი, ნამდვილად მოვაწყობდით მაშველ ექსპედიციას და ჩვენ თვითონ ჩავიდოდით გვირაბში იმ კაცის მოსაძებნად.

კარგი მეზობელი

— კარგი ამბავია, — შემოილაპარაკა ერთ დღეს ფოსტიდან დაბრუნებულმა ელენემ, როცა მე და შალვა ის იყო, საუზმედ ვაპირებდით დასხდომას, — ქეთლინი ჩამოდის. ჩითი უშოვია.

ემილია, ილიკო და პეტრეც ეპირებიან შაბათს, ხუთ საათზე. ეს კი ძია ვანომ გამოაგზავნა.

— მე წავიკითხე წერილი — ძია ვანოც ჩამოდის!

— ჩანჩო?

— მგონი ჩანჩოც.

— ამ სახლში უელექტრონოდ აღარ იცხოვრება, — თქვა უცებ შალვამ. — ელექტრონი უნდა გამოიყვანო, — შალვა წამოხტა და კედლებზე კაკუნი დაიწყო.

— ოცი წელი გავძელი საქართველოში უელექტრონოდ, — ვუთხარი მე, — რამდენადაც ვიცი, არც შენა გქონია ეგ ელექტრონი.

— იქ ამერიკელი მანდილოსნები არ მოგდიოდნენ სტუმრად. ახლა სულ სხვა ვითარებაა. რას იფიქრებენ ელენეს მეგობრები, როცა ჩამოვლენ და ნახავენ, რომ ცოლს უელექტრონოდ აცხოვრებ? რა შთაბეჭდილება შეექმნებათ ქართველებზე?

— სადენების გამოყვანა არ ვიცი.

— მე გასწავლი.

— კი მაგრამ, ამის შემდეგ ხომ მარტო კვირაობით ჩამოხვალ.

— დავიწყებ და მერე კედლებზე დაგიხატავ, როგორ უნდა გაიყვანო მავთულები და სად უნდა შეუერთო. სანამ მე ჩამოვალ, იმუშავე, მერე კიდევ დაგიხატავ.

— ვერ გადამიწყვეტია, — თქვა ელენემ და შალვას ყავა დაუსხა. — დარწმუნებული ხარ, რომ ასე აჯობებს?

— ნუ დარდობ, — დააწყნარა შალვამ, — განა ვერ მიგიხვდი? ვიცი, რა წვრილმანებიცა ხართ ქალები. თქვენ ხომ მაინც უნდა მოხატოთ კედლები და მაშინ ჩემი ნახატებიც დაიფარება.

— მე იმას ვამბობ, რომ ცეცხლი არ უნდა გაჩნდეს, როცა აბაზანაში ვიქნებით ან სადმე წავალთ, — თქვა ელენემ.

— რა თქმა უნდა, არ გაჩნდება. — შალვამ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და წაღებაზე უარი განაცხადა, — მაგრამ თუ არ მენდობით...

არა, არა!

ჩვენ ნამდვილად ვენდობოდით შალვას, ამიტომ ქვევით ჩავედით და კაბელები, ჩამრთველები, ზონრები და სხვა აუცილებელი მასალები ამოვიტანეთ. მერე სადგურზე გავედით, რომ ელენეს მეგობარს, ქეთლინს დავხვედროდით.

— იშვიათი რამ ჩამოგიტანე, გიორგი, — მითხრა მან, როგორც კი ოთახში შევედით. — მე თვითონ მოვამზადე. ბეილო.

— ბეილო? რაღაც მათეთრებელს წააგავს. რუსულად ასეა. ალბათ კარგად რეცხავს.

ქეთლინმა ჩემოდანი გახსნა და თაფლისფერი სითხით სავსე ბოთლი ამოიღო:

— ბეილო სასმელია. საუცხოო რამ არის!

— კარგი. გავსინჯოთ, — ვთქვი მე.

— უეჭველად, — ამიბა მხარი შალვამ და საცობის ამოსაღები მოიმარჯვა, — რას ვკარგავთ, დიდი-დიდი დავიხოცოთ.

— ჯერ ყინულის ნაჭრები ჩაყარეთ ჭიქებში და მერე ბეილო ჩაასხით, — გვასწავლა ქეთლინმა.

შალვამ პირველმა მოწრუპა დიდი ვაჟკაცივით. — ბრწყინვალეა! ამის გამკეთებლის ხელები ამბორის ღირსია, — თქვა და ქეთლინს თავი დაუკრა.

მერე მე მოვსვი ეს ნაღებივით სქელი სითხე. მართლა კარგი რამ იყო.

რაღაც გაურკვეველი გემო და აყვავებული ფორთოხლის სუნი ჰქონდა. ნეტავი რისგანაა დამზადებული?

— ძალიან გემრიელია, — მოიწონა ელენემაც, — უკვე ორ-ორი დავლიეთ. მოდი, თითო სხვებსაც შევუნახოთ. ამაღამ ჩამოვლენ.

— არა! დღეს ახალს მოვამზადებ, — თქვა ქეთლინმა, — იოლი საქმეა. სამი ფორთოხალი და ერთი ლიმონი უნდა აიღო, კარგად დაკეპო და თაფლში აურიო. პერკოლატორი[1] გაქვთ?

— კი!

— მერე დაკეპილ ლიმონს და ფორთოხალს პერკოლატორში ჩააწყობ და ყავასაც ჩაატან.

— მერე?

— მერე სიმინდის ვისკის დაასხამ, თავს დაუცავ და ცოტა ხანს ადუღებ.

— რა გასაოცარია! — თქვა შალვამ.

— და როცა მზად იქნება, გაფილტრავ და ჩააცივებ. ეს არის ბეილო. ვინ ჩამოდის ამაღამ?

— უამრავი ქართველი.

— როგორი მეზობლები გყავთ? — მკითხა ქეთლინმა.

— ჯერჯერობით არავინ გვწვევია.

— ნუ იკლავ თავს მაგის გულისათვის, — დამაწყნარა ელენემ.

— მე მიყვარს, როცა სიამტკბილობითა ვარ მეზობლებთან.

— შეგნებული ადამიანი, სანამ ფანჯრებზე ფარდებს არ დავკიდებთ, არ გვეწვევა, — ამიხსნა ელენმა, — ეს ნიშნავს, რომ შენ ტკბილეული გაამზადე, ლიმონი, დაჭერი და...

---

[1] ყავის გამოსახდელი.

— გამარჯობათ, — თქვა ქეთლინმა და ჰაერს ხელი ჩამოართვა, — ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

— საერთოდ ასეა მიღებული, თუ შენი ახალი გამოგონებაა? — ვკითხე ელენეს.

— არა. ამჯერად არ ვიგონებ, ხომ ასეა, ქეთი?

— მოდი, თითო ჭიქაც დავლიოთ. და ახალს მანდარინით და გრეიფფუტით გავაკეთებ, ვნახოთ, რა გამოვა, — თქვა ქეთლინმა.

მაგრამ მისის კლივენდონისაგან რას არ უნდა მოელოდეს კაცი, — იგი ხომ მაღალი საზოგადოების ქალი იყო. ჩვენგან სულ ორი ფერმის დაშორებით ცხოვრობდა, მაგრამ, ეტყობა, სულ სხვანაირად უყურებდა ცხოვრებას, რადგან შემდეგ კვირას, ამ საუკუნის ყველაზე პაპანაქება დღეს (ასეთი სიცხე თურმე 67 წელი არ ყოფილა) სადარბაზოდ რომ გვეწვია, ფარდები კი არა, ჭერიც არა გვქონდა.

მე საბანაო კოსტუმი მეცვა და მისაღებ ოთახში ვმუშაობდი, — სხვენზე მდგომ შალვას მავთულებს ვაწოდებდი. უცებ კაკუნი მომესმა. შემდეგ ვიღაცამ თავისი სახელი და გვარი წარმოთქვა. ღმერთო ჩემო! ქალია და მე თითქმის შიშველი ვარ. მავთული ძირს დავაგდე და უახლოეს მოხერხებულ სამალავს მივაშურე: ეს სამალავი პაპიჩემის დროინდელი ვეებერთელა საათი იყო, ელენემ ორიოდე კვირის წინ შეიძინა აუქციონზე.

ბესო ვიღაც ქალს შემოუძღვა ოთახში.

— გთხოვთ დაბრძანდეთ. დიასახლისი ამჟამად შინ არ არის, ტყეში გაისეირნა, მაგრამ დავუძახებ.

მე კედლის ბზარიდან ვხედავდი ორივეს. ბესო მაგიდას მიადგა, პატარა ჭიქაში ხერესი დაასხა და თეფშზე ნამცხვრები დააწყო.

— ჩემს მეგობარს პატივი ეცით და ეს პატარა ჭიქა შესვით. ვიმედოვნებ, ხშირად მიანიჭებთ მას სიამოვნებას ამ სახლში მობრძანებით.

— მადლობელი ვარ. სასმელს არ ვეტანები, — თქვა მისის კლივენდონმა.

— უკაცრავად, ერთი წუთით დაგტოვებთ, — ბესო გვერდულად წავიდა კარისაკენ. — მე კარგად არ ვლაპარაკობ ინგლისურად, მაგრამ ჩვენი მასპინძლის მეგობარია აქ და იმას მოვიყვან. — ბესო დარბაზში შევიდა და დაიძახა, — სადა ხართ, ქეთლინ პატრიკის ასულო?

— რა გინდათ, ბესო? — გამოსძახა ქეთლინმა სამზარეულოდან, — არა მცალია.

— სტუმარია.

— ოჰ! ახლავე!

ბესომ კარი მოხურა და დარბაზში დარჩა.

ამ დროს შალვა მავთულს ექაჩებოდა ზევით.

— გიორგი, ამ მავთულს ბოლო არა აქვს? — ჩამომძახა მან. მე მავთულის იატაკზე სრიალის ხმა მესმოდა. — გათავდა?

მე კი თაგვივით ვიყავი გასუსული საათში.

შალვა მეორე სართულის იატაკის ხვრელში გამოძვრა და მარტომ დაიწყო კოჭებზე მუშაობა. — გიორგი! — კვლავ დამიძახა მან.

შალვა დაახლოებით წელზევით მოჩანდა და, მართალია, წელზევით ტანისამოსი არ ეცვა, მაგრამ მისის კლივენდონს ჯერ საყვირად არ ჰქონდა საქმე — უნდა ეგულისხმა, რომ წელქვეეით რაიმე ეცმებოდა.

— ოჰ, — წამოიძახა ჰერის კოჭებზე გაწოლილმა შალ-

ვამ, — მაპატიეთ. სულ არ მოველოდი თქვენს დანახვას, სხვას ვეძახდი. — შალვამ უკან დაიწყო გაცოცება. — ძალიან გთხოვთ დაბრძანდეთ. ბოდიშს ვიხდი, რომ ვერაფერს გთავაზობთ, იქნებ ერთი ჭიქა ღვინო მიირთვათ. მაგიდაზე დგას.

— გმადლობთ. ალკოჰოლიან სასმელებს არ ვეკარები. აი, თეთრ ბაბთას ვატარებ, იმედის ბაბთას.

— მართლაცდა, — განეწყო ფილოსოფიურად შალვა, — ამქვეყნად იმედიც რომ არ გვქონდეს, რაღა გვეშველებოდა. თუ არ შეწუხდებით, ჭიქა ამივსეთ და დიდი სიამოვნებით დავლევ თქვენი იმედის სადღეგრძელოს.

ბოლოს, როგორც იყო, ოთახში ელენე შემოვიდა. დაიწყო ქალური საუბარი. იქნებ ყოველივე კარგად დამთავრდესმეთქი, — გავიფიქრე მე. ოღონდ რა ცუდია, რომ საათებში დასაჯდომს არ აკეთებენ.

მისის კლივენდონი თავის ძველებურ ნივთებზე ლაპარაკობდა.

— ჭაღის დასამავრებელი ერთ დოლარად ვიყიდეთ, — თქვა ელენემ.

— ჩემსაში ოცდაათი ცენტი გადავიხადე.

— აი, ეს სასმელების კარადაა.

— ნამდვილი ხე თუა, კარგია. — დაეჭვდა მისის კლივენდონი. — საათი? საათი როგორია?

— შიგნით წარწერა აქვს.

ელენემ ოთახი გადმოჭრა და საათის კარი გამოაღო.

— გამარჯობათ, — ვთქვი მე და საათიდან გამოვედი. — საცურაოდ ვაპირებდი წასვლას, მაგრამ შევამჩნიე, რომ საათი ხუთი წუთით უკან რჩებოდა. ცოტა შევეკამათე. უკვე კარგად იმუშავებს.

ელენემ სტუმარი გამაცნო.

— უჰ, — ამოიხვნეშა მისის კლივენდონმა, როცა ჩემი გვარი გაიგონა, — მეც ასე ვიფიქრე. — მან ხმადაბლა ჩაახვეელა, თითქოს უხამსი რამის თქმას აპირებსო და მკითხა: — თქვენ უცხოელი ხართ? რუსი?

— არა, მადამ! მე ქართველი ვარ.

— ჰო. მაშინ თავადი იქნებით. მგონი, ყველანი თავადები ხართ.

— არა, მადამ! მე გლეხი ვარ!

— გეტყობათ, ძალიან თავმდაბალი ხართ. სხვები ყველანი თავადობას ჩემობენ.

— ჩემი პაპის მამაც და უფრო ადრე, პაპის პაპის პაპაც გლეხები იყვნენ. ასე თუ მივყვებით, ნოემდე სულ გლეხებად მივალთ.

— ნოემდე?

— ჰო! იგი არარატზე გადაჯდა. ვფიქრობ, წაკითხული გექნებათ. მერე იქ გადასახლდა, სადაც ჩვენა ვცხოვრობთ. უფრო მშრალი ადგილია.

— აჰა! მივხვდი. ბიბლიის ნოე. ახლა მითხარით, მოგწონთ ეს პატარა კუთხე?

ვუთხარი, რომ მოგვწონდა. ელენემ ჩვენი საქმიანობა აუწერა. მე ბოდიში მოვუხადე — ზევით ავალ და ტანსაცმელს ჩავიცვამ-მეთქი. როცა უკან დავბრუნდი, ელენეს სასადილო ოთახისაკენ მიჰყავდა მისის კლივენდონი. მეც უკან გავყევი. სუფრა მშვენივრად იყო გაწყობილი. თეფშებზე ნამცხვრები ეწყო, ყავადანი მხიარულად თუხთუხებდა.

— ყოჩაღ, ქეთი, — თქვა ელენემ, — ყველაფერი გაუმზადებია. აქ დაბრძანდებით, მისის კლივენდონ?

მაგრამ, ეტყობა, ელენე უფრო მეტად ღელავდა, ვიდრე იმჩნევდა. ასე რომ არ ყოფილიყო, შეამჩნევდა, რომ ქეთი ბეილოს ამზადებდა და მისის კლივენდონს სიმინდის ქაფქაფა ვისკის აღარ დაუსხამდა.

მისის კლივენდონი გაყვითლდა.

— ვფიქრობ, რომ ჩემი წასვლის დროა, — იგი წამოდგა, — მე... მე ერთ ადგილას ვარ მისასვლელი. სხვა დროს იყოს, — მისის კლივენდონმა თავისი ხელთათმანები წამოკრიფა.

კარამდე მივაცილეთ.

— ძალიან მწყინს, რომ ვერ მოიცადეთ, — ვუთხარი მე.— ძალიან გთხოვთ, კვლავ მოხვიდეთ. მეორედ, იმედია, თქვენი ქმრის გაცნობის ბედნიერება მექნება.

— მისტერ კლივენდონი სამი წლის წინ დავკარგე.

— უაღრესად სამწუხაროა. იმედია იპოვით. რამდენადაც ვიცი, ქმრები ყოველთვის განზრახ იკარგებიან (რაღაცით ხომ უნდა გამემხნევებინა მისის კლივენდონი).

— ნახვამდის, ნახვამდის.

ელენემ ძლივს მოითმინა, სანამ მისის კლივენდონი მანქანაში ჩაჯდებოდა.

— მაგისი ქმარი მოკვდა, შენ კი, ღმერთო ჩემო, იმედი მიეცი, ნახავო.

საქანელას ამოფარებული ქეთი ჩვენთან მოვარდა, — მადლობა ღმერთს ყველაფერი გათავდაო, — წამოიძახა.

— რატომ არ მითხარით, რატომ არ გამაგებინეთ რომ ქვრივია? — ვუსაყვედურე ორივეს.

— ეი, ეგ ბებერი... — თქვა ქეთიმ და ღობეს წიხლი ჰკრა.

— მეც მაგ აზრისა ვარ, — თქვა ელენემ.

— ახალგაზრდები ხართ და გეიოლებათ. მარტო რომ დარჩეთ, მაგაზე უარეს დღეში ჩავარდებით.

ეზოში გამოვვარდი და მანქანას ვეცი.

მისის კლივენდონი ის-ის იყო ჭიშკარში გადიოდა. ფანჯარაში თავი შევრგე:

— მომიტევეთ, არ ვიცოდი, თუ ქვრივი იყავით. როდის ინებებთ გეახლოთ და შეშა შეგიტანოთ სარდაფში.

— შეშა?

— ალბათ, შეშის შემზიდავი გყავთ, არა? მოხვნა? როცა დაგჭირდებათ, მოვალ.

— მოხვნა?

— ბოდიშს ვიხდი. მე არ ვიცი, რა საქმიანობას ეწევით აქ. წინათ არასოდეს მიცხოვრია ფერმაში. ჩვენ სამშობლოში წესად გვაქვს, ქვრივებს ერთი დღე მივეხმაროთ, მაგრამ თქვენ თუ სხვანაირი წესი გაქვთ, მე დიდი სიამოვნებით გავიღებ ჩემ წვლილს. რა სახითაც არ უნდა იყოს.

— არა, მადლობელი ვარ! ძალიან დიდი მადლობა, — მისის კლივენდონმა გაიღიმა (ამას კი ვერასოდეს წარმოვიდგენდი), — ჯერჯერობით მე თვითონ ვუძღვები საქმეს. სხვათა შორის, იმ კვირას გეცლებათ თქვენ და თქვენს მეუღლეს, რომ მეწვიოთ?

ვეწვიეთ და მის შემდეგ კარგად დავმეგობრდით. ხშირი მისვლა-მოსვლა გვქონდა ერთმანეთში და ერთხელ, როცა უკვე ძველისძველი ნაცნობები ვიყავით, მისის კლივენდონმა მითხრა:

— იცით, პირველად რომ გნახეთ, რაღაც ვერ გაგიგეთ. ვიფიქრე...

— სრულიად გასაგებია, მისის კლივენდონ, ნუ შებოდიშებით. თქვენ ლოთები გეგონეთ, ჩვენ კი ვიფიქრეთ, რომ თქვენზე ავი ქალი აღარავინ შეიძლება იყოს. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა, შეცდომა ყველას მოსდის.

მიწას ვერ მოატყუებ

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ვირჯინიაში ვცხოვრობდი, ერთი სახის ქიმიურ პრეპარატს ვიწერდი გერმანიიდან და საბეჭდი მანქანის მელანს ვაკეთებდი. ალბათ, სიკვდილამდე ამ მელნის გაყიდვით ვიცხოვრებდი, გერმანიაში მომხდარი ამბები რომ მომწონებოდა. ახლა კი, აბა როგორღა შემეძლო გამეგზავნა ფული პრეპარატის საყიდლად და სინდისი დამშვიდებული მქონოდა.

ჯერ ვიფიქრე, ჩემს ცენტებს რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი. მე ერთი ვარ, აბა, რას წარმოადგენს ერთი კაცი? მაგრამ შემდეგ ჭკუამ მიკარნახა: ერთი კაცი თუმცა ერთი კაცია, მაგრამ თუ ხე არ იქნა, არც ტყე იქნება-მეთქი. ასე რომ, სხვა გზა უნდა მეძებნა თავის გასატანად. გადავწყვიტე მიწათმოქმედება დამეწყო.

პირველი, რაც გამოვარკვიე, ის იყო, რომ თუ ფულის შოვნა ვინდა, ქათმები არ უნდა მოაშენო. მაგრამ ამის გამოსარკვევად ათასი დოლარი და ერთი წელი დავხარჯე. ქათმები ფრიად ქურუხი ცხოველები არიან. სასიკვდილოდ კორტნიან ერთმანეთს. ამას გარდა ცეტებიც არიან: დაფართხუნობენ, შფოთავენ, კრიახობენ და სიმართლე თუ გინდათ, თვითონვე

პატიჟობენ მელიებს, ძაღლებს, სკუნსებს და სინდიოფალებს, მოგვიტაცეთო.

— დამიჯერე, ქათმის დანახვა აღარ შემიძლია, — ვუთხარი ელენეს იმ დღეს, როცა ბოლო გალია გავუიდეთ, — უკან კობიანთკარში რომ დავბრუნდები, იქნებ დამიჯერონ რადიოსა და მეტროპოლიტენის არსებობა, იქნებ ემპაიერ სტეიტ ბილდინგი და ავტომატებიც ირწმუნონ, მაგრამ, არასოდეს არ დამიჯერებენ, რომ ამერიკაში ქათმებს სათვალეს უკეთებენ, რომ მათ თუნუქის კაბებს აცმევენ, რათა ერთმანეთი არ დაჭამონ. არაფრით არ დაიჯერებენ!

ქათმების შემდეგ თხების მოშენება ვცადე. ნეტა რატომ ვერ ეწყობა ადამიანი თხას? მათ აბრეშუმივით პრიალა ბეწვი, ნაზი ტუჩები და ფაქიზი მადა აქვთ — აქ ქორფა ღვარძლას წაწიწკნის, იქ ერთ ბღუჯა რძიან ბალახს გეახლებათ. მერე მადის გასახსნელად ორიოდე ფოთოლს დააყოლებს ან მწარე ღეროს გაღეჭავს. ხან კი სამყურას თითო კვირტებს გასინჯავს — ისე არჩევს მინდორში საჭმელს, გეგონება, კაფეტერიის დახლიაო. ამასთან რძესაც იძლევიან — მთლად ნაღებია. მეტი რაღა უნდა კაცს? მაგრამ ვერც ამ რძეს და ვერც მისგან გაკეთებულ გემრიელ ყველს ვერავის მიჰყიდი. რაღაცა ეჩვენებათ: თხებს სუნი უდისო — ამბობენ. ადამიანებს რა, ნაკლები სუნი უდით?

შემდეგ მეფუტკრეობა ვცადე, მერე სიმინდის მოყვანა, მერე ცხვრები, ხორბალი, ღორები, სელი. გულდასმით დავამუშავე სასოფლო-სამეურნეო ბიულეტენები და სულ მალე თითქმის აღარაფერი დამრჩა საცდელი, თუ საექსპერტო ხმელ ხილს და დედალი ფარშევანგების მოშენებას არ ჩავთვლით. (თუმცა აქედან მხოლოდ ქინძისთავის საფასურისა და სიამოვნების მიღება შეიძლებოდა).

სადღაც შეცდომა დავუშვი, მაგრამ სად? ფერმის ბრალი არ არის, რადგან მიწა ნოყიერია და ნაკადულამდე ზომიერი დაქანება აქვს. ესე იგი, მე თვითონა ვარ დამნაშავე. იქნებ საკმაოდ მუყაითად არ ვმუშაობ? მართლაც, ამერიკაში ზოგ საქმეში შეგიძლია წაიყალთაბანდო, მთელი მონდომებით არ იმუშავო, მაგრამ მიწას ვერ მოატყუებ და, ეტყობა, ჩემი მიწაც შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს.

ამიტომ გადავწყვიტე ერთხელ კიდევ მეცადა ბედი — მთლიანად ჩავხვნოდი მიწას და მთელი ენერგია ჩამეთესა შიგ.

მაგრამ რა მოვიყვანო? ხან რა ვიფიქრე და ხან რა. გაზაფხული ახლად დამდგარი იყო, როცა სასადილოში ვიღაცეების საუბარს მოვკარი ყური. ისინი თესვაზე ლაპარაკობდნენ. ჩემმა მეზობელმა მისტერ გლიდენმა თქვა:

— პამიდორი! პამიდორი ძალიან სარფიანია. დაგირავებული სახლი გამოვიხსენი და სახურავიც გავუახლე. კიდევ მეტი — კანალიზაციის ორმოც ამოვთხარე. ეს ყველაფერი პამიდორის წყალობაა!

ძალიან დავინტერესდი და ვკითხე, სადა ჰყიდით-მეთქი.

— საკონსერვო კომპანია ყიდულობსო, — მიპასუხა ვიღაცამ.

— რომელი კომპანია?

— ტომატის კომპანია, — მითხრა მისტერ გლიდენმა, — მაგრამ მე იმათთან არ ვიჭერ საქმეს. დოკ-სტრიტის ბაზარზე ვყიდი. სეზონის დასაწყისში ერთ დოლარს ან ხანდახან დოლარ-ნახევარსაც ვიღებთ თითო კალათაში, მერე კი, პამიდორის მოლევამდე, იტალიელები თითო ურიკაში 25 ცენტს მაძლევენ, კეტჩისათვის ყიდულობენ.

— კეტჩისათვის?

— ჰო, კეტჩუპისათვის, შემწვარ კარტოფილს რომ ასხამენ ხოლმე.

— პამიდორი ჩემი საქმე ყოფილა, — ვუთხარი ელენეს იმავე ღამეს, — შესანიშნავი ბოსტნეულია; თავისი მეობა გააჩნია. თან იმუშავებ და თან თვალსა და პირს ასიამოვნებ.

მარტის შუა რიცხვებში თესლების კომპანიას შეკვეთა გავუგზავნეთ. მათ ჩითილები მოგვიმზადეს და მაისში, ჯერსიში რომ ჩავედით ჩითილების ჩამოსატანად, ისინი უკვე 15-20 გოჯის სიმაღლისანი იყვნენ. ზოგს კი უკვე ესხა პატარ-პატარა პამიდვრები.

მიწა უკვე დამუშავებული მქონდა. დარგვა მისტერ გლიდენმა მასწავლა. პალოები მოვამზადეთ — მძიმე და მრუდე ჯოხები. წვერზე თითბერი ჰქონდა გადაკრული. ორმოს ვთხრიდით, შიგ ჩითილს ვდებდით და მიწას მივატკეპნიდით ხოლმე. შემდეგ წყალს მოვასხამდით და ახლა მეორე ჩითილის დარგვას შევუდგებოდით. რამდენიმე საათის განმავლობაში ბალერინებივით ვცეკვავდით. ორმოს ჩათხრა, ჩარგვა, დატკეპნა, მორწყვა, ორმო, ჩარგვა, ტკეპნა, მორწყვა...

ჩითილებმა კარგად იხარა. ორჯერ ისე გულდაგულ გავაფხვიერე მიწა, რომ მუქ წაბლისფერ ხალიჩას დავამგვანე და ძალიან შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს, როცა სადმე სარეველა გაბედავდა თავის ამოყოფას.

ივლისში პირველი მოსავალი დავკრიფე. ორმოცი კალათა გამოვიდა. მაშინვე დოკ-სტრიტზე გავაქანე, ღამე ბაზარში გავათიე და დილას თითო კალათა თითო დოლარად გავყიდე. კარგი ფასი იყო.

მაგრამ მეორე კვირას მაზანდა დაეცა და ამავე დროს

პამიდორმა ისე სწრაფად დაიწყო დამწიფება, რომ იძულებული გავხდი, ბიჭი ამეყვანა დამხმარედ. ბიჭი კრეფდა, მე კი ვფუთავდი.

მთავარი ჩაწყობა იყო.

— საუკეთესოები ყოველთვის ძირში ჩააწყვე და მუშტრებს იმდენ ხანს შეირჩენ, სანამ პამიდვრის მოყვანის ძალა გეყოფაო, — მითხრა მისტერ გლიდენმა, როცა პირველი მოსავალი დავკრიფე და თითქმის მთელი დღე შემოგვწირა, რომ რესტორანში გასაგზავნი კალათების მომზადება ესწავლებინა:

ფსკერზე წრიულად ვალაგებდით მწვანე პამიდვრებს და ცენტრში ერთ დიდ პამიდორს ვდებდით, შემდეგ მეორე რიგს ვაწყობდით, შემდეგ მესამეს, მეოთხეს... სანამ პირთამდე არ აივსებოდა: მუქი მწვანე, ბაცი მწვანე, ღია ვარდისფერი, მარჯნისფერი, ღია წითელი, ალისფერი. ბოლო ორი რიგი ძალიან მწიფე უნდა ყოფილიყო, რომ მზარეულს ქვედა პამიდვრების დამწიფებამდე ისინი ეხმარა. ერთი სიტყვით, მთელი ხელოვნება იყო.

შუა აგვისტოს მერე პამიდორი ზღვად გასკდა. სადღა იყო იმისი დრო, რომ დოკ-სტრიტზე ვმდგარიყავ და ფასზე მეჯანჯლა — შინ უნდა გავქცეულიყავ და ახალი პარტია დამეკრიფა. მერე კვლავ ბაზარში, შინ, ბაზარში, შინ... კვირაში სამ ღამეს მეძინა, თავს ბედნიერად ვთვლიდი. სადილზე ჩანგლის პირთან მიტანას ვერ ვასწრებდი — მეყვინთებოდა ხოლმე. სულ უფრო და უფრო სწრაფად უნდა მემუშავა. რა მექნა? უნდა გამეძლო, თუნდაც თან გადავყოლოდი. უნდა დამემტკიცებინა მიწისათვის, ღირსეული მფლობელი ვარ-მეთქი. უკვე ადამიანი აღარ ვიყავი — მანქანად გადავიქეცი. პამიდვრის საკრეფ ავტომატად, რომელიც ყოველგვარი დახ-

მარების გარეშე მუშაობს. თანაც ყოველგვარ ამინდში. რომელიც კრეფს. ფუთავს, სწევს, მიაქვს. კრეფს, ფუთავს... მერე სახელური გადაიწევა, კალათი გაქანდება და საზიდავზე იდება. გაქანდება და იდება. მზე კი სულ უფრო და უფრო იკბინებოდა, მტვერი და ოფლი მჭამდა. ოფლს რომ მოვიწურავდი, პამიდვრის ყვავილის ფერფლი სახეზე მრჩებოდა. კაცს დაჟანგული ვეგონებოდი. 27 აგვისტოს 312 კალათა მოვკრიფეთ. რა მოვუხერხოთ ამდენს! ავდექი და საკომისიო კანტორას ჩავაბარე, რათა მალე დავბრუნებულიყავ უკან და კვლავ დამეკრიფა.

— სამ-ოთხი დღეში ჩეკს გამოგვიგზავნიან, თითო კალათაში სულ ცოტა ოცდაჩვიდმეტ ცენტს მოგვცემენ — ახლა კარგი ბაზარია-მეთქი, — ვუთხარი ელენეს, როცა შინ მოვბრუნდი. მაგრამ იმ ღამეს ქარიშხალი ატყდა. ფანჯრებზე სეტყვა აკაკუნებდა და შემდეგ მამაპაპური წვიმა დაიწყო. ცას არც მეორე და მესამე დღეს შეუკრავს პირი. მინდორში გასვლაც კი ვერ შევძელი — წებოსავით ტალახი იდგა.

კვირას კაშკაშა მზემ გამოანათა და შუადღისას უკვე ვნახეთ, რაც დაგვტყომოდა თავს — მთელი პამიდორი მიწაზე იყო დაფენილი და ექვს აკრიან ქოთანში იფუთქებოდა. ყველაფერი გათავდა.

— რაც არის, არის, — ვთქვი მე, როცა ჩემი მამული შემოვიარე. არავის ბრალი არაა. უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო. პირველი კალათების გაყიდვით აღებული ფულის უმეტესობა ხარჯებზე წავიდა. ახლა იმით, რასაც კომისიონერი გამოგზავნის, სასუქის ვალს გადავიხდით და რაც რჩება, მოგება იქნება. მე მგონი, ამჯერად კარგად წავა ჩვენი საქმე.

ორი დღის განმავლობაში, სანამ ფოსტალიონს ვუცდი-

დით, ელენეს ვეკითხებოდი, იმ ფულით რა ვიყიდოთ–მეთქი. ბოლოს პაკეტი მივიღეთ. გავხსენით. შიგ ჩეკი იდო ამაყად შევიტანე ოთახში.

55.75 წაიკითხა ელენემ. რაღაც შეცდომაა.

55.75?! შეუძლებელია.

ელენემ კონვერტიდან მოგრძო ქაღალდი ამოიღო:

— 163 კალათი 38 ცენტად — 61.94 — 10% 55.75 149 კალათა გადაიყარა.

— გადაიყარა?

— ჰო! — ელენე კვლავ ქაღალდს ჩასცქეროდა.

— ამის უფლება არა ჰქონდათ, — ვთქვი მე და ქაღალდის ორივე მხარე დავათვალიერე.

— ჰო, მაგრამ გადაყარეს, — ელენე ფანჯარას მიადგა და ჩვენს ბოსტანს დაუწყო მზერა, — მათ ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ.

გულზე რაღაც მომაწვა. არც კი გამაგებინეს. წამოვიღებდი და დამშეულებს დავურიგებდი ქუჩაში. გადაყარეს. ჩემი პამიდორი ფილადელფიის მდინარის ფსკერზეა. იქნებ ჯერ კიდევ მთელებია, წითლები, პრიალები. ახლა, ალბათ, იმ მდორე მდინარის ფსკერზე, ლამში ყრია და ლპება, ჩემი შრომა წყალში ჩაყარეს.

იქნებ ვინმეს მოსწონდა ასეთი ცხოვრება — მე კი არა. ისევ სამსახურს მივუბრუნდი.

ამის შემდეგ ხშირად მიფიქრია, მაგრამ ვერასოდეს ვერ მივხვდი, თუ რატომ ხდება, რომ კაცს მიწა და ორივე ხელი აქვს და ლუკმაპურს კი ვერა შოულობს. წარმოუდგენელი. ამბავია! მაშ თავიდან როგორ აშენდა ეს ქვეყანა? არა, რაღაც მიზეზია.

მაგრამ რა?

ძია ვანო მარად იცოცხლეს

ჩვენს ფერმაში ხეების რგვა დავიწყეთ. გვინდოდა სიბერეში ტყე გვქონოდა. ათასობით პატარა, ტოტის ოდენა ხე დავრგეთ. საშობაო მწვანე ნაძვები, ფიჭვები, რომლებშიც შაშვები იჭახჭახებდნენ, არყის ხეები, რომლებიც ლაღად იზრდებიან ხოლმე.

შუა მუშაობაში რომ ვიყავით გართულნი, ფოსტალიონმა ორჯერ დაიჩხავლა ჭიშკართან — დეპეშა! დეპეშა!

იგი ემილიას გამოეგზავნა:

„მიიღეთ ჩემი სალამი და კოცნა. ცუდი ამბავი უნდა შეგატყობინოთ. ჩამოდით დასაფლავებაზე. ძია ჯონი მოკვდა“.

ძია ვანო აღარ არის!

გული მწუხარებით აგვევსო და ირგვლივ თითქოს ჩამობნელდა კიდეც.

ძია ვანო მოკვდა? რაღაც სიცარიელე ვიგრძენი მკერდში. ვიღა გამახსენებს სამშობლოში გატარებულ დღეებს, ჩვენ სოფელს? ვიღა გაიხსენებს იმ დროს, როცა ჯარიდან გამოქცეული პეტრე შევიფარეთ, ბუცას ოინებს, ან იმას, ვერცხლით მოჭედილი ქარქაშის გაკეთებაში ჯილდო რომ მივიღე? ვიღა იხარხარებს, როცა მოვყვები, პოლიციის უფროსი რომ დათვრა და საღორეში დაიძინა?

არავინ!

ვინ მომიჯდება სუფრაზე გვერდით და ვინ დალევს იმ მეგობრების სადღეგრძელოს, რომლებსაც მარტო ჩვენ ორნი ვიცნობდით. აღარავინ მომიტანს შესაკეთებლად თავის ხარახურას — გატეხილ დანებს, გაფუჭებულ ელექტრორეკლამებს, ზამბარა გაწყვეტილ ფონოგრაფებს, ხორცის საკეპ მანქანებს,

ბიბო გოგიასაც არაეინ დამიძახებს. არა, მარტო ძია ვანო კი არ დამიკარგავს! — მასთან ერთად თითქოს სამშობლოს ნაწილიც დავკარგე!

დიდი დასაფლავება გვქონდა. მე მგონი, თვითონაც ნასიამოვნები დარჩებოდა, რომ დაენახა. კუბო ეკლესიის შუაგულში იყო დასვენებული და ირგვლივ იმდენი ყვავილები ეყარა, ბაღი გეგონებოდათ. ვარდები, მინდვრის ზამბახები, მიხაკები, ყვითელი ნარგიზები, სუმბულები... ვიღაც ბავშვმა დამჭკნარი იების თაიგული მოუტანა. იგი წინათ არასოდეს მინახავს, მაგრამ ძია ჯონმა, ალბათ, მასაც დასდო ამაგი.

ბესომ სანთლები ჩამოგვირიგა. სანთლები სათითაოდ აინთო.

სულ ცოტა სამასი კაცი იქნებოდა. ორი პიტსბურგიდან იყო, ერთი ვირჯინიიდანაც კი ჩამოსულიყო. სანამ მღვდელი ფსალმუნს კითხულობდა და მუსიკა უკრავდა, მე ჩვენს ბოლო შეხვედრაზე ვფიქრობდი. ეს სულ ორიოდე კვირის წინ იყო.

კალიფორნიიდან გამოსვლის შემდეგ ძია ვანომ ერთი პატარა რესტორანი შეიძინა „მერთხე ქუჩაზე", მაგრამ ერთ დღეს მობეზრდა და იმავე დღეს ექვსი თუ შვიდი რუსი შეიამხანაგა. ღამით ყველა ერთად მოვიდა საბუთების გასაფორმებლად და თან თითო ადვოკატი მოიყვანეს. პირველად ცოტა არეულობა მოხდა, მაგრამ ბოლოს მორიგდნენ და მთლიანად გადაიხადეს თავ-თავიანთი წილი.

— უპირველეს ყოვლისა, — მითხრა ძია ვანომ, — მე იმდენი ფული უნდა გადავდო, რომ იგორ ანდრეიჩს ხაუკეთესო ფეხი ვუყიდო. დე, კვლავ იცეკვოს — ესიამოვნება.

მერე ჩანჩო გავიყოლიოთ, სტრიტზე წავიდეთ და დანარჩენი ფულით სულ საჩუქრები ვუყიდოთ ჩვენს მეგობრებს.

ჯერ ყველა ზომისა და ყაიდის ხელთათმანებით სავსე ურიკის ყიდვა უნდოდა.

— იცი, გავაგოროთ და მეგობრების სახლებს ჩამოვუაროთ. გამოვლენ ქუჩაში და რამდენიც უნდათ, იმდენს ამოირჩევენ. თან ტკბილი სიტყვებიც დავაყოლოთ. კარგი ხუმრობა გამოვა! რას იტყვი ამაზე?

მაგრამ გამყიდველი ვერაფრით ვერ შეელია ურიკას.

— არა უშავს. მაშინ მარტო ქალებისათვის ავარჩევ საჩუქრებს, — გადაწყვიტა ძიამ, — კაცებს კი ვაქეიფებ.

კარგა ორი საათი ვათვალიერეთ ვიტრინები. ბოლოს, ძია ვანოს რაღაცამ მოსტაცა თვალი პირველი სართულის ვიტრინაში.

— წვივსაკრავები, — უთხრა მან ნოქარს, როცა მაღაზიაში შევედით, — აი, ისეთი, ფანჯარაში რომაა — ჭრელები. ან აი, ისინი, ფარშევანგის ფრთებიანი. რაიმე მდიდრული.

ნოქარმა ყველანაირი წვივსაკრავებით სავსე ყუთი გადმოგვიღო. ძიამ ერთი წყვილ წითელ სატინის წვივსაკრავებზე შეაჩერა არჩევანი და ფასი იკითხა.

— გროსი 12 დოლარი.

— გროსი რას ნიშნავს?

— 144 წყვილს.

— მომეცით. ამდენ ქალს ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თანდათან გავიცნობ.

ამაში ეჭვი არ მეპარებოდა. სრულ სიმართლეს ამბობდა, რადგან შეერთებულ შტატებში რომ ჩამოვიდა, რუსული, თურქული, ასურული, სომხური, აზერბაიჯანული და ქართუ-

ლი იცოდა. ბუნებრივია, რომ ინგლისურისათვის ბევრი ადგილი აღარ დარჩებოდა თავში. ამიტომ, როცა რომელიმე საჭირო სიტყვას ვერ იხსენებდა, უბრალოდ იტყოდა ხოლმე „I luff gon" და რაღა თქმა უნდა, უამრავ მეგობარს იძენდა, განსაკუთრებით ქალებს.

როცა გარეჯ გამოვედით, ძია ვანოს ახალი აზრი მოუვიდა თავში:

— გამიგონე, — უთხრა მან გამყიდველს, — მე მინდა რამდენი წვივსაკრავიც მიმაქვს, იმდენი ეჟვანი ვიყიდო ქამრის ბალთაზე დასამაგრებლად. ქალები სულ რაწკარუწკით ისეირნებენ. რაღაც არაჩვეულებრივი რამ იქნება!

— ძვირი დაგიჯდებათ, მარტო ჯაფა იანგარიშეთ...

ძია ვანომ ფული გაუწოდა.

— ხარჯი რა სახსენებელია, აი, ფული. გახსოვდეს, ბიჭო,— მომიბრუნდა ძია, — როცა საჩუქარს ყიდულობ, ყოველთვის რაიმე ძვირფასი შეარჩიე, ან არადა, სულ ნუ იყიდი.

როგორ შეიძლებოდა ძია ვანოსთანა კაცი მომკვდარიყო? კაცი, რომელსაც ასე უყვარდა ქვეყანა, რომელიც ასე დაუმეგობრდა ცხოვრებას. მაგრამ ძია ვანო აღარ იყო და ახლა საცეცხლურს აქანავებდნენ, ირგვლივ საკმევლის სუნი დგებოდა. მერე ლოცულობდნენ... მაგრამ ძია ვანოს არც გუნდრუკი სჭირდებოდა და არც ლოცვა, რაც კი სიკეთე დაეთესა, კუბოს ირგვლივ მდგომთა სახეებზე წაიკითხავდით, მათ ცრემლებში დაინახავდით, ცრემლებში, რომლებიც ალმასივით ბრწყინავდნენ სანთლის შუქზე.

საწყალი ჩანჩო მოშორებით იდგა, მაგრამ ძია ვანოს სახიდან სუდარა რომ ახადეს, მივიდა და სახეზე აკოცა, მერე კიდევ მიბრუნდა, კიდევ და კიდევ...

მე მკლავში მოვკიდე ხელი და ვუთხარი:

— მოდი, ცოტა ხნით გვერდზე გავდგეთ, ძია ვანოს სხვა მეგობრებიც ჰყავდა.

— გიორგი ივანიჩ, — ძლივს ამოილუღლუღა საწყალმა ბიჭმა, — ძია ჯონმა დამტოვა, რატომ დამტოვა, რატომ?!

— ასეა, ჩანჩო! ყველანი დავიხოცებით!

— ვაჯავრებდი ხოლმე. ძალიან ხშირად. მაგრამ განა განგებ. თვითონაც იცოდა, რომ უნებლიეთ მომდიოდა.

— იცოდა, ჩანჩო, იცოდა.

— მე სულელად მთვლიან. ყველა ასე ამბობს. ბიჭები ქვებს მესროდნენ. მარტო ძია ჯონმა იცოდა, რომ გიჟი არ ვიყავი. ეს ქვეყანა ყველას ეკუთვნისო, ამბობდა.

— მართალია!

— ო, ძია ჯონ! ძია ჯონ!

— ნუ, ჩანჩო, ნუ. იგი ველარასოდეს ველარ გამოგეხმაურება, ამით მარტო სხვებს აუჩუყებ გულს!

— ახლა ძია ჯონი აღარაა და ისინი კვლავ დამიწყებენ ქვების სროლას.

— არა, ჩანჩო! ნუ გეშინია. თუ გინდა, ჩემთან წამოდი. ეს ქვეყანა ყველას ეკუთვნის, მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ მარტო ძალიან ცოტას, მარტო ძია ჯონის მსგავს ადამიანებს სწამთ ასე!

იმ ცივ, ნესტიან დღეს ყველა დიდხანს ვიდექით ძია ვანოს საფლავის პირას და მღვდელს ვუსმენდით. ვიღაცის ცივი ხელი გულის ფიცარზე მიკაკუნებდა, როცა საფლავიდან ამოყრილ მიწას თვალს მოვაცილებდი და მეზობლებს გადავხედავდი, მათ სახეზედაც ჩემ საკუთარ შიშსა ვხედავდი. თითქოს სარკეში ვიხედებოდი. ილიკო, არსენა, კოსტა — ყველა-

ნი, მუჭით რომ მიწას აყრიდნენ კუბოს, ფიქრობდნენ, ნეტა ვინ იქნება შემდეგიო? იქნებ მე უნდა მოვკვდე ძია ვანოს შემდეგ, სამშობლოს მოშორებული. დავიმარხები უცხო მიწაში და ჩემი საფლავის ქვის წარწერასაც ვერავინ წაიკითხავს!

უკან კრიჭამეკრული ღაბრუნდით.

ქელეხი ანტოსთან იყო დანიშნული, მაგრამ მანამ ვერ დავიწყებდით, სანამ ზაქარას და ბესოს არ შევარიგებდით. ისინი სამი წელი იყო, რაც ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს. მეც კვლავ უნდა დავმეგობრებოდი კუკულას — რაც მოხდა, უნდა დაგვევიწყა, და ეს ყველაფერი ძია ვანოს ხსოვნის პატივსაცემად იყო. ძველისძველი, მაგრამ საუცხოო ადათია. იგი ადამიანს საშუალებას აძლევს საფლავში მაინც შეასრულოს მოვალეობა, რომელიც სიცოცხლის განმავლობაში აკისრია: ტკბილი ურთიერთობა დაამყაროს თავის მეგობართა შორის.

ასე რომ, ოცი კაცი შემოვუსხედით მაგიდას. ჩვენ ძია ვანოს სულის მოსახსენებელი უნდა დაგველია და ამ დღის შესაფერი კერძი — ცხელი შილაფლავი გვეჭამა, — ძალიან მარგებელია ახლად გათხრილი საფლავის ცქერით აკანკალებულ და სულიერად დაცემულ ხალხისათვის.

მაგრამ განა მარტო ძია ვანო ვახსენეთ იმ დღეს. ყველა მოვიგონეთ, ვინც კი სუფრაზე გვაკლდა. დავითი, რომელმაც იმდენი იწვალა ჩურჩხელის დამზადებაზე, რათა აქ დაბადებულ ბავშვებს მშობლიური ტკბილეულის გემო გაეგოთ. პაპა მონტო, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში დაუღალავად ნადირობდა ქართულად მოლაპარაკეზე და ამ წლებს დაკარგულად არ თვლიდა. მერე ნიკო, ვასო, პეტრია და ბევრი სხვა. არავინ გამოგვრჩენია. როგორღაც ამ სუფრამ ის

შეძლო, რასაც ვერავითარი სიტყვები ვერ შეძლებდა — გამოგვაბრუნა და იმის იმედი ჩაგვისახა, რომ, როცა კი ვინმე მეგობარი სუფრას მიუჯდებოდა, ჩვენც მოგვიგონებს. ამაზე მეტი რა უნდა ინატროს კაცმა?

როგორც ყველაფერი ამქვეყნად, ჩვენი სუფრაც დასასრულს მიუახლოვდა. ილიკო წამოდგა და ბოლო ჭიქაც ძია ვანოს სახსენებლად ასწია:

— ამ პატარა ჭიქით მე მინდა იმ კაცის მოსახსენებელი დავლიო, რომელიც იმდენად ჭკვიანი აღმოჩნდა, რომ ქონება არ დაგვიტოვა, რათა ერთმანეთს არ წავკიდებოდით. ქონების ნაცვლად მან თავისი მორალური მრწამსი და თავისი გემოვნება დაგვიტოვა და თან მთელი თავისი ცხოვრებით გვასწავლა, თუ როგორ უნდა მოიხმარო ერთიცა და მეორეც. ამქვეყნად ჯერ კიდევ უამრავი რამაა მოსაგვარებელი, ამიტომ, დე მღვდელმა მომიტევოს, თუ ცოტათი შევცვლი ბიბლიის იმ სიტყვებს, რომელიც მან სასაფლაოზე წაიკითხა. ცოტა სხვანაირად ვიტყვი — ჩვენ სიკვდილის წიაღშიაც ვცოცხლობთ. ამინ!

სადღეგრძელო

— მოდი, წვეულება გავმართოთ, — ვუთხარი ელენეს, როგორც კი ბანკიდან გამოვედით.

— ახლა რატომღა?

— მე ხომ ბოლო შესატანი გადავიხადე, მე ხომ ერთი ნაგლეჯი ამერიკული მიწის მფლობელი გავხდი.

— საბაბის გამონახვა არ გიჭირს. როდის მოვაწყოთ და ვინ დავპატიჟოთ?

— აღდგომაა... ყველა უნდა დავპატიჟოთ, ყველა ჩვენი ქართველი და ამერიკელი მეგობარი. ძალიან დიდი ქეიფი უნდა გადავიხადოთ. ისეთი, რომ მომავალში რაიმეს რომ მოჰყვებიან, აღნიშნონ, ეს ამბავი ჩვენს ქეიფამდე მოხდა თუ ქეიფის შემდეგ.

— ყველაზე კარგად სად ვიქეიფეთ, თუ გასსოვს? — მკითხა ელენემ.

— ძნელი სათქმელია. მგონი, ბესოს ქალიშვილი რომ გათხოვდა, მაშინ, — ვუპასუხე ცოტა ფიქრის შემდეგ, — გახსოვს, სამ დღეს უკრავდნენ მუსიკოსები. ახალ სუფრას რომ გაშლიდნენ, ხონჩებით ცხელ-ცხელი ჭადები მოჰქონდათ ხოლმე. ძალიან კარგი იყო. შენ რომელი მოგეწონა ყველაზე უფრო?

— ილიკოსთან რომ ვიყავით შობა თუ აღდგომა იყო, მგონი, აღდგომა. ვასო იყო თამადა. სუფრას უძღვებოდა და ახალ-ახალ სადღეგრძელოებს გვთავაზობდა. ერთი შეგსანიშნავი რამ თქვა — ვიღაცამ ჭიქა ასწია სადღეგრძელოსათვის: — ეს ისეთ კაცს გაუმარჯოს, ვისაც თავისი ქვეყნის წინაშე ღვაწლი მიუძღვისო. ვასომ უპასუხა: კაცმა რაც უნდა გააკეთოს, სამშობლოს ვალს მაინც ვერ გადაიხდისო. კარგი ნათქვამია, არა?

— აი, რა დამამახსოვრდა ყველაზე უფრო, — განაგრძო ელენემ, — ორი საათი იყო, მაგიდას რომ მივუსხედით. თევზი, სალათა, — რა გინდა, რომ სუფრაზე არ ყოფილიყო; ორი საათის შემდეგ ნამუსრევიღა დარჩა. ემილიამ აალაგა და ახალი სუფრა დააფინა — წიწილები და ლორი მოგვართვა. დი-

ლამდე ექვსი სუფრა გამოცვალა. მეექვსედ ზეწარი გადაა-ფარა მაგიდას!..

— მე წავალ, სადმე გოჭს ვიშოვი, ეზოში შამფურზე შევ-წვათ.

— მე ყველაფერს მოვამზადებ, რაც კი ვიცი, სულ ყველა-ფერს.

— ოღონდ იცოდე, რასაც მოამზადებ, ყველაფერი ბლო-მად იყოს.

ხალხი დავპატიჟეთ, შაბათს ჩვიდმეტი კაცი და ოთხი ბავ-შვი გვესტუმრა. ჩვენიანად ოცდასამი მოვგროვდით.

— კარგია, — ვუთხარი ელენეს, — ამაზე არც მეტი ვარ-გოდა და არც ნაკლები.

ასეც გამოდგა. ოთხ საათზე სუფრას რომ შემოვუსხედით, სწორედ იმდენი ვიყავით, რამდენიც კარგი ქეიფისათვისაა საჭირო. ყველა სიამოვნებით შეუდგა ჭამა-სმას. ვიმღერეთ ქართული სიმღერები. ამერიკელმა მეგობრებმა საპასუხოდ შესანიშნავად იმღერეს რომელიღაც სახლზე კენტუკში, სა-დაც ისინი წინათ ცხოვრობდნენ და ვიღაც ლედის შესახებ, რომელიც მუხლმოყრილი უკრავდა ბანჯოს; იმღერეს გაჭირ-ვებაში ჩავარდნილ კოვბოებზე. იმღერეს ყველა კოლეჯური სიმღერა. ჩემი აზრით, ისინი ყველაზე ლამაზი სიმღერებია ამერიკაში, განსაკუთრებით კი ფეხბურთის შესახებ, ძალიან მუსიკალური თამაში უნდა იყოს, კარგი საყურებელი იქნება.

ერთ-ერთი მანდილოსანი ესტონელი იყო — ვერა პეტრეს ასული. ყველამ ერთად თქვა, რომ კალიფორნიის უნივერსი-ტეტის ჰიმნი და ესტონური სიმღერა, რომელსაც ძეობაზე მღერიან ხოლმე, ერთ ჰანგზე იმღერებაო. დიდხანს იმღერეს და ძალიანაც ისიამოვნეს. ხანდახან მომღერლებს ბედი შეიწ-

ყალებდა და მოტივი ერთმანეთს დაემთხვეოდა ხოლმე. მაშინ კი ნამდვილი დუეტი გეგონებოდათ.

დიახ, კარგი ხალხი მოვგროვდით. მე ავდექი, ბოდიში მოვიხადე და ეზოში გავედი. მინდოდა გულში ჩამჭედოდა, მინდოდა სამუდამოდ დამმახსოვრებოდა ხეებს შორის დარხეული ჰანგები, საკვამურიდან ამოსული კვამლის ბოლქვები, შემწვარი ხორცის, ნამცხვრისა და ერბოს სურნელი, რომელიც სამზარეულოს ღია კარიდან გამოდიოდა, ოქროსფრად განათებული ფანჯრები და ხალხი — ჩემ სახლში მოლხენილი ხალხი!

როცა ოთახში შევბრუნდი, სტუმრები კვლავ მღეროდნენ: „ვის უტოვებს კაცი სახლ-კარს, როცა ომში გაიწვევენ?!“ — იკითხა პეტრეს ძლიერმა ბანმა, „ცოლს უტოვებს, ერთგულ ცოლსა“, — უპასუხა ბესოს ტკბილმა მოძახილმა და შემდეგ ყველამ ერთად გაიმეორა: „ცოლს უტოვებს, ერთგულ ცოლსა, როცა ომში გაიწვევენ“.

— მე ახლა ბოლო ჭიქა მინდა დავლიო, — თქვა პეტრემ,— ჩვენმა თამადამ, როცა სიმღერის ხმა მიწყდა, — თუმცა ჯერ თერთმეტი საათია, მაგრამ ხვალ აღდგომაა და თავი უნდა შემოვინახოთ.

მეორე დილას ჩვენ, უცხოელებმა, ჩვეულებისამებრ ერთმანეთი გადავკოცნეთ და აღდგომა მივულოცეთ ერთმანეთს, „ქრისტე აღსდგა“.

— ლამაზი ჩვეულებაა, — თქვა მისის ბეტიმ, — რომელიც საუზმეს უწყობდა ბავშვებს, — რას ნიშნავს „ქრისტე აღსდგა?“

მე ვუთარგმნე, რასაც ნიშნავდა. უნდა უპასუხოთ —„ჭეშმარიტად“. ეს ნიშნავს: მე მწამს, ნამდვილად მჯერა, რომ

აღსდგა. ეს ჩვენებური მილოცვაა, თქვენ, ამერიკელებმა ხომ იცით აღდგომის მილოცვა — ბედნიერ აღდგომას გისურვებთო, ამბობთ.

— თქვენი სჯობს, „ქრისტე აღსდგა", ძალიან მომწონს. ლამაზი და ჭკვიანურია, აღდგომა დილისათვის „ქრისტე აღსდგა".

— ქრისტე აღსდგა, — შემოგვძახა ბესომ, სამზარეულოში შემოვიდა და გადაგვკოცნა.

— მჯერა, თუ როგორ ამბობთ? ჰო, ნამდვილად მწამს, რომ აღსდგა, — უპასუხა მისის ბეტიმ, — მე კი მეგონა ათეისტი იყავ, ბესო.

— ვარ კიდეც. ავიღოთ, მაგალითად, ადამისა და ევას ამბავი...

— ვიცი. გუშინ არ მიხსნიდი? მაგრამ რატომღა ამბობ, ქრისტე აღსდგაო!

— რატომ? — ბესო, ცოტა არ იყოს, შეცბა, — მარტო იმიტომ, რომ აკაკი ათეისტია... „ქრისტე აღსდგა". პეტრე, შალიკო! მან ორივე ორ-ორჯერ გადაკოცნა და განაგრძო; — კაცი თუ ათეისტია, ზრდილობა არ უნდა ჰქონდეს. — ვის უნდა სააღდგომო კვერცხი დავურტყა?

— მე, მე, — შემოესივნენ ბესოს ბავშვები.

— არა, ჯერ ის კვერცხები მონახეთ, თქვენი სახელები რომ აწერია, ასეთია წესი... უკვე იპოვეთ? წვერით უნდა დავარტყათ, — აი, ასე. მე დავიჭერ, შენ დაარტყამ, გატეხილი კვერცხი გამტეხისაა. წაგებული ჯარიმასაც იხდის, მაგრამ ეს წაგებული მე არ ვიქნები, არა! მაშინ ბესოც აღარ ვიქნები! აბა, მოდის! რაო? ჩემი გატყდა? ეგ როგორ მოხდა? აბა, ეს მეორე ვცადოთ.

ბავშვები ხტუნვით უვლიდნენ ბესოს გარშემო და ეხვეჭებოდნენ: ახლა მე, ახლა მე!

ბესოს ოთხი კვერცხი გაუტეხეს. მან ჯიბიდან ოთხი საჩუქარი ამოიღო და მაგიდაზე ჩაამწკრივა.

— საოცარია, — ამოიხვნეშა ბესომ, — ყველამ როგორ მაჯობა! გიორგი, მეორე აღდგომას ქვის კვერცხი უნდა გამიკეთო. ლურჯად შევღებავ, მოვხატავ და ყველას ვაჯობებ. ოღონდ სიტყვა არ დაგცდეთ ვინმესთან!

ოთხივე ბავშვმა უარის ნიშნად თავი გააქნია, ოთხივე აპყლოპინდა: არა, არა, არა!

— აი, ყოჩაღ, სამაგიეროდ ოთხივეს შეგიამხანაგებთ.

საუზმის შემდეგ ცეცხლი დავანთეთ. როცა ნაკვერჩხალი ღაცვივდა, გოჭი შამფურზე წამოვაგეთ, მიწაზე ჩარჭობილ ორკაპა ჯოხებზე გავდეთ და მანამ ვატრიალეთ, სანამ არ დაიბრაწა და ტკაცატკუცი არ დაიწყო. შორიახლო ჩაცუცქულ ძაღლებს ენები გადმოეგდოთ და მშიერი თვალებით მიშტერებოდნენ ჩვენს გოჭს. ხალხიც ამ დღეში იყო.

იმ დღეს თამადად შალიკო იყო და კარგადაც გაართვა თავი საქმეს. სიმღერა არ წყდებოდა, ჭიქები იცლებოდა. ისეთ სადღეგრძელოებს ამბობდა, რომ ყურში კი არა პირდაპირ გულში გვხვდებოდა.

— აბა, სმენა იყოს, — თქვა მან ბოლოს, — ჩვენ მრავალი სადღეგრძელო შევსვით დღეს — სუფრის წევრებისა სათითაოდ, ბავშვების, მშობლების, ჩვენი დიასახლისის, ოჯახის უფროსისა, ახლა ერთი განსაკუთრებული სადღეგრძელო მინდა დავლიოთ. პეტრე, შეწყვიტე, გენაცვალე, მაგ თხილის მტვრევა და მომისმინე.

— სიამოვნებით. ნეტა უფრო დიდი ყურები მქონდეს.

მაშინ უკეთესად მოგისმენდი. მე გისმენ და უფრო მეტიც — ვსვამ.

ვიღაცამ ჭიქა შეუვსო პეტრეს. მან სინათლეზე გახედა ღვინოს.

— შესანიშნავი ღვინოა. გამდნარი ლალივითაა. იმედი მაქვს, კარგ სადღეგრძელოს იტყვი, შალიკო, — ამ ღვინოს რომ შეეფერება, ისეთს...

— სანამ შემაწყვეტინებდნენ, გეუბნებოდით, განსაკუთრებული სადღეგრძელო უნდა დავლიო-მეთქი. ჰოდა, ამ პატარა ჭიქით სამშობლოს გაუმარჯოს. ჩვენ გვიხარია, რომ სუფრასთან ამდენ ამერიკელს ვხედავთ. განსაკუთრებით იმიტომ, რომ წინათ მათ პატივი გვცეს — თავიანთ ფართო სუფრასთან მიგვიწვიეს და გულუხვად გაგვიმასპინძლდნენ. ჩვენ ვცდილობდით კარგი სტუმრები ვყოფილიყავით და იმედი მაქვს, ვიყავით კიდეც. ეს ერთი სამშობლოა. მათ გარდა მრავალი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი შევიკრიბეთ აქ — ქართველები, რუსები, ბერძნები, ლატვიელები, ესტონელები, ირლანდიელები — ნამდვილი ერთა ლიგაა. მე ვსვამ ყველას სამშობლოს სადღეგრძელოს და როცა ვხედავ, თუ როგორ მშვიდობიანად ვსხედვართ ერთმანეთის ვვერდით, მწამს, რომ მთელი მსოფლიო მოგვბაძავს. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ბედნიერი ცხოვრების ერთადერთი გზაა. მაშ ასე — სამშობლოს გაუმარჯოს!

— სიამოვნებით ვსვამ, — ვთქვი მე, — სამშობლოს გაუმარჯოს, სამშობლოს, რომლის იატაკი დედამიწაა, ჭერი კი ზეცა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

პირველი დღე 5
დიახ, თქვენო უმწიკვლოებავ 15
უზრდელი კაცი 27
მიწის ძახილი 42
იოლი გამდიდრების გზები 46
რამდენიმე სითბო და მოგონება 56
კალიფორნია დასავლეთითაა 64
ასეთი ვრცელი და თვალწარმტაცი 77
აი, კალიფორნია 85
როგორ გაყიდა ჩანჩომ ჩემი ცხვირი 94
ჯარისკაცობა 107
უველაფერს კურნავს, გარდა სიყვარულით დამწვარი გულისა . . 112
რა არის საჭირო ბედნიერი ცოლქმრობისათვის? 127
ვიცინი, მაგრამ ხმადაბლა 137
ფერების შეძენა 146
იქ, სადაც ახლაც სძინავთ გოლიათებს 154
ერგი მეზობელი 163
მიწას ვერ მოატყუებ 173
ძია ვანო მარად იცოცხლებს 186
სადღეგრძელო 192